

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორთა საბჭოს
ოქმები

1917-1926



თბილისი
2006

გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს
მანანა ლილუაშვილმა და ზურაბ გაიპარაშვილმა

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ი პროფესორი მზექალა შანიძე

The Edition was prepared by **Manana Liliashvili** and **Zurab Gaiparashvili**.
Same are the authors of introduction and the name search enclosed.

e d i t o r professor **Mariam Lordkipanidze**
r e v i e w e r professor **Mzekala Shanidze**

gamomcemloba `universal~, 2006

Tbilisi, 0128, i. WavWavaZis gamz. I, თე: 29 09 60, 8(99) 1722 30
E-mail: universal@internet.ge

© m. liliashvili, z. gaiparashvili, 2006

ISBN 99940-51-84-9

ეძღვნება თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფუძემდებლის,
1919-1926 წლებში უნივერსიტეტის
რექტორის ივანე ჯავახიშვილის
დაბადების 130-ე წლისთაგს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1917–1926 წლებში

„ახლა თქვენს ხელშია, ბატონო
პროფესორნო, ბეჭ-ილბალი ამ მაღალი ხამუცნიერო
ტაძრისა. ჩვენი გული იგებდა სიხარულით, რომ
სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, გენერგავთ
ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვეხვარით,
რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხეხით... დამოდ-
გილებამ სინათლისადმი, ცოდნის წევრიდამა და
ჰემარიტების სიყვარულმა შეკრიბა დღეს აქ
აუარებელი ხალხი.

კაცი სინათლისათვის არის
შექმნილი და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში
დავთიცვი ნიჭი – ძიება ჰემარიტებისა, რომელიც
პქმის კაცს თავისუფლად.

გილოცავთ, ჩვენი პირველი
უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო, და ვისურვებ
ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას ხაქოლილ-
დავთ ჩვენი ერისა.

განათლებით ირჩევა კაცი კა-
ცისგან. იგი ვასდაუდებელი ხაუნჯეა, რომლის შე-
ძენას ბევრი დრო, მომზინება და ცდა უნდა.”

კირიონ მეორე
სრულიად საქართველოს
აათლეოეს-პატრიარქი
1918 წ. 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის
გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა

„...სიყვარულის გარეშე არ
გაკეთდება დიდი საქმე გულცივი, გულგრილი
ადამიანი კერ გააკოუქს კერასოდეს დიდ საქმეს;
უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავისი ხალხი,
უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს
პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა
მეცნიერებასაც და ხალხსაც.”

ივანე ჯავახიშვილი
1938 წ. 25 მაისს
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
20 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარქივო
ფონდი, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრა-
ლურ სახელმწიფო არქივში ინახება, საქართველოს საარქივო
მექანიზრების უაღრესად საინტერესო ნაწილს წარმოადგენს.
ფონდში დაცულია „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის”

დამფუძნებელი საზოგადოების კრების ოქმები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ბრძანებები თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების შესახებ, პედაგოგთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები (1918-1930 წლები), სტუდენტთა ატესტატების კოლექცია, 1918-1928 წლების საგამოცდო კომისიების დოკუმენტაცია, თუ პოლიტექნიკური, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, სამკურნალო, სიბრძნისმეტყველების, აგრონომიული ფაკულტეტების სალექციო წიგნაები, სტუდენტთა სიები, პირადი საქმეები (1920-1930 წწ.), სამხედრო ბეგარასთან დაკავშირებული დოკუმენტები, საბუდალტო საბუთები (1921-1930 წწ.), უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა მიმოწერა სამთავრობო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან საქართველოსა თუ უცხოეთში, პროფესორთა საბჭოსა და გამგეობის სხდომების ოქმები, აგრუთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა საარქივო საბუთები დაწყებული 1917 წლიდან დამთავრებული 1970 წლამდე¹.

ფონდში შემავალი მრავალი უნიკალური დოკუმენტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებიც მემატიანის სიზუსტით მოგვითხრობენ უნივერსიტეტში განსხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი დონისძიების შესახებ (1917 წლიდან 1926 წლამდე პროფესორთა საბჭო წარმოადგენდა უნივერსიტეტის მართვის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოს, რომელიც განიხილავდა და იღებდა გადაწყვეტილებებს საუნივერსიტეტო ცხოვრების საკვანძო საკითხების შესახებ). უფრო მეტიც, დოკუმენტები ინახვენ არა მარტო პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ცნობილ თუ ჯერაც უცნობ ამბებს, არამედ XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის მრავალი ფაქტის შესახებაც გვაწვდიან საინტერესო ინფორმაციას, – ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ფაქტობრივად, არ დარჩენილა საქართველოში განვითარებული არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისი კვალი არ დაემჩნია თბილისის უნივერსიტეტზე, ხშირად პირიქითაც ხდებოდა – უნივერსიტეტიდან იღებდა სათავეს მრავალი პროცესი, რომელიც მერე საყოველთაო ხასიათს იძენდა, უნივერსიტეტი განსაზღვრავდა საქართველოს არამარტო სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ კულტურულ კეჭორებს, არამედ პოლიტიკურ განწყობილებებსაც.

XX საუკუნის 20-იანი წლები, ისევე როგორც საქართვე-

¹ 1992 წელს, ავტორომიურობის აღდგენის შემდეგ, მიღებული თუ წესდების თანახმად, უნივერსიტეტი თავად იტრაჟებს ხელმისარ არქივს და შესანახად აღარ აძარებს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტს.

ლოს ისტორიაში, შესაბამისად, უნივერსიტეტის ცხოვრებაშიც, უაღრესად საინტერესო, რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქა იყო. ამ პერიოდში კალეიდოსკოპური სისტრაფით განვითარებულამა მოვლენებმა მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმი გამოიწვიეს, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს ქვეყნის განვითარების ფორმაცა და შინაარსიც.

1918 წელს გამოცხადებული სახელმწიფო უნივერსიტეტი დამოუკიდებლობა 3 წლითამდე ში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ანქასით დამთავრდა. ამ მოვლენას ქართველი ხალხისთვის მხოლოდ თავისუფლების დაკარგვა არ მოუტანია, პერძოსაც უთორების საერთო-სახალხო საკუთრების ფორმით შეცვლამ, ფაქტობრივად, ძირეულად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ზუსტად 4 თვით ადრე, 1918 წლის 26 იანვარს, თბილისში დაფუძნებული უნივერსიტეტი ქართული მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციებისა და საქართველოს მომავლის შემაკავშირებელ ხიდად იქცა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მომდევნო ეპოქისა და თაობების ბედის განსაზღვრაში. დღეს მნელი მოსაძებნია ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის დარგი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად არ იყოს დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

თბილისის უნივერსიტეტი მრავალი საუკუნისა და მრავალი თაობის ოცნების აღსრულება იყო, მაგრამ იგი მაინც დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილისა¹ და მის გვერდით მყოფ ახალგაზრდა, პატრიოტული სულიერებით ანთებულ, მეცნიერთა ღვაწლისა და შრომის გვირგვინია, რომელთაც განგვბამ არგუნათ პატივი, გელათის აკადემიის დაარსებიდან 800 წლის შემდეგ ყოფილიყვნენ პირველი ქართული უმაღლესი

¹ ივანე ჯავახისანდრეს ძე ჯავახიშვილი – (1876-1940), 1895 წ. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1899 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაულტების სომხურ-ქართულ-ირანული განციფრების დამთავრებისთანავე დატოვეს უნივერსიტეტში სამრთელებრივ მოსაზრებელიად. 1903 წლიდან სომხურ-ქართული კათედრის პრივატ-ლოცები იყო, 1907 წ. დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „ძევლი საქართველოსა და ძევლი სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წევრ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვულმდებული და მისი სიბრძნისმეტყველების ფაულტების დაქანი 1918-1919 წლებში, ხოლო შემდეგ, 1919-1926 წლებში, – რეპბლიკა. 1921-1930 წწ. – საქართველოს სასტატიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე, 1931 წლიდან – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული განციფრების გამზე და კუკანისმცოდნების სამუცნიერო-კულტურით ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937 წლიდან – რუსთაველის სახელმის მუზეუმის დირექტორი.

სკოლის მესაძირკვლენი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო პეტროგრადში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის აქტიური მზადება.

საქართველოში არსებული საარქივო მასალა მწირ ცნობებს შეიცავს პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შეკრებებისა და მათი მუშაობის შესახებ. თავად ივ. ჯავახიშვილიც მოგვიანებით, იხსენებდა რა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ამბებს, აღნიშნავდა: „ყოველივეს ზედმიწვევნით მოგონება ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გახურებული მუშაობის დროს არ სცალია ადამიანს მოვლენების ადგეჭდვისთვის და ბევრი რამ, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა ეხლა მაშინდელი ამბების აღდგენისათვის, აღიერდილი არ არის არსად.”¹

ამ დანაკლისის შევსება იმ პროცესების მონაწილეთა მოგონებების საფუძველზეა შესაძლებელი. 1917 წელს ივ. ჯავახიშვილის ბინაში შეკრებილი ქართველ მეცნიერთა ჯგუფი „სულ უფრო ბეჯითად და დაეინებით მსჯელობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. უნივერსიტეტი გახდება ეროვნული კადრების სამსკედლო, იგი უდიდეს გავლენას მოახდენს მოელი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე... ყველა ჩვენგანი მხერვალედ უჭერდა ივ. ჯავახიშვილს მხარს. ახლა უკვე სიტყვა მთავრობას ეკუთვნის. და აი, ჩვენ ზამთრის სასახლეში მივდივართ. დროებითი მთავრობის მეთაურმა გარეგნულად თბილად მიგვიღო, მაგრამ თხოვნის დაგმაყოფილებაში არ თანაგვიგრძნო. – თქვენ არ გაქვთ არც ქართული სახელმძღვანელოები და არც ქართველი პედაგოგები გყავთ. ასეთი ცდა პრაღაშიც წამოიწყეს, მაგრამ ის კრახით დამთავრდა. იგივე შედეგი მოგვლით თქვენც – ჩვენ უკან არ დავიხიეთ. მაშინ მან მიიღო ორჯოფული გადაწყვეტილება. თბილისში გამოგზავნილი იქნა ტელეგრამა ქალთა კურსების ამიერკავკასიის უნივერსიტეტად რეორგანიზების შესახებ, რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ამაზე კერძნესკის² კრინტიც არ დაუძრავს.“³

¹ ჯავახიშვილი ი., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, თ.ხ. ჟ. მროველი სასწავლებელი სამუშაო სამსახურის მიერ 1948 წ.

² აღმესანდრეგ თელორეგს ძე აქრენსი – (1881-1970), 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შეძღვომ რუსეთის სახელმწიფო სათამაზოროს დროებითი კომიტეტის წევრი, დროებითი მთავრობის იუსტიციისა და სამხედრო და საზოგადო მინისტრი, არემიური, უმაღლესი მთავარსარდალი. 1918 წ. გაერგვი ზაფრა ქმით მისამართის შემთხვევაში.

³ ნუცვებიძე შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, ეურ. სკოლა და ცხოვრება, 1968 წლის 10 თქმიმბერი.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა პეტერბურგის კინოთეატრ „ელიტაში“ გამართეს. ივ. ჯავახიშვილმა იქ დამსწრე საზოგადოების ქართული უნივერსიტეტის მონახაზი და ის სამართლებრივი საფუძვლები გააცნო, რომელსაც 1914 წელს კერძო უმაღლესი სასწავლებლების შესახებ კანონის გამოსვლა იძლეოდა. იგი რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერებს სამშობლოში გამომგზავრებისაკენ მოუწოდებდა.

ამ დროს ივ. ჯავახიშვილს უკვე დაგზავნილი ჰქონდა ან კეტური კითხვარი რუსეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში. ამით მან შეძლო, განეხაზდვრა ის სამეცნიერო პოტენციალი, რომლითაც შეიძლებოდა მომავალი ქართული უნივერსიტეტი დაკომპლექტებულიყო.

ივ. ჯავახიშვილი სამშობლოში 1917 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის¹ ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. მას სულ 28 კაცი ესწრებოდა. კრებას ხელმძღვანელობას უქვითმე თაყაიშვილი² უწევდა. კრების დადგენილების თანახმად, საბოლოოდ დაფუძნდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

¹ პეტრე გრიგორიანის ძე მელიქიშვილი – (1850-1927), 1868 წ. დაამთავრა თბილისის ფაფუა პირველი ვიზუალი, 1872 წ. – ნოვორისის (ოდესა) უნივერსიტეტის ფიზია-მათემატიკის ფაკულტეტის ხადუნისტებულობრივი განყოფილება, 1876 წ. მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტის ქიმიის დამტკიცებულების მინისტრის მინისტრი. 1881 წ. დაიცვა დისერტაცია მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო – 1885 წ. კი – დოკტორის სამეცნიერო ხარისხის მოსამართებლად. 1884 წლიდან აირჩიეს ნოვორისის უნივერსიტეტის დოკორატორი, ხოლო 1885 წლიდან კი – პროფესორად. 1900 წ. დაიდი სამეცნიერო დამსახურებისათვის პეტერბუგის მეცნიერებათა პარაგვაძ დამონისტების ხატელის პეტერბუგის დამსახურებისათვის პეტერბუგის მეცნიერებათა პარაგვაძ დამილის იურიული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელი და მისი ადამიანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელი და მისი პარაგვაძ და მისი პარაგვაძ რექტორი 1918-1919 წლებში.

² გეგთიძე სიმონის ძე თაყაიშვილი – (1863-1953), 1883 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური ვიზუალი, 1887 წ. კი – პეტერბუგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი მეცნიერებათა განძირებატის ხარისხით, 1887-1894 წლებში იყო თბილისის სათავდაზნაურო სკოლისა და კლასიკური ვიზუალის მიმდევად გადასცა. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელი და მისი პარაგვაძ და მისი პარაგვაძ ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქალთა პირველ და მექქის ვიზუალი ვიზუალის მიმდევად მისი საქართველოს საისტორიო და საუთნიურაფიო საზოგადოების დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამატებულებელი და პირველ პროფესორთაგანი, 1921 წ. წაგიდა გმიგრაციაში, სადაც სამეცნიერო მდგრადულობათან ერთად მისი მოაკარი მისია საფრანგეთში გმიგრირებული ხელისუფლების მიერ წადგებული ქართული განხილა დაცვა-გადარჩენა იყო. საქართველოს საუცხვეს 1945 წლს თან ჩამოაჭერა სამშობლოში. საბჭოთა სამართლდამცავი ორგანიზაციის სახეიყო მოუპყარობის გამო ტრაგიულად აღვხეულა საქართველოს კლეინიად წმინდანად უწაცხა.

ამ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად ისაუბრა და დასასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა: „ყოველი ერის მეცნიერებას მსოფლიო გონიერი შემოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რადგანაც იგი საერთო კაცობრიობის სალაროში საკუთარ წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩენს... ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეორების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელი მარტო ლექციების მკითხველი კი არ უნდა იყენებ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა უწყობდნენ ხელს და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძავი მაგალითიც იყენებ მოზარდ თაობისათვის.“¹

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა.

„ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების შესახებ წაიკითხა ქართული ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზეც. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადაღება ქართული უნივერსიტეტის დაარსების გამო და გამოხვატვა სურვილი, რომ თუ გარემოება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტი გახსნილი იყოს მომავალი წლის დამდეგიდან.“²

1917 წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე, რომლის საპატიო თავმჯდომარეც პეტრე მელიქიშვილი იყო, კელავ სიტყვით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი და ვრცლად ილაპარაკა ქართული უნივერსიტეტის გახსნის განსახორციელებლად პრაქტიკული ღონისძიების გატარებაზე, ერთხელ კიდევ გააცნო საზოგადოებას უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი და წესდების მთავარი მუხლები, ისაუბრა ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობაზე კავკასიის უნივერსიტეტონ შედარებით. ჯავახიშვილმა საზოგადოებას აუწყა, რომ „უნივერსიტეტის წესდება დასამტკიცებლად გაეგზავნა განათლების სამინისტროს. შეიძლებოდა ამის გვერდის ავლა მთავრობის 1914 წლის კანონის (კერძო სასწავლებლებთან დაკავშირებ-

¹ ჯავახიშვილი ი., თბილისის ხახულმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, თ.ხ. ჟ. შრომები XXXIII, 1948 წ.

² საქართველოს ფახულების ისტორიის ცენტრალური ხახულმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანტ., I, საქეთ. I, ფურც. 28-28.

ბით) თანახმად, მაგრამ ეს საჭირო გახდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტის მისცემოდა პროფესორებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. აქვე დასძენდა, რომ პროფესორები განთავისუფლდნენ სამხედრო ბეგარისაგან.“¹

ივ. ჯავახიშვილის ამ დასაბუთებულ მსჯელობას ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი უპირატესობის შესახებ ამიერკავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაბატონებული იყო აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოს არც სამეცნიერო პოტენციალი, არც საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა და არც სათანადო ტერმინოლოგია ებადა იმისთვის, რომ უმაღლესი ეროვნული სკოლა დაეფუძნებინა თბილისში.

ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა 1917 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული კრება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის. აქ საბოლოოდ დადგინდა გამზეობის შემადგენლობა.

ამავე კრებაზე ივ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სიტყვა უნივერსიტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ. „...იმთავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნის მეტყველებისა. – ეს ფაკულტეტი შეიცავს პუმანიტარულ სამეცნიერო საგნებს – როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო-საფილოლოგო და სპეციალურ საგნებს – ბუნების მეტყველებას და მათემატიკისას. ასეთი სისტემა ერთ ფაკულტეტზე რამდენიმე დარგის შეერთებისა – გერმანული სისტემაა და ყოვლად ხელსაყრელი, განსაკუთრებით ქართული უნივერსიტეტისათვის. ასე, თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განვითარების გახსნა ქონებრივად შევიძლით, მაშინ, სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა – ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი.“²

ამ სხდომაზე, უნივერსიტეტის გამგეობამ, ფაქტობრივად, გადაჭრა უვალაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა საუნივერსიტეტო ბაზის შესაქმნელად.

ამავე წლის 9 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ პროფესორთა მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მიანდო ნოვოროსი-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანატ., I, საქმე 3, ფურც. 2

² საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანატ., I, საქმე 3, ფურც. 4-5.

ის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს პეტრე მელიქიშვილს, ივანე ჯავახიშვილსა და ანდრია რაზმაძეს.¹

უმაღლესი სკოლის დაფუძნებასა და ფაკულტეტის შენახვას, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხა ესაჭიროებოდა, ამას თან ერთგოდა ქვეყანაში შექმნილი როგორი ეკონომიკური ვითარება და ინფლაცია, რაც, ბუნებრივია, აისახებოდა მომავალი უნივერსიტეტის ბიუჯეტზეც. მბიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის საზოგადოებაში ფინანსური დახმარება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რამაც შეაშფოთა მეცნიერთა გუნდი და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზების ძიება დაიწყო.

უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დეპულებანი 1917 წლის 2 დეკემბერს საბოლოოდ დაამტკიცა ამიერკავკასიის კომისარიატმა.²

1917 წლის 6 დეკემბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას ივ. ჯავახიშვილმა კრებას წარუდგინა უნივერსიტეტის მომავალი სასწავლო წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 200 000 მანეთით განისაზღვრა, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იქნებოდა გახსნილი. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უნივერსიტეტში მხოლოდ 1918 წლის სექტემბრიდან შეიძლებოდა, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა, სამწუხაროდ, ორ წელზე ადრე ვერ მოხერხდებოდა. დიდხანს კამათობდნენ უნივერსიტეტის გახსნის ზუსტ თარიღთან დაპავშირებით. ივ. ჯავახიშვილი იმ აზრის იყო, რომ უნივერსიტეტი უშესველად 1918 წლის იანვარში გახსნილიყო. „დამსწრეთა უმრავლესობა, და მათ შორის პ. მელიქიშვილიც, იმ აზრს ადგა, რომ არც ნივთიერი მდგომარეობა და არც ტექნიკური ვითარება უნივერსიტეტის მოწყობისა, აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურა – საშუალებას არ იძლევა, რომ უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნას. უფრო ხელსაყრელია უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრამდის გადაი-

¹ ანდრია მიხეილის ძე რაზმაძე – (1889-1929), 1906 წ. დაამთავრა ქუთაისის რეალური სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1910 წ. კი – მოსკოვის უნივერსიტეტი. 1917-1918 წლებში იყო მისკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოკტერი. ა. რაზმაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თუმცა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო, იგი ითვლება ქართული თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებლად, მან პირველი წაიკითხა მთემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის ურთხები ქართულ ენაზე, დაწერა პირველი საუბივერსიტეტო სახელმძღვანელოურების ქართულად, საფუძვლი ჩაუყარა ქართულ მთემატიკურ ტერმინებით. 1925 წ. პარიზში დაიცვა საღიტორო დისტრიცია.

² საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პარვარდის კოლექციის ცონდიდან, კუთხი I, საქმე 3, გური 1254.

დოს... საბოლოოდ კრების უმრავლესობაში (წინააღმდეგნი იყვნენ ი. ჯავახიშვილი, მ. ორბელიანისა¹ და ნ. ნაკაშიძისა²) ის აზრი გა-გამოსთვა, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში გახსნა ნივთიერის უსახსრობის, ტექნიკურად მოუწყობლობის და გამართულ პოლიტიკურ ვითარების გამო. ამიტომ კრება საჭიროდ სცნობს – ეს გახსნა გადადებულ იქმნას 1918 წლის სექტემბრამდე, როდესაც ყველა ეს დაბრკოლებანი თავიდან აცილებული იქმნება.³

ივ. ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო ეს აზრი. მისი დაუინებული მოთხოვნით, ოქმში გაკეთდა ჩანაწერი „თუ პროფესორთა კოლეგია დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავოთვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეიძლება.“⁴ როგორც თვითონ აღნიშნავდა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში, ეჭ-ვეშ დადგა მისი ოცნების განხორციელება, თუმცა ოქმში ასახულმა მისმა პოზიციამ მომავალში გადამწყები როლი ითა-მაშა უნივერსიტეტის გახსნის თარიღის დადგენის საკითხში. სწო-რედ ამ ერთმა აბზაცმა განაპირობა 1918 წლის 26 იანვარს ქარ-თული უნივერსიტეტის გახსნა. ივანე ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში გვერდით ნიჭიერი, პატრიოტი და ერთგული თანამებრძოლები ედგნენ, განსაცდე-ლის ქამს ხშირად დარჩენილა მარტო, მაგრამ, როგორც ეს გა-მორჩეულთა ხვედრია, ყველასგან მიტოვებული, გამოუვალი ვითა-რებიდან გამოსვალს მაინც პოულობდა, არ უშინდებოდა ქვეყანა-ში შექმნილ არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ-ფინანსურ კრი-ზის და მძიმედ, მაგრამ მაინც ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვდა წინ, დასახული მიზნისაკენ.

¹ მარიამ ვახტანგის ასევდი ჯამბაკურ-ორბელიანი – (1852-1941), მეცნიერი, მთარგმენტი და საზოგადო მუსიკურ მუზეუმში, ალექსანდრე ორბელიანის მეკულტო, ივანე ჯავახიშვილის მეუღლეობის ანახახის მომენტის მარიდა, 1918 წლიდან მის ხახლში ცხოვრილია ი. ჯავახიშვილის ორასთავეობის მ. ორბელიანი იყო ქართული უნივერსიტეტის დამსარე საზოგადოების კომიტეტის წევრი, მრავალი საქართველოს წამიწევბის ინიციატორი და საზოგადოების ხელმძღვანელი. მის მეურ უკროპდან ჩამოტანილი შენობის გეგმის მიხედვით შექმნა ს. კლივაშვილმა ქართული სათავადასხაურ გიმნაზიის შენობის პროექტი.

² ნინო იოსების ასევდი ანთაძე-ნაკაშიძისა – (1872-1963), მარგენქვაძი, დრამატურგი, ხაბაგშვი მწერალი.

³ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ახარ. I, საქმე 3, ფურც. 10.

⁴ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ახარ. I, საქმე 3, ფურც. 10.

1918 წლის 20 იანვარს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, რომელსაც მთავრობის წარმომადგენელი ა. ჩეჩენკელი¹ თავმჯდომარეობდა, ივ. ჯავახიშვილმა „აუწყე კრებას, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნა – პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით, განზრახულია 26 იანვრისთვის. 27 იანვრიდან კი მეცნიერების ტაძარში დაიწყება ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობაში უნდა მიიღოს უნივერსიტეტის გახსნის ხეიმში მონაწილეობა, როგორც მასპინძელმა. სადღესასწაულო კრებას გახსნის საქართველოს ეროვნული საბჭოს ადმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ქორდანია²... დასასრულს ი. ჯავახიშვილი წარუდგენს კრებას მოხსენებას უნივერსიტეტის სამომავლო მოქმედებისას.³

სტუმრების მიღება და დღესაწაულის ხელმძღვანელობა
ილია ჭავჭავაძის დისტულმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კო-
რეგი აბხაზმა⁴ იტვირთა.

უნივერსიტეტი 26 იანვარს, დაგით აღმაშენებლის ხესნების დღეს, გაიხსნა. ამ მოვლენას სამართლიანად უწოდეს „საქართველოს გონიერის სუვერენობის აღდგენა.“⁵

უნივერსიტეტის გახსნის დამთხვევა დავით აღმაშენებლის ხენცხის დღესთან შემთხვევით არ ყოფილა, მას სიმბო-

¹ აკაკი ივანეს ძე ჩხერიძელი – (1874-1959), სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, 1917 წ. დორიუბითი მთავრობის წარმომადგენელი ამინისტრაციასა შო; ამინისტრაციასის განხაუთობებული კომიტეტის მეთაური; 1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს პარლამენტის წევრი, ამინისტრაციასის კომისარიატის შინაგან საქმეთ მინისტრი; ამინისტრაციასის დეპუტატურული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური; 1918-1919 წწ. საქართველოს დამფუძნებელი კონფედერაციის საგარეო საქმეთ მინისტრი, 1919-1921 წწ. დამფუძნებელი კონფედერაციის წევრი, 1921 წ. იაზრიდან საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის წევრი, 1921 წ. გამომარილი გმირიაციაში.

²ნერ ნიკოლოზის ძე ქორდანია – (1868-1953), სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი, 1918-1921 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, 1921 წლიდან ჩაიდა გმირზაცაშვილი.

³ საქართველოს კახეთის ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ახატ, 1, საქმე 3, ფ. 470, გ. 11.

⁴ კოტბ (კონსტანტინებიძე) ნიუოლოთის დე აფხაზი – (1867-1923), სახოვადო და პოლიტიკური მოღვაწე გენერალი, იყო 1906-1913 წწ. თბილისის საადგილმამკულ ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის ბანკის დაარსების საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე „უარტიოსა კავშირის“ ხელმძღვანელი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე „უარტიოსა კავშირის“ ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, „დამტურებელობის კომიტეტის“ ხმელთავის ხელმძღვანელი, საბჭოთა და საბჭოთა სამართლის მინისტრი.

⁵ უკარიადო შეკვეთი და ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პროტეზი, უკარიადო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე

ლური დატვირთვა პქონდა და მიანიშნებდა, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეგრძელებინა დიდი ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები. უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაუდოცა სრულიად საქართველოს კათაოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ.¹

საზემო გახსნაზე საზოგადოების წინაშე თავისი სიტყვით წარსდგნენ ა. ჩხერიმელი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი პ. მელიქიშვილი, პროფესორთა საბჭოს მდივანი ი. ყიფშიძე.²

საზემო პარაკლისი სათავადაზნაური გიმნაზიის უკლესიაში გადაიხადეს. ამ შენობას, ნიკო ცხევედაძის³ ძალისხმევითა და ხუროთმოძვარ სიმონ კლდიაშვილის⁴ მონიდომებით, 1900 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ღირშესანიშნავ დღეს, ჩაეყარა საძირკველი. მშენებლობა თითქმის დამთავრებული იყო როდესაც, სამუნენებლო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საჭიროდ იქნა მიჩნეული შენობის გაფართოება.

„6. ცხევედაძემ გააფართოებინა სააქტო დარბაზი, გაამრავლებინა კლასები და დაამატებინა ეკლესია ვესტიბიულის თავზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, სასპორტო სადგომს ზემოთ, – სააქტო დარბაზი. კლებიც და ეკლესიაც ორშუქიანია და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებს. ყველა სადგომი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემო განლაგებული, სიმეტრიულ ფრთებში... მოგვიანებით ეკლესიას უკვე სავსებით დაეკარგა თავდაპირველი სახე: ორსართულად და მრავალ მცირე ოთახად არის დანაწილებული

¹ კირიონ II (ერისკაცობაში: გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) – (1855-1918), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში.

² იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე – (1882-1919), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამტკიცებული, თუმცა პროფესორთა საბჭოს მდივანი, 1911 წ. დაამთავრა ჰუბერტუშვილის უნივერსიტეტის აღმოსავლეულ ენათა გაერთიანებით, 1915 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოკუმენტი.

³ ნიკოლოზ ზეგვადეს ძე ცხევედაძე – (1845-1911), დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და მოსხულის სასულიერო აკადემია. 1869 წლიდან იყო მასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1874 წლიდან კი – თბილისის ქალთა ინსტიტუტშია და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში; იყო ქართველთა შორის წერტილთვის გამარჯველებული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წერტილის პრივატის ავტორი და საზოგადოების გამგეობის მუზამივი წევრი, 1899-1907 წლებში კი – საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მრადვილე, კლასიკურული ბათუმში და ძალიში ქართული სკოლების გახსნის ინიციატორი, 1898 წლიდან ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგების მოთავე და სულისხმელგმელი.

⁴ სიმონ გრიგორიანის ძე კლდიაშვილი – (1865-1920), 1895 წ. დაამთავრა მთხოვის უერწერის, ქანდაქებისა და ხუროთმოძვრების სასწავლებელი, 1896-99 წწ. მუშაობდა ქალაქის არქიტექტორად სოხუმში, 1899 წ. შეადგინა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიას მთხოვის დაკანკანების დაკანკანების თავის I ეთრაგები) პროექტი და თვალისწინებული სამუშაოების 1906 წლამდე.

და უწინდელი სივრცის წარმოდგენაც, რა თქმა უნდა, სრულებით აღარ ხერხდება... სულ შენობა გათვალისწინებული იყო 800 მოწაფეზე, პანიონი 300-ზე, ხოლო გადასაცემი კი 800 კაცზე¹ ეს შენობა, რომელშიც ბინა დაიდო ქართულმა უნივერსიტეტმა, საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობად რჩება დღესაც

ქართული გიმნაზიის სამდოცელო დავით აღმაშენებლის სახელობის ყოფილა. ამას ადასტურებს უნივერსიტეტის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი მდროინდელი საგაზეთო სტატიები: „ვინაიდან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და ქართული გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობაზეა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათალიკოსო წირვა იქნება შესრულებული. წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პარაკლისი ეკლესიაშივე² პროფესორთა საბჭოს 1918 წლის № 07 ოქმშიც მითითოთებულია, რომ გიმნაზიის ეკლესია დავით აღმაშენებლის სახელობისა ყოფილა („გამოითქვა აზრი, რომ გაწსნილ იქმნას 26 იანვარს დავით აღმაშენებლის დღეს, რომლის სახელზეა აშენებული ქართული გიმნაზიის ეკლესია“).

როგორც ცნობილია, თავდაპირველად უნივერსიტეტს გიმნაზიის შენობაში მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დაკავებული, თანამდებობა შენობის დანარჩენი ფართობი უნივერსიტეტს. ეკლესია, ფაქტობრივად, ყველაზე ბოლოს, 1920 წლის 17 ივნისს, ოფიციალურად გადაეცა გამგეობას: „დაევალოს კორნელი კეკელიძეს³, ა. შანიძეს⁴ და შენობათა მეთვალყურეს ანტონ გიმნაზიის ეკლესია“.

¹ ბერძოძე კ. ხერთომოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, თ.ხ.კ. შრომები, XXXIII, თბ., 1948 წ. გვ. 42-43

² ქართული უნივერსიტეტი, გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 2 იანვარი.

³ კონკლივი სამსროის დემანდიდებული – (1879-1962), 1904 წ. დაამთავრია კუვის სახელიერო აკადემია, 1905-1906 წწ. მუშაობდა მასშავლებლად ქუთაისსა და თბილისში; მონაწილეობდა საკულტო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-უთხესის გამაფრცლებელი სახოცარებელის, საქართველოს საისტორიო-საკონვენციო სახუცარებელის მუშაობაში, 1916 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელიერო სეიბარიას. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1919-1925 წწ. – თხუ-ის სიბრძნისძებულების ფაქულტეტის დეკანი, 1926-1930 წწ. – თხუ-ის პროფესიონალი, 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თხუ-ის ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, 1921-1930 წლებში – თხუ-ის სიტულეთა მუზეუმს, 1933-1936 წწ. – ქუთაისის აკადემიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას, ხოლო 1942-1949 წწ. კი – რესთველის სახლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

⁴ აქაკი გაბრიელის დე შანიძე – (1887-1987), 1913 წ. დაამთავრია პეტერბურგის უნივერსიტეტი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელი, თხუ-ის პროფესიორთა საბჭოს მდივანი, ხოთხური ენის კათედრის გამგ (1918-1930), ქართული გნის კათედრის გამგ (1919-1945), ძეგლი ქართული გნის კათედრის გამგ. ი. გოგუშესთან და გ. ახვლევიანის ერთად,

თვალჭრელიძეს¹, მიიღონ ალექსანდრე მიქაბერიძისაგან² უნივერსიტეტის ეკლესიის გასაძები და ჩაიპარონ ქონებაც.³ ჯერ კიდევ 1919 წლის 28 ნოემბერს ხელოვნებათმცოდნე გოორგი ჩუბინაშვილმა⁴ განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას და შესთავაზა უნივერსიტეტში ხელოვნების კაბინეტის ან მუზეუმის მოწყობის გეგმა, მთავარი მისი არგუმენტი იყო ის გარემოება, რომ იმ დროისთვის უნივერსიტეტში თავი მოიყარა უნიკალურმა ნივთებმა, რომელთა დაცვისათვის შესაფერისი პირობების შექმნა იყო საჭირო.

მოგვიანებით, გიორგი ჩუბინაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, „ყოფილი სამღლოცველო, რომელიც შედგება კარგად განათებული დარბაზისაგან, ოთხი მასიური პილონისა და ცენტრში გუმბათისაგან, კაბინეტის არქიტექტორ ნ. პ. სევეროვის⁵ მჟიდრო თანამშრომლობით, გადაკეთდა სამუზეუმო ექ-

საქართველოში ენათმეცნიერების ფუნქციურების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური, პრაღის აღმოსავალუმცოდნების ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, შეღერის სახელმობის იესის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

¹ ანგონ ივანეს ძე თვალჭრელიძე – (1856-1933) აგრონომ-ბოტანიკური. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიასა და დონის (ნოვეჩერასკის) ინსტიტუტში, სტრავლომელის გუბერნიის მუშაობისა და ხახვაორ სასახლებრივი მუნიციპალიტეტის მინისტრი, 1897 წ. გამოიცა წიგნი ხელისურობის გუბერნიის შესხებ, ეს იყო რეგულის იმპერატორის პირველი ნაშრომი. ფინანსების დაბარება აღმოუხინა ქართველი სათვალაზნურო გიმნაზიის მშენებლობას. 1917 წელს საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ციხისმამართის ბოტანიკური ბაზის გაშენება, დააფინანსა ქართველი ხინეთში, საიდანაც ჩამოიტანა ჩას, ლიმიტისა და ციტრუსების ნერგები. 1918 წლის სეტემბრიდან 1926 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობათა მეთვალეურება, მისი გეგმის მიხედვით ვაშენდა უნივერსიტეტის I კორპუსის ბაზი, 1926 წლიდან დასახლდა აჭარაში, ციხისმამართში, იყო სეროის დირექტორი.

² აღექსანდრე გიორგის ძე მიქაბერიძე – (1866-1943), მწერალი, პედაგოგი. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიკული ფაკულტეტის, მუშაობდა ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში.

³ საქართველოს კახეთები ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანწ. I, საქმე 198, ფურც. 30.

⁴ გიორგი ნიკოლოზის ძე ჩუბინაშვილი – (1885-1973), ქართული ხელოვნებათმცოდნების ფუნქციურებელი. 1907-1912 წლებში სწავლობდა ფსიქოლოგიას დაიფცივისა და პადცეს უნივერსიტეტში, 1917-1917 წლებში – ქართულ, ხომეურ და საარცეულ ფილოლოგიას უკერძეურგის უნივერსიტეტში, 1918-1930 და 1937-1948 წლებში იყო თხუ-ის პროფესიონი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამარსებელი და მისი პირველი რექტორი 1922-1928 წლებში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დარგებრივი 1941 წლიდან გარდაცვალებამდე.

⁵ ნიკოლოზ აკლეს ძე სევერიფი – (1887-1957), არქიტექტორი, 1915 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამისამართ-საინიციანო ინსტიტუტი, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ურთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პროფესიონი.

სპოზიციისთვის, დამზადდა დაბალი ქსოვილგადაჭიმული კედლები ექსპონატების გამოსაფენად.¹

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში თავმოყრილი სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც მოგვიანებით საზღვარგარეთ არ იქნა გატანილი, 1924 წლამდე ჩალაგებული იყო დაბეჭდილ ყუთებში. საჭირო იყო მათი ამოღება, დაბინავება და ექსპონიციისთვის საჭირო პირობების შექმნა. მუზეუმისათვის საუკეთესო სივრცეს წარმოადგენდა უნივერსიტეტის შენობაში მყოფი გაუქმდებული სამლოცველო. ამრიგად, ყოფილი ეკლესიის შენობაში, გუმბათის ქვეშ, 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ხელოვნების მუზეუმი განთავსდა.

პირველი ლექცია ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს წაიკითხა თემაზე „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

უნივერსიტეტის მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო პროფესორთა საბჭო, რომელშიც შედიოდა ყველა პროფესორი და კათედრის გამგე დოცენტი. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმეებს ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის საბჭო, რომელშიც ფაკულტეტის ყველა პროფესორი და დოცენტი შედიოდა.

უნივერსიტეტის მმართველობა ავტონომიური პრინციპით იყო აგებული. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ და ქართული უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებულ უნივერსიტეტის წესდებაში მკვეთრად იყო განსაზღვრული სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფორმა. პროფესორთა საბჭო მკაცრად იცავდა, წესდებით გათვალისწინებულ, უნივერსიტეტის საქმეებში ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკას და მკაცრად ემიჯნებოდა პარტიულ ინტერესებს. ჯერ კიდევ თავისუფალი (არასახელმწიფო) უნივერსიტეტის მესვეურთა მიერ შედგენილ წერილში, რომელიც განათლების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის გაზაფხულზე გაეგზავნა განსახილვები, მეცნიერებმა უნივერსიტეტის მოწყობის სამი მოდელი შესთავაზეს ხელისუფლებას. ამ წერილის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ საერთოდ დედამიწის ზურგზე უნივერსიტეტის მოწყობის სამგვარი ფორმა არსებოდა. წესდებათა ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მთავრობისაგან სრულ დამოუკიდებლობაზე იყო აგებული: სახელმწიფოს უნივერსიტეტის საქმეებში ჩარევის არავითარი უფლება არ ჰქონდა. უნივერსიტეტი მთავრობისგან ხელშეუხებელი იყო. ამგვარი წესდება მირითადად ვრცელდებოდა თავი-

¹ ჩებინაშვილი გ. ქართული იურიული უქრომულდობა, თბ., 1959 წ. გვ. 8.

სუფალ უნივერსიტეტზე, რომელნიც თავიანთ თაგს თვითონ ინახავდნენ. მათ საკუთარი ქონება პქონდათ, უმეტეს შემთხვევაში მეცნიერების მიერ შემოწირული. ამგვარი უნივერსიტეტები განსაკუთრებით ამერიკასა და ინგლისში იყო გავრცელებული, ეს უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ იყო დაარსებული. მეორე და მესამე ტიპის უნივერსიტეტებს გარკვეული დამოკიდებულება პქონდათ სახელმწიფოსთან. „სახელმწიფოს გავლენა განსაკუთრებით იმით გამოიხატდა, რომ უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეულ სამ კანდიდატისაგან პროფესორს თვით მინისტრი ირჩევს, ხოლო რექტორს, დეკანებს და თანამდებობის პირთ კი – უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმი. ასეა გერმანიაში, ზოგან საფრანგეთში, ან ამ უკანასკნელთაც მთავრობა ნიშნავს და იგი უმტკიცებს მათ ყოველწლიურ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასაც.¹ დასაშვებია კიდევ მესამე შემთხვევა, როდესაც მთავრობა მხოლოდ ზოგადად მეთვალყურისა და კონტროლის ფუნქციას ითავსებს. ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის ავტონომიურობის საინტერესო მოდელი შექმნეს – „ჩვენი უნივერსიტეტის წესდებაში მთავრობის ორგანოებს, სახალხო განათლების მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს, საზოგადო მეთვალყურეობა და კონტროლი აქს მიკუთვნილი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კი სამეცნიერო-სასწავლო და შინაურ მართვა-გამგეობის სფეროში დამოუკიდებელია. ამას გარდა, უნივერსიტეტი მოვალეა, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად წარუდგინოს მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. მაშასადამე, ამ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება... ჩვენს მთავრობას სრული საშუალება ექნება უნივერსიტეტის ორგანოების მოქმედების კანონიერების თვალ-ყური ადევნოს. თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსი სრული დამოუკიდებლობა იმიტომ არ აქვს ჩვენ უნივერსიტეტს, რომ მას სახელმწიფო შეინახავს და ამის გამო მთავრობის საზოგადო კონტროლი აუცილებელია.“² – ეს უკვე მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი სახელმწიფო სასწავლებლად გამოცხადდა. უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებული იყო, ყოველწლიურად გაეგზავნა განათლების მინისტრისადმი დექცივის ნუსხა და თანამშრომელთა სრული მონაცემები, კერძოდ კი, იგი აწვდიდა ცნობებს მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენტის შესახებ.

¹ საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253, ფურც. 78.

² საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253, ფურც. 78.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დროისათვის ქართულ უნივერსიტეტში, მსგავსად ევროპულისა, ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო მიღებული, კერძოდ – დოქტორისა, იგივე „მოძღვართ-მოძღვარი“ - გელათის აკადემიის მსგავსად. ამით იგი განსახვავდებობა რუსეთისაგან, სადაც ორი ხარისხი არსებობდა. მეცნიერს, რომელსაც რუსეთის უმაღლეს სამეცნიერო სკოლაში უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა პქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობასა და პროფესორთა საბჭოს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შეეძლო მისი პროფესორად მოწვევა. ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა პქონდა ჩაბარებული, ვიდრე დისერტაციას დაიცავდა, პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმასრულებლად ითვლებოდა. უნივერსიტეტს უფლება პქონდა, სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტისან დატოვებულისათვის, სათანადო გამოცდის შემდეგ, „მოძღვართ-მოძღვრობის“ სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებინა.

პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო, განსაკუთრებული დვაწლის მქონე პიროვნებებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა მოძღვართ-მოძღვრის ანუ დოქტორის ხარისხი. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 1918 წელსვე შეიმუშავა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ძირითადი წესები.

„სადოქტორო გამოცდა ერთად-ერთია, რომელსაც ატარებენ უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტები მეცნიერული ოვასაზრისით. იგი არსებითად განსხვავდება სახელმწიფო გამოცდებისაგან, როგორც თავისი მიზნით, ისე უფლებრივად. გამოცდებზე დაიშვებიან ყველა უმაღლესი განათლების მქონე პირი განურჩევლად იმისა, თუ სად მიუღიათ მათ ეს განათლება. გამოსაცდებლა უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს თხოვნა უმაღლესი განათლების საბუთებითურთ. გამოცდები ხდება ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამით საჯაროდ ფაკულტეტის სხდომაზე. ყოველ წევრს ფაკულტეტებისა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გამოცდაში. გამოცდები გრძელდება არა უმეტეს 2 აკადემიური წლისა. გამოცდების შედეგი უნდა შეფასებულ იქნას ფაკულტეტის სხდომაზედვე და დადგენილება შეიტანება სხდომის ოქმში. უკეთუ გამოცდა არ იქნება დაკმაყოფილებული, გამოსაცდებლს ხება ეძლევა იმეოროს იგი თავიდან არა უადრეს ერთი წლისა და არა უმეტეს ორი გზისა ერთსა და იმავე უნივერსიტეტში. ზეპირი გამოცდების გათავსების შემდეგ ხარისხის მაძიებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ერთი წლის ვადაში წერილობითი შრომა. შრომის თემას ირჩევს თვით გამოსაცდებლი

და იგი არავის წინასწარ დასტურს არ საჭიროებს. ნაშრომის ზომა სავალდებულო ნორმით არ განისაზღვრება. წარმოდგენილ შრომას ეცნობა ყოველი წევრი ფაკულტეტისა, ხოლო ორი მათგანი ვალდებულია, არა უგვიანეს სამი თვისა წარმოაგინოს წერილობითი დასაბუთებული განხილვა ფაკულტეტში. აღნიშნული მასალის მიხედვით ფაკულტეტი ანიჭებს გამოსაცდელს დოქტორის ხარსხს, და თავის დადგენილებას აცნობებს უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. მას მიეცემა შესაფერისი სიგელი.¹ ჩასაბაძარებელი საგნები საღოტებო გამოცდებისა, ამ ძირითადი წესების მიხედვით, იყოფოდა მთავარ და დამხმარე საგნებად. გამოცდის წინ დისერტანტი პროფესორს წარუდგენდა არჩეული საკითხების პროგრამას, წყაროების აღნიშვნით. ასე მაგალითად, ფილოსოფიის ფაკულტეტის დოქტორორანტურაში ჩასაბაძარებელი მთავარი საგნები იყო: ლოგიკა, ფიქტოლოგია, ეთიკა, ფილოსოფიის ისტორია, საზოგადოების ისტორია, საქართველოს ისტორია, ქართული სიტყვიერება (ქართული ენა, ქართული მწერლობის ისტორია), საზოგადო სიტყვიერების ისტორია, ხელოვნება (ხელოვნების თეორია, ბერძნულ და რომაულ ხელოვნების ისტორია, ინდო-ევროპული ენათმეცნიერება (შედარებითი ინდო-ევროპული გრამატიკა), პოლიტეკნონომია (საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა). ხოლო დამხმარე საგნები გახლდათ: ბერძნენი და რომაელი ფილოსოფიები, საქართველოს ისტორია - პოლიტიკური ეკონომია, არაბული (ან სპარსული) ენა, სომხური ენა, ქართული ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია, სანსკრიტი, ძველი ენები, ფიქტოლოგია, სახელმწიფო სამართალი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ხარისხი მიენიჭებოდა არა თითოეული საგნის, არამედ დარგის მიხედვით.²

უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირად შემადგენლობას ეკუთხონდნენ „დამსახურებული პროფესორები, უხუცესი პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, პროზექტორები, ასტონომ-დამკირვებელნი.“³ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წლის წესების მიხედვით, პროფესორები და მთხვეობით ისეთი მეცნიერი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული, რომელიც ან თბილისის უნივერსიტეტის ან უცხოეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან იქნებოდა. მას აუცილებლად უნდა ჰქონდა

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 24, ფურც. 5-5^o

² საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 24, ფურც. 5-5^o.

³ დასახ. საქმე, ფურც. 6.

დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო შრომები. კონკურსანტისათვის საჭირო იყო სულ ორი წლის აკადემიური მოღვაწეობის გამოცდილება და, სათანადო წესის თანახმად, ფაკულტეტის მიერ პროფესორად იქნებოდა არჩეული, ხოლო შემდგომ მას დაამტკიცებდა საბჭო. პროფესორად არჩევისას სათანადო ფაკულტეტს, პროფესორთა საბჭოს ნებართვით, შეეძლო, საჯარო კონკურსისთვის მიემართა, ან მოწვევის წესით ესარგებლა. იგი შესაბამისი ფაკულტეტის მიერ აირჩეოდა ფარული კენჭისერით. კენჭის ყრას წინ უძღვოდა ფაკულტეტის მიერ არჩეული კომისიის წერილობითი მოხსენება კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობისა და მისი სამეცნიერო შრომების შესახებ. არჩევანი ხმის უმტკიცებით წერდებოდა. საბოლოო შედეგი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად.

კათედრაზე ახლად მოწვეული პროფესორი ხუთი წლით ითვლებოდა არჩეულად. ვადის გასვლის შემდგომ იგი კვლავ იყრიდა კენჭს და ამჯერად ამ თანამდებობაზე 15 წლით რჩებოდა. არჩევნები მიმდინარეობდა ფარული კენჭის ყრით. წარდგენილი კანდიდატი საბჭოს წინაშე აკეთებდა მოხსენებას თავის ხუთწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც წერილობით ერთვოდა მის პირად საქმეს.¹

დამსახურებულ პროფესორად 1918 წლის წესდების თანახმად, ის პროფესორი იწოდებოდა, რომელსაც უნივერსიტეტში 20-წლიანი (დოცენტობიდან ან პრიფატ-დოცენტობიდან მოყოლებული) სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობის გამოცდილება პქონდა და ფაკულტეტის მიერ იყო წარმოდგენილი. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ უხუცესი პროფესორი დამსახურებულ პროფესორად ითვლებოდა მანამ, სანამ მას სურდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საბჭოს წევრობა, თუმცა 30-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ პროფესორი მოვალე იყო, კათედრა დატოვებინა და მის მაგიერ სხვა უნდა არჩეულიყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით, დოცენტად წარდგინება ხდებოდა ისეთი მეცნიერისა, რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოეპოვებოდა, ოღონდ არ პქონდა აკადემიური მოღვაწეობის 2 წლის გამოცდილება. არჩევნებს წინ უძღვოდა სტუდენტების წინაშე წაკითხული სანიმუშო ლექცია, რომელიც ფაკულტეტის მიერ დანიშნულ თვალს უნდა შეხებოდა.

ხდებოდა გამონაკლისიც. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში დოცენტად შეიძლებოდა არჩევა ისეთი მეცნიერისა, რო-

¹ საქართველოს უახლესი იტორის ცხეტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ახ. 2, საქმე 24, ფურც. 6.

მელსაც არ პქონდა დაცული სადოქტორო დისერტაცია, ოღონდ გამოქვეყნებული პქონდა სამეცნიერო შრომები და ჩაბარებული პქონდა დოქტორანტურის გამოცდები. ასეთ დოცენტს ემლეოდა უნივერსიტეტის მხრიდან განსაზღვრული ვადა დისერტაციის დაცვისა და შემდგომ ხარისხის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დოცენტობას დაკარგავდა.¹

პრივატ-დოცენტი შეიძლება ყოფილიყო დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც სურდა ლექციების წაიკითხვა სათანადო ფაკულტეტზე. იგი განცხადებით მიმართავდა უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო საკითხის დადგებითად გადაწყვეტის შემდგომ, ფაკულტეტი მოისმენდა პრივატ-დოცენტობის მაძიებლის ორ სანიმუშო ლექციას. მხოლოდ მოწონების შემდგომ ეძლეოდა უფლება ამ თანამდგბობის დაკავებისა. ყოველი პროფესორი, დოცენტი და პრივატ-დოცენტი, რომელიც ფაკულტეტის დაუკითხავდ და ნებადაურთვევებად ერთი სემესტრის განმავლობაში ლექციებს არ წაიკითხავდა და თვის მოვალეობას არ შეასრულებდა, გადამდგარად უნდა ჩათვლილიყო და უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამოშლილიყო. ამის თვალყურის დევნება უნივერსიტეტის რექტორსა და სათანადო ფაკულტეტის დეკანს ევალებოდა.²

თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნება და განვითარების პირველი პერიოდი ურთულესი პოლიტიკური მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა. სტრატეგიულად ხელსაყრელი და ნედლეულით მდიდარი ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების მსურველი სახელმწიფოები ცდილობდნენ, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, თავიანთი მიზნების განხორციელებას.

საქართველო-ოსმალეთის ომის დროს შექმნილ ვითარებას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სპეციალური სხდომა: „უნივერსიტეტი არ დაიკატოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს იმ სტუდენტთა და მსმენელთავის, რომელიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნეს... ეთხოვთ, ვისაც ჯერ არს – დაუკავებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანალ., I, საქმე 24, ფურც. 7.

² საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანალ., I, საქმე 24, ფურც. 7.

დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას.¹

1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის გაფორმებული მუდროსის ზავის შედეგად, ოსმალებმა დატოვეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები. როგორც კი თურქები გავიდნენ ლორიდან, სომხეთის ჯარმა მყისვე დაიწყო წინ წამოწევა და დაიკავა ეს ტერიტორია. ბორჩალოში მდგარმა ქართველთა მხედრობამ მომხდარი ფაქტი საქართველოს მთავრობას მაშინვე ამცნო და დამატებითი ძალების გაგზავნა მოითხოვა საზღვრების აღსაღებნად... ნოემბრის ბოლოს სომებ-ქართველთა ჯარებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა.²

მოელი საქართველო შეძრა ამ გაუგონარმა ბარბაროსულმა ფაქტმა. ქართველთა დაშქარმა შეძლო 1918 წ. ნოემბრის მიწურულს სომებთა შემოტკიცების შეწერება.

თითქმის ყველა დაწესებულებაში გაიმართა საერთო კრებები, სადაც ისმოდა სამშობლოს დაცვის მოწოდებები. „ქართველი უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, საქართველოს ჯერ იყო ოსმალეთმა შემოუსია თავისი გათამამებული ჯარი. სამშობლომ მოუხმო ახალგაზრდობას და ისინიც თავიანთ ვალდებულების შესასრულებლად გამოცხადდნენ. ქართველი სტუდენტობა შეგნებულად მოწედა ახლად დაარსებულ მეცნიერების კერას და ნაცვლად სამეცნიერო წიგნებისა თოფ-ზარბაზნებს მოჰკიდეს ხელი. მათ დაამტკიცეს თავისი მამულიშვილობა და სამშობლოსადმი სიყვარული, ჯერ ოსმალებთან და შემდგერუს-სომებს ბოლშვეკებთან ბრძოლაში ქართველი სტუდენტობა წარსულ წელს სისხლის ემბაზში განიბანა. მათ სისხლის წვიმები ვერ შეაშინებს, ისინი გაფაციცებით ელიან საქართველოს მთავრობის ზარის ხმას, აჯა, ეს ხმაც და მთელი ქართველი სტუდენტობა აბჯარს ისხამს.“³

მოვლენებს კვალდაკვალ ეხმიანებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ცდილობდა პოლიტიკურად აქტუალური საკითხებისათვის მეცნიერული დასაბუთება მოეძებნა: 1918 წლის 18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში რიგგარეშე ლექცია წაიკითხა თემაზე: „ქართველთა და სომებთა შორის სადაო აღგილების გვო-

¹ ტფილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის № 8 ფურ.

² გენერალუშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980 წ. გვ. 241.

³ აატარიძე კ. ქართველი სტუდენტობა, გაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.

ნომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა“¹. მან ვრცლად ისაუბრა და დამტკიცა, რომ სადაც ადგილები: „ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეპონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომებთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისაკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ... იმის მტკიცება, რომ ამ მაზრებს მეტი მჭიდრო ეპონომიური კავშირი აქვს სომხეთთან ვიდრე საქართველოსთან, ჰეშმარიტების უკუდმა შებრუნება იქნება... რაც შეეხება სტრატეგიას, ეს მაზრები ბუნებრივი მდგომარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადროშებად იყო დაყოფილი მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა. ამის მნიშვნელობა ადგილი გასაგებია, რადგან სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგუბებოდნენ. აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი. საქართველოს სპასალარის საჯდომი ლორის მიუვალი ციხე იყო. ოვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდგომარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოც. სხვადასხვა დროის ისტორიული ფაქტებით მტკიცდება, რომ ეს მაზრები ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა².“¹ ივ. ჯავახიშვილმა დაგმო სომხეთის სახელმწიფოს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი. მან აღნიშნა, რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნეებით შექმნილი მათი სურვილია და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, იგი მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას და სურს მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდოს. „ჩეგნ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს. საქართველოს არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალოთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებს... გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ მხედრობას“².

სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის დეკანმა ივ. ჯავახიშვილმა დაქციის დასასრულს მოუწოდა თავის სტუდენტობას სამშობლოს დასაცავად. „საკვირველი არ არის, რომ ქალებმაც

¹ პატარიძე გ. დახახ. ხევაზია.

² ქლარიძე, ი. ჯავახიშვილის ლექცია, გაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.

კი იარაღით ხელში დახმარება აღუთქვა მთავრობას – ქართველი ქალი, ქართველ ვაჟებთან ერთად მამა-პატურ ხმალს უბრუნდება... სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, რომ იყო მზადაა, მიუხედავად იმისა ეხებათ მათ თუ არა მობილიზაცია, ჩაეწერონ ჯარის ნაწილებში და წავიდნენ იქ, სადაც მათ მოუწოდებთ მთავრობა, მათი მამულიშვილური მოვალეობის შესასრულებლად“.¹

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო კლინიკების კარგი ღია იყო ომის საჭიროებისათვის.²

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მცდელობის მიუხედავად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული დავა ბოლომდე გადაუწყვეტელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა კომისია, ივ. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროვას³ მონაწილეობით, რომელიმაც შეიწავლეს და დაადგინეს საქართველო-სომხეთის საზღვრები, მაგრამ მისი რეალურად გატარება მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა.

საუნივერსიტეტო ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრები, ხელისუფლების მხრიდან მინიმალური მხარდაჭერის პირობებში, აშენებდნენ და აძლიერებდნენ პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, – რომლითაც გაიხსნა თბილისის ქართული უნივერსიტეტი, – შეიცავდა ყველა საგანს, რომელიც ისწავლებოდა რუსეთის უნივერსიტეტების ორ ფაკულტეტზე – ისტორია-ფილოლოგისა და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე – ნაწილობრივ, მესამე ფაკულტეტზე – იურიდიულ-ზე.

სპეციალობათა მიხედვით დანაწილება სამეცნიერო დარგების საფუძველზე მოხდა და სტუდენტთათვის შედგენილ იქნა სახელმძღვანელოდ მარტო სანიმუშო სამეცნიერო-სასწავლო გეგმა. ეს გეგმა იმ ზოგად დეპულებაზე იყო დაფუძნებული, რომ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შემდეგ თვალსაზრისთა მიხედვით ყოფილიყო შესაძლებელი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ენათმეცნიერების, ხელოვნების (სიტყვიერი ან ნივთიე-

¹ ელისქ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, გან. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.

² საქართველოს უსახლებელი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანაწე, 1, საქმე 77, ფურც. 13.

³ პავლე იუსტის ძე ისტორიუმა – (1893-1983), მწერალი, ქართული ლიტერატურის თვალსაზრივ მეცნიერა, 1912-1915 წლებში ხელისუფლების უნივერსიტეტის ფაკულტეტზე, იურ საქართველოს მწერალთა კავშირის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი, 1928 წ. გამომცემლობა „ქართველი წიგნის“ დამარსებელი, 1929-1939 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განკუთვნილება.

რი ხელოვნების), ისტორიული ან სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით. ამის შესაბამისად შემდეგი სამეცნიერო დარგების გაემები იქნა შედგენილი: ფილოსოფიის, ფიქტოლოგიის, ენათმეცნიერების, სიტყვიერების, ისტორიისა და ეკონომიკური.

ამ დარგების გარდა, ახალგაზრდებს, ფაკულტეტთან შეთანხმებით, უფლება პქონდათ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც შეედგინათ. თუმცა ლოგიკა, ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია და ერთ-ერთი თანამედროვე ეპროპული ენა ყველასათვის სავალდებულო იყო.

საუნივერსიტეტო კურსი ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სწავლობდა მისი სამეცნიერო დარგისა და მიზნისათვის საჭირო ენებსა და იმ საგნების ზოგად კურსს, რომელთა ცოდნა შემდეგი სპეციალური საგნებისათვის აუცილებელი იყო.

მეორე ოთხი სემესტრის განმავლობაში კი სტუდენტი სპეციალურ სამეცნიერო საგნებსა და სამეცნიერო მეთოდოლოგიას სწავლობდა.

ყველა დარგის სტუდენტს ევალებოდა, მეორე სემესტრის ბოლოს გამოცდა ერთ-ერთ ახალ ენაში ჩაებარებინა, მეოთხე სემესტრის კი – ერთ-ერთ ძველ ან აღმოსავლურ ენაში, აგრეთვე ყველასათვის სავალდებული საგნებსა და არჩეულ დარგში ზოგად კურსებში. მე-5 – მე-7 სემესტრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სემინარებში მუშაობასა და ნაშრომებს ენიჭებოდა, რომლის გარეშე სტუდენტს სემესტრი არ ჩაეთვლებოდა.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1918 წლის პრველი სემესტრის სამუშაო სასწავლო გეგმა შემდეგ საგნებს შეიცავდა: ფილოსოფიის შესავალი და ფილოსოფიის სემინარი, ექსპრიმენტული ფსიქოლოგიის შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, მსოფლიო ისტორია, ქართული სიძველეთამეცნიერება ანუ არქეოლოგია, საქართველოს ისტორია და საისტორიო პროსემინარი, საეკლესიო ისტორია, ქართული ძველი მხატვრული მწერლობის ისტორია, რუსეთისა და სლავების ისტორია, ქართული სამართლის წყაროები და ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, მიწათმფლობელობა საქართველოში, ძველი ქართული ენა, ლათინური ენა, ძველი არაბული ენა, ძველი სომხური ენა, სპარსული ენა, გერმანული ენა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა.

თბილისის უნივერსიტეტი 1918 წლის პირველი სემესტრისათვის პროფესორ-მასწავლებელთა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქშვილი, ქიმიის დოქტორი; პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, პე-

ტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის მაგისტრი; პროფესორი იოსებ ყიფშიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის მაგისტრი; პროფესორი ანდრია ბერზევილი¹, პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი (ლექციების კითხვა მათემატიკური ფაკულტეტის გახსნის შემდეგ უნდა დაეწყო); პროფესორი კორნელი კეკლიძე; პროფესორი დიმიტრი უზნაძე², ფილოსოფიის დოქტორი; პროფესორი ფილიპე გოგიაშვილი³, ფილოსოფიის დოქტორი; პროფესორის მოადგილე ანდრია რაზმაძე, უმაღლესი მათემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი (ლექციების კითხვა შემოდგომის სემესტრიდან უნდა დაეწყო); პროფესორის მოადგილე სიმონ ავალიანი⁴, ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი; პროფესორის მოადგილე შალვა ნუცებიძე⁵, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილო-

¹ ანდრია მიხეილის ძე ბერზევილი – (1868-1941), ასტრონომ-ვერადეზები, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, მოსკოვის სამხედრო სახსავლადებლი (1887) და გენერალური შეაბის სამხედრო აკადემია (1898), იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამფუძნებელი, პროფესორი, 1919-1923 წლებში – თბილისის ფიზიკური ობსერვატორის გამგე.

² დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე – (1887-1950), ქართული ფილოლოგიური სკოლის გუნდმდებელი, 1909 წ. დაამთავრა ლაიცვიების უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის და იმავე წელს პალეო უნივერსიტეტში დაიცვა დისტრიცია ფილოსოფიის დოქტორის საბჭონიერო ხარისხის მოსამაგიდლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, თხუთ-ის პროფესორთა საბჭოს მდივანი, ფილოლოგიის კათედრის გამგე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური კათედრის დამაარსებელი და გამგე (1933-1942). ფილოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

³ ფილიძე გაბრიელის ძე გოგიაშვილი – (1872-1950), ეკონომისტი, პეტერბურგისტი, საზოგადო მოღაწევაში 1901 წ. დაამთავრა ლაიცვიების უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კონტიდენტი განკუთვნილება, 1905-1906 წლებში რეაქტორობდა განეთ „ივერიას“, 1914-1916 წლებში იყო რუსეთის საერთო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში, 1917-1918 წლებში – კახetiს რეანიზაციის რაზმების თავმჯდომარე, 1918-1920 წლებში – სახელმწიფო კონტროლორი (მინისტრი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პროფესორი.

⁴ სიმონ ლუკას ძე ავალიანი – (1881-1922), ისტორიკოსი, 1904 წ. დაამთავრა თბესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, იყო 1909 წ. თბესის უნივერსიტეტის, ხოდო 1916-1918 წლებში – პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, 1919 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1919-1920 წლებში – საქართველოს დამფუძნებელი რესპუბლიკის მთავრობაში ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 1921-1922 წლებში – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი.

⁵ შალვა ისაკის ძე ნუცებიძე – (1888-1969), ფილოსოფიოსი, ლიტერატურასთა დოკოდნების კულტურის ისტორიკოსი, მთარგმენტი. 1906-1910 წლებში საქართველოს

სოფიის მაგისტრანტი; პროფესორის მოადგილე გიორგი ახვლედიანი¹, ხარკვის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების მაგისტრანტი; პროფესორის მოადგილე აკაკი შანიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი; მეცნიერი ხელმძღვანელი უქომიძე თაყაიშვილი; მეცნიერი ხელმძღვანელი ორბელიანისა³ (ფრანგული ენა); ლექტორი არტურ ლაისტი⁴ (გერმანული ენა, თუმცა იგი ლექციე-

უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ზე ფილოსოფიის განხრით. 1911-1914 წლებში გერმანიაში მოღვაწეობისას ჩამოავალიბა მოიგინიალური ფილოსოფიური მოძღვრება - აღვთოლოგია. დღით წელი შეიტანა უკეთესობის ართოაგველისა და პეტერ იძერის იდენტობის სუჟოთხის შესწავლაში. იჯკლევა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მსახის დაკავშირებულ აღმისავლური რენესანსის საკითხებს. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, თუ-ის არორეგერო.

¹ გიორგი სარიძანის ძე ახვლედიანი - (1887-1973), ენათმეცნიერი. 1914 წ. დაამოავრა ხარკვის უნივერსიტეტი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პროფესორი, პრეცედი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოუბის აგტორი ენათმეცნიერების მისი ინიციატივით შეიქმნა ექსპერიმენტული ფონეტიის ლაბორატორია და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. იყო სხვა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ექსპერიმენტული ფონეტიის საერთაშორისო საზოგადოებისა და აქტივის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, მისი რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის აკადემიური გრამატიის 2 ტომი. განსაკუთრებული წელი მუძღვის ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენასა და საქართველოში ფონეტიის პრაქტიკული გამოყენების - დოკომენტის დამკიდრება-განვითარებაში.

² იუსტინ აბელაძე - (1874-1962), 1900 წ. დაამოავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი ქართულ-სომეცურ-ხასრული განხრით, ხაქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამჭვირის წევრი, ამავე საზოგადოების შეზღუდის გამზღვი, 1918 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხვლობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის კურსებს და ხელმძღვანელობდა მის მუერე დაარსებულ სპარსული ფილოლოგიის კათედრას.

³ კლისაბეჭდი ირაკლის ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა (ლიტერატურული ფსეუდონიმი „საზანდარო“) - (1871-1942), პოეტი, მთარგმნელი. ლექსებს ფრანგულად წერდა. 1919-1920 წლებში რედაქტორობდა გაზეთებს „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“ (როივე ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბე“ (ინგლისურ ენაზე), ფრანგულად თარგმნა „კვებისტებოსანი“ და ქართველ კლასიკოსთა პოეზია.

⁴ არტურ ლაისტი - (1852-1927), გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართველოლოგი. 1884 წ. იღვა ჭავჭავაძის მოწვევით ერთი იგის განმავლობაში იძოველებოდა საქართველოში, საშრობლით დაბრუნებულის საქართველოს შესახებ გამოსცა წევრი, რომელიც არითოხურადა ითარება. ერთი წლის შემდეგ პეტავ ჩამოვიდა საქართველოში და ი. ჭავჭავაძისა და ი. მახაბლის დახმარებით, დაიწყო „კვებისტებოსანი“ თარგმნა, რომელიც 1890 წ. დროზე გადასცილდა გამოქვებით. 1892 წლიდან საქართველოში დამკიდრდა და აქტიური დიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება განაგრძო.

ბის წასაკითხად არ ჩამოსულა); ლექტორი ილია ყიფშიძე¹ (გერმანული ენა); ლექტორი ვანდა დამბაშიძისა (ინგლისური ენა).

პირველი სემესტრის განმავლობაში ლექციებს მხოლოდ საღამოს – ხუთიდან ცხრა საათამდე კითხულობდნენ. დასვენება ლექციებს შორის ათი წუთი იყო. ოთხი საათის განმავლობაში ხუთი თრმოც-თრმოც წუთიანი სალექციო საათი ტარდებოდა.

თრშაბათს ფრანგული ენის, გერმანული ენისა და ინგლისური ენის ლექციები ტარდებოდა, შემდეგ იუსტინე აბულაძე კითხულობდა სპარსული ენის ლექციას, ივანე ჯავახიშვილი აზარებდა ორ ლექციას საქართველოს ისტორიაში, კორნელი კეკლიძე კი – საეკლესიო ისტორიაში.

სამშაბათს 17 საათზე აპარი შანიძე იწყებდა ლექციას სომხურ ენაში, შემდეგ ლექციას არაბულ ენაში ატარებდა, ამის პარალელურად შალვა ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავალში კითხულობდა ლექციას, სალექციო დღეს ივანე ჯავახიშვილი ორი საისტორიო სემინარით ამთავრებდა.

თოხშაბათს კვლავ ფრანგული ენის, გერმანული ენისა და ინგლისური ენის ლექციებით იწყებოდა მეცადინეობა. ა. შანიძე არაბულ ენაში ატარებდა ლექციას, ი. ყიფშიძე ძველი ქართულის ლექციას კითხულობდა, იგ. ჯავახიშვილი კი – სამართლის ისტორიის.

ხუთშაბათს ა. შანიძე სომხური ენის ლექციას კითხულობდა, ი. ყიფშიძე – ქართული ლიტერატურის, შ. ნუცუბიძე ფილოსოფიის პროსემინარის ატარებდა, შემდეგ ა. შანიძე არაბული ენის ლექციას კითხულობდა, ე. თავაიშვილი კი – არქეოლოგიისას.

პარასკევს უცხო ენების ლექციები ტარდებოდა, შემდეგ ფ. გოგიაშვილი კითხულობდა პოლიტიკურ ეკონომიას, გ. ახვლედიანი – სანსკრიტს, პ. კეპლიძე – საეკლესიო ისტორიას.

შაბათს ა. შანიძე იწყებდა არაბული ენის ლექციით, შემდეგ დ. უზნაძე კითხულობდა ფსიქოლოგიას, ხოლო გ. ახვლედიანი კი – ენათმეცნიერების შესავალს.

ცხრილით პირველ სემესტრში გათვალისწინებული იყო ს. ავალიანის ლექციები მსოფლიო ისტორიასა და საქართველო-

¹ იღვა თევდორეს ძე ყიფშიძე – (1882-1953), საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ურთი ფუნდმდებელი. 1908 წ. ქ. აახებში დაამთავრა რისნებისადათ უმაღლესი ტექნიკური სკოლა. 1919 წლიდან მუშაობდა თბილისის ხანძღვიურ უნივერსიტეტში, 1928-1938 წლებში კი – საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. მან, ა. თვალჭრელობებთან ერთად, საფუძვლი ჩაუყარა კრისტალოგიასთანავე და მინერალოგიის ხელმისა და მოდიტერნიზმის ინსტიტუტში.

ში მიწათმფლობელობის ისტორიაში, მაგრამ, თბილისში მისი ჩამოუხვდელობის გამო, ეს კურსები არ წაითხულა.

პირველი სემესტრი გაგრძელდა 1918 წლის 1 ოქტომბერიდან 12 ივნისამდე.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტის ერთადერთი - სიბრძნისმეტყველების - ფაქულტეტის საქმეებსაც განაგებდა.. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის, როგორც ცალკე ერთეულის გამოყოფა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსგან მოხდა მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე, როდესაც უნივერსიტეტს ახალი ფაქულტეტი შეემარცა.

ახალი ფაქულტეტის შექმნის საკითხი პროფესორთა საბჭოს სხდომებზე რამდენჯერმე იქნა განხილული და გადაწყვდა, რომ მეორე სემესტრიდან გახსნილიყო საბუნებისმეტყველოსამათუმატიკო და სამკურნალო ფაქულტეტი.

1918 წლის პირველ სემესტრში პროფესორთა საბჭომ, ბიზანტიისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის მეცნიერების შექმნის საქმეში დამსახურების გამო, უნივერსიტეტის საპატიო წევრად აირჩია აკადემიკოსი ნიკოლიმე კონდაკოვი¹, ხოლო ეთაყაშვილს, დისერტაციის დაუცველად, არქეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

მეცნიერ მუშაკთა კადრების მოსამზადებლად უნივერსიტეტის არსებობის პირველ წელსვე შეიქმნა უნივერსიტეტთან დატოვებულთა ინსტიტუტი. უნივერსიტეტთან დატოვება ხდებოდა ფაკულტეტზე პათედრის წარმომადგენლის დასაბუთებული მოხსენებით, დაღვენილებას შემდეგ პროფესორთა საბჭო ამტკიცებდა. უნივერსიტეტთან დატოვებულ ახალგაზრდას ხელმძღვანელობდა სათანადო სპეციალობის წარმომადგენელი, მუშაობის გეგმას ფაკულტეტი იხილავდა. აკადემიური წლის ბოლოს დატოვებული პირი თავისი მუშაობის შესახებ ფაკულტეტს ანგარიშს წარუდგენდა, ანგარიშს თან ახლდა ხელმძღვანელის დასკვნა. უნივერსიტეტში სამუშაოდ და მოსამზადებლად დატოვების ვადა სუთი სემესტრით განისაზღვრებოდა. ბოლო სემესტრში სადოქტორო გამოცდები ბარდებოდა, რის შემდეგაც დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლეოდა სტაურებისთვის საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

¹ ნიკოლოზ პავლეე დე კონდაკოვი - (1844-1925). რესი ხელოვნების ისტორიუმის, იკლასიკისა ბიზანტიური ხელოვნების ქადაგებს. 1861-1865 წლებში ხელმძღვანელობოდა უნივერსიტეტში, ახწაგლიდა მდგრადის, ავტორის პარადის უნივერსიტეტში. იყო პეტერბურგის მუზეუმებისა და კურანტის აკადემიის აკადემიკოსი (1898), პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრი (1893). ხელმძღვანელი ქართული კულტურის ძეგლებს და მათ მიმართებას ბიზანტიურ კულტურასთან.

1918 წლის პირველ ნახევარში უნივერსიტეტის საპროფესო მოსამზადებლად დატოვეს დ. ყიფშიძე¹ (სომხურ საისტორიო მწერლობაში) და ა. ჯანელიძე² (გეოლოგიაში).

1918 წლის 3 სექტემბრიდან უნივერსიტეტი სახელმწიფო სახელმწლად გარდაიქმნა და პირვანდელი სახელმწოდების „ქართული უნივერსიტეტი ტფილისში” ნაცვლად „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი” ეწოდა. საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა საჭიროს ხდიდა უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გადაკეთებას, — მას უკვე აღარ შეეძლო დამოუკიდებლად, ფინანსური დახმარების გარეშე, არსებობა, თუმცა პროფესურა მოითხოვდა დაცული ყოფილიყო მთავრობისაგან მის საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკა. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განათლების კომისარიატს გაუგზავნა წერილი: „რაკი ჩვენი ქვეყნა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და მაშასადამე მაღალი სკოლაც სახელმწიფომ უნდა ქმნას, მხარს ვუჭერ პროფესორთა შემადგენლობას და ვთხოვ: ა) რომ აქ ცნობილიქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტიდ და დაერქვას მას ,ბეჭილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ვინაიდგან ეს სახელი საქართველოში უპირველესად მას ეკუთვნის; ბ) მიეცეს ხოლმე ტფილისის უნივერსიტეტს სახელმწიფოს ხაზინიდგან დახმარება თანახმად ყოველწლიურ წარმოდგენილ ხარჯისადრიცხვისა; გ) უნივერსიტეტის უზენაესი მეთვალყურეობის უფლება სახალხო განათლების მინისტრს მიენიჭოს; დ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს მომავალ სამოსწავლო

¹ დავით ალექსის ძე ყიფშიძე – (1890-1919), ფილოლოგი, ისტორიკოსი. 1916 წ. დამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმასაცდურ ქნათა ვაკელიშვილის ქართულ-სომხური განყოფილება. იქვევედა შუასაუკუნეების ქლდეში ნაპერ ქართულის გარდა, უფლისიცხვის, ანისის გამოქვაბულებებს, 1914 წ. ხელმძღვანელობდა ცაგერის რაიონში არქელოვიურ ვათხებს. 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სომხური ენის პედაგოგიად.

² ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძე – (1888-1975), გეოლოგი. საქართველოში გეოლოგიური განათლებისა და ქრონიკი გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი გუგებელი იყო. 1910 წ. დამთავრა პარიზის (სორბონის) უნივერსიტეტი, 1916 წ. – ფაზისის უნივერსიტეტი. მუშაობდა მასტერიული და თბილისის 1924 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1923), ართვესორი (1925), 1924-1972 წლებში იყო თხუთმეტი გეოლოგიისა და ალექსანდრელოვის კათულის გამგე, 1942-1945 წლებში – თხუთმეტი რექტორი, 1928-1946 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათულის გამგე, 1925-1955 წლებში – მის მიერვე დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 1926-1929 წლებში – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საქართველოს სხრ მუზეუმებითა დადგმის აკადემიური (1941), 1951-1955 წლებში საქართველოს მუზეუმებითა აკადემიური გიც-პრეზიდენტი.

წელიწადის განმავლობაში წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა სამინისტროში და ეროვნულ საბჭოში დასამტკიცებლად.¹

1918 წლის 29 ივნისს სოციალ-ფედერალისტ სამსონ ფირცხალაგაძე² მიერ „ქართულ ეროვნულ საბჭოზე განსახილველად გატანილ იქნა კანონპროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ.“³ ამ 22 პარაგრაფის დოკუმენტში ვრცლად იყო საუბარი უნივერსიტეტის ავტონომიურობის შენარჩუნებაზე და განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის მთავრობასთან დამოკიდებულება. კანონპროექტი 1918 წლის 2 აგვისტოს განიხილეს: „გადაკეთდეს ტფილისის ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქავას მას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... დამტკიცდეს ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ... დამტკიცდეს ძირითადი დებულებანი – ერთი სამუცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ (დოქტორის ანუ მოძღვართ-მოძღვრის).“⁴ 1918 წლის 3 სექტემბრის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განონით, თბილისის ქართული უნივერსიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა.⁵

ოქტომბრიდან სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტი ჰქვებალები ერთეულად გამოცალებიდა, რომლის გვერდით არსებობა დაიწყო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაქულტეტებმა (გაერთიანებული სახით). გაერთიანებული ფაქულტეტი

¹ საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253, ფურც. 2.

² სამსონ გომიგის ძე ფირცხალაგა – (1872-1952), ხაზივადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. 1893 წ. დამთავრა ქვთაისის გიმნაზია, 1898 – ატენის უნივერსიტეტის იურიდიკული ფაკულტეტი. 1901-1902 წლებში მუშაობდა გაზეო „იურიის“ რედაქციაში. იყო საქართველოს ხოციალურეულისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, მესამე დამფუძნებელი (1906) მონაწილე. 1907-1909 წლებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის მთავრი კამთიცების თავმჯდომარის მონაცემები, შეძლებ განხილა მემკრევენი ფედერალისტი. 1902-1910 წლებში იყო ქართველობის შემთხვევაში გამარჯველებელი ხაზივადობის მდივანი და საქმეთა მმართველი. 1910-1913 წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში ქ. ტევრი. 1917 წ. იყო საქართველოს ერთვნული კრების წევრი, 1919 წ. – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგარით გმიცრაციაში, მეორე მხრივით მოისახება შემდგარით შემდგარით დაბრუნდა.

³ საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253, ფურც. 30-32.

⁴ საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 30, ფურც. 2.

⁵ საქართველოს დემოკრატიკული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წ., თბ. 1990 წ. ფურც. 57.

ტეხის პირველ დეკანად არჩეულ იქნა გ. მოსეშვილი¹, ხოლო მდივნად – ა. ხარაძე².

სიბრძნისმეტველების ფაქულტეტის ამ სემესტრიდან ახალი მასწავლებლები შეემატნენ: ლ. მელიქსეთბეგი³ (ახალი სომხური), გ. ჩუბინაშვილი (ხელოვნების ისტორია), დ. ყიფშიძე (ძველი სომხური), პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებული იქნენ: სიმ. ყაუხებიშვილი⁴ (ბერძნული ფილოლოგია), ნ. ქოავა⁵ (პოლიტიკური ეკონომიკა), ს. ლომია⁶ (ქართული ლიტერატურა).

¹ ვარდაშ აკლეს ძე მოსეშვილი – (1871-1943), ფარმაციულოგი, მკაფიობის მუცინირებათა დოქტორი (1908), 1898 წ. დაამთავრა სარკინის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი, რომლის პროფესორადაც აირჩიეს 1918 წელს. 1918-1919 წლებში ასრულებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაოდო ფაკულტეტის დაქანის მოფალეობას. 1920-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თბილის სამუშაოდო დაკულტეტის, ხოლო – 1930-1943 წლებში თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის ფარმაციულოგიის ქათედრას.

² არჩილ კირილეს ძე ხარაძე – (1895-1976), მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ორგანიზაციონური საქართველოს 1917 წ. დაამთავრა მოსწოდის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1917 წლიდან მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში დოკტორის (1922-1930), პროფესორისა და კათედრის გამზის (1930 წლიდან) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაქანის (1935-1938), სასწავლო დარგში ართერქიტორის (1938-1944) თანამდებობებზე. იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ქოთაიძის პესაციონური ინსტიტუტში კათედრის გამგებ თბილისის ჟუმინის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი (1947-1952), საქართველოს მათემატიკოსთა სანუზადოების არზებეგბატო (1970-1975).

³ ლეონ მელიქეგიას ძე მელიქეგიაშვილი – (1890-1963), არმენოლოგი, ფილოლოგიურ მუცინირებათა დოქტორი (1928), პროფესორი (1930). დაამთავრა თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918 წ. მიოწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის არმენოლოგიის კათედრის გამზე იყო 1922 წლიდან გარდაცვალებამდე.

⁴ სიმონ გორგაის ძე ყაუხებიშვილი – (1895-1981), ფილოლოგი და ისტორიკოსი, ფილოლოგიურ მუცინირებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1917 წ. დაამთავრა ეგეპებურვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა აღმოსავალურ ენათა ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1918 წ., ი. ჯავახიშვილის რეკომენდაციით, საპროფესოროდ მოსამზადებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დატოვეს. 1927-1938 წლებში ხელმძღვანელობდა თხუთმეტი ბისტორიკოლოგიის კათედრას. 1940-1954 წლებში – კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე – აღმოსავალური მუცინირების ინსტიტუტის მასანქიონილობის განყოფილებას.

⁵ ნიკოლაზ ნიკოლოზის ძე ქოავა – (1892-1967), კურნიმიკური მუცინირებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1933). 1917 წ. დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი. 1919 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920-1923 წლებში მიჯღობებული იყო გერმანიაში საპროფესორო მოსამზადებლად. 1937-1967 წლებში ხელმძღვანელობდა თხუთმეტი ფინანსებისა და კურიოტის კათედრას. 1945-1952, 1957-1960, 1966-1967 წლებში იყო თბილის კურნიმიკური ფაკულტეტის დეკანი, 1961-1964 წლებში – თხუთმეტი კართული უნივერსიტეტის დამსახურებელი.

⁶ სილიძისტრი დომია – (1891-1919), ლიტერატურათმცოდნება, ქართველოლოგი.

სამკურნალო ფაქულტეტისათვის უნივერსიტეტის უპგე ამ დროისათვის მიიღო ყოფილი მიხეილის საავადმყოფო, სადაც ფაქულტეტის ზოგი კათედრა მოთავსდა.

საქართველოს მთავრობის ნებართვით, უნივერსიტეტს შედავათიან ფასებში მეტების სტამბაში წიგნების ბეჭდვის ნება მიეცა.¹ ხელისუფალთა უშუალო ჩარევით, უნივერსიტეტის სახელზე გამოგზავნილი ტკირთი ბაჟიდან თავისუფლდებოდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, – იმ დროის პოლიტიკური ქაოსური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლები რუსეთიდან საქართველოში მოემგზავნებოდნენ. მათ პირად ნივთებთან ერთად, თან მოჰკონდათ სამეცნიერო ლიტერატურა და სამეცნიერო ლაბორატორიების აპარატურა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ბრძანებულებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ უნივერსიტეტს სამეცნიერო კადრი უზირდა და მათ მიზიდვას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, უფრო მეტად კი რუსეთიდან, ცდილობდა, ივ. ჯავახიშვილი ქართული ენის ცოდნის სკოთხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა: „ზოგი საგნისათვის უცხო მეცნიერობა მოწვევა შეიძლება იმ პირობით, რომ ქართული შეისწავლონ განსაზღვრულ დროში და შემდგომ ქართველი მოწავეები მოამზადონ.“² ივ. ჯავახიშვილმა სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტზე გერმანიიდან მოიწვია აღმოსავლეთმცოდნე პროფესორი დირი³, რომელიც ქართული ენის მცოდნე იყო. „ეხლა კი რათგან ჯერ ჩვენ წრეში დაღუსტნის ენების მცოდნე მეცნიერი არ მოიპოვება, საქმის შეფერხება კი საზიანო იქნებოდა, კარგი იქნება ამ საგნისათვის გერმანიითგან დაღუსტნის ენების ცნობილი და ერთადერთი მკვლევარი დოქ. დირი მოგვეწვია. რომელსაც არაერთი და ორი შრომა მოეპოვება ამ დარგში. მას ამასთანავე ის დირსებაც აქვს, რომ ქართულიც იცის და ჩვენ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვას ქართულად შესძლებს. ის თვითონაც გაიღრმავებს და გაიფართო-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 47I, ანაწ., 1, საქმე 10, ფურც. 124.

² საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253, ფურც. 253.

³ აღორც დირი – (1867-1930), ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი, დაღვებენური ენების მკვლევარი. 1902-1913 წლებში მუშაობდა კავკასიის ხევადასხევა რეგიონში სკოლის მასწავლებლად, მათ შორის, 1908-1913 წლებში – თბილისში. 1913-1930 წლებში იყო მუშავენის ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი. 1908 წ. მუშავენის უნივერსიტეტის სააგრი დოქტორად, აირჩიულ, 1920 წ. – პროფესორად, 1924 წ. – ბოლობის აკადემიის წევრ-კორეკორდენტიად.

ვებს „კვლევის საგანს და ქართველ მკვლევარებსაც მოგვიმზადებს.“¹

უნივერსიტეტს თუ თავიდან მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დათმობილი, 1919 წლის აგვისტოსთვის იგი ქართული გინაზიის შენობის მთლიან ნაწილს განკარგავდა.

თბილისის უნივერსიტეტი, მართვა-გამგეობის მხრივ, ავტონომიური იყო. ზოგადი მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის კომპეტენციას შეადგენდა. უნივერსიტეტის წლიურ ხარჯთაღრიცხვას პროფესორთა საბჭო და გამგეობა ადგენდა. იგი ვალდებული იყო, ყოველ თვე გატანილი ფულის რაოდენობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება მთავრობისათვის ცენობებინა. პარალელურად საბჭო ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს უზენაეს საკონტროლო უწყებას. ეს სრულებით არ არღვევდა უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებებს, არ ზღუდვავდა უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ფულის დახარჯვის უფლებას, არ აბათილებდა პროფესორთა საბჭოს მიერ შემუშავებულ გეგმებს, რომელიც ესებოდა უნივერსიტეტის შინაგან წესებს, მისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტი მთავრობაში ყოველგვარი მხარდაჭერით სარგებლობდა, მათ ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა ამოძრავებდათ. „არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავრობაში უნივერსიტეტის საბიუჯეტო საკითხებს კამათი და წინააღმდეგობა გამოიწვიოს, მიუხედავად მაშინდელი გასაგები მძიმე მდგომარეობისა; ამ მხრივ განათლების უწყებას ერთგვარი „პარტბლაბში“ ჰქონდა მინიჭებული.“² თუმცა უნივერსიტეტს იშვიათად მაინც სჭირდებოდა ხელისუფლებისათვის თავისი დამოუკიდებლობის შესხენება.

პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტს მთავრობის მხრიდან შიდა საქმეებში ზედმეტად ჩარევისაგან იცავდა. საარქივო დოკუმენტებში გვხვდება ერთი საინტერესო ჩანაწერი, რომელიც განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის მიმოწერას ეხება. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1918 წლის 6 დეკემბრის სხდომაზე განიხილა „სამინისტროს მოწერილობა, რომ უნივერსიტეტისათვის ყოველთვიურად საჭირო ხარჯები წინასწარ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს და დაადგინა: ეცნობოს სამინისტროს, რომ მთავრობას უნივერსიტეტის ხარჯების წინასწარ“.

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., I, საქმე 40, ფურც. 22^ა

² საქართველოს საინტერესო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., I, საქმე 253, ფურც. 33^ა.

რი კონტროლის უფლება არა აქვს თანახმად უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებისა.“¹

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ქართული მეცნიერების წინაშე დიდი პრობლემა იდგა – თითქმის არ არსებობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტით 1918 წელსვე დაარსდა სატერმინოლოგიო სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ივ. ჯავახიშვილი. იმდროინდები პრესა აღნიშვნავდა: „ტერმინოლოგის ხაზით უნივერსიტეტში სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ქართული ენის ტერმინების შედგნაში. ამიერიდან კი ვინც სახელმძღვანელოების შედგნაზე იმუშავებს, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ტერმინებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია უნივერსიტეტის პროფესორების მიერ.“²

უნივერსიტეტის არსებობის მეორე წელსვე დასაბამი მიეცა სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის საქმის ორგანიზაციას. მართალია, ჯერ კიდევ საამისოდ არც განსაკუთრებული ფულადი სახსრები იყო განკუთვნილი და არც პოლიგრაფიული ბაზა არსებობდა, მაგრამ 1919 წელს მოხერხდა სამეცნიერო ნაშრომთა და სახელმძღვანელოთა ბეჭდვის საქმის დაწყება. უკვე 1919 წელს გამოიცა „ობილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, I ნაკვეთი“, რომელიც შეიცავდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორთა შემდეგ შრომებს: ი. ყიფშიძის „ასიმილაციის და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, შ. ნუცუბიძის „ბუნებისათვის ცნებისა“, კ. კეკელიძის „ნაწყვეტი ქართული პაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)“, დ. უზნაძის „ლაიბნიცის Petites perceptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში“, ა. შანიძის „ნასახელარი ზმნები ქართულში“, ს. აგალიძის „ხიზანი“, კ. თაყაიშვილის „შენიშვნები ზარზმის ეპლესიისა და მის სიძველეთა შესახებ“.

გარდა „მოამბისა“ იმავე წელს გამოქვეყნდა ზ. ყანჩაველის² „გვიმრანაირ და ყავილოვან მცენარეთა სარკევევი. პრაქტიკული და მომართებელი სამსახურის მიერ გვიმრანაირ და ყავილოვან მცენარეთა სარკევევი“.

¹ ქართული უნივერსიტეტი, გახ. სახალხო საქმე 1918 წლის 2 იანვარი.

² ხაქარია აღექსის ძე ყანჩაველი – (1890-1932), ბოტანიკოსი, სისტემატიკოს-ფლორისტი. პირველი ქართველი დოქტორი ბოტანიკის დარგში, პროფესორი (1924). 1915 წ. დამსაკვრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1915-1917 წლებში მუშაობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ხელმძღვანელობდა შეი ზღვისა და თბილისის გუდერინის ხამტერნალო მცენარეების შემსწავლელ მომართებელი სამსახურისაციას. 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1922-1932 წლებში ხელმძღვანელობდა თხუთმის ბოტანიკის კათედრას. იყო თბილისის ბოტანიკური ბაზის დირექტორი. მის სახელთანა დაკავშირდებული ქართულ ენაზე ბოტანიკური

ქულ ვარჯიშობის დროს სახმარებელი” და გ. მუხაძის¹ „საზოგადო ქირურგის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია”.

1920 წელს უნივერსიტეტის გამოცემათა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. გამოიცა ა. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი და მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში”, გ. ახვლედიანის „სანსკრიტი”, „მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგველიდან ლექსიკონითურთ”, შ. ნუცებიძის „ფილოსოფიის შესავალი, შემცნების პროცესი”, I ნაწ.” ს. ავალიანის „крестьянский вопрос в Закавказье, ტ. IV”, ლ. მელიქშვილების „ძველი სომხური ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ნაკვ. I”, დ. უზნაძის „ანრი ბერგსონი”. ა. რაზმაძის „მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. I”, ი. ბერიტაშვილის² „ცხოველთა ფიზიოლოგია, I ტ., 1-2 ნაკვ.” და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია *Monumenta Georgica*-ს სერიის გამოცემის დაწყება. ამ სერიიდან 1920 წელს ოთხი წიგნი გამოიცა: პ. ეკელიძის „თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზმირნელ მიტროპოლიტისა”, ე. თაყაიშვილის „ტელმწიფის კარის გარიგება”, ს. ყაუხეჩიშვილის „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონი-

ტერმინოლოგის დაუშავება და პირველი პოტანიკური სახლმძღვანელოს შექმნა ქრონიკ ეხაზე.

¹ გრიგორ მიხეილის ძე მუხაძე – (1879-1948), მეცნიერელი და პრატიკული ქრისტიანის ერთ-ერთი ფუძემდებული ხაქართველობის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1914), პროფესიონი (1919). 1908 წ. დამთავრა ტომსის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი. 1919-1921 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახლმძღვიფრ უნივერსიტეტის ზოგადი ქორუგისა, ხოლო 1921-1948 წლებში ჯერ თხუთმეტი უმდგენ კი თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის პრეზიდენტური ქორუგისა კათედრას. 1924-1925 წლებში იყო თხუთმეტი სამეცნიერო ფაკულტეტის დეკანი, 1925-1937 წლებში – ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი. სის თაოსნობით 1932 წ. შეიქმნა სისხლის გადასხმის რესპულიტური საღური, რომელიც 1935 წ. სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტიდან გადაეკვითდა, ხოლო 1946 წ. – ხაქართველობის სსრ მეცნიერებათა აკადემიის უსაქართველობრივი და ქორუგისა და ჰემიტონოგიის ინსტიტუტი, რომელსაც გარდაცვალებად ფიზიოლოგიური ხელმძღვანელობდა.

² ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი – (1884-1974), ფიზიოლოგი, საქართველოში ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებული. 1910 წ. დამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, მუშაობდა იმავე უნივერსიტეტში, კაზანში, პოლანდიაში, ქ. უბრეხებში. 1915-1919 წლებში უნივერსიტეტის პრივატ-დოკენტი იყო. 1919 წ. მოწევის თბილისის სახლმძღვიფრ უნივერსიტეტში, სადაც დაარსა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მას. 1935 წლიდან კი – ამ კათედრის ბაზაზე დაარსებულ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის იური საქართველოს სსრ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ტენის გამოცვლების საქონაშორისო მოგანიჭების ამერიკის ლეგენდროუსტაურიული ხაზურის უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის ამერიკის ბიოლოგიური ფიზიოლოგიის სახურავის მიღების წევრი.

სად”, ლ. მელიქქეთბეგი „ცხოვრებად წმ. გრიგოლ პართელისად”. ამავე წელს დაიწყო ე. თაყაიშვილის „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომის” გამოცემა, რომელიც 1924 წელს დაისტამბა.

საგამომცემლო საქმეს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისია. გამომცემლობის სახსრებს ძირითადად შეადგენდა პედაგოგიური პერსონალის ყოველთვიური ხელფასიდან ოთხაროვენტიანი ნებაყოფლობითი ანარიცხი, უნივერსიტეტის თანამშრომლები პონორარის ნახევარს იდებდნენ.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის ორგანოს „თანამედროვე მედიცინის” დაარსება.

ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულმა „ჩვენმა მეცნიერებამ”, რომლის პირველი ხომერი 1923 წელს გამოვიდა. პირველ წელს გამოიცა „ჩვენი მეცნიერების” 12 ნომერი. სულ კრებულის 18 ნომერი დაიბეჭდა. 1926 წელს ბოლო, ივ. ჯავახიშვილისადმი მიღვნილი ხომრით, დამთავრდა მისი გამოცემა.

1925 წელს გამოიცა უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კრებული „აგრონომიული კრებული”, ეს სტუდენტთა აგრონომიული სამეცნიერო წრის ორგანო იყო.

1919 წლის ბოლოდან სულ უფრო ძლიერდებოდა უნივერსიტეტის კავშირები საზღვარგარეთთან. შეიქმნა სპეციალური დებულება, სადაც მკაცრად იყო განსაზღვრული უცხოეთში მივლინებულთა უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, მივლინება ხდებოდა ან საკუთარი სახსრებით, ან სახელმწიფოს ხარჯით. „ამ უკანასკნელით სარგებლობის უპირატესობა პქონდა იმ პირთ, რომელნიც ემზადებოდნენ უნივერსიტეტში კათედრაზე დასარჩენად, მეცნიერებელმძღვანელთა და კათედრების დეფიციტის გამო მათი მივლინება ევროპაში აუცილებლობით იყო განპირობებული. მეორენი, რომელთაც სადოქტორო ზეპირი გამოცდა ჩააბარეს და დოქტორის ხარისხი მოიპოვეს, მაგრამ სჭირდებათ კავალიფიკაციის ამაღლება; მესამენი, რომელთაც საზღვარგარეთ წასვლის ნებართვით არ უსარგებლიათ. მივლინებულს კარგად უნდა სცოდნოდა უცხოენა. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი განისაზღვრებოდა არა უმეტეს ორი და არანაკლებ ერთი წლით. ყოველ ექვს თვეში მას უნივერსიტეტისათვის სამეცნიერო ანგარიში უნდა ეგზაგნა.”¹

1919 წელს უნივერსიტეტმა დიდი დანაკლისი განიცადა: მის დამაარსებელთა და პროფესორთა პირველ შემადგენლობას

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანწ., I, საქმე 6, ფურც. 49-50.

გამოაკლდა პროფესორთა საბჭოს მდივანი და სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (დეკანის – პროფ. ივ. ჯავახიშვილის საზღვარგარეთ ყოფნის გამო) პროფ. იოსებ ყიფშიძე (1885 – 1919). იგი ტიფით გარდაიცვალა.

იმავე წლის აპრილში გარდაიცვალა (ქ. რეშტი) სამეცნიერო მიზნით საარსეთს მივლინებული ს. ლომია ხოლო მაისში ძველი სომხური ენის ლექტორი – დ. ყიფშიძე (1890–1919).

გაერთიანებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაქულტეტების მუშაობა გრძელდებოდა 1919 წლის მაისამდე. შემდეგ ამ ორმა ფაქულტეტმა დამოუკიდებლად განაგრძო საქმიანობა. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის დეკანად აირჩიეს ა. რაზმაძე, ხოლო მდივანად – ა. ხარაძე; სამკურნალო ფაქულტეტის დეკანად – ა. ნათოშვილი¹, მდივანად – ზ. მაისურაძე².

უნივერსიტეტის შემადგენლობაში სამი დამოუკიდებელი ფაქულტეტის თრგანიზებამ და მუშაობის გაფართოებამ განსაკუთრებით მწვავედ დასვა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით კათედრების დაკომპლექტების საკითხი. ვინაიდან ქართველ მეცნიერთა ნაკლებობა საგრძნობი იყო, გადაწყდა, მოეწვიათ რუსი მეცნიერები, ქართული ენის არმცოდნენი, მაგრამ მხოლოდ სამი

¹ აღუქქსანდრე ნიკოლოზის ძე ნათოშვილი – (1878-1959), ანატომი, საქართველოში მცხოვრეული ანატომიის ფეხმატებელი და უძალესი სამკლივიო განათლების ორგანიზატორი. მცდიცინის მცხოვრებათა დოქტორი (1917), პროფესორი (1918), საქართველოს სსრ მცხოვრებათა აკადემიის აკადემიული. 1905 წ. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკლივიო ფაქულტეტი, მუშაობდა ექიმად ხარკოვში და შემდეგ იმავე უნივერსიტეტში ანატომიის კათედრაზე. 1918 წ. ა. მცდიცინის მოცეკვით ჩამოიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვისას ანატომიის კათედრა, რომელსაც სიცოცხლის ბილიონის აღამანის ანატომიის კათედრა და დაამთავრა სამსახური აკადემიული ანატომიის, ზორეულებისაღურ ინსტიტუტში – შინაურ ცხოველთა ანატომიის და ფიზიკულტურის ინსტიტუტში – აღამანის ანატომიის კათედრები. 1921-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის პიციოლოგიის კათედრას და 1926-1928 წწ. – ტორაგრაფიული ანატომიის დოცენტების, 1919-1920 წწ. – სამკლივიო ფაქულტეტების იური 1923-1925 წლებში თსუ-ის პროფესიონალურ ინსტიტუტში – სინაურ ცხოველთა ანატომიის და ფიზიკულტურის ინსტიტუტში – აღამანის ანატომიის კათედრები. 1946 წ. დაამთავრა გენერალისტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო სიცოცხლის პოლიტექ., 1952-1955 წწ. ხელმძღვანელობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

² ზაქარია ნიკოლოზის ძე მაისურაძე – (1891-1975), ანატომი, მცდიცინის მცხოვრებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1945). 1917 წ. დაამთავრა კივის უნივერსიტეტის სამეცნიანო ფაქულტეტი, 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკლივიო ფაქულტეტის პროფესიონალური ანატომიის კათედრაზე. 1935-1948 წლებში იყო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ნიმუშდური ანატომიის კათედრის გამგე და ფაქულტეტის დეკანი, 1959-1974 წლებში – თბილისის სამკლივიო ინსტიტუტის ნიმუშდური ანატომიის კათედრის გამგე.

წლის ვადით, რომლის განმავლობაში ისინი ვალდებული იყვნენ. ქართული შექსავლათ ისე, რომ ლექციების კითხვა ქართულად შესძლებოდათ. გარდა ამისა, იმ პროფესორებს, რომლებიც ლექციებს რუსულად კითხულობდნენ, თანაშემწები (ასისტენტები, ორდინატორები) ქართული ენის მცოდნენი უნდა პყოლოდათ. ამ წესით იქნა მოწვეული აკდ. ს. ნავაშინი¹ (ბოტანიკა), ი. ფიგუროვსკი² (კლიმატოლოგია და მეტეოროლოგია), ბ. უგაროვი³ (ზოოლოგია და ენტომოლოგია) და სხვ. რუსების გარდა, თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ ევროპელი მეცნიერი ერენფესტი⁴ (ფიზიკის კათედრა) მოიწვიეს, მაგრამ თბილისში მისი ჩამოსვლა ვერ მოხერხდა.

უნივერსიტეტი თანდათან უნიკალური კოლეჯიებითა და კაბინეტ-დაბორატორიებისათვის საჭირო მოწყობილობებით მდიდრდებოდა. ერთ-ერთი პირველი ასეთი შენაქნი იყო დ. ერმაკოვის⁵ ფოტოგრაფიული ნეგატივებისა და სურათების კოლექცია, — ივ. ჯავახიშვილი ამ კოლექციის შესახებ ერთ ანგარიშში წერდა: „ამის წელობით ჩვენს ხელთ არის არამც თუ მარტო სა-

¹ სერგეი გაბრიელის ძე ნავაშინი — (1857-1930), ბოტანიკოს და ციტოლოგი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კიუკისა (1894-1915) და თბილისის (1918-1923) სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორი.

² ივანე გლადიმირის ძე ფიგუროვსკი — (1865-1940), კლიმატოლოგი, ფიზია-მასიურიტერ მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1921). 1893 წ. დამთავრა ვარსავის უნივერსიტეტი. 1895-1907 და 1912-1921 წლებში მუშაობდა თბილისის ფიზიკურ თბილისისატორიაში. პირველად შეიმუშავა კავკასიის პარი დეგრადური კლასიფიკაცია და შექმნა მისი კლიმატური დარაიონება.

³ ბორის აქტერებ ძე უკარივი — (1888-1970), ენტომოლოგი. 1910 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამსრულ კავკასიაში, ძირითადად, საქართველოში. 1920 წლიდან სამუშაომდე წარიდა ინგლისში. იყო ენტომოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების სამსახური წევრი და ღონისძიებების სამყოფ საზოგადოების წევრი/

⁴ პაულ ერენფესტი — (1880-1933), ფიზიკოსი, თეორეტიკონამიკის, სტატისტიკური მეცნიერის, კვანტული თეორიის სპეციალისტი, რესენტის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1907-1912 წლებში მუშაობდა პეტერბურგში, 1912 წლიდან — პოლანდიაში.

⁵ ლიმიტი ივანებ ძე ერმაკოვი — (1846-1916), ფოტოგრაფი, კოლექციონერი. მის შენელობანი წელიდან შეიტანა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების ფიქსირების საქმეში. 1870 წ. ტრაბზონიდან პეტერბურგის გეოგრაფიულ საზოგადოებას გაუგზავნა თურქეთის თორთუმის ლექში გადაღებული სურათები, რომლებიც პირველად მოხვდა სამხრეთ საქართველოში არსებული ქართული ხელორმოლებრული ძეგლების ფიქსაცია. 1880 წ. თბილისში სახახლის ქუჩაზე (ახლანდელი რუსთაველის გაშტ) გაახსნა ფიტოატლეტი. 1897 წლიდან იყო ნატურ ექლოებათა წამახალისტებელი კავკასიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, 1912 წლიდან კი — დამცუნებელები წევრი. 1910 წ. მონაწილეობა მიიღო კოსაფიშილის მიერ თრგაბაზიზებულ ექსპლიციაში რაჭა-ლეჩხეშემში, საღაც 1500 ფოტოსურათი გადაიღო.

ქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის და სპარსეთ-ოსმალეთის საისტორიო ძეგლებისა, ბუნებისა და მცხოვრებთა მრავალი სურათები, რომელთა შეძენა არსად სხვაგან არ შეიძლება... ამ შეძენილობას უუდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და ეს კაბინეტი ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო სამკაულოაგანია”.

უნივერსიტეტის მუშაობის პირველ წლებშივე შესაძლებელი გახდა ხელოვნების მცოდნეობის, კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის, ბოტანიკის, დენდროლოგიისა და მეტყეობის, ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კაბინეტების; ქიმიის, ფიზიკის, ცხოველთა ფიზიოლოგიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ბაქტერიოლოგიის ლაბორატორიების; დიაგნოსტიკის, ოერაპიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური, ნევროპათოლოგიური, ფსიქიატრიული კლინიკების, ანატომიური ინსტიტუტის მოწყობა.

ახალი კათედრების დაფუძნების გამო საჭირო ხდებოდა ახალი ლექტორების მოწვევა. 1919 წ. სასანიტო ინსტიტუტის დირექტორად სამკურნალო ფაკულტეტმა აირჩია პროფ. ს. ამირეჯიბი¹, ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგედ – პროფ. ს. გოგიტიძე², ნერვიულ სნეულებათა და ფსიქიატრიის

კათედრის გამგედ – პროფ. ი. ანფიმოვი³.

¹ სიმონ ხარიონის ძე ამირეჯიბი – (1877-1936), ბაქტერიოლოგითა და პიგიენის ცუმბეჭდებელი საქართველოში, აროვებსორი (1919), 1903 წ. დამთავრა ხარიონის უნივერსიტეტის სამეცნიერნალო ფაკულტეტი. 1919 წ. დაარსა სხუცის სამეცნიერნალო ფაკულტეტზე ბაქტერიოლოგიის კათედრა, 1920 წ. – ზოგადი პიგიენის კათედრა, აგრონომიის ფაკულტეტზე 1919 წ. – მიკრობიოლოგიის კათედრა. იურ თბილისის სახისარველი პიგიენის ინსტიტუტის დამარსებელი და მისი დირექტორი 1926-1933 წლებში.

² სიმონ კონსატანგინეს ძე გოგიტიძე – (1872-1927), საქართველოში მეცნიერებული პედიატრიის უძლებელებელი. 1897 წ. დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამდინიცხოვის ფაკულტეტი, 1904 წ. მინანილებობდა რესეპტ-ააპონის თმში, 1904 წ. გახდა მეცნიერის მეცნიერებათა დაქტორი. 1909 წ. – კიევის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის პრივატ-დოცენტი, 1912 წ. – პრიფესიონალი და ნოვორიონის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგე. 1921 წლიდან იურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებების კათედრის გამგე.

³ იაკობ ათანასეს ძე ანფიმოვი – (1852-1930), ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი. 1880 წ. პეტერბურგის სამეცნიერო-ქირურგიული აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სამეცნიერო პოსპოტალში, პეტერბურგის სამეცნიერო-ქირურგიული აკადემიის პრივატ-დოცენტიდ (1885-1892). ტომსკის უნივერსიტეტის ნერვულ სნეულებათა და უსისატრიის კათედრის გამგედ (1892-1894), 1894 წლიდან 25 წლის განმავლობაში – ხარკოვის უნივერსიტეტის ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრის გამგედ. 1920-1925 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრას.

1919 წლის ბოლოს პროფ. პ. მელიქიშვილი, საქუთარი თხოვნის საფუძველზე, განთავისუფლდა, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობისაგან და ამ თანამდებობაზე არჩეულ იქნა ივანე ჯავახიშვილი. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად კი – ივ. ჯავახიშვილის ნაცვლად, პროფ. პ. მელიქიშვილი დაინიშნა.

ამავე წლის ბოლოდან სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ა. რაზმაძე ა. ბერიშვილმა შეცვალა.

1919 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტს გადმოეცა ცენტრალური სასოფლო-სამეცნიერო ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური და ნიადაგის ლაბორატორია მოელი თავისი ქონებით.

1920 წელს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ საზღვარგარეთის უმაღლესი სკოლებისათვის ეცნობებინა საქართველოში უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ, – 24 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გამგეობას დაავალა ნოტიფიკაციის ტექსტის შედგენა და ამერიკისა და ეროვნის უნივერსიტეტებისათვის გაგზავნა.

1920 წელს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა დამსახურებულ პროფესორად აირჩია ალ. ცაგარელი¹, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი. ფაკულტეტმა აგრეთვე მოიწვია ზოგადი ისტორიის კათედრაზე პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი მ. პოლიევექტოვი².

1920 წ. უნივერსიტეტში ბერძნული ენის ლექტორად მოიწვიეს ა. ჯვარიშვილი და სამსახურის უნივერსიტეტის მთადების პერიოდში – მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. მანუილოვი³, აგრეთვე ცნობილი

¹ ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი – (1844-1929), ხელმძღვანელი პეტერბურგის სამეცნიერო-ქირურგიულ აკადემიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, გერმანიაში მიგრირებისას და ტიუბინგენის უნივერსიტეტზე, აგრეთვე ავსტრიაში, კენის უნივერსიტეტში. 1871 წლიდან ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას. იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი – 1886 წლიდან, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 1922 წლიდან.

² მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევექტოვი – (1872-1942), ისტორიკოსი. 1894 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომლის პროფესიონი გახდა 1917 წ. 1920 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყვალებოდა რუსულ-ქრისტიანული ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.

³ ალექსანდრე ამოლონის ძე მანუილოვი – (1861-1929), ქართველისტი. 1908-1911 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი, 1917 წ. – რუსეთის დროული მთავრობაში განათლების მინისტრი, 1924 წლიდან – სახანკის გამგეობის წევრი.

იურისტი ლ. ანდრონიკაშვილი¹.

სამათემატიკო-საბუნების მეტყველობა ფაქულტეტი ამ დროისათვის უკვე სამ დარგს შეიცავდა: სამათემატიკოს, საბუნების-მეტყველოსა და სასოფლო-სამეურნეოს. ამ ფაქულტეტზე მოიწვიეს პროფესორები 6. სალტიკოვი, ალ. ჯავახიშვილი², ასისტენტები მ. ნოდია³, ე. ლუკაშვილი, ა. ცაგარელი, ივ. ჩხიაშვილი⁴, ა. ნაფეტვარიძე, გ. რცხილაძე⁵ და სხვ.

1920 წ. მეორე სემესტრიდან პროფესორებად მოწვეულ

¹ დუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი – (1872-1939), სამართალმცოდნე, იურისტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ცენტრალური სამსახურის, პაიდებურგის, პეტერბურგისა და სტაბურგის უნივერსიტეტებში მოისახებოდა „პროფესიული დამცველთა“ ჯგუფის შემნის ურთეულო ინიციატივით. მნიშვნელობრივი მნიშვნელობის ასებები შემონაბრულობის პროცესში. 1917 წ. დროებითი მთავრობის დროს იყო სენატორი. 1921 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

² ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი – (1875-1973), გეოგრაფი და ასორტოლოგი, საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების, ქართული მეცნიერების ასორტოლოგიის ცენტრალური, გეოგრაფიული მეცნიერებათა დოქტორი (1937), საქართველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), პროფესორი (1920). 1900 წ. დაამთავრა მთხელის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნების მეტყველობა განყოფილება, 1917 წლიდან მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში და მთხელის სხვა უმაღლეს სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ცენტრალური კულტურული მუზეუმის (1918-1920), საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის (1926), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიული ინსტიტუტის (1933-1938), გამუშავდა სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის (1945-1962) დირექტორი.

³ მიხეილ ზოსიმეს ძე ნიკიადა – (1891-1975), გეოფიზიკოსი, მაგისტრობითი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1935). 1912-1917 წლებში სწავლობდა ნევროონთისის უნივერსიტეტში. 1919 წ. გემსტონად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1920 წლიდან აქვთ დაიწყო მუშაობა. 1923 წლიდან იყო თბილისის გეოფიზიკური მთხელეობის მაგისტრი განყოფილების გამგე 1925 წლიდან – დირექტორი. 1933 წლიდან ხელმძღვანელობდა თხუ-ში მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ გეოფიზიკის კათედრას.

⁴ ივანე ჩხიაშვილი – დაიბადა 1883 წ. 1909 წლიდან, კლასიკის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა განჯაში გიმაზიის მასწავლებლად. 1919 წლიდან მუშაობდა საქართველოს მუზეუმში ზოოლოგიური განყოფილების ასისტენტად, შემდეგ – ორნითულიური განყოფილების გამგე. 1920 წ. დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დროებითი ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებლად და თვისებითი ანალიზის დაბორატორიაში, 1922 წლიდან – ზოოლოგიის კათედრასთან ასისტენტად თხუ-ში მუშაობდა 1933 წლამდე.

⁵ გრიგორ სეიმინის ძე რცხილაძე – (1876-1934), იურისტი, აუდიტორი, საზოგადო მოღვაწე. 1902 წ. დაამთავრა აუგებურგის იურიდიული ფაკულტეტი. იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოების გამზეობის წევრი, სოციალისტურებულობისათვის პროტესტორი. 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თხუ-ში კოსტუმისა და სამუქალაქო სამართლის კურსები.

იქნენ 6. მუსხელიშვილი¹, ლ. ლეიბერზონი²; ლექტორებად – გებერმანი³, ს. ჩოლოვაშვილი⁴, ნ. ვორონისინი, ი. ლომოური⁵, ს. ფილატოვი⁶, გრ. ქურდიანი⁷, ვ. ალექსანდროვი⁸, ასისტენტებად

¹ ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი – (1891-1976), მათემატიკოსი და მექანიკოსი. 1914 წ. დაამთავრა ჰუცერდუგის უნივერსიტეტი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1922), სსრ მუცნიერებათა აკადემიის აკადემიური (1939), საქართველოს სსრ მუცნიერებათა აკადემიის აკადემიური (1941). მისი პრეზიდენტი (1941-1972), სააკადემიური პრეზიდენტი (1972), 1933-1935 წწ. და 1941 წლიდან გარდაცვალებამდე – ანდრია რაზმას სახელმწიფოს მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, სოჭმელისა (1961) და აზერბაიჯანის (1972) მუცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ბელგარეთის (1952), მოლონების (1960), ბერლინის (1967) აკადემიების წევრი, სსრ სახელმწიფო პრეზიდენტის (1941, 1947), ლომინონეროვის სახელმწიფოს უქროს მუდლის (1972), ტერინის მუცნიერებათა აკადემიის სერთო მთარისის პრეზიდენტის (1969), სლოვაკიის მუცნიერებათა აკადემიის მუდლის მუდლობრივი. ავტორია გუბექლებლერი გამოკლებებისა დრუკადობის თეორიასა და ინტეგრალურ გამოკლებებში.

ლეონად სამულის ძე ლეიბერზონი – (1879-1951), მუცნიერი მუქანიერისა და ნავთობის მომულების დარც შე. 1901 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბაქოს მოლიკებენიური ინსტიტუტის პრეზიდენტი. 1925 წ. დაბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტში შე. სადაც გარდაცვალებამდე შოდვაწერდა.

გიორგი ნიკოლოზის ძე გებერმანი – (1870-1956), კონიომ-გეოგრაფი. 1895 წ. დაამთავრა სარკოვის უნივერსიტეტი. იყო თბილისის I კომერციული სახელმწიფოს დირექტორი (1906-1919), 1923-1956 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი (1923), გეოგრაფიულ მუცნიერებათა დირექტორი (1940). საქართველოს მკონიდიური დარიალობის ბაზის ერთ-ერთი ავტორია.

სოლომონ მიხელის ძე ჩოლოვაშვილი – (1883-1944), აგრონომ-მუკენახვე სოფლის მეურნეობის მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1926). 1907 წ. დაამთავრა ასტრიაში ქლინიკური საბიულონ-სამეცნიერო ინსტიტუტი. იყო 1920 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1930 წლიდან – საქართველოს სახოტლო-სამუშაოების ინსტიტუტის მუცნიერებათის კათედრის გამგე.

სოლომონ ნიკოლოზის ძე ლომოური – (1885-1966), აგრონომ-მუკენარე, პროფესორი (1932). 1910 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკ-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნების მეცნიერებელთა განციფრებული გროვლის განხრისა და 1913 წლებს – მოსკოვის სახოტლო-სამუშაოების ინსტიტუტის აგრონომის სპეციალისტი. 1923-1929 წლებში იყო თბილისის ბოტანიკური ბაზის დირექტორი, 1920-1929 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1929-1960 წლებში – სახოტლო-სამუშაოების ინსტიტუტის მუცნიერებათის კათედრის გამგე.

სილიძის სტრო (სილვესტრ) სიმონის ძე ფილატოვი – ინფინიტუექსინოლოგი, დაიბადა 1879 წ. დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სახელმწიფო (1909 წ.), 1920 წლიდან მოიწიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნების მეცნიერებელთა ფაკულტეტზე მუცნიერებობის დარც შე დროული დაუმტკრად.

გრიგორ საქარიას ძე ქურდიანი – (1873-1957), ინფინიტუექსინოლოგი მუცნალურგიისა და წელმომარაგების დარც შე, პროფესორი (1933). 1898 წ. დაამთავრა სარკოვის უმაღლესი ტექნიკური სახელმწიფო უნივერსიტეტის მუცნიერებათის კათედრის პროფესორი ასტრონომიად, არქიტექტორად, ქრისტიან კულტურულ საქმიანობას.

გასილ გიორგის ძე ალექსანდროვი – (1887-1964), მოტანიკოსი. 1915-1927 წწ. მუსობების თბილისის ბოტანიკურ ბაზ შე, 1920 წლიდან – თბილისის სახელმწიფო

ბად – ი. ზაკტრეგერი, გ. სმირნოვი¹, ბ. ყავრიშვილი², გ. ქავთარაძე³ და ხ. ცხაკაია.

სამკურნალო ფაქულტეტის დაარსების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული ცნობილი ქართველი ექიმები, პროფესორები გ. მუხაძე, ს. ამირეჯიბი, ალ. ალადაშვილი⁴.

თერაპიული კლინიკის გამგედ ფაქულტეტმა დაამტკიცა პროფ. ალ. ალადაშვილი, ქირურგიული კლინიკისა – დოც. ალ. მაჭავარიანი⁵, ფსიქიატრიის კლინიკისა – დოც. გ. ასათიანი⁶. და-

უნივერსიტეტში, 1927-1929 წწ. – ტომეკის უნივერსიტეტში, 1929-1942 წწ. – ლენინგრადის მეცნიერების ინსტიტუტში, 1942 წლიდან კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში.

¹ ვიორგი მიხეილის ძე სმირნოვი – (1876-1964), გეოლოგი, პროფესორი (1926). 1900 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, 1919-1956 წლებში ეწოდა პედაგოგურ მოღვაწეობას. ა. თვალჭრელისტისან ერთად, საფუძვლი ჩაუყარა საქართველოს ტერიტორიის სისტემურ პეტროგრაფიულ კვლევას.

² გესარიოს ივანეს ძე კავრიშვილი – (1895-1943), გეოგრაფი, პროფესორი (1935), გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1940). 1917 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეცნიერებლო განვითარება. 1920 წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის ხოვარი გეოგრაფიისა და ათოროპოლოგიის კათედრის ასასტენიად, 1936 წლიდან კი პილოტოლოგიისა და კომისტოლოგიის კათედრის გამგე იყო. ივი საქართველოში პილოტოლოგიის ფუძემდებელი.

³ ვიორგი მიხეილის ძე ქავთარაძე – (1861-1941), ტომოროვე-გეოდეზისტი. პირველი ქრონიკები მთასკელები. 1883 წ. დაამთავრა პეტერბურგის ტომოროვე-გეოდეზიკური სახლმწიფო. 1919 წლებში სიცოცხლის ბოლომდებად. კი მუშაობდა თბილისის განვითარების სამსახურში უნივერსიტეტში ასასტენიად.

⁴ ალექსანდრე სტეფანეს ძე ალადაშვილი – (1876-1950), თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დატერმინი (1911), პროფესორი (1919), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), საქართველოში თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1904 წ. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1911 წ. აირჩიეს სიმღერომოლის უნივერსიტეტის უარმაჟილოვის კათედრის გამგე. 1919-1921 წლებში იყო თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტის მთავარი სწერული გამგე ნებულებათა დაგნოსტიკის კათედრის გამგე, 1921-1924 წლებში – სამეცნიერო ფაკულტეტის დეკანი. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო ფაკულტეტს.

⁵ ალექსანდრე ვიორგის ძე მაჭავარიანი – (1884-1941), ქირურგი, საქართველოში კლინიკური ქირუროს ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი (1919). 1910 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამსახურ-სამედიცინო აკადემია. 1911 წ. მოაწეო ექსაკლინიკის ხანენტში ჩაიყვით შესასწავლად და, ამ მასალაზე დაყრდნობის 1914 წელს დაიცვა სადოქტორო დასერტაცია პეტერბურგის სამსახურ-სამედიცინო აკადემიაში. 1919 წ. აირჩიეს თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტის ტომოროვე-გეოდეზიკური ანტომოსისა და თბილისის სამეცნიერო ფაკულტეტის დეკანი. 1927-1928 წლებში იყო თხუთმეტი სამეცნიერო ფაკულტეტის დეკანი, 1937-1941 წლებში – თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი.

⁶ მიხეილ მიხეილის ძე ასათიანი – (1882-1938), ფსიქიატრი და ფსიქოთერაპეტი, საქართველოში მეცნიერებლი ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1907 წ.

იწყო თვალის სნეულებათა კლინიკის, პოსპიტალური ოერაპიული კლინიკის და პოსპიტალური ქირუგიული კლინიკის დასარებლად საქმიანობა. ამავე წელს ფაკულტეტზე სამუშაოდ მოიწვიეს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ლამბარაშვილი¹, იგი აირჩიეს ქალთა სნეულებათა კათედრის გამგედ და პროფესორად.

უნივერსიტეტის არსებობის პირველი ხანებიდანვე დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნებოდა როგორც ადგილობრივ სამეცნიერო ორგანოებში, ასევე უცხოურ გამოცემებში.

1920 წელს მოეწყო ა. შანიძის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სვანური ენის შესასწავლად.

1920 წ. 9 მაისს უნივერსიტეტში გაიმართა პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა. აკაკი შანიძის დისერტაციის თემა იყო: „სუბიკტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმებში.”

1921 წელს საქართველოში განვითარებული ურთულესი კატაკლიზმები მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრებაზე. სამორდე წლის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შედეგად დაკარგა საქართველომ. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ ქართველი სტუდენტები.

დამტუმნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას, ერსა და ბერს მოწერდა სამშობლოს დასაცავად. ამ მოწერდებას აქტიურად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტობამ. სამშობლოს დასაცავად მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაუდონცა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად, ტარდებოდა მოელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქს

დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, რომლის ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტად აირჩიეს 1917 წ. 1920-1930 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქს

¹ გამოიცდ გრიგორის ძე დამბარაშვილი – (1878-1954). მეანგიოგეროლოგი, საქართველოში თურიული და პრაქტიკული მეანობა-გინეროლოგის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მკაფიონის მეცნიერებათ დოქტორი (1912), პროფესორი (1917). 1907 წ. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1912-1917 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის მეანობა-გინეროლოგის კათედრის პროფესორი, 1917-1920 წლებში კი – იძაგვ კათედრის პროფესორი. 1920-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1930-1954 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეროლოგის კათედრას.

წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვევულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგრმარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადო სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მხად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწიროს საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონიერებით თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიანია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამუშაონალო ფაკულტეტის კლინიკების კარგი დაარა ომის საჭიროებისათვის.¹ ქართველმა ოუნიკრებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან. ქართული ჯარი სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაცია ჰქეს ადარ იწვევდა, არადა, სულ ორიოდე კვირის წინ 1921 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას „საქართველოს იურიდიული ცნობის გამო.“²

ფრონტზე შექმნილი მდგრმარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის გამგეობამ გამოსცა ბრძანება: „ქართული განმის, რომელიც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში იმყოფებოდა, მისი ჩაბარგების შესახებ საზღვარგარეთ გასატანად.“³

ქართული საუნჯის განიზნა მეტად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. სწორედ უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე 16 თებერვალს მთელი დამის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული სამუზეუმო ექსპონატების ფუთებში ჩალაგება და სიების შედგენა. საქართველოში დატრიალებულ განუკითხაობას განარიდეს საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ქართული საუნჯ.

ემიგრაციაში წასვლის გამო უნივერსიტეტი დატოვეს კ. თაყაიშვილმა, მ. წერეთელმა⁴, ა. მანულოვმა, ვ. დამბაშიძემ. ივანე ჯავახიშვილი არ წავიდა უცხოეთში. „ყოველ წეტს მოდის

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 77, ფურც. 13-14.

² დასახ. ანაწ., საქმე 2, ფურც. 139.

³ დასახ. ანაწ., საქმე 79, ფურც. 12.

⁴ მიხეიდ (მიხაელ) გორგაშვილის ძე წერეთელი – (1878-1965), ფილოლოგი, პედაგოგისტი, თბილისისა და დემოსის უნივერსიტეტების პროფესორი. 1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და ეფრაიმი განაცრი ქართული ლიტერატურული მექანიზმების შესწავლა და პოპულარიზაცია.

ცნობა ხან ერთი, ხან მეორე ნაცნობი ოჯახის საზღვარგარეთ წასვლის შესახებ. მამა უნივერსიტეტის არ შორდება, ქალაქში დაბნეულობაა. ათას ზღაპრულ ხმას ავრცელებენ. ყველა არამზადა ცდილობს, ამ დაბნეულობით ისარგებლოს. ერთ დილას მამასთან სახლში მოდიან პროფესორები შალვა ნუცუბიძე და კორნელი კაპელიძე, ძალიან აღელვებულები არიან და აცნობებენ მამას, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არშავ ბაბოვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს. კარგად მახსოვს, როგორ აღმოოთდა მამაჩმი და კატეგორიულად უთხრა: „არავითარ შემთხვევაში, რა შეუაშია ბაბოვი, რა ხელი აქვს უნივერსიტეტის, მე მოვალე ვარ წარვხდგე ახალი ხელისუფლების წინაშე.” და მართლაც, როდესაც ახალი ხელისუფლება დამყარდა, მამა დილიდან უნივერსიტეტში იყო.

თებერვალია, ბარდის, თოვლი ედება თბილისს, გზები გაჭრილია როგორც გვირაბი, არაჩვეულებრივად ჩუმი დამეა, როგორც დიდოთვლობის დროს იცის. გათენებისას სადარბაზო კარზე დაუინებული კაკუნი ისმის, მამა გადის და მაღე უკანვე ბრუნდება, დედას მეორე ოთახში გაიძახებს. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი უკან ბრუნდებიან, ერუდ ისმის მანქანის დაძრის ხმა. თურმე მამას სთავაზობენ საზღვარგარეთ წასვლას. მამა წუთოთაც არ შეკუმანებულა უარზე¹ – ასე იგორებდა იგანე ჯავახიშვილის ქალიშვილი ნათელა 1921 წლის თებერვლის დღეებს.

იმავე წელს უნივერსიტეტში სამუშაოდ მოიწვიეს: ს. დანელია², გ. ნიკოლაძე³, გ. ჯავახიშვილი⁴, რ. ნიკოლაძე-პოლი-

¹ ჯავახიშვილი ნ. რაც მაგონდება, უკრ. ნეკერი, 1990 წ. გვ. 13.

² სერგი იოსების ძე დაბეგლია – (1888-1963), ფილოსოფოსი და ლიტერატურამცოდნები, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), პროფესორი (1930). 1933 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ქათელაში.

³ გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძე – (1888-1931), მათემატიკოსი, მეცნიერებელი. 1913 წ. დაამთავრა პეტერბურგის ტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა მეცნიერებად რუსეთისა და საქართველოში სადოქტორო დასტრატეგიული მათემატიკისა და იურიკის სორბონში 1928 წ. ამავე წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა სავალდებულო კურსს ანალიზურ გეომეტრიასა და დიფერენციალურ გეომეტრიაში. 1923 წლის 28 აგვისტოს მიხი ინიციატივით 18-მა ქართულება სპორტნებების (მათ შორის იყო 5 ქალი) მთაწერ აღპისისტური ასელა მუნიცირწყერზე, რამაც დასაბამი მისცა ქართულ აღპისისტური.

⁴ გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი – (1877-1956), ახორციმოლოგი. 1903 წ. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის, 1903-1905 წლებში მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში, 1905-1911 წლებში – ალექსანდრეს აკადემიის ზოთულებისა და ასორტომენტობის მუზეუმში. 1921 წ. იმრჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ახორციმოლოგის კათედრის დოკორებად, 1921-1935 წლებში იყო ზოთულობის კათედრის გამგე. 1926 წლიდან ხელმძღვანელობდა მის მუზეუმ ხამიყალიბებულ ბათუმის (ციხისმინდის) ბორბოტის სადგურს. 1929 წ.

ევქტოვი¹, მ. კონიაშვილი², ივ. თულაშვილი³, ალ. მუსხელიშვილი⁴.

მეორე სემესტრიდან, განათლების სახალხო კომისარიაზის დადგენილებით, სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტები გაერთიანდა ერთ - პედაგოგიურ ფაქულტეტად ორი განყოფილებით: სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოს.

პედაგოგიური ფაქულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფ. კ. კეკელიძე, ხოლო მდივნად - ზ. ყანჩაველი

1921 წლიდან განსაკუთრებით გაფართოვდა სამკურნალო ფაქულტეტი. დაარსდა კბილის სხეულებათა დოცენტურა კლინიკით, ზოლოვის დოცენტურა, ყელის, ყურის და ცხვირის სხეულებათა დოცენტურა კლინიკით.

შემოდგრმიდან უნივერსიტეტს ახალი ფაქულტეტი შექმატა: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების სასოფლო-სამკურნეო დარგის ბაზაზე დაარსდა აგრონომიული ფაქულტეტი, რომლის პირველ დეკანად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ფაქულტეტის ორი: აგრონომიული და და სატყეო განყოფილება ჰქონდა.

ჯერ კიდევ 1919 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ თხოვნით მიმართა საკათალიკოსო საბჭოს ყოფილი სასულიერო სემინარის უნივერსიტეტისათვის გადმოცემის შესახებ.

თხუთმეტი ზოთლობის კათედრასთან ჩამოაფლიბა პროფესორთა დამორჩობისა.

¹ რუსეთის ნიკოლოზის ასული ნიკოლაი-პოლივეგებრუთისა - (1884-1981), ქიმიკის, პროფესორი (1933). 1909 წ. დაამთავრა პეტერბურგის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1913 წ. - პეტერბურგის უნივერსიტეტი. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1933-1974 წლებში იყო არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრის გამგე.

² მიხეილ გრიგორის ძე კონიაშვილი - (1876-1958), მათემატიკოსი, დაამთავრა თბილისის I გიმნაზია (1896), მისკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის განყოფილება (1900), მუშაობდა აზერბაიჯანში და სტარომოლის მხარეში მასწავლებლად, 1904-1918 წლებში ასწავლიდა თბილისის პირველ და მესამე კაჟთა გიმნაზიებში, ქალთა მუზეუმში, გიმნაზიაში, რიმდის დირექტორიც იყო 1918 წლიდან, 1921 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

³ ივანე ნიკოლოზის ძე თულაშვილი - (1863-1930), ინჟინერ-მშენებელი, პედაგოგი. 1890 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-საინინირო აკადემია. 1921 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ითხულიობდა სამშენებლო სამუშაოთა, სამუშაოები ხუროთმოძღვრების კურსებში.

⁴ ადგექსანდრე ივანეს ძე მუსხელიშვილი - (1892-1978), ენერგეტიკოსი, საქართველოში ენერგეტიკის მცნობიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1918 წ. დაამთავრა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მუშაობდა პეტერბურგისა და მოსკოვში, 1921 წლიდან კი - საქართველოში.

თავიდან შენობის ნაწილში ფიზიოლოგიის კათედრა განთავსდა, 1920 წელს შენობა სამათემატიკო-საბუნებისმეცნიერო განყოფილებას გადაეცა, თუმცა იგი დიდ ხანს ჯარის ნაწილებს პქონდათ დაკავებული. აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკუმის შესასრულებლად ყოფილი ქალთა უმაღლესი კურსების შენობა დაეთმო.

1921 წელსვე ფაკულტეტმა სახელმწიფოსგან სოფ. ბაქურიანშიც მიიღო შენობა.

სტუდენტთა აგრონომიული წრის წევრთა ინიციატივით, გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, რომელსაც 1922 წელს, პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მისი სახელი მიენიჭა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტში აქტიურად დაიწყო რუსული უმაღლესი სასწავლებლების პრინციპების დანერგვა. მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილი, მიმოიხილავდა და ადარებდა რა ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს საუნივერსიტეტო სასწავლო სისტემას, წერდა: „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის პროექტი ამ ფაკულტეტის აწ არსებულ სასწავლო გეგმას ძირფესიანდად სცვლის. მოსპობილია მთლიანად ფილოსოფიის, ფიქოლოგიის და ისტორიის დარგები, არსად მოიპოვება ბერძნული, ლათინური და მახლობელი აღმოსავლეთის იმ ენებისა და მწერლობის ისტორია, რომელთა სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანავე სწარმოებდა. ოვით ქართულ მწერლობის ისტორიაც კი მარტო ახალი და უახლესი ხანით არის განსაზღვრული, მაშასადამე ქართული მწერლობის ცამეტი საუკუნის ისტორია მთლიანად გაუქმდებულია... აღსანიშვია, რომ მთელ პროგრამაში ისეთი ძირითადი საგნების, როგორიცაა მინერალოგია, კრისტალოგრაფია, პალეონტოლოგია, პეტროგრაფია, ანაზომია, ანთროპოლოგია, ფიზიოლოგია, ხესენებაც კი არ მოიპოვება. შედარებითგან ირკვევა, რომ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის შემუშავებული გეგმა ნამდვილად მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმის უბრალო თარგმანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ მცირედი განსხვავებით, რომ სადაც რუსულ ტექსტში რუსეთი და რუსული ენა სწერია, იქ საქართველო და ქართული ენაა დამატებული.”¹

ივანე ჯავახიშვილისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო ამა თუ იმ ქვევნის უმაღლესი სკოლის ფორმისა და შინაარსის

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანტ. I, საქმე 27, ფურც. 5.

პირდაპირ გადმოღება. —შეუძლებელია ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებიდან სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების პირდაპირი გადმოღება. ეს საკითხი სათუთ მიღებომას საჭიროებს, რადგანაც მისი გაუანალიზებლად ჩართვა სასწავლო პროცესში „განსაცდელში ჩაგდებს ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას“¹ — სწერდა იფ. ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატს თავის მოხსენებით ბარათში.

1922 წლის დასწყისში უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტი გაიხსნა. დეკანად ა. ლიდებულიძე² აირჩიეს, მდივნად — იფ. თულაშვილი. პოლიტექნიკურ ფაკულტეტს სამი განყოფილუბა ჰქონდა: მექანიკური, სამშენებლო და სამთო-ქიმიური.

ამავე წელს გაიხსნა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, რომლის პირველი დეკანი გახდა შ. ნუცუბიძე, მდივანი — გ. ნათაძე³.

საბჭოთა ხელისუფლება უკვე აქტიურად ამკვიდრებდა თავის მეთოდებს უმაღლეს სასწავლებელში. 1922 წელს შეიქმნა მუშათა ფაკულტეტი გ.წ. საბჭოთა ინტელიგენციის მოსამზადებლად. აქ სწავლის შემდგომ გასაგრძელებლად ემზადებოდნენ მუშები და გლეხები, რომელთაც საშუალო განათლება არ ჰქონდათ მიღებული. ამ ფაკულტეტზე პირველ წელს 280 მსმენელი მიიღეს, შემდეგ მათი რიცხვი 800-მდე გაიზარდა. ფაკულტეტზე განათლების სახალხო კომისარიატის საგანგებო ინსტრუქციის მიხედვით იღებდნენ ახალგაზრდებს. კომისარიატი ყოველ წელს განსაზღვრავდა ამ ფაკულტეტზე ჩასარიცხ სტუდენტობას,

¹ დახახ. საქმე, უკრ. 8

² აღმესახელოვანი ოსხების ძე დადგებულიძე — (1882-1951), ენერგეტიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), გეპნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1943), პროფესიონი (1918). 1911 წ. დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1916-1917 წლებში ოდესაში ეწყოდა სამუშაოები მოსამზეობას. საქართველოში 1918 წ. დაბრუნდა. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიის კათედრის გამგე, თსუ-ის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამარასებელი (1928), 1922 წლიდან ჯერ თსუ-ში, შემდეგ კი 1928 წლიდან — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე. 1923-1925 წლებში სელმაცვანელობდა თბილისის გეოფიზიკურ იმპერატორიას, 1930-1945 წლებში — საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1936 წლიდან იყო თსუ-ის შესაუბრებელი ინსტიტუტის კათედრის კათედრას, 1948-1951 წლებში — ენერგეტიკის ინსტიტუტის.

³ გრიგორ იასონის ძე ნათაძე — (1878-1951), ინტერიერი, პროფესიონი (1926). სწავლობდა კიევის, კრივისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. 1919 წ. მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1936 წლიდან იყო თსუ-ის შესაუბრებელი ინსტიტუტის კათედრის გამგ.

შემდეგ ეს ადგილები ნაწილდებოდა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიხედვით. მსმენელები 18-დან 30 წლამდე ასაკის უნდა ყოფილიყვნენ და ფიზიკურად მუშაობის გამოცდილება პქონოდათ. მათ საგანგებო კომისია არჩევდა, ხოლო არჩეულები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და პოლიტიკონიში აბარებდნენ გამოცდებს.

1922 წლის შემოდგომიდან პედაგოგიური ფაკულტეტის სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების, რომელთაც გარკვეული დამოუკიდებლობა პქონდათ, საბოლოოდ გაერთიანდა.

1922 წელს უნივერსიტეტში პირველად ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და პირველად აიღო დიპლომი 28 კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 25 ვაჟი და 3 გოგონა იყო. ისტორიული დარგი დაამთავრა თხევთმეტმა, ფილოსოფიური – ექვსმა, სიტყვიურებისა – სამმა, ენათმეცნიერებისა – ორმა, ხელოვნებისა – ერთმა, ეკონომიკური – ერთმა სტუდენტმა.

უნივერსიტეტის პირველ კურსდამთავრებულთაგან საპროფესოროდ დატოვეს ს. ჯანაშია¹ (საქართველოს ისტორია), არნ. ჩიქობავა² (ქართული ენა), ვ. თოფურია³ (ქართული ენა),

¹სიმონ ნაკოლოზის ძე ჯანაშია – (1900-1947), ისტორიუსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1943). 1918 წ. დაამთავრა ხოსტის რეალური სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1922 წ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1930 წ. ისტორის თხევის დოკტორი, 1935 წლიდან კი – საქართველოს ისტორიის კათედრის გამგებ და პროფესორად. 1936-1941 წლებში იყო საქართველოს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, 1941-1943 წლებში – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 1943 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

² არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა – (1898-1985), ენათმეცნიერი, იძერიულ-კაკასუური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ცურქებულებელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი (1929), პროფესორი (1933), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პეტერბურგის სახელმწინოს უნივერსიტეტის საატიო დოკტორი (1960), დიდი ბრიტანეთის ფილოსოფიათა სახურავითის საატიო წევრი (1968). 1933-1960 წლებში იყო თხევის მისამართის სამსახურის მასტერი, 1968-1985 წლებში იყო თხევის მისამართის სამსახურის მასტერი, ენათმეცნიერი, კათედრის გამგებ, 1950-1952 წლებში – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, 1945-1964 წლებში – ქართული ენის განმარტებითი ლექ्सიკონის კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

³ კარლაშ ტრიფონის ძე თოფურია – (1901-1966), ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), 1943-1949 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი. 1945 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაარსებული ახალი ქართული ენის კათედრის გამგებ.

შ. ამირანაშვილი¹ (ხელოვნების ისტორია), კ. ბაქრაძე² (ფილოსოფია), თ. ლომოური³ (სქართველოს ისტორია), გ. ჯაკობია⁴ (ქართული ლიტერატურის ისტორია). იმავე წელს დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად ირ. სურგულაძე⁵ (სახელმწიფო სამართალი).

1922 წლიდან უნივერსიტეტში შემოღებული იქნა საფინანსო-სამეცნიერებო ნაწილის პროფესიული თანამდებობა, 1924 წლიდან – სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პროფესიული თანამდებობა, ხოლო 1925 წელს კი – სტუდენტთა საქმეების პროფესიული თანამდებობა.

1923 წლიდან უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია დაიწყო. წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შემდეგ, საფაკულტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვნენ უმცროს მასწავლებელთა და სტუდენტთა წარმომადგენლები, უფრო მნიშვნელოვანი კი ის ფაქტია, რომ

¹ შალვა ასთონის ძე ამირანაშვილი – (1899-1975), ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი (1936), სხრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კარიერსპონდენტი (1943), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიერი (1955), 1925 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე, 1939-1975 წლებში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

² ერნესტანინგ სპირიდონის ძე ბაქრაძე – (1898-1970), ფილოსოფოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამასავერების შემდეგ სამეცნიერო მუკლინებით იმუშავებოდა გერმანიაში, მუშაობდა პესტვლითან, რიკრიტოს, პილეგერითან. 1930 წლიდან იყო თხუთმის პროფესორი, ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრებს.

³ თბილი ნიკოლოზის ასული დომინიკი – (1883-1965), ისტორიის, საქართველოში ნებისმატიკური მეცნიერების ვულტურებელი, 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმატიკის კაბინეტის გამგე, 1931-1952 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჯერ უფროხი მეცნიერ თანამშრომელი, შემდეგ – ნებისმატიკის კაბინეტის გამგე.

⁴ გიორგი პავლეს ძე ჯავობა – (1894-1944), ლიტერატურული მუსიკოსი და ქართველ-სამარხულ ლიტერატორითა მეცნიერის ინიციატორი.

⁵ იორდიონ აპოლონის ძე ხერგულაძე – (1892-1945), იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და სამართლის ისტორიის სპეციალისტი. 1918 წ. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1923 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კაბინეტის კაბინეტის გამგე, 1927 წ. დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსამართებლივ („ხელისუფლება და სამართლა“), კი იყო თხუთმის დაცული პირების დასამართლებელი სამართლის დამგები. 1927-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თხუთმის სამართლის ისტორიისა და სამოქალაქო სამართლის გაურთიანებულ კათედრას, 1933-1937 წლებში იყო თხუთმის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ სამართლის ისტორიის კათედრის გამგე.

1923 წლის მაისიდან პროფესორთა საბჭოს სხდომების მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

1923 წლისათვის უნივერიტეტში ხუთი ფაკულტეტი იყო: პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრონომიული, სამკურნალო და პოლიტექნიკური.

1923-1924 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის სასწავლო-დამსარე დაწესებულებათა რიცხვმა 30-ს გადააჭარბა. სამკურნალო ფაკულტეტთან ფუნქციონირებდა თერაპიული, ნერგული, ჰოსპიტალური ქირურგიული და დენტიატრიის, გინეკოლოგიური, პედიატრიის, ფინქატრიის, კანისა და ვენერიულ სწავლებათა, დიაგნოსტიკის, ყურის, ყელისა და ცხვირის სწავლებათა და თვალის სწავლებათა კლინიკები.

1923 წელს პედაგოგიურ ფაკულტეტზე შეიქმნა ქიმია-ფარმაციის განყოფილება. ამ განყოფილებისათვის საგანგებო ლაბორატორიაც მოეწყო და მიწის ნაკვეთიც გადაეცა სამკურნალო მცენარეთა გასაშენებლად.

1921 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა შ. წინამდღვრიშვილმა. 1923 წელს გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა ალ. ჯანელიძე. 1924 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა გრ. ნათაძემ, ხოლო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი – ს. ყიფშიძემ. 1925 წელს ა. რაზმაძის მიერ პარიზში დაცული დოქტორის სამეცნიერო ხარისხი თბილისი უნივერსიტეტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან იქნა გათანასწორებული.

დისერტაციის დაცვისას თუ უნივერსიტეტში სათანადო კვალიფიკაციის მქონე მეცნიერ-ოპონენტები არ აღმოჩნდებოდნენ, უნივერსიტეტში უცხოელ ექსპრესებს მიმართავდა. პროფესორთა საბჭოს 1924 წლის მეოთხე სხდომაზე განიხილეს შემდგენ საკითხი: „იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ არ მოიპოვებიან ისეთი მეცნიერი პირი, რომელთაც შეუძლიან იყისრონ უნივერსიტეტში მოღვაწეთა საღოქტორო გამოცდა, უკანასკნელის წარმოება მიენდოს ფაკულტეტის არჩევის და დავალებით პროფესორთა კომისიას უცხოეთში, იმ პირობით, რომ ასეთ პირთ მიეცეს სადოქტორო ხარისხი, თუ კომისიის განაჩენი გამოცდების შესახებ დადგებითი აღმოჩნდა“, – და დაადგინეს: „ასეთ შემთხვევებში უწინარეს ყოვლისა მიემართოს ამა თუ იმ უნივერსიტეტს. დამაბრკოლებელ შემთხვევებში კი კომისიას.“

1924 წელს უნივერსიტეტმა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საზღვარგარეთ: გ. ჩუბინაშვილმა, ა. შანიძემ, ლ.

მელიქსეთბეგმა და ნ. სევეროვმა სამეცნიერო მიზნით სომხეთში იმოგზაურეს.

1924 წელს სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს შ. ნუცუბიძე, ხოლო მდივნად – ე. ტატიშვილი¹. ხოლო აგრონომიულ ფაკულტეტის საბოლოოდ გადმოეცა მუხრანის მამული, სადაც სასწავლო-სამეცნიერო ბაზა მოქმედოւნი აქ სტუდენტები სამი თვის განმავლობაში გადიოდნენ პრაქტიკულ მეცანებებს.

1924 წლიდან სამკურნალო ფაკულტეტთან დაარსდა სამედიცინო ტაქნიკუმი.

1924 წელს აგვისტოში განვითარებული ანტისაბჭოთა ამბოხის დროს ივანე ჯავახიშვილი ქალაქებრეთ, სოფ. კარსანში, ა. დიდებულიძის აგარაკზე ყოფილა. ნათელა ჯავახიშვილი იგონებდა: „თბილისიდან (აღარ მასსოფლა, ვისი ხელით) ჩემმა დეიდებმა აცნობეს მამას, რომ პირველივე დამეს მოაკითხეს მას. ქუჩაში დამის მორიგეს, ჩვენ მოხუც მეეზოვეს, შეეკითხეს სახლშია თუ არა მამა? იმას ეპასუხა, რომ მამა დასასვენებლადაა ოჯახთან ერთად წასული. მაშინ გაუფრთხილებიათ დაპატიმრების დაქადებით, რომ არავისთვის გაემხილა მათი მოსვლა. ამის მიუხედავად, წასულან თუ არა ისინი, მას უცნობებია ჩემი დეიდებისთვის ეს ამბავი. წერილის მიღებისთანავე მამა ფეხით წამოვიდა თბილისში და თვითონვე გამოცხადდა „ჩეკაში”, სადაც იგი დააპატიმრეს და დააყოვნეს 48 საათი. ჩვენ ეგ ამბავი არ ვიცოდით, მაგრამ, ცხადია, ძალიან ვღელავდით. საშინელი ხმები მოდიოდა ჩვენამდე და სინამდვილეშიც საშინელი ამბავი დატრიალდა საქართველოში. აღარ მასსოვს, რამდენი დღის შემდეგ ამოვიდა მამა (როდესაც სამატარებლო მიმოსელა აღდგა) და აბა, რადა გაგვაჩერებდა კარსანში! მთელი ოჯახი დაგბრუნდით თბილისში.

¹ ერქვეულ დიმიტრის ძე ტატიშვილი – (1884-1946), ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის საეციალისტი, დასავლური ენებისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ვუძემდებელი საქართველოში. 1904-1913 წლებში სწავლობდა ეკვერბერვაზის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის უძღვესებისა და სამატარებლოში. 1923-1927 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა ხელოსაშორისო ხაჯარო და საერთაშორისო ქართველ სამართლას, 1927 წლიდან კი ინგლისური ენისა და ლიტერატურის კურსს კითხულობდა, 1935-1946 წლებში იყო ჯერ უცხო ენათა კომისიის თაგმადომარე, შემდგა – უცხო ენათა კათედრის გამგე. 1945 წლიდან კითხულობდა აღმოსავლეთის დიპლომატის ისტორიის კურსს.

აქ საშინელი სურათი დაგვხვდა! ჩემი უფროსი დეიდაშვილი გია აბაშიძე¹, რომელიც უკვე რამდენიმე თვის წინ იყო დაპატიმრებული, როგორც უედერალისტი ახალგაზრდობის პარტიის ლიდერი და მეტების ციხეში იჯდა თავის რამდენიმე ამხანაგთან ერთად, — დახვრიტეს — 25 წლის, შესანიშნავი, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. ამავე დროს სოფელ კისისხევში მოკლეს მამაჩემის ბიძა კიკო ვახვახიშვილი² (კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის მამა³). დახვრიტეს მაკრინე თარხნიშვილ-წერეთლის (მაკრინე თარხნიშვილი-წერეთლისა — ორბელიანების ნათესავი, ივ. ჯავახიშვილის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მარიამ ვახტანგის ასულის სახლში) ორი შვილი, რომლებიც მამის, როსტომ წერეთლის სანახავდ იყვნენ წასული ჭიათურაში.

ეს ყველაფერი მე იმიტომ მოვიგონქ, რომ ადვილად წარმოსადგენია, როგორი მძიმე განცდები უნდა ჰქონდა მამაჩემს ამ საშინელ სიტუაციაში საერთოდ და განსაკუთრებით სახლში შექმნილი გარემოებისაგან. ჩემი ორივე დეიდა ლოგინად ჩავარდა. თამარმა ლეთარგიული ძილით დაიძინა იმ ამბის გაგონების შემდეგ, რომელიც მას მეტების ციხის კართან პირდაპირ მიახალეს. იქვე გრძნობა დაკარგა, სახლში რომ მოიყვანეს, აღარც მოსულა გონს და ასეთ მდგომარეობაში იყო სამი კვირის განმავლობაში. კიტას მეუღლე ნახევრად უგონო მდგომარეობაში ჩავარდა. ჩემს ორ უმცროს დეიდაშვილს თამარსა და ერეკლეს პროცესი გაეხსნათ. მთელი სიმძიმე დედაშემს და მამაჩემს დააწვათ. ენით აუწერებლი ამბავი ტრიალებდა ჩვენს ოჯახში...”⁴

აგვისტოს ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 5 სექტემბერს დაგმო მისი ინიციატორები⁵ ქართული სამეცნიერო ელიტის ამგარი პოზიცია დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

1921-1925 წლებში სამკურნალო ფაკულტეტზე მედიცინის დოქტორის სამეცნიერო სარისხი მოიპოვეს ა. ალადაშვილმა, ს.

¹ გიორგი კოტას ძე აბაშიძე — (1999-1924), 1922 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

² ნიკოლოზ (კიკო) ვახვახიშვილი — (1853-1924), რუსთის იმპერიის არმიის პილეტერი, გორის მაზრის უფროხი, ივ. ჯავახიშვილის დჯდის ძმა.

³ თამარ ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილი — (1894-1977), კომპოზიტორი. 1927 წ. დაამთავრა პარიზის კონკრეტიზმის 1921-1926 წლებში იყო თბილისის მუსიკის სკოლის დირექტორი. 1933-1971 წლებში მოღვაწეობა მოხსოვა.

⁴ ჯავახიშვილი 6. რაც მაგონდება, უკრ. ჩეკერი, 19.-წ. გვ. 19.

⁵ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1924 წ. მუსიკის სხდომის უქმებელი.

ვირსალაძე¹, ვ. მალენიუქმა, ს. ყიფშიძე², ვლ. ჟღენტმა³, ვ. ვარაზაშვილმა⁴, ხ. მახვილაძე⁵, ალ. წელუკიძე⁶, მიხ. მგალობლიშ-

¹ სიმონის სიმონის ძე ვირსალაძე – (1868-1930), ოქრაპევტი, საქართველოში მცხოვრული თერაპიისა და ტროპიკული მდიდარის ერთ-ერთი უუძემდებელი, მდიდარის მცხოვრებათა დოქტორი (1910), პროფესორი (1919). 1896 წ. დაამთავრა ტომბების უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1919 წ. აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად და პათოლოგიური თერაპიის კათედრის გამგებ, 1921 წ. – პოსტიტადური თერაპიის კათედრის გამგებ. იყო საქართველოში სამდიცინო განათლების ერთ-ერთი ორგანიზაციის, მისი თაოსნობით თბილისში 1916-1917 წლებში დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუქბიძებეჭყველთა სახოგადოება, როგორმაც დიდი როლი ითმას მა თხუ-ში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებაში. მისი ინიციატივით შეიქმნა ტროპიკულ სხეულებით ცენტრალური სადგური, რომელიც 1924 წელს, კლავა მისი გნიციატიფით, ტროპიკულ სხეულებითა ინსტიტუტიდან გადაეკვიდა.

სიმონ ნიკოლოზეს ძე ყიფშიძე – (1887-1953), ნეკროპათოლოგი, საქართველოში მცხოვრული ნეკროპათოლოგიის გუმბადებელი, მდიდარის მცხოვრებათა დოქტორი (1924), პროფესორი (1927). 1912 წ. დაამთავრა ნიკოროსის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი. ხელმძღვანელობდა ჯერ 1925-1930 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხოლო შემდეგ, 1930-1953 წლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ნეკროპათოლოგი, საქართველოში მცხოვრული ფაკულტეტის ასატომის გამექმებელი, მდიდარის მცხოვრებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1925), საქართველოს სსრ მცხოვრებათა აკადემიის აკადემიური (1950). 1914 წ. დაამთავრა ნიკოროსის უნივერსიტეტის სამდიცინო ფაკულტეტი. 1922-1930 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 1930-1972 წლებში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პათონატომის გამგებ. 1925 წ. თხუ-ში სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსა სასამართლო მცხიცინის კათედრა, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 1932-1959 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1945 წლიდან პროფესორი).

² გასილ სოფრომის ძე ვარაზაშვილი – (1888-1969), ბიოქიმიკოსი და პათოლოგიურისტი, მდიდარის მცხოვრებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930). 1918 წ. დაამთავრა ხარტვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი, 1921 წლიდან დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიური ასატომის გათვალისწინებით, 1925 წ. კროს წლით მივიღინებულ იქნა სახლარგებარეთ. 1924-1952 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სამდიცინო პარაზიტოლოგისა და ტროპიკული მდიდარის სამცხოვრისა და განვითარების ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის განვითარებას, 1931-1969 წლებში – ფილიოსის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრას.

³ ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე – (1890-1944), ოქრაპევტი, მდიდარის მცხოვრებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930). 1930-1936 წლებში იყო ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კერძო პათოლოგიურისა და თერაპიის კათედრის გამგებ. 1925 წ. მისი ინიციატივით დაარსდა პროფესორულ სხეულებითა პათოლოგიითა სამდიცინო ინსტიტუტი, რომელსაც, 1938 წლიდან თბილისის სამდიცინო ინსტიტუტის პროფესორულ სტუდენტების კურსების დოკუმენტების მიღების მიზანით დაარსდა ქუთაისის სამკურნალო ფაკულტეტი.

⁴ ალექსანდრე პეტრეს ძე წელუკიძე – (1888-1967), ქორუგი-უროლოგი, საქართველოში მცხოვრული უნივერსიტეტის ერთ-ერთი უუძემდებელი, მდიდარის

ვილმა¹.

თუ უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში ჩასარიცხად საკმარისი იყო საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა, 1924 წლიდან ყველა ფაქულტეტზე სავალდებულო გახდა მისაღები გამოცდები. პედაგოგიურ ფაქულტეტზე ბარდებოდა ქართული ენა, მათემატიკა, საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია, პოლიტიკური ეკონომიკა და საბჭოთა აღმშენებლობა; სოციალურ-ეკონომიკურ ფაქულტეტზე – ქართული ენა, საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია, პოლიტიკური ეკონომიკა და საბჭოთა აღმშენებლობა; სამკურნალო, აგრონომიული და პოლიტიკური ფაქულტეტებისათვის – ქართული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, პოლიტიკური ეკონომიკა და საბჭოთა აღმშენებლობა.

1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში 369 სტუდენტი სწავლობდა, 1919-1920 სასწავლო წელს – 1313, 1920-1921 სასწავლო წელს – 2729, 1921-1922 სასწავლო წელს – 3498, 1922-1923 სასწავლო წელს – 3724, 1923-1924 სასწავლო წელს – 3700, 1924-1925 სასწავლო წელს – 4663, 1925-1926 სასწავლო წელს – 6790, 1926-1927 სასწავლო წელს – 5904.

1921-1922 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 28 ახალგაზრდამ დაამთავრა, 1922-1923 სასწავლო წელს – 115-მა, 1923-1924 სასწავლო წელს – 162-მა, 1924-1925 სასწავლო წელს – 165-მა, 1925-1926 სასწავლო წელს – 123-მა, 1926-1927 სასწავლო წელს – 187-მა.

1918-1919 სასწავლო წელს უნივერსიტეტში 2 ასპირანტი იყო, 1919-1920 სასწავლო წელს – 11, 1920-1921 სასწავლო წელს – 12, 1921-1922 სასწავლო წელს – 15, 1922-1923 სასწავლო წელს – 15, 1923-1924 სასწავლო წელს – 22, 1924-1925 სასწავლო წელს – 22, 1925-1926 სასწავლო წელს – 23, 1926-1927 სასწავლო წელს – 32.

¹ მეცნიერებათა დოქტორი (1925), პოლიტიკოსი (1930), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიერი (1955). 1913 წ. დაამთავრა ხარუიგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაქულტეტი, 1922-1924 წლებში გერმანიაში და საფრანგეთში დახვდომისათვის. 1930-1959 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქორუმითი და უროღოვითი კათედრებს, 1949-1953 წლებში – ექიმია დახვდომისათვის ინსტიტუტში ინსტიტუტში, 1953-1967 წლებში – მისივე ინიციატივით დაარსებულ უროღოვითი კათედრების ინსტიტუტში, 1967-1973 წლებში – მისივე ინიციატივით დაამთავრის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

¹ მიხეილ მედიცინური მუზეუმის დამამთავრი – (1887-1931), ექიმი, კინემატოგრაფი, დაიბაზო, ქვებაში, სახასი დამთავრი უნივერსიტეტის სამკურნალო ფაქულტეტი, 1914-1919 წლებში მუშაობდა იქნებ მდან-გინეგეროვოვიად. 1920 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარუიგის ფაქულტეტის გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტად. 1925 წ. დაიკვა სადოქტორი დასერტაცია, იმუნიტერიზაცია ხარუიგითხა და გერმანიაში ხამციერო მუზეუმის იური პოლიტიკოსი (1930).

1918 წელს უნივერსიტეტი 12 პროფესორი იყო, 2 დოცენტი, 4 მასწავლებელი, სულ – 18 პროფესორ-მასწავლებელი და სამეცნიერო დამსმარე პერსონალი. 1918-1919 სასწავლო წელს იყო 16 პროფესორი, 7 მასწავლებელი, სულ – 23. 1919-1920 სასწავლო წელს იყო 20 პროფესორი, 6 დოცენტი, 7 მასწავლებელი, 20 ასისტენტი, 3 ორდინატორი, 2 პრეპარატორი, სულ – 64; 1920-1921 სასწავლო წელს იყო 30 პროფესორი, 7 დოცენტი, 7 მასწავლებელი, 34 ასისტენტი, 5 ორდინატორი, 10 პრეპარატორი, სულ – 93; 1921-1922 სასწავლო წელს იყო 34 პროფესორი, 13 დოცენტი, 18 მასწავლებელი, 56 ასისტენტი, 19 ორდინატორი, 15 პრეპარატორი, სულ – 155; 1922-1923 სასწავლო წელს იყო 34 პროფესორი, 15 დოცენტი, 27 მასწავლებელი, 66 ასისტენტი, 25 ორდინატორი, 28 პრეპარატორი, სულ – 195; 1923-1924 სასწავლო წელს იყო 36 პროფესორი, 19 დოცენტი, 35 მასწავლებელი, 86 ასისტენტი, 29 ორდინატორი, 29 პრეპარატორი, სულ – 234; 1924-1925 სასწავლო წელს იყო 38 პროფესორი, 19 დოცენტი, 45 მასწავლებელი, 102 ასისტენტი, 43 ორდინატორი, 39 პრეპარატორი, სულ – 286; 1925-1926 სასწავლო წელს იყო 40 პროფესორი, 20 დოცენტი, 56 მასწავლებელი, 106 ასისტენტი, 43 ორდინატორი, 46 პრეპარატორი, სულ – 311; 1926-1927 სასწავლო წელს იყო 41 პროფესორი, 26 დოცენტი, 85 მასწავლებელი, 108 ასისტენტი, 44 ორდინატორი, 46 პრეპარატორი, სულ – 350.

1918 წელს უნივერსიტეტი 1 მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭეს (დისერტაციის დაუცველად); 1920 წელს – 2 (ერთი დისერტაციის დაუცველად); 1921 წელს – 1, 1923 წელს – 1, 1924 წელს – 4, 1925 წელს – 6 (მათ შორის 1 დაუცველად), 1926 წელს – 1.

ცხადია, იზრდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსების მოცულობა. უნივერსიტეტის ბიუჯეტი (ათას მანეთებში) დინამიკაში ასე გამოიყურებოდა: 1918 წლისთვის – 21,1; 1919 წელს – 82, 4; 1920 წელს – 187, 5; 1921 წელს – 177, 2; 1922 წელს – 136, 5; 1923 წელს – 285, 5; 1924 წელს – 246, 1; 1925 წელს – 581, 7; 1926 წელს – 883, 1.¹

1926 წლიდან ამოქმედდა უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომლის თანახმად, პროფესიორთა საბჭოს უფლებები შეიკვეცდა და მართვის სადაცები გამგეობას გადაეცა. უნივერსიტეტის საბჭოში, ფაქულტეტების საბჭოებსა და საგნობრივ კომისიებში განსაკუთრებით გაძლიერდა უმცროს მასწავლებელთა, სტუდენტთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობა – მათი

¹ გ. გამურულიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948; თბ., 1948, გვ. 295.

წარმომადგენლები საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმომადგენლენენ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის გამგეობის წევრები იყვნენ: რექტორი, სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი, ადმინისტრაციული ნაწილის პრორექტორი, სტუდენტთა საქმეების პრორექტორი, პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, სამკურნალო, აგრონომიული და პოლიტიკური ფაკულტეტის დეკანები, მუშათა ფაკულტეტისა და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი, მეცნიერების მუშათა სექციის ბიუროს, სტუდენტთა აღმასრულებელი ბიუროს, უმცროს მასწავლებელთა კოლეგის, ადგილობრივი კომიტეტისა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წარმომადგენლები.

1926 წლისთვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა ასეთი იყო:

ალ. ალადაშვილი (შინაგან სწავლებათა თერაპია), ს. ამირეჯიბი (ბაქტერიოლოგია და ჰიგიენა), ი. ანფიმოვი (ნეფროლოგია), გ. ახვლედიანი (ზოგადი ენათმეცნიერება, ოსური ენა), ა. ბენაშვილი (გეოდეზია და ასტრონომია), ი. ბერიტაშვილი (ცხოველთა ფიზიოლოგია), ს. გოგიტიძე (პედიატრია), ფ. გოგიჩაიშვილი (პოლიტიკური ეკონომია, ფინანსები, სტატისტიკა), ა. დიდებულიძე (ფიზიკა და ელექტროტექნიკა), ვ. ვორონინი¹ (ზოგადი პათოლოგია), ს. ვირსალაძე (სპეც. პათოლოგია და თერაპია), ა. თვალჭრელიძე (მინერალოგია და კრისტალოგრაფია), ი. თიკანაძე² (მეანო-

¹ ელადიძე ვასილის ძე ფორმინი - (1870-1960), პათოლოგიზმითოლოგი, საქართველოში მეცნიერებული პათოლოგიზმითი უცემებების მფლობელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1897), პროფესორი (1908), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სააკადიო აკადემიკოსი. 1893 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტში. 1908-1922 წლებში მუშაობდა რედის უნივერსიტეტსა და სამედიცინო ინსტიტუტში. 1922 წ. აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი პათოლოგიის პროფესორად, იყო თევ-ის სანიტარებული ინსტიტუტის გამგება. 1923-1930 წლებში ხელმძღვანელობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ზოგადი პათოლოგიის, ხელორ შემდეგ, 1930-1953 წლებში, - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრას. 1944-1960 წლებში - ფიზიოლოგიის ინსტიტუტში პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრიდანას.

² ივანე კლიშექის ძე თიკანაძე - (1868-1943), მეან-გინეკოლოგი, საქართველოში მეცნიერებული მეანობის ერთ-ურთი უცემებებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1897), პროფესორი (1919). 1894 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამედიცინო აკადემია, მოსაზღვრული I მხრევლით იმშე, იყო თბილისის სახელმწიფო პრინციპალის მთავარი ექიმი. 1919 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1930 წლიდან) კი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში) სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების ერთ-ურთი თრგანიზატორი, თხუ-ის მეცნიერა-გინეკოლოგიის კათედრის დამარსებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო სიცოცხლის ბილიონდებული.

ბა), ნ. კახიანი¹ (ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია), პ. ქეყლიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია), ა. მაჭავარიანი (კლინიკური ქირურგია), პ. მელიქიშვილი (ორგანული და სასოფლო-სამეურნეო ქიმია), ვ. მოსეშვილი (ფარმაკოლოგია), ი. მოსეშვილი² (არაორგანული ქიმია), ვ. მუსხელიშვილი³ (თვალის სწერულებანი), ნ. მუსხელიშვილი (თეორიული მექანიკა), გ. მუხაძე (ქირურგია), ა. ნათიშვილი (ანატომია და პისტოლოგია), შ. ნუცებიძე (ფილოსოფია და ფილოსოფიის ისტორია), მ. პოლივე-ქირვი (აღმოსავლეთ ეკრაპის ისტორია, ახალი დროის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია), ა. რაზმაძე (მათემატიკა), დ. უზნაძე (ფიქროლოგია), ი. ქუთათელაძე⁴ (ფარმაცია და ფარმაკოგნზოზია), გ. დამბარაშვილი (გინეკოლოგია, რენტგენოლოგია), ა. შანიძე

¹ნიკოლოზ საულის ძე ქახიანი – (1884-1928), ქირურგი და მორფოლოგი, მედიცინის მეცნიერებათ დაქმოთ (1917). პროფესორი (1917). 1910 წ. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი, რომლის ანატომიის კათედრაზე მუშაობდა 1914 წლამდე სიადანაც ოთხევრ მიაკვლინებ ქაირში ბალზამირების გვაგაბეჭრის წესის შესასწავლად. 1917 წ. აირჩიეს გაატარონტოსლავის უნივერსიტეტის სამეცნიერადო ფაკულტეტის ანატომიის კათედრის გამგედ. 1919 წლიდან აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერადო ფაკულტეტის ტომოგრაფიული ანატომიისა და ოფტოგრაფიული ქირურგიის კათედრის გამგედ. 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თეუ-ის სამეცნიერადო ფაკულტეტის (1930 წლიდან კი – თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის) ქირურგიული პროფესიების კათედრას.

²იასონ აკელეს ძე მოსეშვილი – (1876-1968), ქიმიკი, პროფესორი (1920). 1902 წ. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფიზიკ-მათემატიკის ფაკულტეტის საბენებრისმეცენტრული განყოფილება. 1919 წ. მიიწევეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაორგანული ქიმიის კათედრის გამგედ, ხადაც მუშაობდა 1965 წლამდე.

³გახტაძე სოლომონის ძე შესხელიშვილი – (1869-1933), მოფალმოლოგი. 1898 წ. დაამთავრა ხარუივის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი. 1921 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტის თვალის სწერულებათა კლინიკასა და კათედრას.

⁴იოგლ გრიგორის ძე ქუთათელაძე – (1887-1963), ფარმაცეტი-ქიმიკი, საქართველოში უძღვესი ფარმაცევტული განათლების, ქიმიურ-ფარმაცევტული მეცნიერებისა და ფარმაცეტის მეცნიერების ფულქმდებელი. ფარმაციის მაგისტრი (1919), პროფესორი (1921), ბიოლოგიურ მეცნიერებათა ღიაქორი (1935), საქართველოს სხელ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). 1910 წ. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. 1920 წ. იყო მოდების სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესიონი. 1921 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ფარმაციის, ფარმაცეტნოზის და სასამართლო მედიცინის დაბორიტორიის გამგე თსუ-ის პროფესიონალთა საბჭოს მდივანი. კითხველობდა სასამართლო ქიმიისა და ფარმაცია-ფარმაცევტნოზის კურსებს. 1932 წ. თბილისში დაარსა ფარმაცეტის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. 1937-1948 წლებში იყო ფარმაცევტული ინსტიტუტის დამტებორი. 1948 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის სასამართლო და ანალიზური ქიმიის კათედრებს.

(ქართული ენა და დიალექტოლოგია, არაბული ენა), გ. ჩუბინაშვილი (ზოგადი ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ხელოვნების ისტორია), ა. ცაგარელი (ქართული ლიტერატურის ისტორია), მ. წინამდლერიშვილი¹ (დიაგნოსტიკა), ა. ჯავახიშვილი (გეოგრაფია და ანთროპოლოგია), ივ. ჯავახიშვილი (საქართველოსა და სომხეთის ისტორია, ისტორიულ მეცნიერებათა მეთოდოლოგია). დოცენტები: კ. ამირაჯიბი² (სასოფლო-სამეურნეო მანქანები), ლ. ანდრონიკაშვილი (სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი), მ. ასათიანი (ფსიქიატრია), დ. გეღვეგანიშვილი³ (ზოგადი მიწათმოქმედება), გ. გეხტმანი (ეპონომიკური გეოგრაფია და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა), ს. დანელია (ფილოსოფიის ისტორია), ი. თულაშვილი (სამშენებლო საქმე), ნ. იოსელიანი⁴ (ზოოტექნიკა),

¹ მიხეილ დოროთეს ძე წინამდლერიშვილი – (1882-1956), ოქრაპეტრი საქართველოში მუსიკეული თერაპიისა და კარდიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მუსიკის მუსიკოსი დოკტორი (1921), პროფესიონალი (1924), საქართველოს სსრ მუსიკეული გამარჯვებით აკადემიის აკადემიკოსი (1946). 1910 წ. დაამთავრა სარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1921-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და ულტრავიზოს დაიგნოსიკის კათგორია. 1927-1928 წლებში მიკლინებული იყო ბერლინის, კენისა და პარიზის კლინიკებში. 1930-1956 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პოსპიტადური თერაპიის კათგორია. 1946 წ. დაარასა კლინიკური და ექსპრიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო ხიცოცხლის ბოლომძე.

² ერნესტანტინ მიხეილის ძე ამირაჯიბი – (1869-1948), პროფესიონალი (1927). 1893 წ. დაამთავრა თბილის უნივერსიტეტი, საფრანგეთსა და გერმანიაში სამუცნიერო მულავების შეძლევა დამრგვნება საქართველოში. 1919 წ. მისი მიერთებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოკოდებული და სახოცელო-სამუცნიერო მანქანათმცოდნების კათგორის გამგები. 1927 წ. ჩამოაყალიბა სახოცელო-სამუცნიერო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური, ხოლო 1931 წ. – ამ სადგურის ბაზზე სოფლის მუსიკობის მუსიკაზურის პალკითი ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1934 წლამდე.

³ დომიტრი პატელეგიძეობის ძე გეღვეგანიშვილი – (1884-1958), ნიადაგმცოდნებ, პროფესიონალი (1930), სოფლის მუსიკობის მეცნიერებათა დოკტორი (1950), საქართველოს სსრ მუსიკეული გამარჯვების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1914 წ. დაამთავრა პოლონეკიში ნოვოალეკსინდრიის სოფლის მუსიკობისა და მეტყველების ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1919-1929 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნებისა და სოფადი მიწათმოქმედების კათგორია. 1929 წლიდან საქართველოს სახოცელო-სამუცნიერო ინსტიტუტში იყო ხიადაგმცოდნების კათგორის გამგე.

⁴ ნიკოლოზ (ჯვებ) ავლეს ძე იოსელიანი – (1894-1928), ზოოტექნიკოსი, საქართველოში ზოოგენერიკური მეცნიერების, გენეტიკური განათლებისა და კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1921 წ. დაამთავრა ბონის ავრონიმიული კადეგმა. 1923 წ. პალეოზო დაიცვა საღისებრო დისეკტაცია, სამზადებლოში დამრგვნდა და სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავრონიმული ფაკულტეტის შინაგარი ცხოველების მომზენებლობისა და გენეტიკის კათგორია, ექსპრიმენტულ მუშაობას მუხრანის სახწავლო მუსიკობაში.

გ. ნათაძე (მსოფლიო ისტორია), გ. ნიკოლაძე (მათემატიკა), ლ. მელიქშვილბეგი (სომხური ენა), ვლ. ქლდნები (პათოლოგიური ანატომია), ბ. ღორგებერიძე¹ (გინეკოლოგია), ნ. ყიფიანი² (გეოლოგია), მ. შალამბერიძე³ (ფიზიკური ქიმია), გ. ჯავახიშვილი (ანთროპოლოგია, ზოოლოგია), ა. ჯანელიძე (გეოლოგია და პალეონტოლოგია). ლექტორები: ი. აბულაძე (სპარსული ენა), ვ. ალექსანდროვი (მცენარეთა ანატომია და ფიზიოლოგია), ნ. ასასოვანი⁴ (ყელის, ყურისა და ცხვირის სწეულებანი), გ. გეღვეგანიშვილი⁵ (მექან. ტექნოლოგია), დ. გულია⁶ (აფხაზური ენა), ნ. პ. გრინგვესკი (მხაზველობა),

¹ ბორის ქონსტანტინეგა დე ლორობერიძე – (1884-1954), მეცნიერებლოგი, საქართველოში სამეცნიერო გამოძიების უმცირესი სერიას ერთ-ერთი გუმბაზული მეცნიერებათა დოქტორი (1919), პროფესიონალი (1930). 1908 წ. დაამთავრა ნიუკორტის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი, 1921 წ. დაკისრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტისა და კათედრის გამგებლობა და ლექციების კითხვა დროუბით. 1922 წ. დამბირდა თბილისის სამეცნიერო ფაკულტეტზე დოცენტის თანამდებობაზე. 1932 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის პრიორის, ხოლო 1942 წლიდან ვარდაცვლაუდამდე – პრიორის, სანიტარიუსა და სტომატოლოგიის ფაკულტეტზე მანანბა-გინერლოგიის კათედრის გამგებელი.

² ნერ მანქარის ძე კიფანი – (1887-1965), გეოლოგი, პროფესიონალი (1930). 1912 წ. დაამთავრა სორბიის უნივერსიტეტის 1915 წლიდან მუშაობდა კაფენის მუზეუმში (1919 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), 1918-1925 წლებში იყო ძირი დარგებრივი. 1921-1924 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის პირველი პატაგ.

³ მიხეილ იოსების ძე მაღამბერიძე – (1885-1958), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1920), პროფესიონალი (1930). 1911 წ. დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი. 1919-1929 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1929-1939 წლებში – საქართველოს პროგრესისტური ინსტიტუტში, 1939-1945 წლებში თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტში, 1945-1958 წლებში – საქართველოს სასოფლო სამეცნიერო ინსტიტუტში.

⁴ ნიკოლოზ მიხეილის ძე ასასოვანი – (1877-1952), ოტოლარიისტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1910), პროფესიონალი (1922), საქართველოში კლინიკური ოტოლარიისტოლოგიის უცმებმდებელი. 1900 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამეცნიერო-სამეცნიერო აკადემია დროს მუშაობდა თბილისის სამეცნიერო პენსიონერში, ასევე დებურებში. შემდეგ 1922-1930 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ალექსანდრულობის მუზეუმში კათედრის გამგებელი. 1930-1952 წლებში თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტში კათედრის გამგებელი.

⁵ გიორგი ქონსტანტინეგა დე გეღვეგანიშვილი – (1883-1957), მეცნიერი დიითონთა ტექნოლოგიის დამბირი, პროფესიონალი (1932), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კრესიონისტები (1944). 1912 წ. დაამთავრა პეტერბურგის საარტილერიატო აკადემია. მოხაზილებდა ქართული ტერმინოლოგიის შემსრულებელი.

⁶ დამიტრი იოსების ძე გულია – (1874-1960), მეცნიერი, აფხაზური ლიტერატურის ფუნდაციელი. 1924-1926 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა აფხაზურ ენას.

ლ. დიასამიძე¹ (პიდრავლიკა), ა. ვაჩეიშვილი² (სოციოლოგია), ი. ვაწაძე (გამოყენებითი მქანიკა), ფ. ზაიცვევი³ (ენტომოლოგია), გ. კონიაშვილი (მათემატიკა), გ. ზაკტრეგერი (მეტყეობა), ი. ლომოური (სოფლის მეურნეობა), ე. ორბელიანი (ფრანგული და ინგლისური ენგბი), ვ. როსტომბეგოვი⁴ (ზოოლოგია), გ. რცხილაძე (სამოქალაქო სამართალი), ირ. სურგულაძე (სახელმწიფო სამართალი), გ. ტატიშვილი (საერთაშორისო სამართალი), ხ. ყანჩაველი (ბოტანიკა), ს. ყაუხებიშვილი (ლათინური ენა), ივ. ყიფშიძე⁵ (მეტალურგია), ილ. ყიფშიძე (გერ-

¹ ლევან ნიკოლოზის ძე დიასამიძე – (1882-1969), ინჟინერი, პიდრავლიკოსი, პროფესიონალი (1930). 1912 წ. დაამთავრა შეფერარიაში დორსანის სისწინეორი ინსტიტუტი. 1929-1935 წლებში იყო ნატახტრის წარმატების პროცესის აგენტორი და შემცირდობის მთავარი ინჟინერი. 1945 წლიდან საქართველოს მოღიტექნიკური ინსტიტუტში წარმატებული გათვალისწინებული მატერიალის და კანალიზაციის გათვალისწინებული მატერიალის გამგე.

² ალექსანდრე კონსტანტინის ძე ვაჩეიშვილი – (1886-1964), იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სისხლის სამართლისა და სამართლის ისტორიის სპეციალისტი. 1912 წ. დაამთავრა რევენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1922 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კოსტუმობრივ და ლეგიციების უკანს სოციოლოგიაში, სამართლის თეორიაში, სისხლის სამართლაშა და სისხლის სამართლის პროცესში. 1931-1964 წლებში იყო თხუთმეტი პროფესიონალი და სისხლის სამართლის კათედრის გამგე.

³ ფილიპ ადამის ძე ზაიცვევი – (1877-1957), ენტომოლოგი, საქართველოს სსრ მუცინერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1900 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურის ფაკულტეტის სპეციალისტი. 1911 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოში. შემდეგ მას თაოსნობით 1912 წ. ჩამოყალიბდა თბილისის ბიტანიური ბაღის ენტომოლოგის კაბინეტი.

⁴ გალერიას ნიკოლოზის ძე როსტომეგოვი – (1878-1965), დაიბადა თბილისში, თურქი ახალის რჯახაში, სწავლობდა თბილისის I გიმნაზიაში დაამთავრა 1899 წ. და სწავლა განაგრძო ხარჯოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განცოცილებაზე. 2 წლის შემდეგ გადავიდა საბუნებისმეტყველო განცოცილებაზე, რომელიც 1911 წ. დაამთავრა. 1911-1915 წლებში მუშაობდა ხარჯოვის სამეცნიერო-კურსინარეკლ და პედაგოგიკურ ინსტიტუტებში, მოხაწილეობდა I მხოლოდი მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად, ლექტორად, კათედრის გამგედ, ხოლო 1930 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტში. მას კუთხითის ქრონიკულ ენაზე ფუნდამენტური სახელმძღვანელო სამეცნიერო პარაზიტოლოგიაში. მის სახელს ატარებს თხუთმეტი ბიოლოგიის ფაკულტეტის ერთო დამორატორია.

⁵ ივანე ანდროს ძე ყიფშიძე – (1881-1959), მცნიური სამორ დარგში, პროფესიონალი (1950). 1907 წ. დაამთავრა გერმანიაში აახნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამორ ფაკულტეტის. 1914-1918 წლებში იყო საქართველოს სამორ სამართლის უფროსი, მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის შემნაში, იყო ამ ფაკულტეტის მდივანი და თხუთმეტი პროფესიონალი სამდინაროს წევრი, ექსპერტი პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მანული ენა), ს. ჩოლოფაშვილი (მეგენახეობა), ა. ჯვარიშვილი¹ (ბერძნული ენა).

უნივერსიტეტს პქონდა დამხმარე სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებები, მათ შორის, თერაპიული (გამგე პროფ. ა. ალა-დაშვილი), ნერვულ სნეულებათა (გამგე პროფ. ს. ყიფშიძე), ჰოს-პიტალური თერაპიული (გამგე პროფ. სპ. ვირსალაძე), სამეცნი (გამგე პროფ. ი. თიკანაძე), ქირურგიული (გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი), ჰოსპიტალური ქირურგიული (გამგე პროფ. გ. მუხაძე), გინეკოლოგიური (გამგე პროფ. გ. დამბარაშვილი), ბავშვთა სნეულებისა (გამგე პროფ. ს. გოგიტიძე), ფსიქიატრიული (გამგე დოც. მ. ასათიანი), კანისა და ვენერიულ სნეულებათა (გამგე პროფ. ვლ. ბურგხდორფი), დიაგნოსტიკის (გამგე პროფ. მ. წინამძღვრიშვილი), ყელის, ყურისა და ცხვირის სნეულებათა (გამგე დოც. ნ. ასპისოვი), თვალის სნეულებათა (გამგე პროფ. ვ. მუსხელიშვილი) კლინიკები; ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის (გამგე პროფ. ს. ამირეჯიბი), ფიზიოლოგიის (გამგე პროფ. ი. ბერიტაშვილი), ფიზიკის (გამგე პროფ. ა. დიდებულიძე), ორგანული და სასოფლო-სამეცნეო ქიმიის (გამგე პროფ. პ. მელიქიშვილი), ანალიზური ქიმიის (გამგე პროფ. ი. მოსეშვილი), ფარმაკოლოგიის (გამგე პროფ. ვ. მოსეშვილი), ფარმაციის, ფარმაკონზის და სასამართლო მედიცინის (გამგე პროფ. ი. ქუთაოველაძე), ფიზიკური ქიმიის (გამგე დოც. მ. შალამბერიძე) ლაბორატორიები; ანატომიის (გამგე პროფ. ა. ნათოშვილი), სანიტარული (გამგე პროფ. ვ. ვორონინი), პათოლოგიური ანატომიის (გამგე პროფ. ვლ. ჟღენტი) ინსტიტუტები; მინერალოგიის (გამგე პროფ. ა. თვალჭრელიძე), უქსანერიმენტული ფსიქოლოგიის (გამგე პროფ. დ. უზნაძე), რენტგენოლოგიის (გამგე პროფ. გ. დამბარაშვილი), ხელოვნებისმცოდნეობის (გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილი), გეოდაზიის (გამგე პროფ. ა. ბენაშვილი), გეოლოგიის (გამგე პროფ. ა. ჯანელიძე), ზოოლოგიის (გამგე დოც. გ. ჯავახიშვილი), მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის (გამგე ლექტ. ვ. ალექსანდროვი), ენტომოლოგიის (გამგე პროფ. ა. ჯავახიშვილი), ნუმიზმატიკური (გამგე ლექტ. თ. ლომოური), ფოტოგრაფიული (გამგე თ. კიუნე) კაბინეტები; სიმკელეთა (გამგე პროფ. კეკელიძე) და ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის (გამგე პროფ. გ. ჩუბინაშვილი) მუზეუმები.²

უნივერსიტეტის დაარსებასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის პირველ დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებ-

¹ ათანასე თეოდორეს ძე ჯვარიშვილი – დაიბადა 1864 წ. დაამთავრა ქ. ნიკინის ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი (1889 წ.), 1920-1936 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა ბერძნულს.

² გ. გამურყლიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948, თბ. გვ. 101.

ბას – წიგნთსაცავს, რომელიც თავდაპირველად მოთავსებულ იქნა ერთ-ერთი აუდიტორიის გადატიხვრის გზით მოწყობილ ოთახში. უნივერსიტეტის წიგნთსაცავის ფონდი ივნებოდა მცირე მოცულობის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებათა წიგნთსაცავებისა და კერძო პირთა შემოწირული ბიბლიოთეკების ხარჯზე.

1926 წლისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შევე 250.000-ზე მეტი წიგნი ინახებოდა.

ამ წელს პირველად მოიწვიეს სამუშაოდ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი და საპროფესოროდ დატვებული ახალგაზრდა მეცნიერები: ს. ჯანაშია (აფხაზური ენა), ა. ჩიქობავა (ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკული კურსი, ჭანური ენა, ენათმეცნიერების ისტორია და მეთოდოლოგია), ვ. თოფურია (ქართული დიალექტოლოგია და ენათმეცნიერება).

ღოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვეს ს. ყაუხეჩიშვილმა, ს. დანელიამ, შ. ნუცუბიძემ. პ. ერისთავგამა¹.

აგრონომიულ ფაკულტეტს დაუბრუნდა ყოფილი სასულიერო სემინარის შენობა, სადაც კათედრებთან და ლაბორატორიებთან ერთად განთავსდა საბჭეო მუზეუმი, რომლის 1923 წელს ლიკნის სასახლიდან გადმოზიდული კოლექციები მანამდე პირველი კორპუსის დაუმოაგრებელ სააქტო დარბაზში იყო განთავსებული.

კომუნისტური იდეოლოგიური მანქანა მთელი თავისი ძლიერებით იწყებდა მუშაობას: 1926 წლიდან სასწავლო გეგმაში შეტანილი იქნა ისეთი საგნები, როგორიცაა საბჭოთა კონსტიტუცია, სოციალიზმის ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები, ისტორიული მატერიალიზმი.

ამ დროისათვის კულმინაციას მიაღწია საბჭოთა რეჟიმის პრძოლამ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. პარტიული მუშა-

¹ ქონსტანტინე დავითის ძე ერისთავი – (1889-1975). ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დაქტორი (1926), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1950). 1914 წ. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის სამეცნიერო ფაკულტეტი, მონაწილეობდა I მხრივით მოშ. 1928-1930 წლებში ხელმძღვანელობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნალო ფაკულტეტის, ხოლო 1931-1941 წლებში ის – თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრას. 1941-1950 წლებში – თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის საფარმაციულო ქირურგიის კათედრას, 1949-1960 წლებში იმავე ინსტიტუტის პოსტგრადული ქირურგიის კათედრას. 1941-1950 წლებში – თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის დოკუმენტიროვანი კათედრას. 1948-1950 წლებში – სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დოკუმენტიროვანი კათედრას. 1950-1974 წლებში – გენერიმებული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დოკუმენტიროვანი კათედრას.

კები და პროლეტარული წრიდან გამოსული ახალი წითელი ინტელიგენცია აშკარა თავდასხმაზე გადავიდა.

იმ ბრალდებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის გამოცდილი ბოლშევიკის, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველის ვანო ალისანაშვილის¹ საიდუმლო წერილი, რომელიც მან საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის სამსარეო კომიტეტის პირველ მდივანს სერგო ორჯონიქიძეს გაუგზავნა და რომელშიც იგი თბილისი უნივერსიტეტის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებების გაბათილებას ცდილობდა. ამ მოხსენებითი ბარათის შექმნის მოტივი უფრო შიდა პარტიული დაპირისპირება უნდა ყოფილიყო, ვიდრე უნივერსიტეტის დაცვის უანგარო სურვილი, აგტორის მიზანს ფილიპე მახარაძის², მამია ორახელაშვილის³, მარო ორახელაშვი-

¹ ივანე ალისანაშვილი (რევოლუციური მეტსახელი „ხუნხუზა“) ცნობილი რევოლუციონერ-ბრუნეული და ტერორისტი 1884 წელს დაიბადა თბილისში, ასელგაზე ზერდაბადისავე რევოლუციონერთა საიდუმლო კრებულზე გაუცხნია ფილიპე მახარაძე, არაქლელო იქთვაშეიღო, მიხედვ ჩიდომის უნივერსიტეტის, ვანო სტეფანაშვილის სხვ. ტერორისტულ აქტებში მონაწილეობისათვის მრავალჯერ იყო ნასამართლევი. 1920 წლის დაწესებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამხმარეთვის მოღამარაკებებს აწარმოებდა სახალხო გვარდის ბატალიონთან, რის გამოც დააკატიმორებს და მეტების ციხეში ჩასვეს. 1921 წ. გმიგრაციაში წასულ საქართველოს მთავრობას სათვალითვალოდ გაჰყავა. 1925 წ. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ ექსტრადიტებულს საქართველოში დახვედრა მოუწევეს ორჯონიშვილმ, გვამისამართებულმა, კლიასამ, ორახელაშვილმა, მიხა ცხაკაიძემ. მუშაობდა მუშარ-გლეხურ ინსტუტიში. (საქართველოს ფარგლების ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 290. ან. 3. საქშე 83, ფურც. 30-47).

² ფილიპე ექებ ძე მახარაძე – (1868-1941) საბჭოთა რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მაღალინისანი, 1921-1922 წლებში სოციალისტური საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სფსრ სახელმწიფო საგვარეულო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სფსრ ცაიის თავმჯდომარე, 1938 წლიდან საქართველოს სსრ უმცროვენი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და სსრკ უმცროვენი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგიდე.

³ მამია (ივანე) ლიმიტრის ძე ორახელაშვილი – (1881-1937), რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მაღალინისანი. 1908 წ. დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამდიციონო აკადემია. 1920-1921 წლებში იყო საქართველოს კპ(ბ) ცკის თავმჯდომარე და რკპ(ბ) ცკის კავბიუროს წევრი, 1921-1925 წლებში – საქართველოს რევოლუციონის თავმჯდომარე, საქართველოს კპ(ბ) ცკის მდივანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო თავმჯდომარის მოადგიდე, ამიერკავკასიის სფსრ სახელმწიფო თავმჯდომარე, 1923-1925 წლებში – სსრკ სახელმწიფო თავმჯდომარის მოადგიდე, 1926-1929 და 1931-1932 წლებში – საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამსარეო კომიტეტის I მდივანი, 1932-1937 წლებში მოსკოვში მარქს-ენგბლაუგნინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგიდე დახურიტე ანგისახელმწიფოუნივერსიტე საქართველოს ბრალდებით.

ლის¹, მიშა ოკუჯავასა² და სხვათა დისკრედიტაცია წარმოადგენდა, თუმცა ამ წერილში პუნქტებიადაა ჩამოყალიბებული საბჭოთა პარტიული მუშაკების მიერ უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები, ამიტომ მოგვაქს მოხსენებითი ბარათიდან ვრცელი ნაწყვეტები:³

„მე პირადად ვიცი და მოწე ვარ ევროპაში ყოფნის დროს, – წერდა ვ. ალიხანაშვილი სერგო ორჯონივიძეს, – რომ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ამერიკა და თვით საბჭოთა რუსეთიც, გათავებული აზერბაიჯანით და სომხეთით, თუ როგორი შეგნებით და პატივისცემით გაყრობიან თავიანთ ნაციონალურ უნივერსიტეტის მნიშვნელობას! მაშ რადა დააშავა საბჭოთა საქართველოს უნივერსიტეტია? რომ დღევანდლამდის მის თავდაღებულ შრომას ასე მოუფიქრებლად ცილი დასწამეს და საბჭოთა მთავრობის წინაშე აბეზდებენ?..“

...წარსულ დღებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ კ. სულაქველიძის, საქართველოს მუშათა პარტიის ბელად ფ. მახარაძის და ამავე პარტიის მუშაკ მ. საყვარელიძის წერილებმა უნივერსიტეტის შესახებ საბჭოთა საქართველოში გამოიწვია აზრთა შეხლა-შემოხლა და დიდი ქაოსი!..

...პირველი ბრალდება, აღნიშნულ ავტორების მიერ ის არის, რომ თითქოს ჩვენი უნივერსიტეტი რგავქოონურ ბერეთ იყოს გადაქცეული და შიგ ანტიმარქსიზმს პქადაგებდნენ და ერთი სიტყვით შიგ ტრიალებს „არა მუშარი სული“, რამდენად ეს მართალია ამას დაინახავთ შემდეგით: ჩვენი ქართველი პროფესორები ცარიზმის დროს, მიუხედავად იმისა, რომ იგინი ფრიად პროფესიულ ძალას წარმოადგენდნენ, მათ უფლებას არ აძლევდნენ თავისუფალ მოქმედებისას და ამიტომ იგი ყოველთვის იყო და არის უაღრესად დემოკრატიულ პრინციპით აღჭეული. ამ ნიადაგზე ხშირად ატარებდნენ ისინი რევოლუციურ სახელს. და დღეს როდესაც ისინი

¹ მარიამ პლატონის ასული მიქელაძე-ორახელაშვილისა — (1887-1937), რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მაღალისტორიანი, დამოუკიდებელი პეტერბურგის უცხო ეხათა თრწლანის ქადთა პედაგოგიური ინსტიტუტი, სწავლობდა პეტერბურგის ბესტუმუშის ქალთა უმაღლეს კურსებზე, პარიზის უნივერსიტეტში. 1918 წლიდან საქართველოში ქრისტიანულ რევოლუციურ საქმიანობას. 1921 წ. საბჭოთ ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მეშაობდა მაღალ თანამდებობებზე, უმთავრესად განათლების სფეროში, იყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი. დახვრიტეს ანტისახლმწიფო უფრის საქმიანობის ბრალდებით.

² მიხედვ თუკჯავა — (1883-1937), საბჭოთა რევოლუციონერი, ნაციონალუციონისტის დიდები, დამთავრა ქათათის კლასიკური გიმაზია და მოსკოვის გიმიგრისტების იურიდიული ფაკულტეტი, იყო საქართველოს სსრ ცე-ი მდივანი

³ წერილის სრული პეტლიკაცია ის., იგანე ჯაგახიშვილი ტირანის სამხავროს წინაშე, თბ. 2004 წ.

ნატრულ თავისუფლებას ედირსნენ შეუძლებელია იმის თქმა, რომ იგინი რეაქციონურებია, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით არც ერთი მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ჩვენი პროფესორი გადასულიყოს რეაქციონურების ბანაქში, მსგავსათ რუსეთის ბევრს გამოჩენილ პროფესორებისა, მაშასადამე ეს ტექნიკია და კ. სულაქველიდე ალბათ ჩვეულებრივად სცდება, ისე, როგორც 1917-1925 წლამდე სცდებოდა რამიშვილის კამანიაში ქოფნის დროს!..

...პარტიის მიერ დანიშნული იქმნება: ამხ. მამია ორახელაშვილი, მარო ორახელაშვილი, ფილიპე მახარაძე, მიშა ოკუჯავა, საყვარელიძე, ალ. ერქომაიშვილი¹ და სხვა, რომელთაც უნდა ლექციები ეკითხეთ შემდეგ საგნებში: მუშათა შრომის ისტორიაში, ისტორიულ მატერიალიზმზე, ინტერნაციონალ ისტორიაზე, საბჭოთა სამართალზე და სხვა. როგორცა სჩანს სახელმწიფოს მუშაობაში გართულმა ამხანაგბმა ვერ მოიცალეს უნივერსიტეტისათვის გარდა ალ. ერქომაიშვილისა, რომელიც სისტემატიურად კითხულობს ლექციებს. მუშათა კლასის ბელადს ფ. მახარაძეს ორჯერ დაუნიშნეს ოფიციალურად დღე და საათები შესავალ ლექციებისათვის, მაგრამ ვერ მოიცალა. მაშინ მათ ადგილზე სხვები უნდა ყოფილიყვნენ დანიშნული რაც არ მომხდარა; მაგრამ თუ მათ მინადვეს ქართველ პროფესორებს უნივერსიტეტი, ახლა რაღაზედ ენსუბებიან უსაბუთოთ!..

...ყველა ამეების შემდეგ რაღა დარჩენია პროფესორთა საბჭოს, რომ ვინც მას კათედრას სთხოვს, თუ უკანასკნელს არც მეცნიერებლი და არც საზოგადოებრივი შრომა მიუძღვის, რომ არ გამოსცადოს და ისე არ მიიღოს. ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ: გრ. რობაქიძეს² და კ. გამსახურდიას³ უარი განუცხადეს ლი-

¹ ადგენსანდრე მიხეილის ძე ერქომაიშვილი – (1887-1937), რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მაღალმანისანი. სწავლობდა თბილისის კომერციულ სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ფაკულტეტის მოაკრძობის საწინააღმდეგო საქმიანობის გამო რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. საბჭოთ ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იყო საქართველოს სსრ სასურათო საქმეთა სახალხო კომისარიაჟის ამიურკავახის საფინანსო ინსტიტუტის დირექტორი, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებელი ინსტიტუტის დირექტორი. დახრიცებული ანგისახლმწიფობრივი საქმიანობის პრალეგით.

² გრიგორი ტიბეს ძე რობაქიძე – (1880-1962), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1901 წ. დამთავრა ქუთაისის სახელის სემინარია და სწავლა განაგრძო ტარტუს იურიდიულ ფაკულტეტზე. 1902 წ. გაემზადება გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში ფილოსოფიური განათლების მისაღებად. თბილისში 1907 წ. დაბრუნდა, იყო საქართველოს მთავრი სახელმწიფო კუმიტეტის პირველი თაგმალისარე. 1932 წ. შემოქმედებით მიერინებით გაემზადება გერმანიაში, 1934 წლიდან აძლევებით ემიგრირა და დამისხნდა.

³ აიხსახტინი სიმინის ძე გამსახურდია – (1893-1975), მწერალი, მთავრგმელი, პუბლიცისტი, საქართველოს სერ მუნიციპალიტეტის მინისტრი (1944).

ტერატურის ისტორიისა, ეთიკისა და სხვის ლექციების კითხვაზე, ვინაიდან ჩვენს საამაყო პროფესორთ კარგად ესმით, რომ მეცნიერებას და პოეზია ხელოვნებას თავისებური ჩარჩოები აქვს და პოეზი მეცნიერად ვერ გამოდგება, თუ მას საამისო ცოდნა არ მიუღია! საკითხავია ახლა: ეს დასაძრახისია თუ უნდა ვაღიძებდეთ იმათ ვინც სცდილობს უნივერსიტეტის კათედრები მისცეს მხოლოდ დირექტორი. რასაკვირველია ეს დიდად სასიამოვნო მოვლენა ვინაიდან მომზადებული და თავის საგანში დიდად გარკვეული მასწავლებელი, მოგვცემს მუდამ მომზადებულს და ცხოვრებისათვის გამოსადეგს ახალ თაობას...

...ახლა ავიღოთ მეორე პრალდება: „უნივერსიტეტის კათედრებიდან ჩვენი პროფესორები ქადაგებენ ანტიმარქისტულ მოძღვრებას!“ – ეს გაუგებრობაა, თუ გნებავთ უბრალო მოსაზრებითაც: როგორ შეიძლება საძჭროთა ხელისუფლების დროს ასე აშკარად პროფესორმა ეს მოიმოქმედოს, როდესაც მას ხშირად ათასი მსმენებლი უსმენს! ნუ თუ იქ მთავრობის წარმომადგენელნი არ არიან! რასაკვირველია არიან. რატომ ისინი არაფერს ამბობენ ამის შესახებ! რა უნდა სთქან, როდესაც ასეთი არაფერი არ ყოფილა და ამით ჩვენ კიდევ ვიმეორებო ეს ბრალდება უსაფუძვლოა! თუმცა ვერ ვიტყვით ამით იმასაც, რომ ყველა პროფესორი მარქისისტი ან კომუნისტია, მაგრამ ეს ხომ ხელს არ უშლის მავას ობიექტურად მიუდგეს, ასეთი მაგალითები ჩვენში კი არა, ევროპის ქვეყნებშიც კი არის!.. ბოლოს და ბოლოს მარქისიზმი გვინდა შევიტანოთ ჩვენ მათემატიკაში, მედიცინაში, აგრონომიაში და სხვა სპეციალური საკითხებში, და ეს როგორც მარქისისტები, მეშინია, რომ ეს საშვალო საუკუნეებში გამეფებული კათოლიკურ სამდვდელოების დოგმატიზმი არ გამოგვიყდეს, სადაც უმთავრესად ამ დოგმატიზმის მოწინააღმდეგენი გამოდიოდნენ...

...ჩვენი თანამშრომელი სტუდენტი მიცხადებს, რომ როდესაც ნუცემიდე ფილოსოფიის შესავალს კითხულობს, ვერ გაიგებოთ რომელ მიმართულებას ეპუთვნის პროფესორი, ვინაიდან იგი ცალკე-ცალკე ისე სხნის ამა თუ იმ მიმდინარეობას, რომ თითქოს კველას იზიარებს. და სწორედ ასეთი უნდა მასწავლებელი და მით უმეტეს უმაღლეს სასწავლებელში, ჩვენ აქ დასამდური და გასაკიცხი კი არა, პირიქით სამადლოებლი და მართლა საამაყო პროფესორები გვყავს! საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი პროფესორები წარმოადგენენ თუ არა პოლიტიკურად რაიმე საშიშროებ-

სწავლობდა ლაიფციგისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. 1919 წ. დაასრულა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და დაბრუნდა ხამტობლორში. 1921 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთი წლით დატოვა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ბას! ამ მხრივ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ არა! ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ აგვისტოს გამოსვლებში პროფესორთა მიერ გამოცხადებულმა დეკლარაციაში დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლების, პირადად ჩვენ საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშები, უმთავრესად მათ მიერ გამოცემულ დეკლარაციით ვამარცხებდით მოწინააღმდეგებს და დღესაც მოელ მსოფლიოს, თითქმის გადაავიწყდა აგვისტოს გამოსვლები, მაგრამ მათი დეკლარაცია ისევ დიდ როლს თამაშობს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ!

...ლენინიზმის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა და მას ყველაზე მეტი უპირატესობა აქს ადგილობრივ ქართულ უნივერსიტეტში ყოველგვარ მეცნიერებას სტუდენტი უნდა სწავლობდეს ქართულ ენაზე, მხოლოდ ამასთან ერთად ყველა ფაკულტეტზე უსათუო უნდა იყოს რუსული საგნის შესწავლაც, როგორც საბჭოთა საკაგშირო რესპუბლიკების საყოველთაო ენა, მხოლოდ ჩვენ ამით არ უნდა გადავიჭარბოთ და არ უნდა გადავხცდეთ ლენინიზმს... მარტო რუსული ენის კი არა, რომელთანაც ჩვენ მჭიდროთ დაკავშირებული ვართ უცხო ენების ცოდნაც მაგ გერმანულის, ფრანგულის და სხვა გვჭირდება და აუცილებელიც არის, როგორც მეცნიერების უფრო ფართეთ შესწავლისათვის და ცხოვრებაში ბრძოლის იარაღათ გამოიყენებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსულ ენაზე უფრო უცხო ენები იყოს ჩვენთვის საჭირო. ეს ჩვენმა პროფესორებმაც კარგად იციან და მას არც უარყოფენ, და საინტერესოა, რომ ვიცოდეთ საიდან მოდის ის პრალება, რომ მათ რუსული ენა ეჯავრებათ და სცდილობები მის აღმოფხვრას და უნივერსიტეტშიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და სხვა. ესეც სრულიად მოკლებულია სიმართლეს, მე როგორც მუშა ვაცხადებ, რომ ქართველ ხალხს და ჩვენ პროფესორებსაც არავინ უყვართ ისე, და არც ერთ ერთან არ არიან, ისე კეთილგანუშებით, როგორც რუსის ერთან და რუსის ხალხთან, ეს თუნდა იქიდანაც სჩანს, რომ ყველა ქართველი ახალგაზრდა სცდილობს რუსული ენა უსათუოდ შეისწავლოს და ამ ენაზე ილაპარაკოს.. ვინც უნივერსიტეტის გამოცემულ კურნალზე მხოლოდ გერმანული და ქართული წარწერა ნახა, სძმწუხაროდ ალბად მას არ ჰქონდა შემოხვევა, რომ რუსულ ქართული წარწერით გამოცემული წიგნიც ენახათ; პირიქით როგორც ვიციოთ ჩვენი პროფესორები თავის საკუთარ ჯამაგირიდან იღებენ 4% ასეთ გამომცემლობისათვის. თუ მაინცდამანც ეს მიუღებელია, ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი მოვლენა საყოველთაობა გერმანულ, ფრანგულ და სხვა უცხო ენებზე წარწერების, თვით დღვევანდელ რუსეთის

უნივერსიტეტშიც და თუ კი ეს შეიძლება ლენინგრადსა და მოსკოვში, რატომ ტფილისში არ შეიძლება ? იგივე საბჭოთა ქვეყანა არ არის? დღევანდელ მსოფლიო ენებათ აღიარებულია გერმანული ფრანგული და ჩვენ ამ ენებზე წარწერილს მხოლოდ დასკვნებს ვხედავთ, ეს იმიტომ, რომ ყველასთვის გასაგები იყოს, ისე, რომ ამ მხრივ გალაშქრება პროფესორთა წინააღმდეგ უსამართლობაა. ყოველ ფაკულტეტზე რუსულ ენას გადასწროვ საგანს, და ამ მხრივაც უნივერსიტეტს არავთარი ცილის წამება არ დაუმსახურებია! არის ინტერნაციონალური ჩვენი უნივერსიტეტი თუ არა? უსათუოდ არის! აქ ასწავლიან: სომხურს, აფხაზურს, თაორულს და სხვ. სომხურ ფილოლოგიას კოთხულობს ამავე ენაზე მელიქესდებენ. საინტერესოა ვიცოდეთ, ყველა რომ ქართველებს უკიინებს თვით სომხეთში ან ადგრძელიჯანში გადიან თუ არა ქართულს! იქ სხენებაც არ არის! ქართული უნივერსიტეტი დღიდან კი დაარსებისა სულ მუდამ გადიოდა მეზობელ ერების ენებს „მეცნიერულად დაკავშირებისათვის“ – მაგრამ საუბედუროდ ჩვენი მეზობელი ერები არ სცდილობენ ჩვენთან „მეცნიერულად დაკავშირებას“ და აი ამ დევიზის წამომყენებელი პირველად ყოვლისა ამ საკითხს იმას უნდა უყენებდეს ვინც ამას არ ანხორციელებს...

...საგულისხმოა აგრეთვე ისიც, როდესაც შიგ სწავლის მეორდებაც ეხებიან. უმთავრესი მითითება იმაშია, რომ აქ პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა არ სწარმოებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტვით, ვინც ამაში ჩახედულია, ის ამას ვერ იტყოდა. ეს მხოლოდ ტყუილი უნდა იყოს. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია ყველა სპეციალური ფაკულტეტები ასე მაგ: 1) აგრონომიულ ფაკულტეტს თვით უნივერსიტეტის მოთხოვნილებით და ინიციატივით გადაცემული აქვს მუხრანში მამული, ამ მამულზე ყოველწლიურად იგზავნება 300 სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მიწად-მოქმედების განყოფილებიდან უნივერსიტეტმა ჩაიბარა სრულიად გაპარტახებული მამული, დღეს იგი მშვენიერად დამუშავებულია და ვისაც იგი უნახავს ამაში დარწუნდება და გაპირდება კიდევაც! სპეციალურ ფაკულტეტებზე ვერ გადავა სტუდენტი თუ მას პრაქტიკულები ჩაბარებული არა აქვს და თუ ამას არ ასწავლიან მაშ რადათ სთხოვენ ჩასაბარებლად! 2) მედიკურ ფაკულტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული ჯანსახუმისარიატოან და მთელი თბილისის საავადმყოფოები ქართულ უნივერსიტეტის ხელშია, - გარდა კამოსა და სამხედრო საავადმყოფოსი, სადაც პრაქტიკულად მუშაობენ სტუდენტები და ხშირად ადგილობრივ სწავლა-დამთავრებული ექიმები მსახურობენ შიგ! ხელშეკრულების ძალით ასეთი პირობა აქვს დადებული ჯანსახუმისარიატოან და მთელი თბილისის საავადმყოფოები არა აქვს და თუ ამას არ ასწავლიან მაშ რადათ სთხოვენ ჩასაბარებლად! 2) მედიკურ ფაკულტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული ჯანსახუმისარიატოან და მთელი თბილისის საავადმყოფოები ქართულ უნივერსიტეტის ხელშია, - გარდა კამოსა და სამხედრო საავადმყოფოსი, სადაც პრაქტიკულად მუშაობენ სტუდენტები და ხშირად ადგილობრივ სწავლა-დამთავრებული ექიმები მსახურობენ შიგ! ხელშეკრულების ძალით ასეთი პირობა აქვს დადებული ჯანსახუმისარიატოან და მთელი თბილისის საავადმყოფოები არა აქვს და თუ ამას არ ასწავლიან მაშ რადათ სთხოვენ ჩასაბარებლად!

თან უნივერსიტეტს: ფული და ტეხნიკური ძალები მათია, მხოლოდ უნივერსიტეტი კი ვალდებულია მისცეს მეცნიერულად და ცოდნით აღჭურვილი სტუდენტობა, აქ სულაც არა სჩანს ის, რომ „ჯანსახეკომისარიატთან უბრალო დამოკიდებულებაც არა აქვს“. ესეც უსათუო მოტუილების ნიადაგზე აგებული სიყალბეა, 3) საინინრო ფაკულტეტი პრაქტიკულ მუშაობას დიდს მოითხოვს და ეს ასეც არის. მაგ. წელს ხელშეკრულება აქვს დადებული კიევისა და საქართველოს უნივერსიტეტს იმის შესახებ, რომ აქვთ ანგარიში უნდა წავიდნენ სტუდენტობა ფაბრიკა-ქარხებში პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლათ, ხოლო იქიდან ჭიათურაში იმავე მიზნით; აქ როგორც ხედამთ ერთგვარი გაცვლა ხდება და ესეთი მოქმედება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „უნივერსიტეტი შორს სდგას პრაქტიკულად ფაბრიკა-ქარხებიდან.“¹

კომუნისტურ პარტიულ ნომენკლატურაში მცირერიცხოვანი დამცველების მიუხედავად, იგანე ჯავახიშვილი მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1926 წლის 21 ივნისს, ახალი წესდების თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და გამგეობის წევრების არჩევნები გაიმართა.

სხდომას სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თუ გადავხედავთ სიას, ადვილად წარმოვიდგენთ, რა წევის ქვეშ და დაძაბულობის ატმოსფეროში ჩაივლიდა არჩევნები, რომლის ბედი, რა თქმა უნდა, წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

იგანე ჯავახიშვილი არც კი დასწრებია არჩევნებს. სხდომას რექტორის თანამდებობაზე ასარჩევად მალაქია ტოროშელიძე² თედო ლლონტის³ კანდიდატურა შესთავაზა.

¹ საქართველოს უსახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 600. ან. 2, ხარ. 125, ფ. 17-12.

² მაღაქია გორგაშის ძე ტოროშელიძე – (1889-1938), 1910 წ. დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიკული ფაკულტეტი, დაბრუნდა თბილისში და აღწერ დაწესებული რეფორმული საქმიანობა განაგრძო. 1921-1922 წწ. მ. ტოროშელიძე საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 1922-1924 წწ. კი – ცეკვაშირის გამგეობის თავმჯდომარე იყო. 1928-1930 წწ. იყო თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 1931-1936 წწ. ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტს და ასრულებდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. 1936 წ. იყო განათლების სახალხო კომისარი. დახმოცემის ანგისაბჭოთა მოდგაწყობის ბრალდებით.

³ თედო ზურაბის ძე ლლონტი – (1888-1937), 1912 წლიდან იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი და მიხო ერთ-ერთი ლიდერი, 1915-1916 წლებში აირჩიეს ასტრიის ხელმძღვანელობაში, სათავეში ჩაუდგა მემარცხევე ფრთას. 1918-1921 წწ. იყო საქართველოს ერთულები კრების, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარცხევე ფრთა, თ. დღონების

„ცხადია, ძლიერ თდნავ კალაპოტში ჩამდგარი ცხოვრება კვლავ აიწერა, — იგონებდა ნათელა ჯავახიშვილი, — ამავე დროს რეაქციულმა ძალგბმა უნივერსიტეტში მოახერხეს მავნებლური პოლიტიკის ჩათესვლა და მამას მისი რექტორობის მეშვიდე წელს საზითლარი ობსტრუქციები მოუწყვეს. ბოლოს უპვე საკითხი ისე დადგა, რომ მამაჩემის წასვლის აუცილებლობა რეალური გახდა. ცხადია, ამის განცდებს მხოლოდ ის კი არ ამძიმებდა, რომ პირადად მისი წასვლა იყო საჭირო, ამაში მამა ხედავდა უნივერსიტეტის მომავალი ბედის შემოტრიალებასაც და, რასაკვირველია, არც უმისობა იქნებოდა, რომ თავის პირმშო უნივერსიტეტიდან გაძევება ადვილი შესარიგებელი ყოფილება მამასთვის.

ერთ დღეს მამა მძიმე გულისწუხილის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი მოიყვნეს სახლში. იგი ლოგინად ჩავარდა. მამა ყველაფერს უსიამოვნოს გვიმალავდა და ჩვენ უპვე გვიან გავიგეთ საქმის ნამდვილი რეალობა. ასე გულგატეხილი, გულნატეკინი და შეურაცხეოფილი მამა მე არ მინახავს შემდეგში მომხდარი მავნებლური გამოსვლების დროსაც კი. ამ ამბავმა კინაღამ იმსხვერპლა მამა.”¹

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სა-გარძელი პეტერე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მერე თედო დლონტმა დაიკავა. დამთავრდა ერთი დიდი, რომანტიზმით, უანგარობით, სიდარბასისლით გამსჭვალული ეპოქა ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში. ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან ჩამომრებით არ დამთავრებულა საბჭოთა რეჟიმის შეტევა უნივერსიტეტზე. გავიდა რამდენიმე წელი და უნივერსიტეტი საერთოდ გააუქმეს, მერე კვლავ ადადგინეს, სისხლის წვიმებმა, რომელებმაც საბჭოთა რეპრესიების სახით ქვეყნას გადაუარეს, უნივერსიტეტისგანაც დიდი მსხვერპლი მოითხოვა, მრავალი ქარიშხალი დატრიალდა მის თავზე, მაგრამ 1918 წლის 26 იანვარს თბილისის განაპირას, ვერის უბანში აგებული ქათქათა შენობის სამ ოთახში ივანე ჯავახიშვილის მიერ ანთებული შექის ჩაქრობა ვერავინ მოახერხა. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს, მკვდ-

მეთაურობით, მემარცხენე ხოციალისტ-ცენტრალისტების პარტიად გაფორმდა და აქტიური თანამშრომდობა დაიწყო საბჭოთა რევილობა. 1921 წლიდან თ. დღონტი საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წერი, ხოლო 1923 წლიდან სსრ გაგმითს ფინანსთა სახლხო კომისრის რწმუნებული იყო საქართველოში. 1924 წ. შევიდა კომუნისტურ პარტიაში. 1926-1928 წწ. იყო თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. დახვრიტება ატისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით.

¹ ჯავახიშვილი ნ. რაც მაგონდება, ქურნ. ნუკრი, 1990წ. გვ. 19.

რეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მოკვდინებული იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ასეთ მოკლე პერიოდში?.. მომავალში თანხა-თანობით გამოსწორდება ყველა ნაკლი, თუკი სიყვარული და შეგნება არ უდალატებს არასოდეს იმ ახალგაზრდას, რომელმაც ძველი თაობისგან უნდა მიიღოს მექანიზრები და თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს”, – ივანე ჯავახიშვილმა ეს სიტყვები თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლის შემდეგ მომავალი თაობების გასაგონად თქვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების შესახებ არაერთი მონოგრაფია, გამოკვლევა, საგაზეთო სტატია თუ ტელე-რადიო გადაცემა შექმნილა.¹

¹ გერსამია დ., ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., 1996 წ.; გვერცხნიდე ი., თბილისის უნივერსიტეტის რექტორები, თბ., 1988 წ.; ოქლია ა., ძორიანი ლ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიული სათავეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეოდ, თბ., 1968 წ.; თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968 წლებში, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1968 წ.; მეტრულები რ., ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 1996 წ.; სურგულაძე პ., ეროვნული კულტურის ქრისტიანული თბილისის უნივერსიტეტი უნივერსიტეტი, თბ., 1962; ძერიძე გ., ხერთობრივი სიმინდისა შეიდო, თ.ხ. მროვები, XXIII, თბ., 1948 წ.; გორიაგინა ლ., ბრძოლა უნივერსიტეტის გარშემო რეფორმის შემდეგ დროინდელ პრესაში, უკრ. მნათობი, №10, 1958 წ.; ლემარიძე, ივანე ჯავახიშვილის ლექცია, ვახ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი; კლისე, სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვახ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი; ზურაბი შვილი ლ., ქართველი უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პაროზში, უკრ. ქაგასიონი, პარიზი, 1968 წლის დეკემბერი. თოგვინიძე ვ., ქართველი უნივერსიტეტი და ქართველი ერთი ვახ. სახალხო განვითარებისა და კულტურული მდგრადი განვითარების მინისტრი, 1918 წლის 26 იანვარი; თოგვინიძე ვ., პირველი წლები, ვახ. თბილისის უნივერსიტეტი, 1968 წლის 26 აპრილი; ინ-ი აღ., ქართველი სტუდენტობა მეცნიერებას უნდა დაუტოვნებოდეს! ვახ. სახალხო საქმე, 1920 წლის 13 მაისი; ქაკელიძე ქ., მცირე მოგორინების მამაჩერებელი, ვახ. დაიგრადული უნივერსიტეტი საქართველო, 1988 წლის მაისი, № 158; ქცხოველი ხ., თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის უსამსი დამასხინებელის ვამო, ვახ. კომუნისტი, 1952 წლის 27 სექტემბერი; ლომიური ი., მოვონებებიდან, უკრ. მნათობი, №7, 1970 წ.; ძოვანი ა., კიდევ ჩვენი სტუდენტობა, ვახ. სახალხო საქმე, №894, 1920წ.; ნიკოლაძე რ., მამების რცხვება და შეიძლები - სინამდვილე, უკრ. მუცნიურება და ტექნიკა, №10, თბ., 1968 წ.; პატარიძე გ., ქართველი სტუდენტობა, ვახ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი; სონდულა შვილი ა., თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფირმირებაში 1918-1921 წლებში, აღმანახო ქლიო, თბ., 2000 წ.; ურიძია რ., უკრ. ქართველი ენა და ლიტერატურა სტუდენტობა, საარქივო ცნობები თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, თბ., 1969 წ.; კუჭხიშვილი ხ., უმაღლესი განათლება საქართველოში, უკრ. სტუდენტი და ცხოველება, 1968 წლის 10 ოქტომბერი; შენგელია გურამი, ქართველი სტუდენტი ცნობები განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კრ. სისტემიზის მოამბე №73-74, თბილისი, 2001 წ.; ჩიქობავა ა., თბილისის უნივერსიტეტი და ქართველი სამყიდვებელი აღორინება,

უნივერსიტეტის დამფუძნებელთაგან ზოგმა თავის მემუარებში შემოგვინახა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის შექმნასთან დაკავშირებული პერიპეტიები¹, თვით ივანე ჯავახიშვილმაც დაუტოვა შთამომავლობას უნივერსიტეტის ისტორიის საეტაპო მოვლენების შესახებ მოგონება საჯარო მოსსენებაში, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა². და მაინც, უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი ნაბეჭდი პროდუქციიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი გამყრელიძისა³ და სერგო ჯორბეგაძის ფუნდამენტური ნაშრომები⁴, აგრეთვე თამარ ტაბლიაშვილის პუბლიკაციები⁵. სამივე ავტორს, სხვა ნარატიულ წეროებთან ერთად, გამოყენებული აქვს პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმები, თუმცა ეს დოკუმენტები წინამდებარე გამოცემაში პირველად ქვეყნიდება.

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები“⁶ წარმოადგენს 264 ფურცლისგან შედგენილ 7 სანტიმეტრის სისქის ტომს, ოქმების ქაღალდის ზომაა 36 X 26 (სმ).

1917 წლის № 01-05 ოქმები შედგენილია აკაკი შანიძის ხელით (იხ. წიგნის ფორზაციის მე-2 გვერდი), 1918 წ. № 3-4 – იოსებ ყიფშიძის ხელით (იხ. წიგნის ფორზაციის I გვერდი), № 5-6 – ა. შანიძის ხელით, № 7-22 – ი. ყიფშიძის ხელით, 1919 წლის №

კურ. ციხესიმაგრე, №10, თბ., 1968 წ.; ჯანაშვილი მ. ქართველი უნივერსიტეტი, გაზ. საქართველო, 1917 წ.; ციციშვილი გ. გაუმინარებელი ისტორიის ფურცლები, კურ. ციხესიმაგრე, თბ., №1-2, 1995 წ.; ჯირაძე ბ. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი, კურ. კავკასიონი, № 3, პარიზი, 1968 წ.; ხანთაძე შ. მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, კურ. მათობი, №9, 1968 წ.

¹ გოგიაშვილი გ. წერილები, მოგონებები, თბ. 1993 წ.; თავაიშვილი გ. მოვორებებიდან ნაწყვეტი, კურ. საქართველოს ქალი, №10, 1968 წ.; ნუცვიძე შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, კურ. სკოლა და ცხოვრება, 1968 წლის 10 იქტიმბერი.

² ჯავახიშვილი ი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, თ. ს. კ. შრომები XXXIII, 1948 წ.

³ გამყრელიძე გ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948 წლებში, თბ., 1948 წ.

⁴ ჯორბეგაძე ბ., თბილისის უნივერსიტეტის მოქალაქე ისტორია, (თბ. 1968 წ.), ცხოვრება და ლიტერატურული ივანე ჯავახიშვილის, (თბ. 1984 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, (თბ. 1988 წ.).

⁵ ტაბლიაშვილი თ. ი. ჯავახიშვილი საარქივო დოკუმენტების მიხედვით, კრ. საისტორიო მუზემ, №21-22, თბ., 1967 წ.

⁶ საქართველოს უსახლებელი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471. ახ. 1, საქეთ 2.

23-24 – ი. ყიფშიძის ხელით, № 25-34 – ა. შანიძის ხელით, № 35 კორნელი პეპელიძის ხელით, № 36-ა-39 – ა. შანიძის ხელით, № 40 – ქ. გველიძის ხელით, № 41-43 – ა. შანიძის ხელით, 1920 წლის № (44)1-21 – ა. შანიძის ხელით, № 22 – უცნობი ხელით, 1920 წ. № 23 და 1921 წ № 24-26 ოქმები – მიხეილ წერეთლის ხელით (იხ. წიგნის ფორზაცის მე-3 გვერდი), 1921 წ. № 27-33 – დიმიტრი უზნაძის ხელით (იხ. წიგნის ფორზაცის მე-4 გვერდი). 1921 წლის 34-ე ნომრიდან მოყოლებული ოქმები საბჭედ მანქანაზე იძებნებოდა, მხოლოდ 1926 წლის № 7 ოქმი შედგენილია იოველ ქუთათელიძის ხელით, ხოლო ბოლო [№ 10] ოქმის შემდგენლის კალიგრაფიის ავტორი უცნობია. ოქმებს ახლავს სხდომის მონაწილეთა ხელმოწერები.

1917 წ. № 01 – 1920 წ. № 3 ოქმები შედგენილია ქართული უნივერსიტეტის სტამურად დამზადებულ ბლანკზე, 1920 წ. № 4 – 1923 წ. № 1 ოქმები – ტფილიძის საკელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიურის ბლანკზე, 1923 წ. № 2-4 ოქმი ტფილიძის საკელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეცნიელების ფაკულტეტის სხდომის დღიურის ბლანკზე, 1923 წ. № 5-6, № 9 და 1924 წ. № 1-4 ოქმები კვლავ ტფილიძის საკელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიურის ბლანკზე, ხოლო 1923 წ. № 7-8, 1924 წ. № 5-10, 1925 წ. № 1-5, 1926 წ. № 6, 8-9 ჩვეულებრივ თაბახის ქადალდზე საბჭედი მანქანით. ოქმები მოგვიანებით აკინძულია და ჩასმულია მუქაოს ყდაში, რომელსაც მოოქროვილი ასოებით აწერია: „ტფილიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1921.” ბევრგან ქაღალდი დაზიანებულია, რესტავრირებულია სახელმწიფო არქივის თანამშრომელთა მიერ.

„ტფილიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმების“ წინამდებარე პუბლიკაცია შეიძლება ფაქსიმილურ გამოცემად ჩაითვალოს. ჩვენ არ მივეცით თავს უფლება, გაგვესწორებინა სხდომის მდივანთა მექნიკურად დაშვებული შეცდომებიც კი, მთულორო, არ შეგვისწორებია, იმ დიდ შეცნიერთა წერის, თანამდეროვე სალიტერატურო ენობრივი ნორმებისთვის შეუსაბამო ფორმები, რომელთაც თავად დაადგინეს მოგვიანებით ეს ნორმები. უცვლელად დავტოვეთ არაერთგაროვანი ფორმები (პოლიეგატოვი//პოლიეგებტოვი, როსტომბეგოვი//როსტომბეკოვი და მისთ).

საძიებელი სამ ნაწილად გავყავით: 1. პირთა, 2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და სახწავლო საგნების, 3. გეოგრაფიული სახელების, გამოცემების, არასაუნივერსიტეტო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების. საძიე-

ბლებში მითითებულია იმ სხდომის წელი და ოქმის ნომერი, რო-
მელშიც მოხსენიებულია ესა თუ ის სახელი.

ცალკე დავურთეთ შესავალში გაკეთებული
კომენტარების საძიებელი.

დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს
საარქივო დეპარტამენტის, საქართველოს უახლესი ისტორიის,
საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა და ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის თანამშრომლებს.

მანანა ლილუაშვილი
ზურაბ გაიპარაშვილი

ტფილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პროფესორთა საბჭოს
ოქმები

1917-1926

1 9 1 7
ঁঃংৰো

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
საბჭო¹

წ ი ნ ა ს წ ა რ ი ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი²

№ 01

„26” ნოემბერი 1917 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს 7. 10 საათზე
(ბატ. ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე)

დაესწრენ: გოგიჩაიშვილი, ფ.; თაყაიშვილი, გ.; კეკელიძე, ლეპ-
კორნ.; უზნაძე, დ; შანიძე, ა; ჯავახიშვილი, ი.

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: რა ტიპისა უნდა იყოს ჩვენი უნივერსი-
ტეტი? იმავე ტიპისა, როგორც რუსეთში, თუ სხვაგვარი?

განაჩენი: აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ, უც-
ხოვთის ბევრ უნივერსიტეტის მსგავსად, ერთი სიბრძნისმეტყველ-
ბის ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი დაარსდეს, შემდეგი განყო-
ფილებებით:

1) პუმანურ მეცნიერებათა (რომელიც უდრის პეტერბურგის
უნივერსიტეტის საისტორიულ-ფილოლოგიური და აღმო-
საკულტურული ენების ფაკულტეტებს)

2) სამათემატიკო და

3) საბუნებისმეტყველო.

მხოლოდ ამ თავითვე გაიწსას პუმანურ მეცნიერებათა განყოფი-
ლება.

2. განსახილველი საგანი: ჩვენი სამეცნიერო ძალები.

განაჩენი: დასახელებულ იქნენ პროფესორებად: ს. ავალიანი, გ.
ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზ-
ნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

მეცნიერ გელმძვანელებად: ი. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, მ. წე-
რეთელი.

ლექტორებად:

მოლა ცივაძე (არაბული ენისათვის), მემედ აბაშიძე (ოსმალური-
სათვის), ბ. Liausun’ი (ფრანგული ენის), ბ. A. Leist’ი (გერმანული-

¹ ხიბეფა გადახაზულია მელნიკით.

² „ხხდომის დღიურის”-ს წინ ა. შანიძის მიერ მელნიკით ჩაწერილია ხიბეფა
„წინასწარი”.

სათვის), კ. ჩერქეზიშვილი (ინგლისურისათვის), პატრი გოზალიშვილი (იტალიურისათვის).

ჩამოთვლილ იყვნენ აგრეთვე ის პირნი, რომელთა უნივერსიტეტში დატოვება სასურველია: დ. ყიფშიძე, ს. ლომიძა, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე და სხვა.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ბინა და თანხა.

განაჩენი: ვიზუალურო და ვეცადოთ, რომ ქართული გიმნაზიის შენობა როგორმე შევიძინოთ და აგრეთვე სააღგილმამულო ბანკიდან 800 000 მანეთი მივიღოთ.

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ძირითად დებულებათა დამტკიცების საკითხი.

განაჩენი: უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი გელახლად წარდგენილ იქმნეს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის კომისარიატში, ვინაითგან პეტროგრადის დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ქადალდმა პოლიტიკური პირობების გამო ვერ ჩამოაწია.

5. განსახილველი საგანი: ხარჯთ-აღრიცხვის საკითხი.

განაჩენი: მიენდო ფ. გოგიჩაიშვილს კრებაზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით შეადგინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს შემდეგ კრებას.

მდივანი ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი .
ს ა ბ ჭ ო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 02

„8,, დეკემბერს 1917 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8.30,, სათხე
(საეპარქიო სასწავლებელში)

დაქსწრენ: ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გეგელიძე, ი. ყიფშიძე, ი. ჯავახიშვილი

თავმჯდომარეობდა:

მდივანი:

1. განსახილველი საგანი: უნივერსტიტეტის დებულებათა საკითხი.
განაჩენი: ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოახსენა, რომ ძირითადი დებულებანი უკვე დამტკიცებულია.

2. განსახილველი საგანი: ხარჯთ-აღრიცხვის საკითხი.

განაჩენი: წარმოდგენილ იქმნა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ორი ხარჯთა-ღრიცხვა: ვრცელი და შემოკლებული (200.000 და 156.000). კრებამ შესაძლოდ დაინახა ხარჯების კიდევ შემოკლება 100.000 – 120.000 მანეთამდის.

3. განსახილველი საგანი: ხარჯების დასაფარავი შემოსავლის წყაროები.

განაჩენი: დასახელებულ იქმნა შემდეგი უმთავრესი წყაროები: 1) სწავლის ფული 2) საუნივერსიტეტო საზოგადოების დაწმარება 3) ეროვნული საბჭოს დაწმარება 4) კერძო შემოწირულობანი.

მდივანი: ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი
პერძო თათბირი¹
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 03

, „17., დეკემბერს, 1917 წ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაესწრენ: ი. აბულაძე, პ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე

თავმჯდომარეობდა: არავინ

მდიგანი: ა. შანიძე

1 განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გამსნის დრო
განაჩენი: გამოთქმულ იქმნა სურვილი, რომ უნივერსიტეტი
გაიგნას 14 იანვარს. გაგნაზე მოწვევლ იქმნან სხვა და სხვა
კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები.
2 განსახილველი საგანი: უნივერსიტეტში მისაღებ პირთა ცენზის
შესახებ.

განაჩენი: საჭიროდ იქმნა აღიარებული საშუალო სასწავლებლების ცენზი (სტუდენტთავის); ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეა-
ლური სასწავლებელი, კომერციული წმ. ნინოს სასწავლებლები,
სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), სომქეთა სას. სემინარია,
საეპარქიო სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი, საოსტატო ინსტი-
ტუტი, ქალთა ინსტიტუტი.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტში ამ თავითვე წაკითხუ-
ლი საგნებისა და პროგრამების შესახებ.

განაჩენი: ჩამოთვლილ იქმნა ცველა ის საგნები, რომლებიც ახლა-
ვე იქმნება წაკითხული შემდეგ დარგებიდან: 1, საფილოსოფიო, 2,
საისტორიო, 3, სალიტერატურო, 4, საენათმეცნიერო, 5, სოცია-
ლურ მცნიურებათა და 6, საპედაგოგიო დარგებიდან.

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გამსნისა და მისაღები
პირობების შესახებ განცხადება გაზეთებში.

განაჩენი: ი. ყიფშიძემა და ა. შანიძემ იკისრეს სათანადო განცხა-
დების შედგენა და გაზეთებში დაბეჭდვა.

მდიგანი: ა. შანიძე

¹ ა. შანიძის მიერ გადახაზულია ხიტყვა „ხაბჭო“ და წერია „კერძო
თათბირი“.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ა ტ ი.
საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 04

, „19., დეკემბერს 1917 წ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაესწრენ: ი. აბულაძე, ე. თავაიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე,
ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: სამოსწავლო გეგმის შედგენის შესახებ.
განაჩენი: არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სამოსწავლო გეგმის დაწვრილებით შეტანავება. კომისიაში არჩეულ იქმნება: ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ც. გოგიაშვილი, დ. უზნაძე.
2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტში სტუდენტად მისაღებ პირთა განათლების ცენტის შესახებ.

განაჩენი: კერძო თათბირზე (17 დეკემბერს) მიღებული აზრი მოწონებული და დამტკიცებული იქმნა შემდეგის დამატებით: სტუდენტებად მიღებიან აგრეთვე საოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებული მხრიდან ფსიქო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დარგზე. ამასთანავე უნივერსიტეტს უფლება აქვს როგორც ამ პირთ, ისე საზოგადოდ ყველა სტუდენტს დამატებითი გამოცდები მოსთხოვოს ამა თუ იმ საგანში დარგისძიებით.

3. განსახილველი საგანი: სწავლის ფულის რაოდენობა.

განაჩენი: გადაპირდეს ყველა მსმენელს (სტუდენტსაცა და თავისუფალ მსმენელს) სემესტრში ასი მანეთი.

ხოლო იმ თავისუფალ მსმენელთ, რომელთაც პსურს ერთი ან ორი კერძო საგნის მოსმენა, გადაპირდეს სემესტრში ხუთი თუმანი.

4. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილმა კრებას აცნობა განსვენებულის კიტა აბაშიძის ანდერძი მისი წიგნთსაცავის ქ. უნივერსიტეტისადმი გადმოცემის შესახებ.

განაჩენი: კრებამ ფქხებე ადგომით პატივსცა განსვენებულის წსოვნას და დაადგინა მოელი შემადგენლობით დაესწროს მის დასაფლავებას.

მდივანი: ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 05

,27., დეკემბერს 1917 წ.

სხდომა დაიწყო შუადღის „12. 30“ საათზე
(ქ. გიმნაზიის შენობაში)

დაესწრენ: ფ. გოგიჩაიშვილი, პ. პეტრიძე, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცებიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილვები საგანი: სამოსწავლო გეგმის შესამუშავებლად
არჩეული კომისიის მოქანება:

კომისიამ გადაწყვიტა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში, საგნების დანაწილება დარგებისდა მიხედვით იყოს (ფილოსოფიური, პედაგოგიური, საენათმეცნიერო, საისტორიო, სალიტერატურო, სოციალურ მეცნიერებათა, მომავალში აგრეთვე ტელოვნებისა და საღვთისმეტყველო) და არა ენების მიხედვით, როგორც რუსულ უნივერსიტეტებშია (სლაურ-რუსული, კლასიკური, რომანულ-გერმანული). ამას გარდა, საერთო საგნებად, ე. ყველასთვის სავალდებულო საგნებად ცნობილ იქნა: ლოდიკა, ფილოლოგია, ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორიის საზოგადო კურსი (დროებით) და ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლის; ფრ; გერმ.). საზოგადო საგნები უნდა მოსმენილ იქნენ ორის წლის განმავლობაში.

განაჩენი: გეგმა მოწონებულ იქნა საერთოდ, მაგრამ არჩეულ იქნა კიდევ კომისია, რომელსაც მიენდო საკითხის გადაშინჯვა და ამა თუ იმ დარგში არასავალდებულო საგნების შემოკლება და თანაც პირველი სემესტრის ლექციების განაწილება და სტუდენტების ლექციებზე ჩაწერის ტეხნიკა. კომისიაში მოჰყვნენ: ი. ჯავახიშვილი, კორნ. პეტრიძე, ი. ყიფშიძე, შ. ნუცებიძე, ფ. გოგიჩაიშვილი.

2 განსახილვები საგანი: სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან გადმოსულ სტუდენტთა მიერ მოსმენილი საგნების ჩათვლის საკითხი. განაჩენი: გადაწყდა, რომ შეიძლება ჩაეთვალოს მხოლოდ ის საგნები, რომელთაც პკითხულობენ სამეცნიერო სარისხის მქონე პირები.

ამის შესახებ საგანგებოდ გამოცხადებული არ იქმნება, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში დადებითად გადაწყვეტილი იქმნება.

მდივანი: ა. შანიძე

1 9 1 8
ঠঃগ্রন্থ

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
საბჭო

ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 06

„3,, იანვარს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დღისით „12.30“ საათზე

დაესწრენ: ე. თავაიშვილი, პ. პეპელიძე, პ. მელიქიშვილი, ი. ყიფ-შიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: ლექციების ნუსხა პირველ სემესტრში და მათი განაწილება:

ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა კომისიის მიერ შედგენილი ნუსხა პირველი სემესტრის ლექციებისა და მათი განაწილება.

განაჩენი: მოწონებული იქმნა.

2. განსახილველი საგანი: სტუდენტებისა და თავისუფ. მსმენელთა სალექციო წიგნაკების შედგენა და დაბეჭდვა.

განაჩენი: მიენდო ი. ყიფ-შიძეს და ა. შანიძეს ამ საქმის მოგვარება.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის წესდების განხილვა.

ივ. ჯავახიშვილმა დაიწყო მის მიერ შედგენილი საუნივერსიტეტო წესდების კითხვა, მაგრამ დროს უქონლობის გამო წესდების მოლად განხილვის საქმე სხვა დროისთვის გადაიდო. ახლა კი წაიკითხულ იქმნა მხოლოდ ის თავი, რომელიც ორგანოებს შეეხება.

განაჩენი: უნივერსიტეტის ორგანოების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიენდოს ბ. ივ. ჯავახიშვილს კრებაზე გა-მოთქმული აზრების მიხედვით რამოდენიმე ცელილება შეიტანოს წესდებაში და წარმოადგინოს შემდეგ კრებაზე დასამტკიცებლად.

4. განსახილველი საგანი: ბოდბის მონასტერში არსებულ სასწავლებელში კურსდამთავრებულთა მიღების შესახებ.

განაჩენი: მიღებულ იქმნან საოსტატო სემინარიაში კურსდამთავრებულთა მსგავსად (იხ. 19 დეკემბრის ოქმი).

მდივანი: ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი .
საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ ღ ი უ რ ი .

№ 07

„10,, იანვარს 1918 წ.

სხდომა დაიწყო შუადღის „12“ საათზე

დაესწრენ: ი. აბულაძე, ფ. გოგიჩაშვილი, ე. თავაიშვილი, პ. მელი-ქიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: აუდიტორიების მოწყობა (საჯდომები, ელექტრონი, გათბობა)

განაჩენი: დაუკავთოთ საჯდომი სკამების გაპეტება ჭელოსანს კა-კაბაძეს, რომელიც სულ მოკლე ხანში, უნივერსიტეტის გაჭსნამ-დე, გვპირდება 40 ცალი საჯდომის ჩაბარებას.

ელექტრონის შესახებ მოლაპარაკება გაიმართოს ელექტრონის სადგურთან და გიმნაზიის გამგე კომიტეტთანაო (ეს საქმე მიენდო ა. შანიძეს). გათბობას ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთ.

2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გაჭსნის თადარიგი.

გამოითქვა აზრი, რომ გაჭსნილ იქმნას 26 იანვარს (დავით აღმა-შენებლის დღეს, რომლის სახელზეა აშენებული ქართ. გიმნაზიის ეკლესია), რადგან 14 იანვრისათვის ვერ მოესწრება.

უნივერსიტეტის გაჭსნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქ. საუნი-ვერსიტეტო საზოგადოების გამგეობამ და გაჭსნის დროს მოწვე-ულ უნდა იქმნეს ეროვნული საბჭო, უმაღლეს სასწავლებლების (პოლიტექნიკუმი, ქალთა უმაღლესი კურსები) წარმომადგენერალნი და სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლები და აგრეთვე უცხოელები.

განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესა-ხებ.

3. განსახილველი საგანი: კვლავ ლექტორების შესახებ:

დასახელებულ იქმნენ ლექტორებად: ინგლისური ენისათვის ქ-ნი ვანდა დამბაშიძე, ფრანგულისათვის – ქ-ნი ელისაბედ ორბე-ლიანი და გერმანულისათვის ბატ. ილია ყიფშიძე.

განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესა-ხებ.

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის.

ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მისი წერილი შავი ქვის საბჭოსად-მი მიწერილი, სადაც ნათხოვნია, რომ საბჭომ უნივერსიტეტს და-უთმოს ის წიგნები, რომელიც მას საგანგებოდ პქონდა შეძენილი საქართველოს წარსულისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ.

მსჯელობის დროს გამოირკვა, რომ შავი – ქვის საბჭოს პქონია აგრეთვე მინერალოგიური კაბინეტი და ფისიკური და ქმიური ლაბორატორიები.

განაჩენი: საბოლოოდ არაფერი დადგენილება ყოფილა ამის შესახებ.

5. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ბლანკების დაბეჭდვა.

განაჩენი: დაიბჭდოს ბლანკები ასეთი ზეწარწერით: „ქართული უნივერსიტეტი ოფიციულისში”.

6. განსახილველი საგანი: კრებას მოკსენდა, რომ ილია ჭერიას განუცხადებია სიტყვიერად, რომ უნივერსიტეტმა ნება დაპროცეს, რომ მსმენელად ჩაწერა მასთანაც შეიძლებოდეს.

განაჩენი: წინადადება უარყოფილ იქმნა.

7. განსახილველი საგანი: იუსტინე აბულაძემ შუამდგომლობა აღ-ძრა, სპარსეთში მივდივარ და სპარსული ნაბეჭდი და გელნაწერი წიგნების შესაძენად 300 მანეთი მომეციოთ.

განაჩენი: დაადგინეს მიუცეს თხოვნისამებრ 300 მანეთი.

მდივანი: ა. შანიძე

* ივ. ჯავახიშვილმა ამასთანავე კრებას მოაწენა, რომ ბატონ ლა-გრანჟს შემოუთვლია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია საფრანგეთიდან, პასტერის ინსტიტუტიდან, ბაქტერიოლოგიური კაბინეტი მი [.....]¹

¹ ქადაგდის დაზიანების გამო დანარჩენი ტექსტი აღარ იკითხება.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 1²

„13,, იანვარს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის „11. 30“ საათზე
(ქართ. გიმნაზიის შენობაში)

დაქსწრენ: ფ. გოგიაშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. კეკელიძე,³ ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდიგანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა ქართული უნივერსიტეტის მირითადი დებულებანი, უპერ დამტკიცებულნი ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ.

განაჩენი: დამტკიცება მიღებულ იქმნა ცნობად.

2. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა ახალი (შესწორებული) რედაქცია წესდების იმ ნაწილისა, სადაც უნივერსიტეტის ორგანოებზეა საუბარი.

განაჩენი: წესდების ეს ნაწილი დამტკიცებულ იქმნა.

3. განსახილველი საგანი: აუდიტორიების მოწყობის საკითხი.

ბ. ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოაწესენა, რომ მან საჯდომი სკამები უკვე შეუკვეთა გელოსანს, რომელიც წერილობით დადებული გელშეკრულობის ძალით მოვალეა 24 ამ თვეს ჩაგვაბაროს სულ ცოტა 30 ცალი.

სააუდიტორო ოთახები და კორიდორები ბ. ივ. ჯავახიშვილს დაუთვალიერებით ინჟ. გ. ქურდიანთან ერთად. აქ წინად თავადაზნაურობას საავადმყოფო პქონია გამართული ოშმი დაჭრილოთაფის. შენობა საშინელ მდგომარეობაში ყოფილა და მის შეკვთებას კარგა დიდი თანხა მოუნდება. დაზარეთის სალიკვიდაციო კომისიის წევრთან ისე შეთანხმებულან, რომ მთელს ხარჯს, რაც კი შენობის შეკეთებას მოუნდება თავად-აზნაურობა გაიღებს.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

² ამ ოქმის ორი ეგ ზემდებარი არსებობს, ერთი ძალიან დაზიანებულია, ორივე ა. შანიძის მიერ არის შედგენილი.

³ ოქმის ერთი გარიანტის მიხედვით, ა. კეკელიძე არ ეხსრება სხდომას, მეორე გარიანტში მოხსენიებულია სხდომის მინაწილეთა შორის.

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას ინჟენერი გ. ქურდიანი კისრულობს. ამ ხარჯთაღრიცხვას ჩვენ წარვუდგენთ და ფულს მიყიდებთო. ამას გარდა, ჩვენს განკარგულებაში გადმოდის მთლად ელექტრონის მოწყობილობაო.

განაჩენი: მიღებულ იქმნა ცნობად.

4. განსახილვილი საგანი: ლექტორთა მოწვევის საკითხი

ა) გერმანული ენისათვის

ბ. ჯავახიშვილმა მოაქსენა კრებას, რომ იგი მოელაპარაკა ბ. ართურ ლეისტს და უკანასკნელი თანახმა ყოფილა ემსახუროს ქართულ უნივერსიტეტს, როთაც კი შეუძლია.

განაჩენი: ცნობად.

ბ). ინგლისური ენისათვის

ბ. ივ. ჯავახიშვილმა კრებას მოაქსენა, რომ მოლაპარაკება პქონია ქნ ვანდა დამბაშიძესთან, რომელიც თანავმა ყოფილა, ლექტორობა იკისროს.

განაჩენი: ცნობად.

გ). არაბული ენის ლექტორის შესახებ აკაკი შანიძემ განაცხადა რომ მას ცნობა უნდა მოჰსენდოდა ბათუმიდან პასან აბაშიძისაგან მოლა ცივაძის შესახებ, მაგრამ ჯერ არავითარი ცნობა არ მიმიღია.

დ). კრებამ სასურველად სცნო ახალი სომხურისათვის ლექტორის მოწვევა.

განაჩენი: და დაადგინა, მოწვეულ იქმნას ბ. მელიქსეტ-ბეგიანი, უკეთუ ამისთვის ამ თავითვე უნინანსიური დაბრკოლება არ აღმოჩნდება.

5. განსახილველი საგანი: ბანკიდან ფულის გამოტანის წესრიგი.

განაჩენი: დაადგინეს: ქადალდი ყოველთვის გელმოწერილი უნდა იყოს რექტორისა და საბჭოს მდივნის მიერ.

6. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გავსნის დრო და წესრიგი. რადგანაც უნივერსიტეტის გავსნა 14 იანვარისათვის, ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ მოჯერხდა, ამიტომ კრებამ საბოლოოდ დაადგინა:

განაჩენი: უნივერსიტეტი გაიგსნას 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის დღეს: ამ დღეს უნივერსიტეტის გავსნისას საგენტობო სიტყვა უნდა იყოს წარმოთქმული.

გავსნის წესრიგის საბოლოოდ შემუშავება და საპატიო წევრთა მოწვევის საკითხის განხილვა შემდგენისათვის გადაიდოს.

7. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა არჩევნები:

ა. რექტორისა

ბ. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისა და

გ. პროფესორთა საბჭოს მდივნისა

განაჩენი: ერთგული იქმნება:

ა. რექტორად დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი

ბ. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად პროფ. ივ. ჯავახიშვილი და

გ. პროფესორთა საბჭოს მდივნად პროფ. იოსებ ეიცშიძე

8. განსახილველი საგანი: ხაზინადრის არჩევნები.

განაჩენი: ხაზინადრობა, კრების ერთსულოვანი თხოვნით, იკისრა პროფესორმა ფილიპე გოგიაშვილმა.

მდივანი: ა.შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 2

, „17., იანვარი, 1918 წ.

სხდომა დაიწყო დღის „1“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიანიშვილი, ანდ. ბენაშვილი, პ. პერელიძე, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე,

თაგმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: ლექციების განაწილება.

განაჩენი: მიენდო გამგეობას.

3. განსახილველი საგანი: პროფესორებისა და ლექტორების მოწვევა.

განაჩენი: მიენდო გამგეობას მოელაპარაკოს ნ. დუბროვსკის იკისრების თუ არა ლექციების კითხვას მსოფლიო ისტორიიდან ქართულ უნივერსიტეტში. ა. შანიძემ იკისრა ბათუმს წასვლა და იქ ქართველ მაპმადიანებში ისეთი პირის გამოძებნა, რომელმაც არაბული ენა იცოდეს და უნივერსიტეტში ლექტორობა შეძლოს.

4. განსახილველი საგანი: ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ არტურ ლეისტი თანაკმაა გერმანული ენის ლექტორობა იკისროს მხოლოდ უფროს ჯგუფთან და უმცროსი ჯგუფისათვის კი საჭირო იქნება სხვა ვისიმე მოწვევა, მაგ. ილია თევდორიესძის ურუშაძისა, რომელიც თანაკმაა ამ ადგილზე.

განაჩენი: საბჭომ შესაძლოდ ვერა სცნო უსახსრობისა გამო ერთს ენაში ორი ლექტორი მოიწვიოს და სთხოვა ივ. ჯავახიშვილს კელახლა მოელაპარაკოს არტურ ლეისტს რომ მან იკისროს ორივე ჯგუფთან მეცადინეობა თუ არა და მოიწვიოს ილია ყიფშიძე.

5. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გახსნის მოწყობა.

განაჩენი: გაიხსნას 26 იანვარს, დაიხეჭდოს საგანგებო მოსაწვევი ბარათები სამს ენაზედ – ქართულსა, ქართულ-რუსულსა და ქარ-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

თულ-ფრანგულისა (იხ. „უნივერსიტეტის გახსნის დღის“ ქაღალდებში). მოსაწვევ პირთა და დაწესებულებათა სიის შედგენა მიენდოს გამგეობას. პარაკლისი გადახდილ იქნას ეკლესიაში, ხოლო უნივერსიტეტი გაიხსნას საუნივერსიტეტო დარბაზში პირველ საათზედ. უნივერსიტეტი გახსნას ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ სიტყვას წარმოსთვამს რექტორი. მდივანი წაიკითხავს უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიას, დასასრულ დეკანი წარმოსთვამს სიტყვა-ლექციას.

6. განსახილველი საგანი: გამგეობის მდივნისა და მდივნის თანა-შემწის მოწვევა.

განაჩენი: მიენდო გამგეობას მოიწვიოს მდივნად ან დავითაშვილი ან ლადო გეგჭეორი, ხოლო მდივნის თანა-შემწედ ვანო გველესიანი, ჯილდო მდივანს სამასი (300) მანეთი თვეში, თანა-შემწეს კი – ხუთმეტი თუმანი (150 გ.)

7. განსახილველი საგანი: პროფესორთა და ლექტორთა ჯამაგირები.

განაჩენი: პროფესორებს მიეცეს თვეში ხუთას-ხუთასი მანეთი, ხოლო ლექტორებს სამას-სამასი. პროფესორებს ჯამაგირები მიეცეს 1918 წლ. 1 იანვრიდან, ლექტორებს კი იმ დღიდან როდესაც მუშაობას შეუდგებიან. ჯამაგირები რიგდებოდეს ყოველი თვის ხუთმეტში.

8. განსახილველი საგანი: წაიკითხულ იქნა ექიმის ვახტანგ დამბა-შიძის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მას ნება მიეცეს წაიკითხოს უნივერსიტეტში უსასყიდლოდ ხუთი ან ათი ლექცია პიგიენიდან.

განაჩენი: სასურველია, ხოლო რამდენად შესაძლებელი იქნება განსხვაობის ადგილისა და დროის მიხედვით, ამის გასინჯვა მიენდოს გამგეობას.

9. განსახილველი საგანი: პროფესორთა ოჯახის წევრების უნივერსიტეტში მიღება.

განაჩენი: უსასყიდლოდ მიიღებოდნენ უნივერსიტეტში პროფესორთა ცოლ-შვილნი.

10. განსახილველი საგანი: ფრანგული ენის ლექტორმა ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანისამ და ინგლისურისამ ვანდა დამბაშიძისამ წარმოადგინეს გეგმები თუ როგორ აპირებენ სტუდენტებთან მეცადინეობას.

განაჩენი: პროგრამების განხილვა მიენდოს ი. ყიფშიძეს და ა. შანიძეს.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯაგახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, ვ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
უნივერსიტეტის პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი
(პ.მელიქიშვილის ბინაზედ).

№ 3

,21,, იანვარი, 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის „10“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ანდ. ბერძოლი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და იოსებ ყიფშიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. **განსახილველი საგანი:** წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი.

2. **განსახილველი საგანი:** სასურველია თუ არა ეხლავე ნ. დუბრივსკის პროფესორად მოწვევა?

განაჩენი: დუბრივსკის მოწვევა გადაიდოს მეორე სემესტრისთვის.

3. **განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა საბჭოს რომ მას გრიგოლ ვეშაპელმა (ვეშაპიძე) სიტყვიერად განუცხადა სურვილი უნივერსიტეტში დარჩენისა საპროფესორო ხარისხზედ მოსამზადებლად.

განაჩენი: გადაიდო ამ საკითხის გადაწყვეტა საზოგადოდ უნივერსიტეტში დასატოვებელთა საკითხის გამორკვევამდის.

4. **განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა რომ მან დეპუტატთა საბჭოდან მიიღო 3500 მანეთი უნივერსიტეტის ბინის შესაკეთებლად.

განაჩენი: გადაეცეს საზინადარს.

5. **განსახილველი საგანი:** ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რადგან სამხედრო სასწავლებლები და ბევრი სხვა დაწესებულებანი იკვებება, ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ უნივერსიტეტს გადმოუცეს მათი ქონებათ.

განაჩენი: აღიძრას სადაც ჯერად შესაფერი შუამდგომლობა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ა. ბერძოლი

¹ სიტყვები: „უნივერსიტეტის პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
უნივერსიტეტის პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 4

„5,, თებერვალი 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თავაიშვილი, პ. კა-
კელიძე, ი. აბულაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: ივ. ჯავახიშვილმა საბჭოს მოახსენა
შემდეგი:

ა. მარ. ვახტ. ორბელიანისამ მას გადასცა შემოწირულებად 4000
მან. გირავნობის ფურცლები კიტა აბაშიძის სახელობის სტიპენ-
დიის დასაარსებლად უნივერსიტეტიში

განაჩენი: გამოეცხადოს მაღლობა მ. ვ. ორბელიანისას და გირავ-
ნობის ფურცლები გადაეცეს ხაზინადარს სახელმწიფო ბანკში
შესანახად.

როდის შესრულდა: 17/III, №35

ბ. ელენე ალექსანდრეს ასულმა აბულაძისამ შემოსწირა 4000
მან. თავის მამის სახელობაზედ უნივერსიტეტში ერთი სტუდენ-
ტის სწავლის ფულისგან განსათავისუფლებლად.

განაჩენი: გამოეცხადოს მაღლობა ე. ა. აბულაძისას და თანხა გა-
დაეცეს ხაზინადარს სამეურნეო ბანკში დასაცავად.

როდის შესრულდა: 9/III, №29

გ. მან მიიღო ხონში შეკრებილი 667 პ. 81 პ. ქართული უნივერსი-
ტეტის სასარგებლოდ.

განაჩენი: გამოეცხადოს მაღლობა.

როდის შესრულდა: 17/III, №36

2. განსახილველი საგანი: მხატვარმა შევარდნაძემ წარმოადგინა
უნივერსიტეტის ბეჭედის სამგვარი ნიმუში.

განაჩენი: ერთი მათგანი არჩეულ იქნა.

3. განსახილველი საგანი: ე. თავაიშვილმა აღმრა საკითხი მხატ-
ვარ შევარდნაძის დაჯილდოების შესახებ უნივერსიტეტის ბეჭ-
დის ნიმუშების დახატვისათვის.

¹ სიტყვები: „უნივერსიტეტის პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

განაჩენი: მიეცეს სამასი (300) მანეთი.

4. განსახილვები საგანი: ივ. ჯავახიშვილმა აღმრა საკითხი რომ ინუინერ ქურდიანს მადლობა გამოეცხადოს უნივერსიტეტის ბინის შეკეთების უსასყიდლოდ გელმძღვანელობისათვის.

განაჩენი: მადლობა გამოეცხადოს.

როდის შესრულება: 7/II, №8

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, პ. კვებელიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 5

„27., თებერვალს 1918 წ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაქსწრებ: რექტორი პ. მელიქიშვილი, დეკანი ივ. ჯავახიშვილი, ე. თავაიშვილი, კორნ. კეჩელიძე, დ. უზნაძე, ანდ. ბენაშვილი, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: რექტ. პ. მელიქიშვილი
მდიგნის ნაცვლად იყო: ა. შანიძე

1. განსახილებელი საგანი: ეროვნული საბჭოს სამკურნალო სექციის მიმართვა უცხოეთში მყოფ ქართველ პროფესორთა, დოცენტთა და მეცნიერ კელმძღვანელთა მიმართ საადგომოდ ტფილისს დაბრუნებისა და აქ კრების გამართვის შესახებ, სადაც ერთ-ერთ საკითხად ქ. უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გაგსნა უნდა იყოს დასმული.

განაჩენი: მომზადდეს მასალები და მოგსენდეს პროფესორთა საბჭოს

2. განსახილებელი საგანი: დეკანმა ივანე ჯავახიშვილმა საბჭოს მოაწევნა, რომ:

ა) მან საჭირო ნაბიჯები გადადგა და ზომები მიიღო, რომ შევი ქვის მრეწველთა საბჭოს საქიმიო ლაბორატორია, მინერალოგიის კაბინეტი და წიგნთსაცავის ნაწილი ქ. უნივერსიტეტის გადმოეცეს.

ბ) საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წინაშე საკითხი აღძრა, რომ ქ. უნივერსიტეტის გადმოხცენ ძველი ნაბეჭდი წიგნები, რომელიც სასულიერო სემინარის წიგნთსაცავში ინახებიან და სემინარისათვის კი მაინც და მაინც საჭირონი არ არიან.

3. განსახილებელი საგანი: მეორე აუდიტორიის გადაფიცრვის შესახებ (რომ წიგნთსაცავ-სამკითხველოს ცალკე თოახი პქონდეს)

განაჩენი: ამისთვის საჭირო თანხა გადგბულ იქმნეს, მეორე აუდიტორია გადაიფიცროს და წიგნთსაცავ-სამკითხველო მოეწყოს.

4. განსახილებელი საგანი: პ. ევსევი ნიკოლაძის შემოკითხვა დისერტაციის დაცვის შესახებ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

განაჩენი: მიეწეროს, რომ ქართულ უნივერსიტეტი საზოგადო მიღებული წესის თანაპირობა, დისერტაციის დაცვის უფლება იმას აქვს მხოლოდ, ვისაც სადოქტორო გამოცდები აქვს ან ექმნება ჩაბარებული.

5. განსახილველი საგანი: ბ. გრიგოლ ვეშაპელის (ვეშაპიძის) სიტყვიერი განცხადება ქ. უნივერსიტეტის დატოვების შესახებ (საერთაშორისო სამართალში)

განაჩენი: ეცნობოს, რომ დატოვების საკითხი შეიძლება გადაწყვდეს საზოგადო მიღებული წესის თანაპირობა.

6. განსახილველი საგანი: თავისუფალი მსმენელის ნეოფიტე თაბუკაშვილის თხოვნა, რომ ის ნამდვილ სტუდენტად იყოს გადარიცხული.

განაჩენი: უკეთუ თრის წლის განმავლობაში დამატებით გამოცდებს დაჭერს, მაშინ იქმნება გადარიცხული და მოსმენილი საგნებიც ჩაეთვლება.

7. განსახილველი საგანი: აბულაძის ქვრივის ალექსანდრე საგინაშვილის ასულის ელენეს განცხადება მისი მამის სახელობის სტიპენდიის დაარსების შესახებ.

განაჩენი: გამოუცხადოს მადლობა.

8. განსახილველი საგანი: ქართველთა მეშვიდე მსროლელთა პოლკის უფროსის მიერ პოლკში შეკრებილი და გამოგზავნილი თანხა 2900 მანეთი კიტას სახელობის სტიპენდიისათვის.

განაჩენი: მადლობა გამოუცხადოს და თან ეცნობოს გამომგზავნელთ, ქს თანხა კიტას სახელობის უკვე არსებულ თანხას მიემაროს, თუ ცალკე იქმნას გადადებული?

9. განსახილველი საგანი: ეროვნულ საბჭოდან მიღებული ფულზბის (20.000 მან) ბანკში შენახვა, თუ კელზე ქონება.

განაჩენი: დარიგდეს მარტის ჯამაგირები პირველსავე მარტს.

10. განსახილველი საგანი: გამგეობის მდივნის თანაშემწის ჯამაგირის რაოდენობის გადიდება.

განაჩენი: რადგანაც იანვარ-თებერვალში გამგეობის მდივნი ბაქოდან უერ ჩამოვიდა და მის მოვალეობას თანაშემწე ასრულებდა, ამიტომ მიეცეს მას დამატებით ერთი იმდენივე, რაც მიღებული აქვს, რომ ამნირად მდივნის ჯამაგირი სრულად შეუდგეს. ამას გარდა მარტიდან მიეცეს თვეში ოც-ოცი თუმანი.

11. განსახილველი საგანი: აკაკი შანიძის მოგსენება მისი საგრამატიკო გამოკვლევის დაბეჭდვისა და ამისთვის საჭირო თანხის გადადების შესახებ.

განაჩენი: საბჭომ პრინციპიალურად მიიღო წიგნის დაბეჭდვა და ამისთვის თანხის გამოლებაც სასურველად სცნო, მაგრამ საჭი-

როდ დაინახა ამ საქმის გადაღება, ვიდრე ჩვენი სტრატეგიულ-პოლიტიკური მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვეოდეს.

12. განსახილველი საგანი: ქადალდის შეძენა სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

განაჩენი: შეძენილ იქმნას ქადალდი ოც-ზმამდე.

13. განსახილველი საგანი: ბატონმა რექტორმა სიტყვიერი წინადაღება შემოიტანა უნივერსიტეტის საპატიო წევრად პროფესორ კონდაკოვის არჩევის შესახებ.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ქ. კმპელიძე, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 6

„8., მარტს 1918 წ.

სხდომა დაიწყო ლექციების შემდეგ საღამოს „7.50“ საათზე

დაესწრენ: დეკ. ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ანდრია ბენაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: ივ. ჯავახიშვილი მდივნის მაგიერ იყო: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წიგნთსაცავისა და რენტგენის სხივების კაბინეთის შეძენა საფრანგეთის მისიისაგან.

განაჩენი: რადგანაც კაბინეტიცაა და წიგნთსაცავიც სამკურნალო ფაქულტეტისათვის არის საჭირო, ამიტომ ეთხოვთ მქურნალთა—და ბუნების მეტყველთა საზოგადოებას რომ ამათ შემგნას მოქმარდეს ის თანხა, რომელიც საზოგადოებას სამკურნალო ფაქულტეტისათვის აქვს შეგროვებული და განკუთვნილი.

2. განსახილველი საგანი: პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტის ანატოლი პავლეს ხე ალავდინის მოწვევა მომავალი ენკენის-თვიდან (ასურულისა და ძველი ებრაულისათვის).

განაჩენი: გადაწყდა: მოწვეულ იქნას ენკენისთვიდან და ეხლავე ეცნობოს ამის შესახებ.

3. განსახილველი საგანი: თელავის მომწმარებელი საზოგადოების გადაწყვეტილება ქ. უნივერსიტეტისათვის 653 მან. და 7 შაურის გადადგების შესახებ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

როდის შესრულდა: 17/III, №37

4. განსახილველი საგანი: სოხუმში ქ. უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ საღამოს შესახებ.

განაჩენი: საღამოს მომწყობთ გაეგზავნოს სამადლოებელი დეპეშა. დეპეშა გაიგზავნოს ბ. ნიკო თავდგირიძის სახელზე.

როდის შესრულდა: 21/III,

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე,
პ. პეპელიძე

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ..

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
უნივ. პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 7

„15,, მარტი 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8 1/2“ საათზე

დაესწრენ: რექტორი პ. მელიქიშვილი, დეკანი ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. კეკელიძე, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, შ. ნუცებიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ან. ბენაშვილი, ი. აბულაძე და ი. ყიფშიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა ორი წინა კრების ოქმები.

2. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქნა პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ გელმოწერილი ქაღალდი აკადემიკოს ნიკოლიმ პავლეს ძის კონდაკოვის სამეცნიერო დვაწლის შესახებ კელოვნების ისტორიაში საზოგადოდ და კერძოდ ქართული კელოვნების ისტორიის შესწავლაში (იხ. „საბჭოს“ ქაღალდებში №13). მომხსენებლებმა წინადადებით მიმართეს პროფესორთა საბჭოს კონდაკოვი ქართული უნივერსიტეტის საპატიო წევრად აერჩიათ.

განაჩენი: ერთგად არჩეულ იქნა. ეცნობოს აკადემიკოს კონდაკოვს ეხლავე და როდესაც შესაძლო იქნება გაეგზავნოს შესაფერი დიპლომიც.

3. განსახილველი საგანი: ივ. ჯავახიშვილმა საბჭოს მოახსენა:
ა. რომ საფრანგეთის მისიისაგან შეძენილ იქნა უნივერსიტეტისათვის ფრანგული წიგნთსაცავი (სამქურნალო წიგნები) სამი ათას (3000) მანეთად.

განაჩენი: ხარჯი დამტკიცებულ იქნა.

ბ. რომ უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი სამხედრო სასწავლებლის წიგნთსაცავი.

განაჩენი: მადლობა გამოეცხადოს ივ. ჯავახიშვილს ამ საქმის მოგვარებისათვის.

¹ „უნივ. პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

გ, რომ საჭიროა შუამდგომლობის აღძრვა რკინის გზის გამგების წინაშე ვაგონის მოცემის შესახებ ქუთაისიდან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ უნივერსიტეტისათვის დათმობილი წიგნთაცავისა და სხვა ნივთების გადმოსატანად.

განაჩენი: აღიძრას შესაფერისი შუამდგომლობა რკინისგზის გამგების წინაშე.

როდის შესრულდა: 17/III, №38

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის წიგნთაცავის გამგის თანაშემწევდა და მისი ჯამაგირი.

განაჩენი: მოწვეულ იქნას ამ თანამდებობაზე ბარბარე ყიფიანი და დაენიშნოს ოვეში ოცი თუმანი.

5. განსახილველი საგანი: ქ. თაყაიშვილმა განაცხადა: იყიდება ცნობილი ფოტოგრაფის აწ განსავენებული ერმაკოვის კოლექცია, რომელსაც დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, საჭიროა 80 ათასი მანეთით. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სურს ეს კოლექცია შეიძინოს, მაგრამ მარტო ვერ კისრულობს მთელი ფასის გადახდას და წინადაღებას აძლევს უნივერსიტეტს საზიაროდ შეიძინონ ეს კოლექციათ. ამასთანავე თაყაიშვილმა დასძინა რომ უნივერსიტეტს ამ საქმისათვის საჭირო თანხა (40 ათასი) შეუძლია ისესხოს სამუზეუმო ფონდისაგან.

განაჩენი: საბჭომ სასურველად და საჭიროდ სცნო ამ კოლექციის შეძენა და დაადგინა – ეცნობოს უნივერსიტეტის საზოგადოების გამგებისა და ეთხოვოს რომ მან მოკლე დროში დანიშნოს შეერთებული კრება საზოგადოების გამგებისა, საფინანსო კომისიისა და უნივერსიტეტის გამგებისა ამ საკითხის ფინანსური მხარის გამოსარკვევად, აგრეთვე ეცნობოს ეროვნულ საბჭოს პელოვნების სექციას და ეთხოვოს დახმარება.

როდის შესრულდა: 17/III, №83

6. განსახილველი საგანი: აღექსანდრე იოსების ძის წერეთლის უნივერსიტეტში დატოვება მსოფლიო ისტორიის კათედრაზე. წაკითხულ იქნა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფ. ვ. ბუზესკულის წერილი (იხ. „საბჭოს“ ქადალდები №12) სადაც ის ამოწებს რომ ა. წერეთლი სტუდენტობის დროს დიდის ინტერესით ეკიდებოდა ისტორიაში მეცადინეობას და კუთილისინდისიერად მუშაობდათ და თუ მას – წერეთლს პირობები გვილს შეუწყობენ, ის შეძლებს მის მიერ არჩეულ სამეცნიერო დარგში მუშაობას.

განაჩენი: ა. ი. წერეთლი დატოვებულ იქნეს უნივერსიტეტში უსტიპენდიოდ. ანგარიშები თავის მეცადინეობის შესახებ წარმოუდგინოს ხოლმე უნივერსიტეტს ყოველ ექვს თვეში. შემდეგ თუ უნივერსიტეტი შესაძლოდ და საჭიროდ დაინახავს გაიგზავნოს საზღვარგარეთ და დაენიშნოს შესაფერი სტიპენდია.

ეს განაჩენი ეცნობოს წერეთელს და თუ ის თანატმაა, გამოუგზავნოს უნიკერსიტეტს სათანადო თხოვნა.

როდის შესრულდა: 17/III, №34

7. განსახილებელი საგანი: წარმოდგენილ იქნა ა. პ. ალდავდინის მიერ შედგენილი ასურულ და არაბულ ენათა და ლიტერატურის შესასწავლად საჭირო წიგნების სია.

განაჩენი: სია გადაეცეს წიგნთსაცავის გამგეს და შეძლებისდაგვარად წიგნებიც შეძენილ იქნენ.

8. განსახილებელი საგანი: ხაზინადარმა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა განაცხადა რომ საუნივერსიტეტო თანხა, რომელიც მის კედშია, მას დაცული აქვს კახეთის რკინიგზის კასაში უპროცენტოდ, ხაზინაში ან ბანკში არ შეუტანია მისთვის რომ დღევანდელ პირობებში ხაზინიდან ან ბანკიდან ფულის გამოტანა უკანვე ძლიერ გამნელებულა და ხანდიხან შეუძლებელიცაა.

განაჩენი: საბჭომ მოიწონა ხაზინადრის მოქმედება და დაადგინა კვლავ განაგრძოს ამავე სახით თანხის დაცვა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კმპპ-ლიძე, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ი. ყიფ-შიძე

ქ ა რ თ უ ლ ი ჟ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ა ტ ი .
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი ჟ რ ი

№ 8

„3., აპრილი 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თავაიშვილი, პ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი და ი. ყიფშიძე

თაგმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი მდიგარი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: შეწყდეს თუ არა ლექციები ოსმალეთის შემოტკიცის გამო ბათუმის მსარეში?

განაჩენი: უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთავის, რომელიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს.

2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტისა და მუზეუმების დაცვის თაღარიგი მოსალოდნელ საომარ მოქმედების ან არეულობის დროს.

განაჩენი: ეთხოვოს ვისაც ჯერარს – დაყენებულ იქნენ საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნენ მიღებული, რომ საომარი მოქმედების ასაკარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, [.....]²

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

² ქადაგდის დაზიანების გამო სხვების ხელმოწერა არ ჩანს.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 9

„13., აპრილი, 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, ფ. გო-
გიჩაიშვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბერიშვილი
და ი. ყიფშიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა
ორი კრების ოქმები.

2. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა შემოწირულობათა
სია:

1, ზაქარია ჩხილავაძისაგან პეტრე სუხიტაშვილის ოჯახში შეცრები-
ლი 80 მან., 2, ალექსანდრე სპირ. ზედგინიძისაგან 1000 მან., 3,
გრიგოლ ონისიძ. ქაჯაიასაგან 354 მ. და 60 კ., 4, ვარლამ ჭრე-
ლაშვილისაგან ქუთაისში გამართული საღამოს შემოსავალი 5510
მან., 5, იოსიონე გომირგის ძის კოსტავასაგან 100 მან., 6, კაჭრე-
თის მომხმარ. საზოგადოებისაგან 200 მან., 7, მეორე სამილიციო
კომისარიატის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 189 მან., 8, ქ-
თუევან დვითისავრიშვილისაგან შეგროვილი 17 მ. 50 კ., 9, ქ-ბ ოლდა
ხოფერიასაგან სენაკში გამართული საღამოსაგან 10.063 მ. 63 კ.,
10, არტემ დავ. გეგენავასაგან შეგროვილი 27 მ. და 40 კ., 11, გი-
ორგი [...] ბაქესგან შეგროვილი ქოდესაში [...] მან., 12, მიხეილ ხა-
ნანაშვილისაგან ქუთაისის ისრაელთა შორის შეგროვილი კიბი
აბაშიძის ხსოვნის ადსანიშნავად 200 მან., 13, მეჯვრისხევის
მომხმ. საზოგადოებისაგან 115 მ., 14, ახალსენაკის საკრებულოსა-
გან 1000 მან., 15, სამტრედიის ოთხლასიან გიმნაზიის მოწაფეთა
შორის შეგროვილი 100 მან., 16, სამტრედიის უმაღლეს პირველ-
დაწყებით მოწაფეთა შორის შეგროვილი 382 მ. და 60 კ., 17, მაღ-
ლაკის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისგან 150 მან., 18, ქუ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

² ტექსტი არ იკითხება ქადაღლის დაზიანების გამო.

³ ტექსტი არ იკითხება ქადაღლის დაზიანების გამო.

პირ. ქართულ გიმნაზიის მექქვსე კლასის მოწაფეთაგან 30 მან., 19, ტაშქენტის ქართველთა საზოგადოებისაგან 1000 მან., 20, ვინძე ჩხიკვაძისაგან 669 მ. 50 კ., 21, მაღლოთის (გაურკვეველია) საკრედიტო ამხანაგობისგან 150 მან., 22, კლავდია გაბუნიასაგან ნადეჯდა სახოკიას სახსოვრად 20 მან.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

3. განსახილველი საგანი: წიგნები და სხვაგვარი შემოწირულებანი: 1, მ. ჯანაშვილმა საეკლესიო მუზეუმის გამგე კომიტეტის სახელით შემოსწირა 33 წიგნი, მუზეუმის გამოცემანი,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა

2, მთავრიშვილისა და ამხანაგობის მიერ გამოცემული 16 წიგნი დაპირებით რომ შემდეგშიც ყოველი თავისი გამოცემის თითო ცალს გამოუგზავნიან უნივერსიტეტს,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა

3, შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გადმოსცა უნივერსიტეტს თავისი წიგნთსაცავი საქიმიო ლაბორატორიის მოწყობილება და სამინერალოგიო კოლექცია იმ პირობით რომ ამ შემოწირულებას დაერქვას სახელი გ. ფ. ზდანოვიჩისა და მოთავსებულ იქნეს ცალკეოთაში,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა და ეცნობოს რომ პირობაც შესრულებული იქნება იმ მხრივ რომ ნივთებს დაერქმევა გ. ზდანევიჩის სახელი. ხოლო რაც შეეხება ცალკე ოთახს შეიძლება არ მოხერხდეს რადგან სხვადასხვა ხასიათის ნივთებია.

4, საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის გამ[....]ის გამ[....]ის განყოფილებამ გადმოსცა უნივერსიტეტს პიდრობენიკურ გამგეობისგან მიღებული ქონება,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

5, ადამ ივ. ფორაქიშვილმა დ. სარაჯიშვილისეული წიგნთსაცავი და სამი შეაფი შემოსწირა.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

6. ბარბარე ყიფიანმა თავის ნაწერები და ამ ნაწერების შესახებ კრიტიკა-განმარტებანი [.....]²

4. განსახილველი საგანი: ფ. გოგიჩაიშვილმა აღმრა საკითხი იმის შესახებ, რომ ეთხოვოს ყველა ადგილობრივ რედაქციებს და გამოცემლებს თავიანთი გამოცემების და უურნალ-გაზეთების ორორი ცალი უფასოდ დაუთმონ უნივერსიტეტს ბიბლიოთეკაში დასაცავად.

¹ ტექსტი გაურკვეველია.

² ტექსტი არ იკითხება ქადალდის დაზიანების გამო.

განაჩენი: ეთხოვოს ყველას, თუ უფასოდ არ დაგვითმონ, იმ შემთხვევაში გამოწერილ იქნეს ყველაზე უფრო საჭირონი უნივერსიტეტისათვის უურნალ-გაზეთები თითო ცალი, ხოლო წიგნები რაც კი გამოიცემა ყველა შექნილ უნდა იქნეს.

5. განსახილველი საგანი: ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიისაგან მოსული წინადადება – დავასახელოთ კანდიდატი ობსერვატორიის დირექტორის თავისუფალ ადგილზედ.

განაჩენი: წარდგენილ იქნას კანდიდატად უნივერსიტეტის პროფესორი გენერალმაორი, გეოდეზისტი, ანდრია მიხეილისძე ბენაშვილი.

6. განსახილველი საგანი: კონდრატ. ერასტისძის გაბიჩვაძის მოხსენება ყოფილ მეფისნაცვლის სასახლის სარდაფში დარჩენილ ძველსა და ძვირფას ღვინოების უნივერსიტეტისათვის გადარჩენისათვის სამეცნიერო მიზნებისთვის.

განაჩენი: ეთხოვოს მთავრობის წარმომადგენელს – გადმოსცენ უნივერსიტეტს ისეთი ღვინოები რომელებსაც სიძველითა ან სხვა ღირსებით სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

როდის შესრულდა: გაგზავნილია

7. განსახილველი საგანი: ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისაგან ნებართვის ქაღალდი რომ უნივერსიტეტმა ისესხოს სამუხუჭმო თანხიდან 40.000 მანეთი და საქ. საისტ. და საეთ. საზოგადოებასთან საზიაროდ იყიდოს ერმაკოვის კოლექცია.

განაჩენი: ეცნობოს ამის შესახებ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს.

როდის შესრულდა: ეცნობა 3/IV

8. განსახილველი საგანი: საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელოვნების სექციის დადგენილება უნივერსიტეტის მიერ მიმართულ თხოვნის საპასუხოდ – დაეხმაროს სექცია ერმაკოვის კოლექციის შეძენაში: რადგანაც ხელოვნების სექციას არა აქვს საგანგებო თანხა ასეთი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, უნივერსიტეტის თხოვნა გადაეცეს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნება დაერთოს ხელოვ. სექციის მხრივ საჭირო შუამდგომლობა და განმარტება თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

განაჩენი: მიღებილ იქნას ცნობად.

9. განსახილველი საგანი: ტფილისის ქაღაქის გამგეობის პასუხი უნივერსიტეტის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე – შედავათიანი ბილეთები მისცენ სტუდენტებს ტრამვაიზე სამოგზაუროდ. შედავათიანი ბილეთები კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატს გაეგზავნა დარიბ მოსწავლეთა შორის გასანაწილებლად.

განაჩენი: მიღებულ იქნას ცნობად.

10. განსახილველი საგანი: ტფილისის ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტის ქადალდი დადგენილებანი: „დაეთმოს ქართულ უნივერსიტეტს ზედა სართულში ოთახები”.

განაჩენი: ცნობად.

11. განსახილველი საგანი: ოდესის ქართული საზოგადოებისაგან მოღოცვა ქართულ უნივერსიტეტს.

განაჩენი: მადლობა გამოვცხადოს.

12. განსახილველი საგანი: ჩრდილო ოსეთის სამოსწავლო საბჭოსაგან მოღოცვა ქართულ უნივერსიტეტს და შეკითხვა, რა ენაზე იკითხება ლექციები უნივერსიტეტში და მიიღებიან თუ არა ოსები?

განაჩენი: გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს რომ ლექციები ქართულად იკითხება ხოლო მიღებით ყველანი მიიღებიან განურჩევლად ეროვნულისა და სარწმუნოებისა.

13. განსახილველი საგანი: ალექსანდრე იოსებისძის წერეთლისაგან თხოვნა, რომ ის თანახმად დარჩეს უნივერსიტეტში იმ პირობებში, რომლებიც აღნიშნულია უნივერსიტეტის საბჭოს წერილში.

განაჩენი: ცნობად.

14. განსახილველი საგანი: ეროვნული საბჭოს ფურცელი საბჭოსათვის ფულით დახმარების შესახებ.

განაჩენი: ყოველთვიურად გადებულ იქნას პროფესორებისა და სხვა თანამდებობის პირთა მიერ ჯამაგირის ერთი პროცენტი.

15. განსახილველი საგანი: გამგეობის მდივნის ჯამაგირის გადიდება.

განაჩენი: მიემატოს დროებით სიძვირის გამო თვეში ასი მანეთი, ე. ი. მიეცეს თვიურად თოხასი მან.

16. განსახილველი საგანი: საადგომო საჩუქარი სამს მსახურს და დამატებითი ჯილდო სადამოს კრებებისათვის.

განაჩენი: მიეცეს თითოს ას-ასი მანეთი, მიღებულ იქნეს ზომები, უნივერსიტეტის მსახურებსაც ხაზინდან მიეცესთ დამატებითი ჯილდო როგორც ეს ხდება სხვა კერძო სასწავლებლებში. საღამოს კრებებისათვის მიეცესთ ხუთი თუმანი.

17. განსახილველი საგანი: ლექციების შეწყვეტა სააღდგომოდ.

განაჩენი: შეწყვეტეს ერთი კვირით დიდხუთშაბათიდან აღდგომის კვირის ხუთშაბათამდის.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. ბენაშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 10

, „2,, მაისი 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის „10,, საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეპელიძე, ე. თავა-
იშვილი, ა. შანიძე, ანდრია ბენაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახ-
ვლედიანი და ი. ყიფშიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა
კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილის მოხსენება კავკასიის
სხვადასხვა მთიელთა ენგბის შესწავლის შესახებ. მომხსენებლის
აზრით ასეთ შესწავლას გარდა დიდი მეცნიერული მნიშვნელობი-
სა, და სხვათა შორის ქართული ენის მეცნიერულად შესწავლი-
სათვის, აქვს აგრეთვე ჩვენთვის ქართველებისათვის პოლიტიკური
მნიშვნელობაც (იხ. საბჭოს საქმეები №)²

განაჩენი: მიღებულ იქნეს ზომები მთიელთა ენგბის შესასწავლად.
მომავალ ენკენისთვიდანვე დაიწყოს ოსური ენის სწავლება და ამ
საქმის ხელმძღვანელობა მიენდოს პროფესორის მოადგილეს გ.
ახვლედიანს (აგრეთვე აფხაზური ენისა, მოწვეულ იქმნას პ. ჭარა-
ია). შემდეგ თანდათანობით, სამეცნიერო ძალთა და საშუალება-
თა მიხედვით მოეწყოს დადესტნისა და საჩანოს ენგბის შესწავ-
ლაც.

4³. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილისა და ი. ყიფშიძის
მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის ადგენის შემსწავ-
ლელი კომიტეტი”-ს დაარსების საჭიროების შესახებ (იხ. საბჭოს
საქმეები №)⁴

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

² საქმის ნომერი მთითებული არ არის.

³ განსახილველი საგანის ნუმერაცია არ უდიდეს: გამოტოვებულია მე-3
ნომერი.

⁴ საქმის ნომერი მთითებული არ არის.

განაჩენი: დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტი”.

5. განსახილველი საჯანი: შემოწირულებანი:

ა, საგარეჯოს კომარებისაგან 300 მანეთი,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ბ, ხონის გიმნაზიის მ. ჭავჭავაძისგან 426 მ. და 50 კ.,

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

გ, ანტონ ივ. ორიძისაგან წერილი რომ სადგურ მანჩურიაში ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ საღამოს შემოსავალი დარჩა 6870 მანეთი და რომ ის ამ ფულს შეიტანს ხარბინის რუსულ აზიურ ბანკში. სადამო გაუმართავთ ან. ორიძეს, ხტ. თიროშვილს და მ. გაწერელიას. დახმარება აღმოუჩენიათ ანასტასია თორიძეს, სიმ. ცეცხლაძეს, სურინოვს, საპელინს, ქ-ბ. გოლდუელდს, დოევასას და სხ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, ქ. კმპელიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ა ტ ი .
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 11

,21., მაისს, 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8 1/2“ საათზე.

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, პ. კვ-
კელიძე, ფ. გოგიაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე
და ი. ყიფშიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წი-
ნა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილის განცხადება: ერმაკო-
ვის კოლექციის ნახევრების ქადალის სისრულეში მოსახვანად
საჭიროა საბჭომ ერთი თავისი წევრი სათანადო ნდობით აღჭურ-
ვოს.

განაჩენი: მიენდოს ფაქულტეტის დეკანს პ. ივანე ალექსანდრეს ძე
ჯავახიშვილს უნივერსიტეტის მხრივ წარმომადგენლობა [... ერ] მა-
კოვის კოლექციის და ფოტოგრაფიის შესყიდვის საქმე საქართვე-
ლოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომად-
გენლებთან ერთად სისრულეში მოიყვანოს ნოტარიალურის წე-
სით.

რეკტორი პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, დ.
უზნაძე, ა. შანიძე

3. განსახილველი საგანი: სხვა ფაქულტეტების გახსნა.

განაჩენი: მომავალ ენკანისთვიდან გაიხსნეს საბუნებისმეტყველო
და სამათემათიკო ფაქულტეტი. შემუშავებულ იქნეს შემდეგი მო-
რიგი კრებისათვის ამ ფაქულტეტისათვის საჭირო ხარჯთაღრიც-
ხვა. ხარჯთაღრიცხვის შედგენა თავსიდვა დეკანი ი. ჯავახიშ-
ვილმა.

4. განსახილველი საგანი: რექტორმა განაცხადა რომ ქართველ
ექიმთა და და ბუნებისმეტყველობა საზოგადოების გამგეობის წევ-
რმა სპ. ერისალაძემ მას სიტყვიერად გადასცა შემდეგი: თუ უნი-
ვერსიტეტი აპირებს საექიმო ფაქულტეტის გახსნას, იმ შემთხვე-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

გაში ჩვენი საზოგადოება ზომებს მიიღებს რომ მიხეილის საავად-მყოფო ჩვენს განკარგულებაში გადმოვიდეს.

განაჩენი: ეცნობოს სიტყვიერადვე რომ უნივერსიტეტი აპირებს საქართველოს განვითარების და რომ მიხეილის და სხვა საავად-მყოფოების ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა განკარგულებაში გადასვლა ძლიერ სასურველი და აუცილებლად საჭიროა მომავალი ფაქულტეტისათვის.¹

5. განსახილველი საგანი: ა. შანიძემ განაცხადა, რომ მან გადაათვალიერა ოსმალურ და არაბულ ენებზე ხელთნაწერები და წიგნები ოსმალეთიდან დავალაძის მიერ ჩამოტანილი. ჩამომტანი ათას მანეთს თხოულობსო. ხელთნაწერები მფ-18 საუკუნეზე უადრესი არ უნდა იყოსო. შანიძის აზრით ხუთასი მანეთის მიცემა შეიძლება.

განაჩენი: გადადებულ იქნეს ამ საქმისათვის ხუთასი მანეთი.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ბერაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ე. თავაიშვილი, ა. შანიძე, კ. კეჭელიძე, ი. ყიფშიძე

3². განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა შ. ნუცუბიძის წერილი ბ. რეგტორის სახელობაზედ მოწერილი, რომელ შიდაც ის სთხოვს საბჭოს – გაანთავისუფლონ ის ამ სემესტრში ლექციების კითხვისაგან როგორც აგადმყოფი.

განაჩენი: განთავისუფლებულ იქმნეს ლექციების კითხვისგან თანახმად თხოვნისა და შეწყვეტილი კურსის დასრულება მომავალ სემესტრში დაევალოს.

4. განსახილველი საგანი: ტფ. ფიზიკური ობსერვატორიისაგან ცნობა რომ ოსერვატორიას დირექტორის თანამდებობის დასაჭრად გამოცხადებული კონკურსის ვადა ახალი სტილის შემოღების გამო 20 მაისამდის გრძელდება.

განაჩენი: მიღებულ იქმნეს ცნობად.

5. განსახილველი საგანი: ხასახ-ნური ყადიზადეს თხოვნა რომ უნივერსიტეტში ოსმალური ენისა და ლიტერატურის კათედრა მიეცეს.

განაჩენი: რადგან მთხოვნელმა ქართული არ იცის და უნივერსიტეტში კი სწავლა მხოლოდ ქართულად წარმოებს, ამისათვის მთხოვნელს უარესო.

6. განსახილველი საგანი: ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს მომართვა მსახიობის ბიქტორ გამყრელიძის 30 წლისთავის სასცე-

¹ ოქმიდან ამოღებულია ეს პუნქტი (გადახაზულია)

² ხელმოწერების შემდეგ კვლავ გრძელდება ხაკითხების განხილვა, ნუმერაცია კვლავ არყენდია.

ნო მოღვაწეობის აღსანიშნავად გასამართავ დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ.

განაჩენი: ცნობად.

7. განსახილველი საგანი: შემდეგმა რედაქციებმა უფასოდ დაგვითმეს თავისი გაზეოვები: 1, საქართველო (2 ც.); 2, პორიზონი; 3, გუშაგი; 4, სოციალ-დემოკრატი; 5, ხალხის ფ; 6, რევოლუციონური ნობათი და, 7, ქავაკასკოე სიტყვა.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

8. განსახილველი საგანი: კავკასიის მასწავლებელთა კავშირის ტფ. განყოფილებისაგან მომართვა გაგზავნის უნივერსიტეტისა თავისი წარმომადგენელი შეოლის [.....]¹მის გეგმის შესამუშავებელად კომისიის მოსაწყობად.

განაჩენი: ცნობად.

9. განსახილველი საგანი: შემოვიდა შემოწირულება: 1, კ. დ. ლორთქიფანიძისაგან 490 მ., 2, კოტას ფონდის გასაძლიერებლად 36 მ. დუშაურაშვილისაგან და, 3, დეკანოზის იაკობ და ექიმის ნიკოლოზ ფხავაძებისაგან 200 მანეთი.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

10. განსახილველი საგანი: ლექციების კითხვის შეწყვეტა საზაფხულოდ.

განაჩენი: ლექციები შეწყდეს 12 იქნის.

11. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილის მოხსენება ე. თაყაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ: ე. თაყაიშვილი ეს 28 წ. რაც მუშაობს ქართული არქეოლოგიის დარგში და მის წინაშე დიდი დვალი მიუძღვისო და ამისთვის ის დირსია ქართული არქეოლოგიის დოქტორობის ხარისხისა Honoris causa (იხ. საბჭოს საქმეები №)²

განაჩენი: საბჭომ ერთხმად მიუსაჯა ე. თაყაიშვილს ქართული არქეოლოგიის დოქტორობის ხარისხი.

კ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ახ-გლედიანი, ი. ყიფშიძე

¹ ტექსტი არ იქითხება ქაღალდის დაზიანების გამო..

² საქმეების ნომრების მითითებული არ არის.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 12

„30,, მაისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო,,....., საათზე.

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ახ-
ვლედიანი, დ. უზნაძე, ი. აბულაძე, და ი. ყიფშიძე და ა. შანიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წი-
ნა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: ე. თაყაიშვილმა განაცხადა რომ ერმა-
კოვის კოლექციასთან ერთად საჭიროა თვით ფოტოგრაფის მოწ-
ყობილობის შემენაო და რომ ამ მიზნისთვის უნივერსიტეტმა უნ-
და გამოიღოს კიდევ დამატებითი 7.500 (შვიდი ათას ხუთასი) მა-
ნეთი და დაამტკიცოს და სხვა ხარჯებისთვის ხუთასი (500) მანე-
თიო, სულ 8.000 მანეთიო.

განაჩენი: მიღებულ იქმნას წინადადება და ეცნობოს ხაზინადარს
გამოიწეროს 8.000 მანეთი ამ საქმისათვის.

3. განსახილველი საგანი: საქართველოს მთავრობასთან უნივერ-
სიტეტის დამრკიდებულება.

განაჩენი: უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სრული ავტონომია, მთავ-
რობას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ხარჯთადიცხვის დამტკიცება
და კონტროლი, აგრეთვე საჭირო ქონებრივი სახსრის განკარგვა
უნივერსიტეტისათვის.

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტისათვის შენობის მოძებ-
ნის საკითხი.

განაჩენი: არჩეულ იქმნა კომისია შემდეგი პირებისაგან – პ. მელი-
ქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. ბენაშვილი და ი.
ყიფშიძისაგან. კომისიას დაევალა დაათვალიეროს სხვადასხვა სა-
ხელმწიფო შენობები და რომელიც უფრო შესაფერი იქნება უნი-
ვერსიტეტისათვის – იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე იმ შენო-
ბის უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

5. განსახილველი საგანი: რუსეთის უნივერსიტეტი მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა აღძრეს საკითხი გამომცდელი კომისიების მოწყობის შესახებ ქართულ უნივერსიტეტთან.

განაჩენი: ეცნობოს სტუდენტების საჭიროება მთავრობას და თან იშუამდგომლოს მის წინაშე – დაარსებულ იყოს კომისიები ყველა ფაქულტეტების საგნებში ქართულ უნივერსიტეტთან, ხოლო საქამიო ფაქულტეტების სტუდენტები უნდა გამოცდილ იქნენ ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ.

6. განსახილველი საგანი: ყოფილი საცენტურო კომიტეტის წიგნთასაცავის საკითხი.

განაჩენი: აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა რომ ყოფილი კავკასიის საცენტურო კომიტეტის წიგნთსაცავი უნივერსიტეტს გადმოუცეს.

7. განსახილველი საგანი: ა. შანიძემ აღძრა საკითხი მე 17-ზე საუკუნის ერთი სპარსული ხელთნაწერის შექნის შესახებ. ხელთნაწერი ნიზამის ნაწარმოებთ შეიცავს და დართული აქს მინდაცურები, საჭიროა 700 (შვიდასი) მანეთი.

განაჩენი: ხელთნაწერის გასინჯვა საბოლოოდ მიენდოსო ე. თყვაიშვილსა და ა. შანიძეს და ოუ მართლა შესანიშნავი აღმოჩნდება, გადებულ იქმნეს 700 მანეთი.

8. განსახილველი საგანი: მსახურთა თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ.

განაჩენი: ორს მათგანს – ელიზარ მადალაშვილს ფირან ზაალიშვილს მოემატოთ 1 ივნისიდან ოთხ-ოთხი თუმანი, ე. ი. თვეში მიეცესთ ცხრამეტ-ცხრამეტი თუმანი და იაკობ მაგანიას კი ძველებურადვე მიეცეს ოცი თუმანი.

9. განსახილველი საგანი: სამეცნეო ნაწილის გამგის ივ. გველუსიანის თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ.

განაჩენი: მოემატოს 1 ივნისიდან ხუთი თუმანი, ე. ი. მიეცეს თვიურად ოცდახუთი თუმანი.

10. განსახილველი საგანი: ა. შანიძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სამას ოცდაათი (330) მანეთი და 27 კაპ. წიგნების შესაძენად.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნა.

11. განსახილველი საგანი: მოსკოვის უნივერსიტეტში დატოვებულის საპროფესოროდ მოსამზადებლად წმინდა მათემატიკის კათედრაზე მათემატიკურ მეცნიერების კანდიდატის არჩილ კირილეს ძის ხარაძის თხოვნა მისოვის ქართულ უნივერსიტეტში ლექტორის თანამდებობის ასრულების ხების მიცემა.

განაჩენი: მიეცეს თანახმად თხოვნისა.

12. განსახილველი საგანი: შემოწირულებანი:

ა (ფულად) -

1, ქეთევან ალექსის ასულის ყანჩაველისაგან ტფ. ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 750 მანეთი,

2, ოელავის შემნახველგამსესხებელ ამხანაგობისაგან 1000 (ათასი) მანეთი,

ბ (წიგნები) -

1, საკათალიკოზო საბჭომ უნივერსიტეტს გადმოსცა სემინარიის წიგნთასაცავის ძველ ენგბზე ნაბეჭდი წიგნები მხოლოდ სასარგებლოდ,

2, ლ. ბოცვაძისაგან „განათლების“ №№ 1908-1917 წლებისა,

3, ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისგან ორ-ორი ცალი მის მიერ გამოცვა-მული წიგნებისა.

განაჩენი: გამოეცხადოს სუუველას მადლობა. სემინარიიდან წიგნების მისაღებ კომისიაში უნივერსიტეტის მხრივ განაწილება ეთხოვოს პ. ი. ჯავახიშვილს.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ოცაიშვილი, გ. ახვლევიანი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 13

„11,, ივნისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „7 1/2“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. კე-
კელიძე, ფ. გოგიაშვილი, ა. ბენაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანი-
ძე, დ. უზნაძე და ი. ყიფშიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. **განსახილველი საგანი:** წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წი-
ნა კრების ოქმი.

2. **განსახილველი საგანი:** ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო
უნივერსიტეტიდ გადაქცევის საკითხი.

განაჩენი: წარდგენილ იქმნას სამინისტროში უნივერსიტეტის ძირი-
თადი დებულებანი ზოგიერთი მუხლების შეცვლით, სახელდობრ იმ
მუხლებისა, სადაც უნივერსიტეტის სახელმწოდებაზე და უნივერ-
სიტეტისათვის საჭირო თანხებზეა ლაპარაკი. უნივერსიტეტს ეწო-
დოს „ტფილისის უნივერსიტეტი“ ან „ტფილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტი“ და ქონებრივად მთავრობამ უზრუნველყოს.

3. **განსახილველი საგანი:** ერმაკოვის კოლექციისა და ფოტოგრა-
ფიის შესყიდვის შესახებ.

განაჩენი: რადგან ერმაკოვის კოლექციისა და ფოტოგრაფიის
შესყიდვის საქმე სისრულეში იქმნა მოყვანილი, ნოტარიალური
წესის თანახმად 21 მაისის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით
და დღეს ეს კოლექცია და ფოტოგრაფია ქართული უნივერსიტე-
ტისა და საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სა-
ზიარო საკუთრებას შეადგენს, ამის გამო საბჭომ დაადგინა – ა,
ეცნობოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს,
რომ უნივერსიტეტი დღიდან ნასყიდობის ქაღალდის შესრულები-
სა მოვალეა იხადოს წლიურად 4% იმ 40.000 (ორმოცი ათასი) მა-
ნეთისა, რომელიც უნივერსიტეტმა ზემოადნიშნული საქმისთვის
სამუზეუმო თანხიდან ისესხა, ბ, ყოველგვარი ხარჯები კოლექცი-
ოსა და ფოტოგრაფიის შესანახად უნივერსიტეტმა და საისტორიო

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

საზოგადოებამ თანაბრად უნდა გასწიონ. ამ ხარჯების თვალყურის გდება უნივერსიტეტის მხრივ ევალება პროფესორებს ი. ჯავახიშვილს და ი. ყიფშიძეს, გ. ფოტოგრაფიაში მომუშავე ორ პირისაგან ერთს, სახელდობრ თეოდორე კიუნქს დაენიშნოს ამ თვის პირველიდან თვიურად ოთხასი (400) მანეთი.

4. განსახილველი საგანი: ეროვნული საბჭოსათვის დახმარება. 13 აპრილის სხდომაზე უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა ყოველ-თვიურად გადებულ იქმნას პროფესორებისა და სხვა თანამშრომლების პირთა მიერ ჯამაგირის ერთი პროცენტი.

განაჩენი: რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნული საბჭოს მდგომარეობა არ სებითად შეიცვალა, ამისთვის ჯამაგირისაგან ერთი პროცენტის გამორიცხვა მის სასარგებლოდ მოსპობილ იქმნას.

5. განსახილველი საგანი: ქუთაისიდან ბაქრაძის დეპეშა პრ. ჯავახიშვილის სახელზედ – რომ ფარცვანიძეს ქიმიური ლაბორატორია დაუტოვებია ზურხაბადში.

განაჩენი: ცნობად.

6. განსახილველი საგანი: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაქულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე კურსდამთავრებულის დავით ყიფშიძის თხოვნა უნივერსიტეტში დატოვების შესახებ განსახუთრებით სომხურ საისტორიო მწერლობაში სამეცნიერო მუშაობისათვის.

განაჩენი: დატოვებულ იქმნას თანახმად თხოვნისა.

7. განსახილველი საგანი: შემოწირულობანი: ა, (ფულად) – ქუთაისის სათადარიგო პოლის თფიცერთა შორის შეგროვილი ფულის გადასაგზავნი ბილეთი 4.338 მან, ბ, ნატჩავას საკრედიტო ამნანაგეობის გადასაგზავნი ბილეთი 168 მ. და 24 კ. ბ, კახეთის კავშირის მცირე ნდობის დაწესებულებათა რწმუნებულების 1917 წ. წლიური საზოგადო კრების მიერ უნივერსიტეტის სასარგებლოდ 1500 მანეთი, რომლის გადახდას ამავე „კავშირის“ გამგეობა წერილ-წვრილად გვპირდება.

(წიგნები) გ. ქორდანიასაგან განსვენებულის მამა მისის თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ I ტ. თექსტებით ცალი და მისივე სხვადასხვა ნაწერები. გარდა ამისა გ. ქორდანია გაატყობინებს, რომ მას განზრახვა აქვს მამა მისის ნაქონი ყველა წიგნები და ხელთნაწერები უნივერსიტეტს შემოსწიროს იმ პირობით, რომ ყველა ეს ნივთები დაცულ იქნას ერთ შეაფში, სახელწოდებით „თ. ჟორდანიას ბიბლიოთუკა“.

განაჩენი: გამოეცხადოთ მადლობა, ამასთანავე გ. ქორდანიას ეცნობოს რომ უნივერსიტეტის საბჭო თანახმა მის წინადადებაზე.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, კ. კეკმლიძე, ი. ყიფშიძე, ე. თავაიშვილი, ფ. გოგიაშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 14

„17,, ივნისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დილის „11,, საათზე.

დაქსწრებ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. თაყაიშვილი, ქ. ქუკულიძე, ფ. გოგიაშვილი, დ. უჩნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ი. აბულაძე და ი. ყიფშიძე. კრებას დაესწრო ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამგეობის თაგმჯდომარე სპირიდონ ვირსალაძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და საექიმო ფაკულტეტების გახსნის საკითხი.

განაჩენი: მომავალ ენცენისთვიდანვე გაიხსნას საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და საექიმო ფაკულტეტები.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

განაჩენი: განსილულ და დამტკიცებულ იქმნა მომავალი წლისათვის საბჭოს ხარჯთაღრიცხვა სამინისტროში წარსადგენად.

4. განსახილველი საგანი: ი. ჯავახიშვილის და ი. ყიფშიძის მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტის“ დაარსების საჭიროების შესახებ (იხ. საბჭოს საქმეები №)²

განაჩენი: დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემსწავლელი კომიტეტი“.

5. განსახილველი საგანი: შემოწირულებანი: ა. საგარეჯოს კოოპერატივისაგან 300 მანეთი, ბ. ხონის გიმნაზიის მ. ჭავჭიანიძისგან 426 გ. და 50 კ. გ. ანტონ ივ. თოიძისაგან წერილი რომ სადგურ მანჩურიაში ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ საღამოს შემოსავალი დარჩა 6870 მანეთი და რომ ის ამ ფულს შეიტანს ხარბინის რუსულ აზიურ ბანკში. სადამო გაუმართავთ

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

² საქმეების ხომიური მითითებული არ არის.

ან. თოიძეს, სტ. თიროშვილს და მ. გაწერელიას. დახმარება აღმოუჩენიათ ანასტასია თოიძეს, სიმ. ცეცხლაძეს, სურინოვს, საპელკინს, ჭ-ბ გოლდფელდს, დოევასას და სხვ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, პ. კმპელიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 15

,25,, ივნისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „გ., საათზე:

დაესწრებ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. კე-
კელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ფ. გოგიჩიშვილი, ა. შანი-
ძე და ი. ყიფშიძე. კრებას დაესწრებ აგრეთვე ქართველ ექიმთა
და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრნი: სპ. ვირსალაძე, ივ.
თიკანაძე და გ. მუხაძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდიგარი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: საბუნებისმეტყველო და საექიმო ფა-
კულტეტის გახსნა და მოწყობა

განაჩენი: დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები ორივე
ფაკულტეტის ენერისთვიდან გახსნისა და მოწყობის შესახებ: 1.
ეთნოგრას მთავრობას დაუთმონ უნივერსიტეტს ერთ-ერთი შესაფე-
რი შენობა; სასურველია დაეთმოს ქართული გიმნაზიის შენობა.

2. უნივერსიტეტის შესანახი ფული მთავრობამ უზრუნველყოს და
უნივერსიტეტი მთავრობის უნივერსიტეტად გამოცხადდეს. 3. ეც-
ნობოს მთავრობას, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან სამე-
ურნეო განყოფილება შეიძლება გაიხსნას, 4. აღიძრას შეამდგომ-
ლობა, სადაც ჯერარს, რომ საექიმო ფაკულტეტისათვის ეხლავე
მიჩნეულ იქმნას რამოდენიმე საავადმყოფო, ორი მაინც, და 5. ყვე-
ლა ამ საკითხების მოგვარება დაევალოს ცალკე კომისიას, რო-
მელშიც შევლენ უნივერსიტეტის გამგეობის წევრნი და ექიმთა
და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სამი წარმომადგენელი.

2. განსახილველი საგანი: შემოწირულობანი ა. (ფულად) მედიცი-
ნის დოქტორის აღვქ. ვლ. ტიხონოვიჩისაგან ათასი (1000) მანეთი,
ბ. (წიგნები და ხელნაწერები) 1. ა. ჯაბადარმა შემოსწირა თავისი
ბიბლიოთეკის ნაწილი, 2. გ. ქორდანიამ მამამისის ნაქონი წიგნე-
ბი, ხელნაწერები და საბუთები- 3. ექიმმა ივ. თიკანაძემ - თავისი
ნაწერები 19 წიგნი.

განაჩენი: გამოეცხადოთ მადლობა.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ი.
ყიფშიძე, პ. კეხელიძე

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 16

„6., ივლისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო დღის „1., საათზე.

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, გ. ახ-
ვლედიანი, ა. შანიძე და ი. ყიფშიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წი-
ნა ორი კრების ოქმები.

2. განსახილველი საგანი: დეკანი ი. ჯავახიშვილმა განაცხადა,
რომ სამინისტრომ უკანვე დაუბრუნა მას უნივერსიტეტის ხარჯთ-
აღრიცხვა, რადგანაც ის მთელი წლისათვის იყო შედგენილი.
საჭიროა ხარჯთაღრიცხვის შედგენა მხოლოდ ერთი სემესტრისა-
თვის, ე. ი. მიმდინარე 1918 წლის ბოლომდის.

განაჩენი: შესწორდეს ხარჯთაღრიცხვა თანახმად სამინისტროს
წვენებისა და ხელახლა წარედგინოს სამინისტროს.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გამგეობის წვერების
(რექტორს, დეკანსა და საბჭოს მდივანს), ხაზინადრისა და წიგ-
ნოსაცავის გამგისათვის გასულ სემესტრში მათი ხვედრი ჯამაგი-
რის მიცემა.

განაჩენი: რადგანაც უნივერსიტეტის მდგომარეობა ნივთიერად
ამიერითგან უზრუნველყოფილია, ზემოდასახელვებულ პირთ მიე-
ცეთ ხედრი ჯამაგირი, 1918 წ. 1 იანვრიდან, ხოლო წიგნოსაცა-
ვის გამგეს 1 თებერვლიდან (არჩეულ იქმნა 27 იანვარს).

4. განსახილველი საგანი: გ. ახვლედიანს ოსური ენის შესახავ-
ლად ავანსის მიცემა.

განაჩენი: მიეცეს ჯერჯერობით ავანსად ორასი მანეთი (200 ბ.) ამ
მიზნისათვის.

5. განსახილველი საგანი: შემოწირულობანი: ა, (ფულად) მცხეთის
საზოგადოების „კერა“-საგან 300 მანეთი – ბ, (წიგნები და უურნა-
ლები) - 1. სრულიად რუსეთის საერობო კავშირის ამიერკავკა-
სიის კომიტეტისა და ამავე კავშირის ტფილისის მსახურთა დელგატ-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

ბის ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ კავშირის გაუქმებულ წიგნთსაცავიდან 1087 ცალი წიგნი სამეცნიერო შინაარსისა სხვადასხვა ენაზედ, 2, სფიმონ კლდიაშვილისაგან 62 წიგნი გერმანულ ენაზედ საბუნებისმეტყველო დარგისა და 1903-05 წწ. „Borichte der deuther chamischen gesellschaft“ და 1902-05 წწ. „Журнал русского физико-химического общества“. 3. ბარბარე იოსების ასულის ლვინიაშვილისაგან ათი ცალი წიგნი სხვადასხვა აღმოსავლურ ენაზედ.

განაჩენი: გამოცხადოთ მადლობა.

6. **განახილველი საგანი:** ანგარიშები: 1. საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების ხაზინადრის ირ. სონდულაშვილის ფოტოგრაფიის ხარჯების შესახებ, გარდა 8.000 მანეთისა რომელიც უკვე გადახდილია, (იხ. 30 მაისის სხდომის ოქმი) კიდევ 796 მ. 70 კ. - 2. ა. შანიძის უნივერსიტეტის წიგნთასაცავისათვის ერთი სომხური ხელონაწერისა და სომხურ-რუსული ლექსიკონის შესაძენად - 28 მანეთი.

განაჩენი: ორივე ანგარიში დამტკიცებულ იქნას.

7. **განახილველი საგანი:** თამარ ნიკოლოზ ნიკოლაძის ასულის თხოვნა – ჩარიცხულ იქმნას ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად.

განაჩენი: ეცნობოს თამარ ნიკოლაძეს, რომ საბჭოს არაფური საწინააღმდეგო არ აქვს რომ მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნას, მხოლოდ საბოლოოდ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა სათანადო კათედრის პროფესორის თანხმობა.

3. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ი. ყიფშიძე, კ. კეგელიძე, ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 17

„17., ივლისს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „6, საათზე.

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თავაიშვილი, კ. გე-
კელიძე, ა. ბერაშვილი, გ. ახვლედიანი, ი. აბულაძე, ი. ყიფშიძე, დ.
უზნაძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა წერის თქმით.

2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის შესაფერი შენობის საკითხი.

განაჩენი: რადგანაც, კადეტთა კორპუსის შენობა, რომელიც სხვათა შორის განზრახული იყო დათმობოდა უნივერსიტეტს, ორგზის დათვალიერების შემდეგ, უნივერსიტეტისათვის შეუფერებლად იქნა ცნობილი, საბჭომ დაადგინა: ეცნობოს სამინისტროს რომ ამჟამად ტფილისში უნივერსიტეტისათვის ყველაზე უფრო შესაფერი შენობა ქართული გიმნაზიის შენობაა და ამისთვის ეთნოგრაფიული სამინისტროს, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში, განთავისუფლებული იქმნეს ეს შენობა იქ მდგომი ჯარის ნაწილისა და ლტოლებითაგან.

3. განსახილველი საგანი: ალექსანდრე ილარიონის ძის ჯანელიძის განცხადება – ჩაირიცხოს ის უნივერსიტეტში დატოვებულად გეოლოგიის კათედრისათვის და ყაზანში გაიგზავნოს გასამზადებლად წლინახევრით, ე. ი. 1920 წ. 1 იანვრამდის.

განაჩენი: ჩარიცხულ იქნას უნივერსიტეტში დატოვებულთ რიცხვში ამა წლის პირველი აგვისტოდან 1920 წ. პირველ იანვრამდის და წლიურად მიეცეს ყაზანში ან სხვაგან გასამზავრებლად და მოსამზადებლად 3600 მანეთი, ანუ თვეში 300 მანეთი.

4. განსახილველი საგანი: მიხეილ შალამბერიძის განცხადება ებობოს მას უნივერსიტეტში ასისტენტის ადგილი ლექციების კითხვის უფლებით ქიმიაში.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

განაჩენი: მოწვეულ იქმნას ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ ასისტენტად ქიმიაში, ხოლო რაც შეეხება ლექციების კითხვის უფლებას, ეს საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელი დარჩეს.

5. განსახილველი საგანი: ალექსანდრე სვანიძის წერილი რექტორის სახელზედ, რომ მას მიეცეს უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ისტორიის ლექტორობა.

განაჩენი: მსჯელობას იქონიებს საბჭო მას შემდეგ, როდესაც მთხოვნელი მოახერხებს და უნივერსიტეტს წარმოუდგენს თავის რომელიმე შრომას და სხვა საჭირო საბუთებს.

6. განსახილველი საგანი: შემოწირულობა: ალ. ნეიმანმა შემოსწირა უნივერსიტეტს ერთი ხელონაწერი პატარა ფორმატისა.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

7. განსახილველი საგანი: ბ. რექტორის, დამსახურებული პროფესორის პ. მელიქიშვილის სიტყვიერი განცხადება რომ ის რექტორობას, როგორც დღეიდან ამ თანამდებობაზე არჩევისას, ისე მომავალში უსასეიდლოდ აასრულებს და უარს ამბობს გასულ სემესტრში მის ხედი ჯამაგირზე გამოწერილს 175 მანეთზედ.

განაჩენი: მადლობა.

ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. პეპლიძე, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 18

„17,, აგვისტოს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „6. 30., საათზე.

დაესწრენ: რექტორი პ. მელიქიშვილი, დეკანი ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე. კრებაზე მოწვეული იყო ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების თავმჯდომარე სპირიდონ ვირსალაძე

თავმჯდომარეობა: რექტორი პ. მელიქიშვილი
მდივნის მაგისტრ: ა. შანიძე

1. **განსახილველი საგანი:** პროფესორთა მოწვევის საკითხი.
განაჩენი: დადგენილ იქმნა მოწვევულ იქმნებ:
ბოტანიკის კათედრაზე; სოლომონ ზ. ქურდიანი
მინერალოგიისაზე: ალექსანდრე ა. თვალჭრელიძე
ანატომიისაზე: ალექსანდრე ა. ნათოშვილი
ფისიოლოგიისაზე: ვარლამ პ. მოსეშვილი, რომელიც დროებით სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას შეასრულებს.
 2. **განსახილველი საგანი:** ჭიათურიდან საქიმიო ლაბორატორიის გადმოტანის შესახებ.
განაჩენი: მიენდოს მ. შალამბერიძეს ამ საქმის მოგვარება.
 3. **განსახილველი საგანი:** სხვა და სხვა უწყებათა ლაბორატორიების (სამთამადწირისი, სარკინიგზოისი, წყლის სამმართველოსი და სხვ) უნივერსიტეტონ დაკავშირების საკითხი.
- განაჩენი: დადგენილ იქმნა, რომ უკეთა ის ლაბორატორიები, რომელიც სხვადასხვა უწყებას ექუთვნიან და რომელთაც დიდი სახელმწიფო და მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ, უნივერსიტეტს დაუკავშირდენ და მის ზედამხედველობის ქედზე შემოვიდენ, ისე რომ მათ თავისი პრაქტიკული მიზნებიც შეასრულონ და უნივერსიტეტსაც საშუალება მიეცეს მათი სარგებლობისა და გამოყენებისა.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ამის შესახებ შუამდგომლობა იქმნეს აღმრული სახალხო სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს წინაშე.

ექმდება სა. ვირსალაძემ იკისრა ცნობების მოწოდება სამკურნალო ლაბორატორიებისა, მიხეილის საავადმყოფოსა, საბეჭიო ინსტიტუტისა და სხვა დამკმარე დაწესებულებათა შესახებ, რომელიც სამკურნალო ფაქულტეტისათვის არიან საჭირო.

4. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის შენობის შესახებ.

განაჩენი: რადგანაც მიწერ-მოწერით არაკეთდება-რა, ამიტომ კვლავ დაუყოვნებლივ ეცნობოს პირადად სამხედროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმის მდგომარეობა და დონისძიება იქმნეს მიღებული, რათა რაც შეიძლება მალე გაყვანილ იქმნენ უნივერსიტეტის შენობიდან მფრინავთა რაზმი და გადმოხვევწილები.

ამ საქმის თაობაზე სამინისტროში მოლაპარაკება თავს იდგეს: ბატ. რექტორმა და ე. თაყაიშვილმა ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად.

5. განსახილველი საგანი: სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელი კომიტეტისაგან სხვადასხვა ნივთების შეძენის შესახებ.

განაჩენი: სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელი კომიტეტისაგან (комитет снабжения) საპასუხო წერილში შესაძენად ჩამოთვლილ საგნებიდან ამოიშალოს:

- 1) ფინურის პინაკები (ბლიდა ფაინсовა),
- 2) პრიმუსები და
- 3) პრიმუსის ნემსები.

დანარჩენი ნივთების შეძენა შეიძლება.

ამასთანავე პრინციპიალური საკითხი აღიძრა, რომ ყოველივე ხარჯების შესახებ საქმე გამგეობაზი იყოს გარჩეული.

6. განსახილველი საგანი: გიორგი ნანეიშვილის თხოვნა უნივერსიტეტისა დატოვების შესახებ.

განაჩენი: დატოვებულ იქმნეს, თანამდებობა თხოვნისა, სამართლის ფილსოფიის კათედრაზე (პირველი აგვისტოდან).

7. განსახილველი საგანი: საბჭოს მოწენდა შემოწირულობათა შესახებ:

ა) გენერალმა ვასილ დავითის ქე გაბაშვილმა უნივერსიტეტს შემოსწირა თავისი გარდაცვლილი შვილის, ინჟინერის, ბიბლიოთეკიდან:

- a) ერთი ატლასი,
- b) ორმოცდა თორმეტი (52) სხვადასხვა წიგნი
- c) ურნალები და რუკები
- d) თორი შუშისყუთი
- e) ერთი პატარა ყუთი

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ბ) შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან უნივერსიტეტს მოუვიდა ოცდახუთი (25) წიგნი უცხო ენებზე უმთავრესად აღმოსავლეთის შესახებ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

გ) დიმიტრი გორდევევმა შემოსწირა თავისი მინიატურა გრუზინских лицевых [...] Сионского Древнехранилища.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

დ) კ. თ- ვე' მა შემოსწირა: О древней географии Закавказья

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ე) საბჭოს მოჭისენდა ან. ახალ შენიშვილის მიერ ტფილისის დაწყებითი სკოლების ქართ. მასწავლებლებს შორის შეკრებილი სამას ათი მანეთისა და ათი შაურის (310 გ. 10 პ.) შესახებ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ვ) სოფ. ნორიოს მომხმარებელ საზოგადოებისაგან (ნიკ. ბადრიძის ქელით) ოცდახუთი მანეთის (25 გ.) შემოწირულება.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ზ) კაპიტან ივანე არჩილის ძის ანჯაფარიძის მიერ ს. ჭოლევში (სენაკის მაზრა) უნივერსიტეტის სასარგებლოდ დადგმულ წარმოდგენაზე შეგროვილი ორასი მანეთი (200 მან.).

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

გ. თაფაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი .
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 19

„13“ ენკენისთვე 1918 წ.

სხდომა დაიწყო ,..... , საათზე

დაესწრენ: გ. ახვლედიანი, ბენაშვილი ა, ე. თავაიშვილი, პ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, და ა. შანიძე, და ი. ჯავახიშვილი, კრებას დაესწრენ აგრეთვე ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრნი: სპ. ვირსალაძე, ივ. თიგანაძე და გ. მუხაძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ი. ყიფშიძე

საბჭოს მოხსენდა, რომ ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობა და ეზო, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, უნივერსიტეტს დაეთმო და სრულს მის განკარგულებაში გადმოვიდა და რომ 8 ენკენისთვეს შენობა უკვე ჩაიბარა უნივერსიტეტის გამგეობამ.

1. განსახილველი საგანი: შენობის გამგის მოწვევა.

განაჩენი: მოწვეულ იქმნას ანტონ ივ. თვალჭრელიძე და დაენიშნოს თვეში ხუთასი (500) მანეთი ბინითურთ ან ექვსასი (600) მ. უბინაოდ.

2. განსახილველი საგანი: ლაბორატორიების და აუდიტორიების მოწყობა.

განაჩენი: მიღებულ იქმნას ზომები ქუთაისიდან მინერალოგიის კაბინეტისა და ჭიათურიდან საქმიო ლაბორატორიის გადმოსატანად. ამ მიზნისათვის რაინიგზის გამგეს ეთხოვოს ვაგონი და წერილი მიეწეროს ჭიათურაში ექიმს სიმონ ჯაფარიძეს, ამ საქმეში დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტს.

3. განსახილველი საგანი: საანატომიო თეატრის და კლინიკის საკითხი.

განაჩენი: ეთხოვოს მთავრობას რომ უნივერსიტეტს მიეცეს უფლება მიხეილის საავადმყოფოთი და საბებიო ინსტიტუტით ისარგებლოს. ამ საგნის შესახებ მოხსენების დაწერა მიენდო მედიცინის დოქტორს სპ. ვირსალაძეს (ის. საბჭოს საქმეში).

4. განსახილველი საგანი: ხაზინადრის არჩევა.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

განაჩენი: არჩეულ იქმნას ივ. გველესიანი ხუთასი მანეთის მიცემით თვიურად.

5. განსახილველი საგანი: განათლების სამინისტროს საბჭოში წარმომადგენლის არჩევა.

განაჩენი: არჩეულ იქმნას პრ. ივ. ჯავახიშვილი.

6. განსახილველი საგანი: ალ. სვანიძის მიერ წარმოდგენილი თავისი ხელნაწერი შრომა „საარსეფო II (არშაკუნიანთ ხანა), III (სასანიდთა ხანა)“ და მის მიერვე წარმოდგენილი მოწმობა ჰალლეს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისაგან რომ, ა, სვანიძემ ზემო დასახელებულ ფაკულტეტს წარუდგინა დისერტაცია „Beitroge zur Urgerchichte Georgiens“ და ბ, რომ სვანიძე უნდა შესდგომოდა ზეპირ გამოცდებს, მაგრამ სამინისტრომ მას, როგორც მტრის ქვეყნის ქვეშევრდომს, ნება არ დართო.

განაჩენი: შრომა გადაეცეს განსახილველად პრ. ივანე ჯავახიშვილს.

7. განსახილველი საგანი: სტეფანე-შალვა ვარდიძის თხოვნა უნივერსიტეტში რამე თანამდებობის მიცემის შესახებ.

განაჩენი: მოწვევულ იქმნეს იტალიური ენის ლექტორად.

8. განსახილველი საგანი: ლეონ მელიქსევეგის ძის მელიქსევთბეგის თხოვნა მიეცეს მას უნივერსიტეტში სომხური ენის სწალზბის უფლება.

განაჩენი: მოწვევულ იქმნას ლექტორად ახალ სომხურში.

9. განსახილველი საგანი: ზაქარია ალექსის ძის ყანჩაველის თხოვნა მიეცეს მას ბოტანიკის კათედრის ასისტენტის ადგილი.

განაჩენი: საბჭოს პრინციპიალურად არავითარი საწინააღმდეგო არა აქვს თხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო გადამჭრელი ხმა ექუთვნის ბოტანიკის პროფესორს.

10. განსახილველი საგანი: ექიმ პ. ერისთავის თხოვნა ანატომიის კათედრაზე ასისტენტად არჩევის შესახებ.

განაჩენი: ანატომიის პროფესორს ეკითხოს.

11. განსახილველი საგანი: განათლების სამინისტროდან ქადალდი რომ თუ შესაძლოა დოცენტ ალ. ჯავახიშვილს, გეოგრაფიულ ინსტიტუტის დამარსებელს, უნივერსიტეტში დაეთმოს ერთი მოზღვდილი აუდიტორია (250 კაცისათვის).

განაჩენი: ვინაიდან ეს საკითხი შეეხება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს, რომელიც მხოლოდ ახლა იწყება უნივერსიტეტში და ჯერ ფაკულტეტის წევრებს თავი არ მოუყრიათ, ამ ფაკულტეტს ეკითხოს მომავალში ამ საკითხის გადაწყვეტა.

როდის შესრულდა: 17/9

12. განსახილებელი საგანი: ასისტენტის მიხეილ შალამბერიძის განცხადება რექტორის სახელზე, რომ ის განათავისუფლონ სამსახურიდან.

განაჩენი: დაკმაყოფილებულ იქმნას.

13. განსახილებელი საგანი: დეკანის პროფ. ივ. ჯავახიშვილის განცხადება რექტორის სახელზედ რომ მას ორი კვირით (15 ენერვის-თვიდან) დასასვენებლად ტფილისიდან წასვლის წება მიეცეს.

განაჩენი: დაკმაყოფილებულ იქმნას ხოლო დეკანის თანამდებობა დროებით დაევალოს პრ. ი. ყიფშიძეს.

14. განსახილებელი საგანი: სამკურნალო ფაქულტეტის დეკანის ვ. მოსეშვილის განცხადება, რომ საბჭომ იშეამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ცენტრალური აფთიაქის საწყობიდან უნივერსიტეტის სამკურნალო ფაქულტეტს ზომიერ ფასებში დაეთმოს სხვადასხვა საჭირო საგნები (ხია წარმოდგენილია).

განაჩენი: აღიძრას მთავრობის წინაშე შესაფერი შეამდგომლობა.

15. განსახილებელი საგანი: მისივე განცხადება ეთხოვოს მთავრობას, რომ უნივერსიტეტს გადმოეცეს „ბოლშევკიოთა” გან ჩამორთმეული სტამბა.

განაჩენი: დღევანდელ პირობებში ხელსაყრელი არ იქნება უნივერსიტეტისათვის საკუთარი სტამბის გაჩენა.

16. განსახილებელი საგანი: მისივე განცხადება სანათი გაზის ქარხნის აშენების შესახებ.

განაჩენი: დღევანდელ პირობებში ესეც შეუძლებელია.

17. განსახილებელი საგანი: მოსკოვის ქართული სამეცნიერო საზოგადოებისაგან უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მილოცვა და უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის წიგნების შემოწირვა.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

18. განსახილებელი საგანი: ალექსანდრე ილიას ძის გძელიშვილის თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზედ მიეცეს მას მდივნის თანაშემწის ადგილი.

განაჩენი: მოწვეულ იქმნა ენერვისთვის პირველიდან.

19. განსახილებელი საგანი: დეკანის ი. ჯავახიშვილის მოხსენება მიხეილ წერეთლის უნივერსიტეტში დატოვების შესახებ ასიროლოგიაში და ძველ აღმოსავლეთის ისტორიაში.

განაჩენი: დატოვებულ იქმნას 1 აგვისტოდან.

ივ. ჯავახიშვილი, პ. პეტრიძე, ა. ბენაშვილი, ე. თავაიშვილი, ა. შანიძე, გ. ავლედიანი, დ. უზნაძე, ი. თიკაძე, ი. ყიფშიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ა ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 20

, „3., ოქტომბერს 1918 წ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაქსწრებ: ი. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ან. ბერაშვილი, ფ. გოგიჩა-იშვილი, ე. თავაიშვილი, კ. კაკელიძე, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცებიძე, ან. რაზმაძე, დ. უზნაძე, სოლ. ქურდიანი, ზაქ. ყანჩაველი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი და მედიცინის დოქტორები: სპ. ვირსალაძე, ივ. თიგანაძე და გ. მუხაძე

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი, შემდეგ პ. მელიქიშვილი
მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა სამი წინა კრების ოქმები.

2. განსახილველი საგანი: ლექციების დაწყების დრო.

განაჩენი: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზედ ლექციები დაიწყოს 10 ოქტ., ხოლო დანარჩენებზე თანდათან აუდიტორიების დამზადების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1 ნოემბრისა.

3. განსახილველი საგანი: ლექციები რა დროს იკითხებოდეს, დილით, თუ სადამოთი?

განაჩენი: სასურველია ლექციები დილით იკითხებოდეს საზოგადოდ, ნამეტურ საბუნებისმეტყველო ან საექიმო ფაკულტეტზებზედ, მაგრამ რადგანაც სტუდენტობის უმეტესი ნაწილი იძულებულია აუტანელი სიძვირის გამო სხვადასხვა დაწესებულებებში იმსახუროს, ამ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაეწიოს და ზოგიერთი ლექციები მაინც საღამოობით უნდა იქმნეს წაკითხული. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად წინადადება მიეცეს სტუდენტთა წრის გამგეობას მოიწვიოს სტუდენტთა საერთო კრება.

4. განსახილველი საგანი: პროფ. ს. ქურდიანის განცხადება, რომ ზაქ. ყანჩაველი დამტკიცებულ იქმნეს ბოტანიკის კათედრის ასისტენტად.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნეს.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

- 5. განსახილველი საგანი:** ივ. თიკანაძის წინადაღება შესახებ იმისა, რომ არჩეულ იქმნეს კომისია ბოტანიკისა და ზოოლოგიის კოლექციების შესაგროვებლად.
- განაჩენი:** არჩეულ იქმნენ ივ. თიკანაძე, პროფ. ს. ქურდიანი და ზ. ყანჩაველი.
- 6. განსახილველი საგანი:** წაკითხულ იქმნა პროფ. ალ. ნათიშვილის წერილი ბ. რექტორის სახელობაზედ რომ ნათიშვილი ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტფილისში იქნება და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება.
- განაჩენი:** ცნობად.
- 7. განსახილველი საგანი:** ექიმ ბესარიონ ოქროპირიძის განცხადება, რომ მას სურვილი აქვს ანატომიაში სამეცნიერო მუშაობისა.
- განაჩენი:** გადაეცეს ანატომიის პროფესორს.
- 8. განსახილველი საგანი:** ექიმ ივ. დემურიას თხოვნა მიეცეს უნივერსიტეტის ექიმის ადგილი.
- განაჩენი:** გადაიდოს ეს საკითხი მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდის.
- 9. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტიში სამართლის ისტორიისა და ფილოსოფიის კათედრაზე დატოვებულის გიორგი ნანეიშვილის თხოვნა გაიგზავნოს ის გერმანიაში (ლებპციგში) სწავლის გასაგრძელებლად, მიეცეს შესაფერი ნივთიერი დახმარება.
- განაჩენი:** გაიგზავნოს და მიეცეს თვეში =600= მანეთი.
- 10. განსახილველი საგანი:** გეოლოგიის კათედრაზე პროფესორისათვის მოსამზადებლად დატოვებულის ალ. ჯანელიძის თხოვნა, რომ ის სწავლის გასაგრძობად გაიგზავნოს ქ. ყაზანში და 1918 წლის ბოლოსთვის მისი ხვედრი სტიპენდია =3000= მანეთი (თვეში =600= მ.) წინდაწინ მიეცეს.
- განაჩენი:** გაიგზავნოს გერმანიაში.
- 11. განსახილველი საგანი:** სარატოვის უნივერსიტეტის სამქურნალო ფაკულტეტის მე-IV კ. სტუდენტის შალვა დამბაშიძის თხოვნა, რომ ამ თავითვე ან ახლო მომავალში სამქურნალო ფაკულტეტის უკელა კურსები გაიხსნას.
- განაჩენი:** არ არის შესაძლებელი.
- კ. ქლიუშვილი, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, ა. ჭანიძე, შ. ნუცუბიძე, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 21

, 7,, ნოემბერს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7,, საათზე.

დაესწრენ: ან. ბენაშვილი, პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, ალ. ნა-
თიშვილი, ნუცუბიძე, ან. რაზმაძე, დ. უზნაძე, ს. ქურდიანი, ი. ყიფ-
შიძე, ა. შანიძე, არჩ. ხარაძე და ივ. ჯავახიშვილი

თავმჯდომარეობდა: რექტ. პ. მელიქიშვილი **მდიგარი:** ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წი-
ნა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის გამგეობის ორგანიზა-
ცია.

განაჩენი: გამგეობა შესდგებოდეს ხუთი პირისაგან - რექტორი-
სა, ორივე ფაკულტეტის დეკანებისა და მდიგნებისაგან.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის წესდების შესამუშავებ-
ლად კომისიის არჩევა.

განაჩენი: წესდება უნდა შეიცავდეს ორ ნაწილს: პირველ ნაწილ-
ში, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას წარედგინება, უნდა
გამოხატული იყოს უნივერსიტეტის დამოკიდებულება და ურთი-
ერთობა სახელმწიფოსადმი უნივერსიტეტის ფართო ავტონომიის
საფუძველზე; მეორე ნაწილი კი უნდა შეიცავდეს უნივერსიტე-
ტის შინაური ცხოვრების ყოველ მხრივ დაწვრილებით განსილვას
და მის მოწევრისგებას.

კომისიაში არჩეულ იქმნენ: რექტორი, ორივე დეკანი, საბჭოს
მდიგარი და ან. რაზმაძე.

4. განსახილველი საგანი: საბჭოს მდიგნის არჩევა.

განაჩენი: არჩეულ იქმნა ი. ყიფშიძე. რადგანაც უკვე დამტკიცე-
ბულ უნივერსიტეტის შტატში საბჭოს მდიგნის თანამდებობა შე-
ტანილი არ არის, ამისათვის იანვრამდის საბჭოს მდიგანს უნი-
ვერსიტეტის სპეციალი თანხებიდან მიეცეს სარგო, რომლის რაო-
დენობა საბჭომ განსაზღვროს შემდეგ კრებაზედ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

5. განსახილველი საგანი: ან. რაზმაძის განცხადება – მოწვეული იქმნას ფიზიკის პროფესორად პოლანდიის ცნობილი პროფესორი ერენფესტი.

განაჩენი: ეთხოვოს ბ. რაზმაძეს რომ მან პირადად როგორც თავის ნაცნობს წერილი მისწეროს პროფ. ერენფესტს და სთხოვოს მას გვაცნობოს ერთი ისა, რომ შეუძლია თუ არა მას ტფილისში ჩამოსდგა და მეორეც – რა პირობებში დასთანხმდებოდა ტფილისის უნივერსიტეტში დაქციების კითხვას.

6. განსახილველი საგანი: პროფ. მოსეშვილის მოხსენება სანაოთი გაზის ქარხნის შესახებ: სამხედრო საექიმო ლაბორატორიას პქონია გაზის ქარხანა და შესაძლოა გაზის იმ ქარხნიდან მიღებით გამოყვანა უნივერსიტეტის შენობაში.

განაჩენი: შექუმავებულ იქმნას პროექტი, რამდენად შესაძლოა სამხედრო ლაბორატორიის ქარხნიდან, რომელიც მზარეობს გადმი მხარეზე, მიღებით გაზის გამოყვანა და ამასთანავე მეორე პროექტიც უნივერსიტეტთან საკუთარი ქარხნის აშენებისა და მოწყობის შესახებ.

პროექტის შედგენა მიენდოს ინჟ. გორსკის.

7. განსახილველი საგანი: მისივე მოხსენება შესახებ იმისა, რომ ეთხოვოს მთავრობას – უნივერსიტეტს ნება პქონდეს ისარგებლოს შედაგათან პირობებში მეტების ციხის სტამბით.

განაჩენი: ეთხოვოს მთავრობას მეტების ციხის სტამბის შესახებ თანახმად მოხსენებისა.

8. განსახილველი საგანი: მისივე მოხსენება ლიტოგრაფიის უნივერსიტეტისათვის საჭიროების შესახებ.

განაჩენი: დროებით ეს საკითხი გადაიდოს.

9. განსახილველი საგანი: შემოწირულობანი: ა, (ფულად) – 1, თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელი წრის თავმჯდომარის – რაფ. ჩხაიძისაგან წრის ფული =600= მანეთი, 2, კახეთის რეინიგზის გამგეობისა და სამმართველოსაგან ამავე გზის განსუენებული გამგის ა. ს. წიგწიგაძის გვირგვინის ნაცვლად =500= მან, ბ, (წიგნები) – „განათლების“ ამხანაგობიდან (ქუთაისი) სახელმძღვანელოები: არჩ. ჩხერიაშვილისა, „ბუნება“ (ორი ცალი); გ, მ. ცაგარევიშვილისა „გეოგრაფია“ (ორი ცალი); იასონ გაბილაძასაგან მისივე ნათარგმნი: ლუჩიანო ბარბიერი „ოქროს წყარო“ (ოთხი ცალი) და შარლ ჟიდის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ (სამი ცალი); მთავრიშვილისა და ამს. წიგნის მაღაზიის გამოცემანი: „საქართველოს საკათალიკო ეკლესიის მოკლე ისტორია“ დეკ. მელ. კელენჯერიძისა და „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ ევს. ნიკოლაძისა; სიმონ ალ.

ქვარიანისაგან მის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეგროვილი ქართული სიტყვები ხუთ რვეულად.

განაჩენი: გამოიცხადოს მადლობა.

10. განსახილველი საგანი: ნიკ. სუდაკოვის ფიზიკის ასისტენტად დამტკიცება თანახმად საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის დადგენილებისა.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნას.

პ. მელიქიშვილი, არ. ხარაძე, ვ. მოსექშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, დ. უზნაძე, ა. ბენაშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო
ს ხ დ თ მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 22

„6,, დეკემბერს 1918 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7,, საათზე.

დაესწრენ: გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, არჩ. ხარაძე და იგ. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: რექტ. პ. მელიქიშვილი **მდიგარი:** ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: მომავალი წლის ხარჯო აღრიცხვა.

განაჩენი: შედგენილ იქმნას ხარჯო აღრიცხვა თანახმად ფაკულტეტების დადგენილებისა ამ საგნის გამო. პროფესორებისა და ასისტენტების მომატობა ჯამაგირის 33% (ერთი მესამედი). ბიბლიოთეკებისა და კანცელარიის თანამდებობის პირთ, აგრეთვე დაბალ მოსამსახურებისაც მოემატოს ჯამაგირი, რომლის რაოდენობის გამორკვევა მიენდოს გამგეობას.

3. განსახილველი საგანი: 1918 წ. ხარჯო აღრიცხვიდან მორჩენილი ფული.

განაჩენი: ვინაითგან ხარჯო აღრიცხვაში ზოგიერთი აუცილებელი, უნივერსიტეტისაგან უპვე გაწეული ხარჯი შეტანილი არ იყო (მაგ. ანატომიისა და ფიზიოლოგიის კაბინეტების მოწყობა) და მეორეს მხრით, ზოგიერთი მუხლი ხარჯო აღრიცხვისა ან სრულებით არ არის დახარჯული ანდა მხოლოდ ნაწილობრივ, ამისთვის ეთხოვთ სამინისტროს რომ უნივერსიტეტს ხება მიეცეს ხარჯების ერთი მუხლიდან მეორეში გადატანისა და ამ მხრივ იგი ნუ იქნება შეზღუდული.

4. განსახილველი საგანი: სამინისტროს მოწერილობა – რომ უნივერსიტეტისათვის ყოველთვიურად საჭირო ხარჯები წინასწარ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

განაჩენი: ეცნობოს სამინისტროს, რომ მთავრობას უნივერსიტეტის ხარჯების წინასწარი კონტროლის უფლება არა აქვს თანახმად უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებისა (§1).

5. განსახილებელი საგანი: ერმაკოვის ფოტოგრაფიის შესყიდვის გამო 40.000 მანეთის ვალის გასტუმრება.

განაჩენი: სასურველია ეს ვალი ერთიანად გასტუმრებულ იქმნეს ან სპეციალურ თანხიდან ანდა უნივერსიტეტის საზოგადოების საშვალებიდან, რომლის ნებართვით იყო ნახიდი ეს ფოტოგრაფია.

6. განსახილებელი საგანი: უნივერსიტეტის შენობის სხვადასხვა ფაკულტეტებისა და ლაბორატორიების შორის გამანაწილებელი კომისია.

განაჩენი: კომისიაში არჩეულ იქმნენ – ბ. რექტორი, ვ. მოსეშვილი, ალ. ნათიშვილი, ს. ქურდიანი, ანდ. რაზმაძე, გ. ახვლევიანი, დ. უზნაძე და ა. შანიძე.

7. განსახილებელი საგანი: შემოწირულობანი:

ა (ფულად) 1, ექიმ მელიქიშვილისაგან შეგროვილი საბუნების-მეტყველო და სამეურნეო ფაკულტეტისათვის =3.300= მანეთი, 2, ელისაბედ იოსების ასეულის საგინაშვილისა და ელენე [აბულა]ისაგან =100= მანეთი ერთს სემესტრში, რომელიმე სტუდენტის სწავლის ფულად განსვენებული კონსტანტინე როსტომის ძის მამაკაშვილის გვირგვინის ნაცვლად, 3, ალექსი ცხადაძისაგან =50= მან.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

ბ (წიგნები): 1, დ. გორდევევისაგან მისივე „Иллюстраций по поэмѣ Шоты Руставели, 2, ს. მელიქოვისაგან მისივე „Каталитическое окисление хлористаго хрома“, 3, გ. თუმანვისაგან მისივე „Организация земства в Закавказье“, 4. კავკასიის საარქ. ინსტიტუტისაგან „Monumeta Hagiographica Georgica“, 5, მთავრიშვილის გამომცემლობისგან: а) „ვეფ. ტეატრისაგან“, б) კუკულესკოს „ქიმია“ 6. ი. გაბეჭდაისაგან მისივე ნათარგმნი დენსკის „კოოპერატიულ ეკროპაში“

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

კ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, კ. პეტელიძე, გ. ახვლევიანი, ა. ბენაშვილი, ე. თავაიშვილი, ა. ხარაძე, ა. შანიძე

1919
வாணி

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 23

„3,, იანვარს 1919 წ.

სხდომა დაიწყო ნაშეადლევის „1,, საათზე

დაესწრენ: პ. კეგელიძე, პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, შ. ნუ-
ცებიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, არჩ. ხარაძე და ივ. ჯავახიშვილი.

თავმჯდომარეობდა: რექტ. პ. მელიქიშვილი **მდიგანი:** ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: ახლად არჩეული პროფესორების დამ-
ტკიცება.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნება (შეიდ-შვიდი თეთრი და არც ერ-
თი შავი): 1, გიორგი ნიკ. ჩუბინაშვილი ხელოვნების კათედრაზე
თანახმად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დადგენილებისა, 2,
ჰერმილი ფარმაცია-ფარმაკოგნოზის კათედრაზე და 3, პანიანი
ჰისტოლოგიის კათედრაზე, ორივე თანახმად საბუნებისმეტყველო
და სამკურნალო ფაკულტეტების დადგენილებისა.

2. განსახილველი საგანი: იუსტიციის მინისტრის წინადადება უნი-
ვერსიტეტთან იურიდიული ფაკულტეტის დაარსების შესახებ.

განაჩენი: საბჭო პრინციპიალურად თანახმად იურიდიული ფაკულ-
ტეტის დაარსებისა, მაგრამ სამეცნიერო ძალების ნაკლებობის გა-
მო ერთბაშად მისი გახსნა მოუხერხებელია და შესაძლოა მხო-
ლოდ თანდათნაობით მისი გახსნა, რასაც საბჭო მომავალი შე-
მოდგომისთანვე შეუდგება.

როდის შესრულდა: 10/1

3. განსახილველი საგანი: განათლების სამინისტროს წინადადება
– დაარსდეს უნივერსიტეტთან სამი კომისია: საისტორიო-საფი-
ლოლოგო, სამკურნალო და საბუნებისმეტყველო „სახელმწიფო
გამოცდებისათვის“ ისეთ პირთათვის, რომელთაც რესეთის უნი-
ვერსიტეტი დაუსრულებიათ.

განაჩენი: საბჭოს სასურველად და საჭიროდ მიაჩნია დასახელვ-
ბული კომისიების დაარსება, ხოლო დაწერილებითი გეგმის შედ-
გენა და ამა თუ იმ კომისიაში წევრების დანიშვნა მიენდოს ფა-
კულტეტებს.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

4. განსახილველი საგანი: საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან სამეურნეო ნაწილის გახსნა.

განაჩენი: საბჭო პრინციპიალურად თანახმად სამეურნეო ნაწილის გახსნისა, ხოლო დაწვრილებით ამ საკითხის გამორკვევა გადაწცეს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს.

5. განსახილველი საგანი: მღ. ლაზარე გოზალაშვილის საჩივარი, რომ ის სიბრძნის=მეტყველების ფაკულტეტმა ლათინური ენის ლექტორად არ მიიწვია წინააღმდეგ დაპირებისა.

განაჩენი: რადგანაც ლათინური ენის პროფესორის თუ ლექტორის მოწვევა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის უფლებაშია და ამ ფაკულტეტს კი მღ. გოზალაშვილთან საქმე გაუთავებია, ამისათვის მისი საჩივარი უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული, ხოლო თუ, გოზალაშვილისათვის ფაკულტეტს რამე სარჯი მიუუწებია და გოზალაშვილი ამის დასამტიკცებულ საბუთებს წარმოადგენს, ფაკულტეტმა უწდოს დანახარჯი.

როდის შესრულდა: 10/1

6. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტთან დატოვებულნი: 1, ივ. გვარაშვილი მათემატიკაში (24 ოქტ.), 2, ვლ. ემუსხვარი საფინანსო სამართლიში (8 ნოემბ.), 3, ლაზ. შურდაია სისხლის სამართლიში (29 ნოემბ.), 4, რაჟდენ ხუციშვილი ფიზიკაში (3 დეკ.), 5, სიმონ ყაჟხიშვილი ბერძნულში (6 დეკ.), 6, ნიკო ქოიაგა პოლიტ. ეკონომიკი და სტატისტიკა (27 დეკ.).

განაჩენი: დამტკიცებულ იქნება.

7. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის წლისთავის აღნიშვნა (26 იან. ან 8 თებ. ახალ. სტილით).

განაჩენი: გადაიდოს გაზაფხულისათვის.

კ. მელიქიშვილი, გ. მოსეშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. კვავლიძე, ა. ხარაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 24

“14” იანვარს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „ 7. 1/2 „ საათზე

დაესწრენ: ა. ბერძენიშვილი, ე. თავაიშვილი, ვ. მოსეშვილი, ა. ნათიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე; მედიცინის დოქტორები: სპ. ვირსალაძე, ივ. თიკანაძე, გ. მუხაძე და ექიმი მაისურაძე.

თავმჯდომარეობდა: ე. თავაიშვილი მდივანი: ი. ყიფშიძე

1. განსახილველი საგანი: მიხეილის საავადმყოფოსა და საბებიო ინსტიტუტის რეორგანიზაციის საკითხი.

განაჩენი: მოხდეს რეორგანიზაცია თანახმად სამკურნალო ფაკულტეტის გადაწყვეტილებისა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ საქმის მოსაგარებლად არჩეულ იქმნა კომისია: პრ. ვ. მოსეშვილისა და ა. ნათიშვილისა და ექიმების ივ. თიკანაძისა და გრ. მუხაძისაგან.

როდის შესრულდა: 1/II 1919

2. განსახილველი საგანი: პროფ. ქურდიანის მოხსენება სამკურნეო ფაკულტეტის გახსნის თაობაზედ.

განაჩენი: გაიხსნას არა ცალკე სამკურნეო ფაკულტეტი, არამედ სამკურნეო განყოფილება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა ამაწლის ენაქნისთვიდან და საჭირო ხარჯთაღრიცხვა დამატებით წარედგინოს სამინისტროს.

3. განსახილველი საგანი: სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისათვის შენობებისა და საცდელი მინდვრებისათვის ადგილის შეონა.

განაჩენი: ეთხოვთ მიწათმოქმედების სამინისტროს, რომ უნივერსიტეტს დაეთმოს სასარგებლოდ 1, ავლაბარში მანთაშევის ყოფილი ადგილი, 2, მუშტაიდი, 3, მუშტაიდის საბაღოსნო სკოლა, 4, სააბრეშუმო სადგური და 5, ვერაზე ყოფილი „კადეტთა კორპუსის“ ადგილი. ამასთანავე, უნივერსიტეტს ნება მიეცეს საჭიროებისდამისედვით ისარგებლოს ყოფილი საუფლისწულო მამულები-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ.

თაც. ხოლო საკათალიკოსო საბჭოს ეთხოვოს რომ ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა (ვაკეში) და ეზო აგრეთვე უნივერსიტეტის დაეთმოს.

4. განსახილებელი საგანი: სასანიტარო ონსტიტუტის დაარსებისა და მისი უნივერსიტეტთან დაკავშირების საკითხი.

განაჩენი: საბჭო პრინციპიალურად სასურველად და სასარგებლოდ სთვლის სასანიტრო ონსტიტუტის დაარსებას და საჭიროდ მიაჩნია ამ ონსტიტუტის უნივერსიტეტთან დაკავშირება. პარლამენტის ჯანმრთელობის კომისიასთან შესათანხმებლად ამ საქმის გამო და უკვე შემუშავებული კანონპროექტის გადასასინჯად საბჭომ აირჩია კომისია შემდეგი პირებისაგან: პრ. ვ. მოსეშვილისა, ა. ნათოშვილისა, მედიცინის დოქტორებისა – სპ. ვირსალაძისა, ივ. თიკანაძისა და გ. მუხაძისაგან.

პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი, ალ. ნათოშვილი, ა. შანიძე, ვ. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, პ. პეპელიძე, ე. თაყაიშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 25

, „20., თებერვალი 1919 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „7. 30 „ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, ე. თავაიშვილი, ა. ბე-
ნაშვილი, ა. რაზმაძე, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ნათიშვილი,
ს. ქურდიანი, ა. ხარაძე, შ. ნუცებიძე, ა. შანიძე და აგრეთვე სა-
განგებოდ მოწვეული ოდესის უნივერსიტეტის პრ.-დოცენტი ფიზი-
ოლოგოსი ივანე ბერიტაშვილი.

თაგმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდიგანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა სამი
კრების ოქმი: №№ 22, 23 და 24 (6 დეკ., 3 იანვ. და 14 იანვარ.)

2. განსახილველი საგანი: განათლების სამინისტროს შემოკითხვა
10 იანვარს (№ 130) (გამეორებით) საკელმწიფო გამომცდელი კო-
მისიების დაარსების შესახებ.

განაჩენი: ეცნობოს განათლების სამინისტროს, რომ, თანახმად
სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის დადგენილებისა (საბჭოს
კრებაზე წაკითხულ იქმნა ამონაშერი სიბრძნ. – მეტყვ. ფაქულტეტის
სხდომის დღიურიდან), პროფესორთა საბჭოს შესაძლოდ მი-
აჩნია საკელმწიფო გამოცდების მოწყობა და კომისიების შედგენა
საისტორიო და საფილოლოგიო საგნებში.

ხოლო ფიზიკურ-მათემატიკურსა, საბუნებისმეტყველოსა და
სამკურნალო საგნებში საკელმწიფო გამომცდელი კომისიების
დაარსების თაობაზე სამინისტროს ეცნობოს დამატებით, საბუნების-მეტყველო და სამკურნალო ფაქულტეტის საბოლოო დასკვნის
მიღების შემდეგ.

3. განსახილველი საგანი: საკელმწიფო კონტროლის პასუხი ჩვენს
მიმართვაზე წინასწარი რევიზიის საკითხის გამო.

წაკითხულ იქმნა პასუხი, რომელიც ამტკიცებს, ვითომც წი-
ნასწარი რევიზია არ არღვევდეს უნივერსიტეტის ავტონომიური
მართვა-გამგეობის წესს.

განაჩენი: ცნობად.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

4. განსახილველი საგანი: სამწედო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების საბინაო სექციის უფროსის პასუხი (№ 982) ჩვენს მიმართვაზე ყოფილი კადეტთა კორპუსის ვაკეზე კუთვნილი ადგილის უნივერსიტეტისათვის დათმობის თაობაზე.

განაჩენი: შეტყობილ იქმნეს, თუ ვის გელშია ამ უამად აღნიშნული ადგილი და სად ინახება მის შესახებ აქტები.

ამის შემდეგ ბატ. რეგტორი პირადად მოელაპარაკება ბატ. განათლების მინისტრს ამის თაობაზე.

5. განსახილველი საგანი: მიწათმოქმედების სამინისტროს (სოფლის მეურნეობისა და საგელმწიფო ქონებათა განყოფილების) პასუხი (№ 652, 31 იანვ) ჩვენს მიმართვაზე უნივერსიტეტისათვის მამულების გადმოცემის თაობაზე (სააგრონომო განყოფილების მოსაწყობად).

განაჩენი: შეკვეთის კომისია, რომელიც მოიწვევს საქმის მცოდნე პირთ წინასწარი თათბირის გასამართვად.

კომისიას ნება ჰქონდეს პროფესორთა საბჭოს სახელით წერილი მისწეროს მიწათმოქმედების სამინისტროს, რათა მან სასწაფოდ მიიწვიოს უნივერსიტეტის წარმომადგენელნი მამულების გადმოცემის საქმის დაწერილებით განსახილველად.

კომისიაში შევიდნენ: ბ. რეგტორი პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, ს. ქურდიანი და ასისტენტი ზ. ყანჩაველი.

6. განსახილველი საგანი: შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების მომართვა, რათა წარგზავნილ იქმნენ განყოფილებაში უნივერსიტეტის წარმომადგენელნი იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა განკორციელდეს მიხეილის საავადმყოფოსა და საბებიო ინსტიტუტის უნივერსიტეტისადმი გადმოცემა.

განაჩენი: წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ: ვ. მოსეშვილი, სპ. ვირსალაძე და ივ. თიკანაძე

7. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

განაჩენი: მიენდო ბ. ექთ. თაყაიშვილსა და შ. ნუცუბიძეს გაიგონ, თუ რა ძღვიმარეობაშია ამჟამად ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების საქმე და ეცადონ, რომ როგორმე დაჩქარებულ იქმნეს მისი დამტკიცება.

8. განსახილველი საგანი: სამკურნალო ფაკულტეტზე არჩეული პროფესორების დამტკიცება.

განაჩენი: პროფესორთა საბჭომ ერთგმად (თორმეტ-თორმეტი თვეთრი და არც ერთი შავი) დაამტკიცა ფიზიკურ-მათემატიკური და საბუნებისმეტყველოსი და სამკურნალო ფაკულტეტის მიერ პროფესორებად არჩეული მედიცინის დოქტორები:

1. ალადაშვილი, ალექსანდრე. დიაგნოსტიკის კათედრაზე.
 2. გირსალაძე სპირიდონ. კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე.
 - 3. თიკანაძე, ივანე. საბებიო კათედრაზე.
 - 4. მაჭავარიანი, ალექსანდრე. ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე.
 - 5. გუხაძე, გრიგოლ. პათოლოგიური ქირურგიის კათედრაზე.
 9. განსახილებელი საგანი: ქართული ლიტერატურის კათედრაზე დატოვებულის სილიბისტორ ლომიას დამტკიცება, თანაკმად სიბრძნის-მეტკველების ფაქულტეტის დადგენილებისა.
- განაჩენი:** დამტკიცებულ იქმნა.
10. განსახილებელი საგანი: საბჭომ მოისმინა ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-ღოცენტის ივანე ბერიტაშვილის წერილობითი მოკსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოყწყოს უნივერსიტეტში ფიზიოლოგიური კათედრა და რა პირობით შეუძლია მას აქ მუშაობა.
- განაჩენი:** საბჭო იზიარებს ბ-ნ ივ. ბერიტაშვილის მოკსენების დედა-აზრს და შესაძლოდ მიაჩნია მისი მუკლების პრაქტიკულად განკორციელება. საბჭო პრინციპიალურად თანაკმაა, რომ ბ-ნი ივ. ბერიტაშვილი მოწვეულ იქმნეს ფიზიოლოგიის კათედრაზე.
- პ. მელიქიშვილი, პ. პმკელიძე, ე. თაყაიშვილი, ვ. მოსეშვილი, დ. უზნაძე, ს. ქურდიანი, ა. ხარაძე, ა. რაზმაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 26

, „გ., მარტს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7,, საათზე

დაქვეწრება: პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, ე. თავაიშვილი, პ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ნათიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, ი. თიკანაძე, ა. ხარაძე და ა. შანიძე

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. **განსახილველი საგანი:** წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და განაჩენი: დამტკიცდა.

2. **განსახილველი საგანი:** პროფ. იოსებ ყიფშიძის ავათმყოფობისა და გარდაცვალების გამო გაწეული ხარჯების დამტკიცება.

განაჩენი: პროფ. ი. ყიფშიძის ავათმყოფობისას (5000 მ) და გარდაცვალების გამო (5.917 მ. 50 კ.) გაწეული ხარჯები, სულ ათი ათას ცხრაას ჩვიდმეტი მანეთი და ათი შაური დამტკიცდეს. ეს ხარჯი დაიფაროს მოულოდნელი ხარჯების მუკლიდან.

3. **განსახილველი საგანი:** განსვენებული პროფესორის ი. ყიფშიძის ოჯახის უზრუნველყოფა მომავალში.

განაჩენი: ა) მიეცეს განსვენებულის მეუღლეს ევგენია ყიფშიძისას, თვიური სარგო პროფესორისა 1919 წლის დამლევამდე.

თანხა ამისათვის გადებულ იქმნეს მოულოდნელი ხარჯების მუკლიდან. და თუ არ ეყო, მაშინ დამატებულ იქმნეს სპეციალური თანხებიდან.

ბ) აღიძრეს შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა განსვენებულის ობლად დარჩენილ ბაქშეს გიორგის დაენიშნოს სტიპენდია ან მიეცეს დაპრარება ყოველთვიური.

4. **განსახილველი საგანი:** პროფ. იოსებ ყიფშიძის სახელობის ფონდის დაარსება.

განაჩენი: დაარსდეს უნივერსიტეტში პროფ. იოსებ ყიფშიძის სახელობის ფონდი.

საფუძვლად დაედოს მას განსვენებულის მშობლების მიერ გვირგვინის ნაცვლად უნივერსიტეტისათვის შემოწირული სამასი

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

მანეთი. ამავე მიზნისათვის გადაიდოს პროფესორ-ლექტორ-ასისტენტთა თვიური სარგოდან სამსამი პროცენტი ერთი წლის განმაღვობაში.

5. განსახილველი საგანი: განსვ. პროფ. იოსებ ყიფშიძის სურათის ჩამოკიდება საპროფესორო დარბაზში.

განაჩენი: საპროფესორო დარბაზში დაიკიდოს განსვენებულის სურათი.

6. განსახილველი საგანი: ქართული სამუსიკო საზოგადოების მოქსენება, რომ უნივერსიტეტში დაარსდეს ქართული მუსიკისა და სიმღერა-გალობის კათედრა.

განაჩენი: ეცნობოს სამუსიკო საზოგადოებას, რომ პროფესორთა საბჭოს სასურველად მიაჩნია უნივერსიტეტში იკითხებოდეს მუსიკის თეორია საზოგადოდ და კერძოდ ქართული მუსიკის ისტორიის კურსი, მაგრამ ამასთანავე ერთად შეუძლებლად სცნობს, რომ ამისათვის ჯერ-ჯერობით ცალკე კათედრა დაარსდეს.

მოწვევა პროფესორისა ან ლექტორისა, რომელიც, უნივერსიტეტის დებულების თანაკმად, განსაზღვრული სამეცნიერო ხარისხით უნდა იყოს აღჭურვილი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს საქმეა და საბჭო სთხოვს სამუსიკო საზოგადოებას, რომ წარმოადგინოს შესავერი კანდიდატი, რომელსაც, უკეთუ იგი არჩეული იქმნა, ამჟამად ჯამაგირი ვერ დაენიშნება.

7. განსახილველი საგანი: სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნა დაარსდეს უნივერსიტეტში კოოპერაციის კათედრა.

განაჩენი: ვინაიდან კოოპერაცია ნაწილია პოლიტიკური ეკონომიკა, ამიტომ ცალკე ასეთი კათედრის დაარსება შეუძლებელია. სასურველი კი არის რომ მთელი წლის განმავლობაში იკითხებოდეს ლექციები როგორც კოოპერაციის აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიკის სხვა დარგებისა, როგორც, მაგ. ბირჟისა ან ბანკის შესახებ, მაგრამ უნივერსიტეტში ლექციების კითხვის უფლება, უნივერსიტეტის დებულების თანაკმად, მხოლოდ სამეცნიერო ხარისხით აღჭურვილ პირს აქვს და რადგანაც ასეთი ვინმე არავინ ჩანს, ამიტომ ჯერ-ჯერობით კოოპერაციის შესახებ საგანგებოდ ლექციების კითხვა არ ჭირდება.

8. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის თხოვნა, მოწვეულ იქმნეს უნივერსიტეტის სტუდენტთა საჭიროებისათვის მუდმივი ექიმი.

განაჩენი: საბჭო თანაკმაა მოწვეულ იქმნეს საგანგებოდ უნივერსიტეტისათვის ერთი ექიმი და დაენიშნოს მას ჯამაგირად იმდენი, რამდენიც ჩვეულებრივ საშუალო სასწავლებლის ექიმებსა აქვთ ხოლმე, ხოლო თუ ვინ იქმნეს მოწვეული ექიმად, ეს მიენდოს სამკურნალო ფაკულტეტს.

რაც შეეხება ამით გამოწვეულ ზედმეტ ხარჯებს, აღიძრეს განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა და გამოთხოვილიქნებს დამატებითი თანხა.

9. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის შენობის დეზინფექცია.

ეს საკითხი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იყო რამოდენიმე შემთხვევა გადამდები სენისა პროფესორთა და სტუდენტებს შორის. მაგალ., პროფ. ი. ყიფშიძე იმსხვერპლა შაგმა სახადმა (typhus exanthematus), იგივე სენი სჭირდა პროფ. გ. ახვლედიანს. ლუქტორი ა. ხარაძე ავად იყო მუცლის სახადით (tuphus abdominalis). სტუდენტთა გამგეობის მიერ პროფესორთა საბჭოსადმი მორთმეულ მოგვიცებაში ვკითხულობთ: „ქალაქში ეპიდემია მძვინვარებს, რომელმაც რამოდენიმე სტუდენტი იმსხვერპლა, ხოლო ზოგნი დღესაც ავათ არიან“.

განაჩენი: რადგანაც, ერთის მცრით, არ არის იმის ნიშანი, რომ უნივერსიტეტის შენობაში იყოს გადამდებ სწელებათა ბუდე და, რადგანაც მეორეს მცრით, ამოღენა შენობის დეზინფექცია დღევანდელ პირობებში ტეხნიკურად შეუძლებელია ფორმალინის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო, ამიტომ ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვალის თავისთავად.

10. განსახილველი საგანი: საბჭოს მდივნის არჩევა პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

განაჩენი: არჩეულ იქმნა ა. შანიძე.

ა. მელიქშვილი, ა. ხარაძე, ს. ქურდიანი, ი. თიკანაძე, ე. თავაიშვილი, გ. მოსეშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 27

„18,, მარტს 1919 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „7. 30,, საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ე. თაყაიშვილი, ვ. მოსეშვილი, პ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ი. თიკანაძე, ს. ქურდიანი, ა. ხარაძე, ა. შანიძე, შ. ნუცებიძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, გ. მუხაძე, სპ. ვირსალაძე, ალ. მაჭავარიანი.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და განაჩენი: დამტკიცდა

2. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტთან პედაგოგიური ნეტი-ტუბის დაარსება.

განაჩენი: პროფესორთა საბჭო პრინციპიალურად თანახმაა უნივერსიტეტთან დაარსდეს პედაგოგიური ინსტიტუტი.

შედგეს კომისია ინსტიტუტის ორგანიზაციისა, შტატებისა და უნივერსიტეტთან დაკავშირების საკითხის დეტალურად გამოსარგევად; კომისიაში შევიდნენ:

1. ე. თაყაიშვილი, 2. დ. უზნაძე, 3. შ. ნუცებიძე, 4. ა. რაზმაძე
3. განსახილველი საგანი: არჩეული პროფესორების დამტკიცება.
განაჩენი: კრებამ დაამტკიცა საბუნებისმეტყველო და სამგურნალო ფაკულტეტის მიერ 12 მარტს არჩეული პროფესორები:

1. მედიცინის დოქტორი კრინიცა შალვა მიხეილისძე, პათოლოგიური ანატომიისა და ჰისტოლოგიის კათედრაზე (არჩეულია თორმეტი წმით. ორმა თავი შეიკავა).

2. ოდესის უნივერსიტეტის პრივატ. დოცენტი ბერიტაშვილი ივანე ფიზიოლოგიის კათედრაზე (ერთ-გმად: თორმეტი თეორი და არც ერთი შავი).

4. განსახილველი საგანი: საბჭოს მოწენდა, რომ ბოტანიკურმა ბაღმა უნივერსიტეტს შემოსწირა კველა თავისი გამოცემა.

განაჩენი: გამოცეცხადოს მადლობა.

პ. მელიქიშვილი, ვ. მოსეშვილი, პ. კეკელიძე, ი. თიკანაძე, სპ. ვირსალაძე, ა. ხარაძე, დ. უზნაძე, ე. თაყაიშვილი, ა. რაზმაძე, ა. შანიძე

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი გ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ცირკულარი,
რომელიც ამასთანავეა დართული.¹
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 28

, „20., მარტს 1919 წ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაესწრენ:

თავმჯდომარეობდა:

მდივანი:

1. განსახილველი საგანი: ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის უნივერსიტეტისადმი გადმოცემა.

განაჩენი: ეთხოვოს განათლების სამინისტროს განკარგულება მოაკვინოს, რათა ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით გადმოეცეს უნივერსიტეტს.

(ქელი უწერიათ პროფესორთა საბჭოს წევრებს ამასთან დართულ უწყებაზე)

უწყება

19 მარტის სხდომაზე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტისა მოისმინა რა მოსენებანი პროფ. პ. მელიქიშვილის და პროფ. ა. ბენაშვილის დაადგინა:

„ეთხოვოს სამინისტროს განკარგულება მოახდინოს, რათა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია მთელი თავის ქონებით და უყოვნებლივ გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვინაიდგან ეს თხოვნა უნდა წარედგინოს სამინისტროს საბჭოს სახელით, უმორჩილესათ ვსთხოვ ბ.ბ. პროფესორებს, [რომელ] დართაც ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, [ამ] ³ უწყებაზე ხელი მოაწეროს.

რექტორი დამსახურებული პროფესორი: პ. მელიქიშვილი

თანახმა ვარ: ი. თიკანაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივ. ალ. ნათიშვილი, გ. მუხაძე, თანახმა ვარ სპ. ვირსალაძე, გ. პ. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიაშვილი, კ. ქმალიძე, ა. რაზმაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ქურდიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი

¹ სიტყვები: „პროფესორთა“ და „ს წევრებს დაეგზავნათ ცირკულარი, რომელიც ამასთანავეა დართული“ ჩაწერილია შელინით ა. შანიძის მიერ.

² ქაღალდი და ზიანებულია.

³ ქაღალდი და ზიანებულია.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 29

, „2,, აპრილს 1919 წ.

სხდომა დაიწყო შეადლის „12,, საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, პ. კეპელიძე, პ. მოსეშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ი. თიკანაძე, სპ. ვირსალაძე, ს. ქურდიანი, ა. ხარაძე, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი **მდიგანი:** ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა 12 მარტის კრების ოქმი.

განაჩენი: დამტკიცდა.

2. განსახილველი საგანი: ქიმიის კათედრაზე მეორე პროფესურის დაწესება.

განაჩენი: დაწესებულ იქმნეს ქიმიის კათედრაზე მეორე პროფესურა.

3. განსახილველი საგანი: ლაბორატორიების საკითხი.

განაჩენი: დაევალოს გამგებას, რომ ერთ რომელსამე პირს მიანდოს ჭიათურიდან ქიმიური და მინერალოგიური ლაბორატორიების გადმოტანა.

4. განსახილველი საგანი: წინა კრებაზე არჩეული კომისიის მოქსენება პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

განაჩენი: დაარსდეს უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტი.

5. განსახილველი საგანი: სასანიტო ინსტიტუტის დირექტორისა და სასამართლო მედიცინის განყოფილების გამგის არჩევლი.

განაჩენი: სასანიტო ინსტიტუტის დროებით დირექტორად და სასამართლო მედიცინის განყოფილების გამგედ ერთგად არჩეულ იქმნა პროფ. ალ. ნათოშვილი.

6. განსახილველი საგანი: ზოოლოგიის კათედრაზე უცხოელის მოწვევა.

განაჩენი: გადაეცეს საკითხი ფაქულტეტს.

7. განსახილველი საგანი: განათლების სამინისტროს მიწერილობა (№ 2330, 22/III 919) ყოფილ კადეტთა კორპუსის ვერაზე კუთვნილი მამულის ჩაბარების შესახებ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

განაჩენი: ჩაბარებულ იქმნეს და ეს საქმე მიენდოს პროფ. ს. ქურდიანს, ვ. მოსეშვილს და ი. თიკანაძეს.

8. განსახილველი საგანი: პროფ. გ. მუხაძისა, ი. თიკანაძისა, სპ. ვირსალაძისა და ალ. მაჭავარიანის თხოვნა, მიეცეს მათ თვითეულს ხუთას-ხუთასი თუმანი მათდამი მინდობილ კათედრების მოსაწყობად.

განაჩენი: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და ზედმეტად გამოთხოვილ იქმნეს მის დასაფარავი ხარჯები.

9. განსახილველი საგანი: საბჭოს მოპტენდა გენერალური შტაბის საორგანიზაციო სექციის უფროსის ტელეფონოგრამა, სადაც ნათქვამია, რომ პროფესორები, დოცენტები, შტატის მასწავლებლები, ლაბორატორები, პროზექტორები და ბიბლიოთეკრები განთავისუფლებული არიან მობილიზაციის დროს გაწვევისაგან.

განაჩენი: ცნობად.

10. განსახილველი საგანი: a) საბჭოს მოპტენდა განსვ. პროფ. იოსებ ყიფშიძის მეუღლის წერილობითი მადლობა განსვენებული პროფესორის აკადემიუმუსისა და გარდაცვალების გამო უნივერსიტეტის მიერ გაწვეული ხარჯებისა და დაპარებისათვის.

b) საბჭოს მოპტენდა, რომ განსვენებულის ქრიგმა უნივერსიტეტს შემოსწორა ქმრისეული დიკტოფონი ჩაწერილი და ჩაუწერი ფირფიტებითურთ.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.

10.1 განსახილველი საგანი: საფინანსო კომისიის არჩევა.

განაჩენი: შედგეს საფინანსო კომისია, რომელშიაც შევლენ გამგეობის წევრების გარდა: დ. უზნაძე და ა. რაზმაძე.

11. განსახილველი საგანი: ენტომოლოგიური კოლექციის შეძენა.

განაჩენი: a) ეთხოვოს ბატ. უვაროვეს, რომ გაემგაზვროს ბაქოში, დაათვალიეროს კოლექცია, შეაფასოს და თავისი აზრი წერილობით წარმოუდგინოს უნივერსიტეტს.

b) მიეცეს ბ. უვაროვეს სამოგზაუროდ ათასი მანეთი.

12. განსახილველი საგანი: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ვალის გადაწყვეტა.

განაჩენი: დაევალოს გამგეობას, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ვალი რაც დარჩა მთლად გადატდილ იქმნეს და გასწორდეს ანგარიში.

პ. მელიქშვილი, ვ. მოსეშვილი, ა. ხარაძე, ი. თიკანაძე, სპ. ვირსალაძე, გ. ახვლედიანი, ა. რაზმაძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. თავაიშვილი, ა. შანიძე

¹ განსახილველ საეთხოების ნუმერაცია არეულია, გვ-10 საეთხოების კვლავ გვ-10 საეთხოების მოკლება.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 30

„9,, აპრილს 1919 წ.

სხდომა დაიწყო დილის „10,, საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ვ. მოსეშვილი, ა. ნათიშვილი, ი. თიკანაძე, ა. მაჭავარიანი, ს. ვირსალაძე, ე. თავაიშვილი, გ. მუხაძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, ა. ხარაძე, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდიგანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა და დამტკიცდა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: სამათემატიკო—საბუნების-მეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის გაყოფა.

განაჩენი: აქამიმდე ერთად არსებული სამათემატიკო—საბუნების-მეტყველო—სამკურნალო ფაკულტეტი ორ დამოუკიდებელ ფაკულტეტად გაიყოს:

ა. სამათემატიკო—საბუნებისმეტყველო ფაკულტეტად და

ბ. სამკურნალო ფაკულტეტიდ.

3. განსახილველი საგანი: დეკანებისა და მდივნების არჩევა ფაკულტეტზე.

განაჩენი: ა. წინადაღება მიეცეს ახალად გამოყოფილ სამათემატიკო—საბუნებისმეტყველოსა და სამკურნალო ფაკულტეტს და აგრეთვე სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტს – აირჩიონ დეკანები და მდივნები.

ბ. კიდრე უნივერსიტეტის წესდება საბოლოოდ შემუშავდებოდეს და დამტკიცდებოდეს, აღნიშნული თანამდებობის პირი არჩეულ იქმნენ ერთის წლით.

4. განსახილველი საგანი: საფინანსო კომისიის შევსება.

განაჩენი: ეთხოვოს სამკურნალო ფაკულტეტს თავისი წარმომადგენელი აირჩიოს საფინანსო კომისიაში.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

5. განსახილველი საგანი: გამგეობის რეორგანიზაცია.

განაჩენი: ა. გამგეობას შეადგენენ: რექტორი და დეკანები. სათათბირო ჭმით შიგ მონაწილეობას იღებენ ფაკულტეტის მდიგნები და აგრეთვე საფინანსო კომისიის წევრები.

ბ. მადლობა გამოეცხადოს აკაკი შანიძეს, რომელიც აქამომდე გამგეობის მდიგნის მოვალეობას ასრულებდა და ახლა კი დროს უქონლობის გამო ამ თანამდებობაზე უარს ამბობს.

გ. გამგეობის მდივნად მოწვეულ იქმნეს კერძო პირი და მისი ჯამაგირი (900-1000 მანეთამდე ოვეში) შეტანილ იქმნეს ხარჯთაღრიცხვაში და გამოთხოვილ იქმნეს, დამატებით, საპანონმდებლო გზით.

6. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ორგანოს გამოცემა.

განაჩენი: გამოცემულ იქმნეს უნივერსიტეტის ორგანო, რომელიც ჯერ-ჯერობით საერთო იქმნება ყველა ფაკულტეტისათვის.

სარედაქციო კოლეგიაში შევიდენ:

ა) სიბრძნ.-მეტყვ. ფაკულტეტიდან: ი. ჯავახიშვილი, კ. ქექელიძე და ა. შანიძე.

ბ) სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოდან: ა. რაზმაძე.

ც) სამკურნალოდან, სპ. ვირსალაძე.

7. განსახილველი საგანი: საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიურისა და კელოვნების ძეგლების მოვლა-პატრონობა და დაცვა.

განაჩენი: მონასტრების ძარცვისა (გარესჯა, შემოქმედი, მარტვილი, გელათი) და ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთების დაკარგვა-დაღუპვის გაჭმირების გამო (ხატები, ხელნაწერები და სხვ.) მიღებულ იქმნეს ფიცხელი და საჭირო ზომები ჩვენი წარსულის ძეგლების გადასარჩენად და დასაცავად.

ეთხოვოს ივ. ჯავახიშვილისა და ე. თაყაიშვილს, რათა მათ მოლაპარაკება გამართოს ს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, ქ. კელოვნანთა საზოგადოებასთან და საკათალიკოსო საბჭოსთან, რათა შეერთებული ძალითა და ერთულთის თანახმობით გამონახულ იქმნეს შესაფერისი ზომები ჩვენი წარსულის ისტორიულ-არქეოლოგიურისა და კელოვნების ძეგლებისა და ნივთების გადასარჩენად და დასაცავად.

8. განსახილველი საგანი: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო-სამკურნალო ფაკულტეტის მოწენება,

ა. რომ ფაკულტეტის დადგენილებით, ფაკულტეტის სხდომებზე სათათბირო ხმით მოწვეული იქმნებიან აგრონომები, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

განაჩენი: ცნობად

ბ. რომ ფაკულტეტმა დაადგინა, რათა შემოდგომიდან სამკურნალო ფაკულტეტზე გაიკვირდება მესამე კურსი.

განაჩენი: შემოდგომიდან სამკურნალო ფაკულტეტზე გაიკვირდება მესამე კურსი და ამისათვის საჭირო ხარჯები დამატებით გამოთხოვილ იქმნება ხაზინიდან საკანონმდებლო გზით.

პ. მელიქიშვილი, ა. რაზმაძე, ა. ბერნაშვილი, ი. თიგანაძე, ე. თაყაიშვილი, ვ. მოსეეშვილი, ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი .
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 31

„3,, მაისს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7. 30., საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ვ. მოსეშვილი, პ. კელიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ე. თავაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, ა. ბენაშვილი, ი. თო-კანაძე, ა. ხარაძე, ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

კრების გამსნისას, პროფესორთა საბჭომ, თავმჯდომარის წინა-დადგბის თანამად, ფეხზე ადგომით პატივი სცა უნივერსიტეტიში ქართული ლიტერატურის კათედრაზე საპროფესოროდ დატოვებულისა, სამეცნიერო მიზნით სპარსეთს გაგზავნილისა და რეშტში სავადისაგან (Typhus exanthematus) 7 აპრილს გარდაცვლილის და იქვე დასაფლავებულის სილიბისტრო ლომიას ჭიოვნას.

1. განსახილველი საგანი: განმარტებითი მოგსენება უნივერსიტეტის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

პროფესორთა საბჭომ მოისმინა ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვის განმარტებითი მოგსენება, შედგენილი სიბრძნისმეტყველების დეკანის პროფ. ივანე ჯავახიშვილის მიერ, მოიწონა იგი და დაადგინა.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნეს და მადლობა გამოეცხადოს მის ავტორს პ. ივ. ჯავახიშვილს.

2. განსახილველი საგანი: სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს ოსმალური ენის ლექტორად ჯალალ მაჰირბეგ მემარნიშვილი და მიეცეს მას გზის [ფულად]² ასი ლირა.

განაჩენი: ფაკულტეტის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

3. განსახილველი საგანი: ახლად არჩეული დეკანებისა და მდივნების დამტკიცება.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

² ცუდად იკითხება ქადალდის და ზიანების გამო.

განაჩენი: а) თანაგმად სიბრძნის-მეტყველების ფაქულტეტის არჩევნებისა, პროფესორთა საბჭომ ამ ფაქულტეტის დეკანად დაამტკიცა პროფ. ივ. ჯავახიშვილი და მდივნად – აკაკი შანიძე.

ხოლო

б) სამკურნალო ფაქულტეტის არჩევნების თანაგმად, ამ ფაქულტეტის დეკანად დამტკიცებულ იქმნა პროფ. ალ. ნათიშვილი, და მდივნად – ზ. მაისურაძე.

4. განსახილველი საგანი: ახლად არჩეული პროფესორების დამტკიცება.

განაჩენი: პროფესორთა საბჭომ თანაგმად სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაქულტეტის არჩევნებისა, დაამტკიცა უნივერსიტეტში პროფესორებად მოწვეული მეცნიერები:

ა) მოსეშვილი, იასონ პავლეს ძე (ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი), ქიმიის კათედრაზე, მეორე პროფესორად (ერთჯმად).

ბ) ლილებულიძე (ოდესის პოლიტექნიკუმის დოცენტი) ფიზიკის კათედრაზე (ერთჯმად).

გ) აკადემიკოსი ნავაშინა სერგი გაბრიელის ძე; ბოტანიკის კათედრაზე (ერთჯმად).

5. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და განაჩენი: დამტკიცდა.

კ. მელიქიშვილი, ქ. თაყაიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ხარაძე, დ. უზაძე, შ. ნუცუბიძე, კ. კეპელიძე, ივ. ჯავახიშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 32

„18., მაისს 1919 წ.

სხდომა დაიწყო დილის „9., საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თავიშვილი, ა. ბერიაშვილი, ა. რაზმაძე, დ. უჩნაძე, შ. ნუცუბიძე, პ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ვარლამ მოსეშვილი, იასონ მოსეშვილი, ა. ხარაძე (სამათემატიკო - საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მდივანი) და ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. კრებამ დრმა მწუხარებით მოიხმინა სომხური ენის ლექტორის დავით ყიფშიძის უდროოდ გარდაცვალების ამბავი და, თავმჯდომარის წინადაღების თანამად, ცვეტე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ქსოვნას.

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ახლად არჩეული დეკანისა და მდივნის დამტკიცება.

განაჩენი: თანამდებობა ამ ფაკულტეტის არჩევნებისა, დეკანად დამტკიცებულ იქმნა პროფ. მოადგილე ა. რაზმაძე, ხოლო მდივნად ა. ხარაძე.

3. გნიხილეს: სტუდენტთა გამოცდების საკითხი.

შენიშვნა: წაკითხულ იქმნა სიბრძნისმეტყველებისა, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსა და სამკურნალო ფაკულტეტის დადგენილებანი სტუდენტთა გამოცდების შესახებ.

განაჩენი: ეს დადგენილებანი პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებულ და დადასტურებულ იქმნა.

4. განსახილველი საგანი: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოქსენება, რომ მას სააგრონომიო განყოფილებაზე მეორე და მესამე კურსის გაგსნა შესაძლებლად მიაჩნია.

განაჩენი: ეთხოვოს ფაკულტეტს, რომ წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ამ საქმის ფინანსიური მჯარის შესახებ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

- 5. განსახილველი საგანი:** სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ მსოფლიოს ისტორიის პროსემინარში ხელ-მძღვანელად მოწვეული გიგო ნათადე დამტკიცებულ იქმნეს.
- განაჩენი:** შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას.
- 6. განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ დასაწყისი კურსის კითხვა არაბულ ენაში ჯერ-ჯერობით მი-ენდოს ოსმალური ენის ლექტორს ჯალალ მემარნიშვილს.
- განაჩენი:** შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას.
- 7. განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ ბერძნული ენის კათედრაზე საპროფესოროდ დატოვებულ ს. ყაუხეჩიშვილს მიმდინარე მაისიდან დაენიშნოს სტიპენდია.
- განაჩენი:** შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას.
- 8. განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ პროფესორის მოადგილეს აკაკი შანიძეს დაენიშნოს დამატებით სარგოდ დოცენტის ჯამაგირი, ვინაიდან იგი პროფ. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ლექციებს კითხულობს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და აგრძელვა არაბულ ენაშიაც.
- განაჩენი:** შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას.
- 9. განიხილეს:** სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებელ პირთა დამტკიცების შესახებ.
- განაჩენი:** პროფესორთა საბჭომ, თანამშად ფაკულტეტის შუამდგომლობისა, დაამტკიცა ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებლად მოწვეული ექიმები:
- a. აპლოთნ ტყემალაძე, ფარმაკოლოგიის კათედრაზე
და b. დავით იოსელიანი, ოპერატიული ქირურგიის კათედრაზე,
შენიშვნა. შემდეგ სხდომაზე ეს გაუქმებულად ჩაითვალა; (ოქმი № 33, მუხლი 9)
- 10. განსახილველი საგანი:** მეცადინეობის შეწყვეტა.
- განაჩენი:** უნივერსიტეტში მეცადინეობა შეწყდეს 14 ივნისს.
- ა. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თავაიშვილი, გ. ახვლედიანი, ვ. მოსეშვილი, ი. მოსეშვილი, კ. კეკელიძე, ა. რაზმაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 33

„4,, ივნისს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „6. 30“ საათზე

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ნაგაშინი, ა. რაზ-მაძე, ქ. თავაძეშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ვ. მოსეშვილი, ი. მოსეშვილი, პ. კეკელიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. ქურდიანი, გ. მუ-ხაძე, სპ. ვირსალაძე, ზ. მაისურაძე, ა. ხარაძე და ა. შანიძე

თავმჯდომარეობდა:

მდიგანი:

1. **განსახილველი საგანი:** წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

2. **განსახილველი საგანი:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფა-კულტეტის შუამდგომლობა შეძენილ იქმნეს ბეიქის მინერალო-გიური კოლექცია.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

3. **განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს დამატებით ხარჯთ-აღრიცხვა სააგრონომიო განყოფილების მეორე და მესამე განყოფილების მოსაწყობად.

განაჩენი: დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა სააგრონომიო განყოფი-ლების მეორე და მესამე კურსის მოსაწყობად, სულ ას ოცდა ერთი ათას რვაასი მანეთი (121.800 მან.), დამტკიცებულ იქმნეს.

4. **განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის მოქსენება სადოქტორო გამოცდების ჩაბარების წესების შესახებ.

განაჩენი: უნივერსიტეტის წესდების საბოლოოდ შემუშავება-დამტკიცებამდე თვითოვეულ კერძო შემთხვევაში გამოცდების წე-სები ფაკულტეტების მიერ ცალკე უნდა იყოს შემუშავებული და პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებული.

5. **განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ თვისებითი ანალიზის ლაბორატორიის მოსაწყობად გადადებულ იქმნეს ჯერ-ჯერობით ორმოცდაათი ათასი მანეთი (50 000 მ.)

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს და მოქმედოს ლა-ბორატორია როგორც თვისებითი ანალიზისა, ისე რაოდენობითი-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

სა და ამისათვის გადებულ იქმნეს, თუ საჭიროება მოითხოვს ორ-მოცდათი ათასზე მეტიც.

6. განსახილველი საგანი: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს ექიმი შალვა მიქელაძე ასისტენტად კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

7. განსახილველი საგანი: აასუები შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საგნებში სახლმწიფო გამომცდელი კომისიების შედგენის შესახებ.

განაჩენი: ეთხოვოს სამკურნალო ფაკულტეტს, რომ საჭირო დამატება შეიტანოს მის მიერ წარმოდგენილ პასუხში, რომელიც დამატება-შესწორების შემდეგ გაეგზავნება სამინისტროს.

8. განსახილველი საგანი: ქ. იურიდიული საზოგადოების შუამდგომლობა, რომ უნივერსიტეტი დაქვმაროს საზოგადოებას პრაქტიკული იურიდიული კურსების მოწყობის საქმეში სამეცნიერო ძალების მიშველებითა და აგრეთვე უნივერსიტეტის შენობაში საჭირო აუდიტორებისა და მოწყობილობის დათმობით.

განაჩენი: პროფესორთა საბჭო სასურველად სცნობს, რომ უნივერსიტეტმა ქ. იურიდიულ საზოგადოებას დაგვმარება აღმოგებინოს პრაქტიკული იურიდიული კურსების გაჯსნის საქმეში, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია გამორკვებულ იქმნეს, თუ ტექნიკურად რამდენად მოსაპერკებელი იქნება განზრახული კურსების უნივერსიტეტის შენობაში მოწყობა.

9. განსახილველი საგანი: პროფ. ალ. ნათიშვილის პროტესტი წინა კრებაზე (ოქმი №32, მუხლი 9) ასისტენტებად წამოყენებული ექიმების დამტკიცების შესახებ.

განაჩენი: ვინაიდან გამოირკვა, რომ შუამდგომლობა ასისტენტთა დამტკიცების შესახებ პროფესორთა საბჭოში ისე შემოსულა, რომ თვით სამკურნალო ფაკულტეტის სხდომის ოქმი დამტკიცებული არ ყოფილა, ამიტომ დღვევანდელი სხდომა პროფესორთა საბჭოსი გაუქმდებულად თვლის წინა კრების გადაწყვეტილებას საასისტენტო კანდიდატების დამტკიცების შესახებ და უბრუნებს ფაკულტეტის მეორედ წარმოსადგენად.

10. განსახილველი საგანი: სახლმწიფო კონტროლის დასკვნა უნივერსიტეტის ახალი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

წაკითხულ იქმნა პირი კონტროლის დასკვნისა, რომელიც გადაეგზავნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.

განაჩენი: ეთხოვოს პროფესორების, რომლებიც წევრნი არიან დამფუძნებელი კრებისა, რომ მიიღონ ზომები, რათა უნივერსიტეტის უფლებანი დაცულ იქმნეს და მისი საჭიროებანი - დაკმაყოფილუბული.

11. განსახილვები საგანი: ოთახების განაწილება დაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის.

განაჩენი: შედგა კომისია, რომელსაც დაევალა, ოთახების განაწილებისათვის შეიკრიბოს შაბათს, თორმეტ საათზე.

კომისიაში შევიდენ ყველა სპეციალობის წარმომადგენელნი.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯაგახიშვილი, С. Навашин, ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, ვ. მოსეშვილი, სპ. ვირსალაძე, ი. თიკანაძე, ი. მოსეშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, პ. პეპლიძე, ა. რაზმაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№34

„18., ივნისს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7., საათზე.

დაესწრენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯაგახიშვილი, ა. რაზმაძე, ალ. ნათოშვილი, ს. ნავაშინი, ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, ალ. მაჭავარიანი, კ. მოსეშვილი, სპ. ვირსალაძე, ი. მოსეშვილი, გ. მუხაძე, გ. ჩუბინაშვილი, ი. თიკანაძე, დ. უზნაძე, შ. ნუცებიძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, არჩილ ხარაძე, ზ. მაისურაძე და ა. შანიძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი მდივანი :ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი.

2. განსახილველი საგანი: ფაკულტეტების მოქსენებანი.

ა. სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტისა

განსახილველი საგანი: a) პროფ. გრ. წერეთლის მოწვევა ბერძნული ენის და ლიტერატურის კათედრაზე.

განაჩენი: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ფოლიმონის ძე წერეთლი, თანამდე სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის არჩევნებისა, დამტკიცებულ იქმნა, ერთგმად, ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

b) სამოქალაქო სამართლის კათედრაზე დატოვებულის მოსე შანიძის დამტკიცება.

განაჩენი: ფაკულტეტების შუამდგომლობა მოსე გაბრიელის ძის შანიძის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე დატოვების შესახებ (სტიპენდიოთ, პირველი ივნისიდან) შეწყნარებულ იქმნეს.

ბ. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსი.

განსახილველი საგანი: a. პროფ. Dr. P. Ehrenfest' ის მოწვევა.

განაჩენი: ლეიიდენის უნივერსიტეტის პროფესორი დ-რი პავლე სიგიმონდის ძე ერენფესტი (Dr. P. Ehrenfest), თანამდე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის არჩევნებისა, ერთგმად არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა ფიზიკის კათედრაზე.

b. დამტკიცება ასისტენტებისა თამარ ბებურიშვილისა და ანნა მოსეშვილისა ქმითის კათედრაზე.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

განაჩენი: ფაქულტეტის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და თამარ ბებურიშვილი და ანნა მოსეშვილი დამტკიცებულ იქმნენ ასისტენტებად ქმითის კათედრაზე.

c. აგრონომის დიმიტრი გელევანიშვილის დამტკიცება ნიადაგ-თმეცნიერებისა და საზოგადო მიწათმოქმედების მასწავლებლად.

განაჩენი: ფაქულტეტის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და აგრონომი დიმ. გელევანიშვილი დამტკიცებულ იქმნა ნიადაგთმეცნიერებისა და საზოგადო მიწათმოქმედების მასწავლებლად პირველი აგვისტოდან.

C. სამკურნალო ფაკულტეტისა

განსახილველი საკითხი: a. დამტკიცება ასისტენტებად ექიმების:

აპ. ტყემალაძისა,

ნ. დემეტრაძისა,

დ. იოსელიანისა,

კ. იოსელიანისა

და ა. წულუკიძისა

განაჩენი: ფაქულტეტის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და დამტკიცებულ იქმნენ ასისტენტებად:

1. აპოლონ ტყემალაძე (ფარმაკოლოგიის კათედრაზე)

2. ნიკო დემეტრაძე და

3. დავით იოსელიანი - (ოპერატორი ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე)¹

4. კლიმენტი იოსელიანი (ნორმალური ანატომიის კათედრაზე)

b. აფთიაქართა შეგირდების გამოცდების წესები, წარმოდგენილი სამკურნალო ფაქულტეტის მიერ.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნა.

3. **განსახილველი საგანი:** სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნა, განგრძობილ იქმნეს ვადა გამოცდების ჩაბარების სამკურნალო ფაქულტეტის სტუდენტთათვის

განაჩენი: უარი ეთქას თხოვნაზე.

4. **განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის გამოცემების გამო

განაჩენი: საკითხი გადაეცეს ფაქულტეტებს განსახილველად და საბჭოში წარმოსადგენად.

ა. მელიქიშვილი, იგ. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, C. Навашин, გ. ნუცუბიძე, გ. მოსეშვილი, ა. ხარაძე, ალ. ნათოშვილი, ზ. მაისურაძე, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე

¹ ფიგურული ფრჩხილით მინიშნებულია, რომ ნ. დემეტრაძე და ღ. იოსელიანი დამტკიცებული არიან თბერატორიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 35

, „27., ივნის 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „6 1/2., საათზე.

დაესწრებ: რექტორი, პროფეს. პ. მელიქიშვილი, დეკანები, პროფეს. ივ. ჯავახიშვილი, ალ. ნათიშვილი, ან. რაზმაძე, პროფეს. ექ. თავა-იშვილი, ფ. გოგიაშვილი, პ. კეკელიძე, ს. ნავაშინი, დ. უზნაძე, ი. თიკანაძე, ვარ. მოსეშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, მოსეშვილი იასონ, ფაქულტეტის მდივნები – ზ. მაი-სურაძე და ა. ხარაძე.

თაგმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივნი: პ. კეკელიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა წინა სხდომის ოქმი და

განაჩენი: დამტკიცდა.

2. განსახილველი საგანი: მოხსენება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა იმის შესახებ, რომ საგანგებო კომისიაშ მთავრობის წინაშე შუ-ამდგომლობა აღძრა, უნივერსიტეტის გაზრდისა და გაფართოების გამო, დათმობოდა მას ერთერთი ამხანად გაუქმებული და გასა-უქმებელ დაწესებულების შენობა. შედეგად ამ შუამგომლობისა, მთავრობისაგან ცნობა მივიღეთ, რომ უნივერსიტეტის დაეთმო ყო-ფილ სასულიერო სემინარის ახალი შენობა ვაკეშიო.

განაჩენი: მოხსენება მიღებულ იქმნეს ცნობად. შენობის მიღება, ოფიციალურად ცნობის შემდეგ, დაევალოს გამგეობას.

3. განსახილველი საგანი: წინადაღება პროფ. ან. რაზმაძისა – და-წესებულ იქმნეს უნივერსიტეტში მუდმივი საფინანსო კომისია და არჩეულ იქმნეს მისი წევრები.

განაჩენი: არჩეულ იქმნეს კომისია, რომელიც გამოარკვევს – რო-გორი ორგანო საჭირო უნივერსიტეტში მისი სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, გაითვალისწინებს მის ფუნქციებს და გამგეობასთან დამოკიდდებულებას. წევრებად ამ კომისიისა არჩე-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ქ. კეკელიძის მიერ.

ულ იქმნენ პროფფ. ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. [.....]¹, ა. რაზმაძე.

4. განსახილველი საგანი: აუდიტორიებისა და ლაბორატორიების მოწყობა.

განაჩენი: ა) ეთხოვოს იმ პირთ, ვისაც დავალებული აქვთ ეს საქმე, შეუდგენ მუშაობას, რომ სეპტემბრისათვის ყოველივე მზად იყოს.

ბ) საჭირო ნივთებისა და იარაღების შექნა ევროპაში ეთხოვოს დავით დამბაშიძეს, რომელიც ამჟამად სტამბოლშია და მაღე ევროპაში გაემზავრება.

გ) გამოთხვილ იქმნეს მთავრობისაგან სასანიტრო ინსტიტუტში სამხედრო სააფთიაქო საწყობის შენობა.

მოხსენებანი სიბრძნისმეტყველობა

5. განსახილველი საგანი: სიბრძნისმეტყველების სამეცნიერო დარბენისა და გამოცდების დებულებანი.

განაჩენი: ფაქულტეტის მიერ მიღებული დებულებანი დამტკიცებულ იქმნეს.

6. განსახილველი საგანი: შესაძლებლად სცნობს საბჭო თუ არა მიღებულ იქმნენ უნივერსიტეტში ქალთა გიმნაზიებში შვიდი კლასის კურსდამთავრებულნი, რომელთაც, მთავრობის განკარგულებით, მოწიფელობის მოწმობა მიუღიათ, თუმცა იმ საგნების კურსი, რომელთაც მერვე კლასში გადიან, არ მოუსმენიათ?

განაჩენი: მიღებულ იქმნენ (7 ხმით 4 წინააღმდეგ), მხოლოდ თვითოეულმა ფაქულტეტმა გამორკვიოს და გამოაცხადოს, რა საგნებში ჩააბარონ მათ დამატებითი გამოცდები.

7. განსახილველი საგანი: ფაქულტეტის გამოცემათა დებულებები.

განაჩენი: დებულებათა პრინციპები მიღებულ იქმნეს, დეტალების განსხვა მიენდოს გამგეობას.

8. განსახილველი საგანი: შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოგზავნილ შალვა ბერიძეს 6400 მანეთით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

განაჩენი: ა) წინადაედოს შ. ბერიძეს იმუშაოს მის მიერ არჩეულ დარგში ჩვენი უნივერსიტეტის სახელით და წარმოუდგინოს მას ანგარიში თავისი მუშაობისა.

ბ) ამ პირობით მიეცეს მას საჭირო სახსარი.

¹ არ იყოთხება ქადაღდის დაზიანების გამო.

გ) მერე ეცნობოს რუსეთის სამეცნიერო აკადემიას, რომ უნივერსიტეტმა მის მიერ გამოგზავნილ ბერიძეს დახმარება აღმოუჩინა სესხის სახით.

9. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ორგანოს გამოსაცემლად შექმნილია ქაღალდი, სტამბა ერთი ფორმის (16 გვ), აწყობა-დაბატეჭდვაში ოთხოვს 1600 მანეთს. შეგვიძლია თუ არა – დავიწყოთ მუშაობა?

განაჩენი: საჭირო თანხა გადებულ იქმნეს, დეტალების გამორკვევა მიენდოს გამგეობას.

მოხსენებანი სამკურნალო ფაკულტეტისა.

10. განსახილველი საგანი: ექ. ნ. მელიქშვილის საბებიო კაოგდრასთან ასისტენტის თანამდებობის აღმასრულებლად დამტკიცება.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნეს 1 ივლისიდან.

11. განსახილველი საგანი: ფაკულტეტის გამოცემათა დეპულებანი.

განაჩენი: გადაეცეს გამგეობას.

12. განსახილველი საგანი: საბებიო ინსტიტუტის შენობაში სამი საართულის დათმობის შესახებ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, ფაკულტეტის მიერ უკვე აღძრული.

განაჩენი: მოხსენების ყველა მუხლები მომზადებულ იქმნეს და ფაკულტეტის მიერ მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობის აღმერა ცნობად მიღებულ იქმნეს.

13. განსახილველი საგანი: მოხსენება სასანიტო ინსტიტუტის შესახებ.

განაჩენი: მოხსენების ყველა მუხლები მიღებულ იქმნეს და აღიძრას მთავრობის წინაშე შესაფერი შუამდგომლობა.

14. განსახილველი საგანი: მოხსენება იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის შუამდგომლობა აღუძრავს განათლების მინისტრის წინაშე, რათა გაუქმებულ იქმნეს მიხეილის საავადმყოფში არსებული მართლმადიდებელთა თუ სომებს გრიგორიანთა ეკლესიები.

განაჩენი: ცნობად მიღებულ იქმნეს.

მოხსენებანი სამათემატიკო-საბუნებისმეტ-ფაკ.

15. განსახილველი საგანი: მოხსენება ფაკულტეტის გამომცემლობის შესახებ.

განაჩენი: გადაეცეს გამგეობას.

16. განსახილებელი საგანი: ტეხნიკურ-სამრეწველო კომისიაში უნივერსიტეტის მხრივ ფაკულტეტისა წარმომადგენლად აირჩია პროფ. პ. მელიქიშვილი.

განაჩენი: ეთხოვოს პროფ. პ. მელიქიშვილს იკისროს კომისიაში უნივერსიტეტის წარმომადგენლობა.

17. განსახილებელი საგანი: შუამდგომლობა ფაკულტეტისა უნივერსიტეტის წასდების შედგენისას მიღებულ იქმნას შტატები დოცენტებისა და პრივატდოცენტებისა.

განაჩენი: შუამდგომლობა გადაეცეს უნივერსიტეტის წესდების შემდგენელ კომისიას.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, პ. კეკელიძე, ალ. ნათოშვილი, ვ. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, სპ. ვირსალაძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

შეერთებული სხდომა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა და
სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსი (რომელიც მიუძღვდა პრო-
ცესორთა საბჭოს სხდომას)¹

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№36-ა

„16., სექტემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7,, საათზე.

დაესწრენ: რექტორი, დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი;
დეკანები: სიბრძნისმეტყველებისა პროფ. ი. ჯავახიშვილი და სა-
მათ.-საბუნებისმეტყველოსი პროფ. ა. რაზმაძე.

პროფესორები: პ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ.
უზნაძე, ა. შანიძე, ა. თვალჭრელიძე, ა. ბენაშვილი, ს. ქურდიანი
და ა. ნათოშვილი.

მდივანი სამათ.-საბუნ. ფაკულტეტისა ა. ხარაძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი **მდივანი:** ა. შანიძე

განსახილველი საგანი: საპედაგოგიო ინსტიტუტის გამგის არჩევ-
ნები.

განაჩენი: საპედაგოგიო ინსტიტუტის გამგედ ერთგმად არჩეული
იქმნა პროფ. დ. უზნაძე.

პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, ალ. ნათოშვილი,
გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, პ. კეკელიძე, ს. ქურდიანი

¹ სიტყვები: „შეერთებული სხდომა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა
და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსი (რომელიც მიუძღვდა პროფე-
სორთა საბჭოს სხდომას)“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 36-ბ

„16., სექტემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7., საათზე.

დაესწრენ: რექტორი, დამსახურ. პროფ. პ. მელიქიშვილი. დეკანები: სიბრძნისმეტყველებისა პროფ. ივ. ჯავახიშვილი, სამათ.-საბუნებისმეტყველოსი პროფ. ა. რაზმაძე, და სამკურნალოსი ალ. ნათოშვილი, პროფესორები: პ. გეგელიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლე-დიანი, დ. უზნაძე, ა. შანიძე; ა. თვალჭრელიძე, ა. ბენაშვილი, ს. ქურდიანი, ვარდ. მოსეშვილი, ა. ალადაშვილი, სპ. ვირსალაძე, ი. თიკანაძე, გ. მუხაძე. მდიგნები: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა არჩ. ხარაძე და სამკურნალოსი ზ. მაისურაძე.

თაგმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდიგანი: ა. შანიძე

0. კრების გაჭინისას, რექტორმა დამსახურებულმა პროფესორმა პ. მელიქიშვილმა საბჭოს სიტყვით მიჰმართა და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი განაჩენი: და დამტკიცდა.

2. განსახილველი საგანი: რ. ბლეიკის დამტკიცება პროფესორის მოადგილედ ბიზანტიის ისტორიის კათედრაზე.

განაჩენი: ფილოსოფიის დოქტორი რობერტ პირპონტ ბლეიკი (Robert Pierpont Blake), თანამდებობის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგმოლობისა, დამტკიცებულ იქმნა (თექვსმეტი თეთრი და არც ერთი შავი) პროფესორის მოადგილედ ბიზანტიის ისტორიის კათედრაზე.

3. განსახილველი საგანი: მოწენება სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა, რომ ოსმალური ენის ლექტორის ადგილი, ჯელალ მემარნიშვილის დროზე გამოუცხადებლობის გამო თავისუფლად იქმნეს ცნობილი.

განაჩენი: ფაკულტეტის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს და ოსმალური ენის ლექტორის ადგილი თავისუფლად ჩაითვალოს პირველი ენაქნისთვიდან.

4. განსახილველი საგანი: კონსტანტინე ამირეჯიბის დამტკიცება.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

განაჩენი: კონსტანტინე ამირეჯიბი, თანამდებობა სამათემატიკო-საბურნების მეცნიერებლო ფაკულტეტის შუამდგრომლობისა, დამტკიცებულ იქმნა დოცენტის მოვალეობის აღმასრულებლად სამკურნალო მექანიკის კათედრაზე.

5. განსახილველიო საგანი: საბებიო ინსტიტუტის უნივერსიტეტი-სადმი გადმოცემის პირობანი.

განაჩენი: ეთხოვოს სამკურნალო ფაკულტეტს, კვლავ განიხილოს საბებიო ინსტიტუტის გამგეობის წინადადება და თავისი დასაბუთებული აზრი ამ საგნის შესახებ წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს საბოლოო დადგენილების გამოსახანად.

6. განსახილველი საგანი: ლექციების დაწყება.

განაჩენი: ლექციების კითხვა ყველა ფაკულტეტზე ერთ დღეს დაიწყოს, სახელდობრ 29 სექტემბერს.

7. განსახილველიო საგანი: წიგნოსაცავის გამგის ა. შანიძის განცხადება, რომ წიგნოსაცავი გაიზარდა, იქ მუშაობა გაროულდა და ამიტომ საჭიროა მისი განთავისუფლება წიგნოსაცავის გამგის თანამდებობიდან და მის ნაცვლად საგანგებო პირის მოწვევა ამ თანამდებობაზე.

განაჩენი: თხოვნა ა. შანიძისა შეწყნარებულ იქმნეს: მთხოვნელი ა) განთავისუფლებულ იქმნეს წიგნოსაცავის გამგის თანამდებობისაგან.

б) წიგნოსაცავის გამგედ მოწვეულ იქმნეს საგანგებო პირი და
с) წიგნოსაცავის გამგეს დაენიშნოს სარგოდ თვეში 1700 (ათას შეიდასი მანეთი) თავისი დამატებითურთ.

8. განსახილველი საგანი: წინადადება ბატ. რექტორისა, რომ საჭიროა უნივერსიტეტის გამგეობას ჰქონდეს პროფესორ – ლექტორ – ასისტენტების curiculum vitae.

განაჩენი: ეთხოვოს პროფესორებს, ლექტორებს და ასისტენტებს, რომ გაგმეობას წარმოუდგინონ თავიანთი curiculum vitae.

9. განსახილველი საგანი: მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებულ სტატისტიკურ კომიტეტში უნივერსიტეტის წარმომადგენლის არჩევა.

განაჩენი: არჩეულ ი¹ქმნა პროფ. ფილ. [გოგი] ²ჩაიშვილი.

ა. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ქ. ქმედიძე, ს. ქურდიანი, ა. რაზმაძე, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, ი. თიკანაძე, ალ. ნათიშვილი, ზაქ. მაისურაძე, ა. შანიძე

¹ ქადაღდი დაზიანებულია.

² ქადაღდი დაზიანებულია.

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 37

, „8., ოქტომბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7., საათზე.

დაესწრებ: რექტორი, დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი.

დეკანები: სიბრძნისმეტყველებისა პროფ. ი. ჯავახიშვილი, სამათ.საბუნებისმეტყველოსი პროფ. ა. რაზმაძე, სამკურნალოსი პროფ. ალ ნათიშვილი. პროფესორები: ე. თავაიშვილი, ქ. ქეკელიძე, ფ. გრგიჩაიშვილი, ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე; ს. ქურდიანი, ი. ბერიტაშვილი, დიდებულიძე, იას. მოსეშვილი; ა. ალადაშვილი, ი. თიკანაძე, გ. მუხაძე. მდივნები სამათ.-საბუნ. ფაკ. არჩ. ხარაძე, სამკურნალოსი ზ. მაისურაძე.

თავმჯდომარეობდა: პ. მელიქიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და განაჩენი: დამტკიცდა

2. განსახილველი საგანი: აკადემიური ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება.

განაჩენი: ა) ეთხოვოს პროფესორებს, რომ თუ დროზე ლექციების კითხვას ვერ აპერკებენ, აცნობონ დეკანს ამისი მიზეზი.

ბ) უკეთუ ვინმე ტფილისიდან სადმე წასვლას აპირებს, აცნობოს გამგეობას დეკანის პირით.

3. განსახილველი საგანი: ბორის უვაროვის დამტკიცება.

განაჩენი: საქართველოს მუზეუმის (მველად კავკასიის მუზეუმის) ენტომოლოგი ბორის უვაროვი, თანამდებობა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ ქმნა დოკენტის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის საგნებისათვის 23 ენკენისთვიდან 1919 წ.

4. განსახილველი საგანი: ივ. ფიგუროვსკის დამტკიცება.

განაჩენი: ფიზიკური თბესერვატორიის მეტეოროლოგიურ სადგურთა ქსლის გამგე ივ. ფიგუროვსკი, თანამდებობა სამათემატიკო-საბუ-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ნებისმეტყველო ფაქულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა დოცენტის მოვალეობის ღროვებით აღმასრულებლად მეტეოროლოგიის საგნისათვის 23 ენებისთვიდან 1919 წ.

5. განსახილველი საგანი: ვლადიმერ ცეცხლაძის დამტკიცება.

განაჩენი: ექიმი ვლად. ცეცხლაძე, თანატმად სამკურნალო ფაქულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა ასისტენტიად ნორმალური ანატომიის კათედრასთან 20 აგვისტოდან 1919 წ.

6. განსახილველი საგანი: რა დღიდან უნდა ითვლებოდეს სამსახურში პროფესორ-დოცენტ-ასისტენტები საზოგადოდ.

განაჩენი: პროფესორ-დოცენტ-ასისტენტები სამსახურში ითვლებიან და ჯამაგირს იღებენ:

ა) ჩვეულებრივ იმ დღიდან, როდესაც ფაქულტეტის მიერ არიან არჩეული თუ მოწვეული და საბჭოში წარმოდგენილი დასამტკიცებლად.

ბ) განსაკუთარებულ შემთხვევაში კი იმ დღიდან, რა დღიდანაც ფაქულტეტი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე.

7. განსახილველი საგანი: საბიბლიოოთეკო კომისიის წესდება.

განაჩენი: ეთხოვოს ფაქულტეტებს, რათა მორიგ სხდომაზე თავისი წარმომადგენელი აირჩიონ საბიბლიოოთეკო კომისიაში. ამ კომისიამ განიხილოს წესდება, წარმოდგენილი ა. შანიძის მიერ, და თავისი შესწორებითა და შენიშვნების დართვით წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს დასამტკიცებლად.

3. განსახილველი საგანი: პრაქტიკული იურიდიული კურსების გაქსნა უნივერსიტეტთან.

განაჩენი: კურსების გაქსნა უნივერსიტეტთან პრინციპიალურად მიღებულ იქმნეს.

არჩეულ იქმნა კომისია (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ს. ავალიანი და ფ. გოგიაშვილი), რომელმაც უნდა გამოარკვიოს დაწერილებით დამოკიდებულება უნივერსიტეტსა და კურსებს შორის და ამასთან დაკავშირებული ტეხნიკური ხასიათის საკითხები და თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს.

ივ. ჯავახიშვილი, ივ. თიკანაძე, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, რ. ბლეგვი, ა. ხარაძე, ა. ბენაშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა საბჭო საგანგებო¹
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 38

„12., ოქტომბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „6., საათზე.

დაესწრენ: პროფესორები: ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიაშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ავალიანი, ა. შანიძე; ა. ბენაშვილი, იასონ მოსეშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. დიდებულიძე, ა. ნათოშვილი, ა. ალადაშვილი, ვარლამ მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ა. მაჭავარიანი, სპ. ვირსალაძე, ს. ქურდიანი.

თავმჯდომარეობდა: ჯერ ი. ჯავახიშვილი, მერმე ე. თაყაიშვილი
მდივანი: ა. შანიძე

კრება გაგსნა უხუცესმა დეკანმა, პროფ. ივანე ჯავახიშვილმა. მან მოაწენა კრებას, რომ საბჭოს სასწავლო მოწვევის მიზეზი არის ინციდენტი, რომელსაც აღილი პქნიდა შაბათს, 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე პროფესორთა საბჭოს დარბაზში რექტორს, დამსახურებულ პროფესორს პეტრე მელიქიშვილსა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის დუკანს პროფესორს ანდრია რაზმაძეს შორის და კრებას სთხოვა, ამ სხდომისათვის თავმჯდომარე აერჩია საგანგებოდ.

თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა უხუცესი წევრი საბჭოსი პროფ. ე. თაყაიშვილი.

ინციდენტის გამორკვევა. პროფესორთა საბჭომ მოისმინა ჩვენება პროფესორების ალ. ნათოშვილისა, ვარლამ მოსეშვილისა, კორნ. კეკელიძისა, ა. დიდებულიძისა, ი. თიკანაძისა, ა. შანიძისა და ივ. ჯავახიშვილისა, რომელიც მოწმენი იყვნენ პროფ. კ. მელიქიშვილისა და პროფ. ა. რაზმაძის მიერ ერთიმეორის გალანდვისა და ამ საგანზე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაადგინა:

განაჩენი: 1. პროფესორთა საბჭო დრმა მწუხარებას გამოსთქმას ინციდენტის გამო, რომელიც მოგვდა 11 ოქტომბერს რექტორ, დამსხაურებულ პროფესორს პეტრე მელიქიშვილსა და სამათემატი-

¹ სიტყვები „პროფესორთა“ და „საგანგებო“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

კო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის დეკანს პროფ. ა. რაზმაძის შორის და პგმობს მათ საქციელს.

2. დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი

ა. განთავისუფლებულ იქმნეს, თანამდებობიდან; ხოლო

ბ. უარი ეთქვას მას პროფესორის მოვალეობიდან განთა-
ვისუფლებაზე.

3. წინადადება მიეცეს პროფ. ა. რაზმაძეს, თხოვნა შემოიტანოს,
რათა განთავისუფლებული იყოს დეკანის თანამდებობიდან.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ს. ამირეჯიბი, ა. შა-
ნიძე, ვ. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ი. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ს. ქურდიანი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 39

, „30., ოქტომბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7., საათზე.

დაესწრებ: რექტორის მოვალეობის აღმასრულებელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფესორები: გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, რ. ბლეიკი, ა. შანიძე, ი. მოსეშვილი, ა. თვალჭრელიძე, ს. ქურდიანი, ა. ბენაშვილი, ი. ბერიტაშვილი, ი. თიკანაძე, გ. მოსეშვილი, ს. ამირეჯიბი და ფაქულტეტის მდიგნები: ზ. მაისურაძე და ა. ხარაძე.

თავმჯდომარეობდა: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განსახილველი საგანი: წარმომადგენ იქმნა 8 ოქტომბრის ოქმი განაჩენი: დამტკიცდა.

1. განსახილველი საგანი: ბ-ნ ნოე ყიფიანის დამტკიცება.

განაჩენი: თანაგმად სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის შეამდგომლობისა, საქართველოს მუნიციპალიტეტის ბ-ნი ნოე ყიფიანი დამტკიცებულ იქმნა დოცენტის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად გეოლოგიის კათედრასთან (25 ოქტომბრიდან).

2. განსახილველი საგანი: ბ-ნ არჩილ ხარაძის დამტკიცება.

განაჩენი: ასისტენტი არჩილ ხარაძე, თანაგმად ფაქულტეტის შეამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა დოცენტის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად წმინდა მათემატიკის კათედრასთან (2 ოქტომბრიდან).

3. განსახილველი საგანი: ზაქ. ყანჩაველის დამტკიცება.

განაჩენი: ბოტანიკის ასისტენტი ზაქ. ყანჩაველი, თანაგმად ფაქულტეტის შეამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა ასისტენტის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად მეტყველის კათედრასთან (25 ოქტომბრიდან, დამატებითი სარგოს [დოცენტის ჯამაგორის ნახევარი] მიცემით).

4. განსახილველი საგანი: იაჲსონ ხიმუაშვილის დამტკიცება.

¹ ხიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

განაჩენი: თანაგმად სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის შუა-მდგომლობისა, ოსმალური ენის ლექტორად დამტკიცებულ იქმნა ბ-ნი იაჰსონ ხიმზიაშვილი (პირველი ენაგნისთვიდან).

5. განსახილველი საგანი: პროფ. სიმონ ამირეჯიბის დამტკიცება სასანიტრო ინსტიტუტის დირექტორად.

განაჩენი: პროფ. სიმონ ამირეჯიბი, თანაგმად სამკურნალო ფაქულტეტის არჩევნებისა, დამტკიცებულ იქმნა სასანიტრო ინსტიტუტის დირექტორად (26 ენაგნისთვიდან).

6. განსახილველი საგანი: ექიმის მ. წინამდლვრიშვილის დამტკიცება.

განაჩენი: ექიმი მიხეილ ცხაკაია, თანაგმად სამკურნალო ფაქულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა ასისტენტად დიაგნოსტიკის კათედრასთან (15 ოქტომბრიდან).

7. განსახილველი საგანი: ექ. მ. ცხაკაიას დამტკიცება.

განაჩენი: ექიმი მიხეილ ცხაკაია, თანაგმად სამკურნალო ფაქულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა ორდინატორად ქირურგიული პათოლოგიის კათედრასთან (15 ოქტომბრიდან).

8. განსახილველი საგანი: იური მარრის დამტკიცება.

განაჩენი: თანაგმად სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობისა, იური (გიორგი) ნიკოს ძე მარრი დამტკიცებულ იქმნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ დატოვებულად სპარსელი ლიტერატურის კათედრაზე პირველი ენაგნისთვიდან 1919 წ. სტიპენდიით.

9. განსახილველი საგანი: მიხეილ შალამბერიძის დამტკიცება.

განაჩენი: ლეიპციგის უნივერსიტეტის დოქტორი მ. შალამბერიძე დამტკიცებულ იქმნა, თანაგმად სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობისა დატოვებულად უნივერსიტეტში ქიმიის კათედრასთან სტიპენდიით, ოცდახუთი ოქტომბრიდან.

10. განსახილველი საგანი: საბებიო ინსტიტუტის უნივერსიტეტისადმი გადმოცემის პირობები, შემუშავებული სამკურნალო ფაქულტეტის მიერ.

განაჩენი: პირობები მიღებულ იქმნეს და გადაეცეს გამგეობას შესასრულებლად.

11. განსახილველი საგანი: როგორი მოწმობა უნდა მიეცეს მეაფ-თიაქის თანაშემწებებს.

განაჩენი: მოწმობა მიეცეს ქართულ ენაზე.*

* შენიშვნა: უკეთუ ვინმე მოისურვებს უნივერსიტეტის გამგეობა შეუმოწმებს ატესტატის თარგმანს, სადაც აღნიშნული იქმნება, რომ ეს არის მავანის თხოვნის თანაგმად.

12. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა.

განაჩენი: ეთხოვოს ფაქულტეტების,

ა) შეადგინონ დამატებითი ხარჯთაღრიცხვა ყველა კათედრებისათვის.

ბ) შეადგინონ სიები წიგნებისა და იარადებისა, რაც საზღვარგარეთიდან უნდა იყოს გამოწერილი.

ც) აღიძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა დაქმაყოფილებულ იქმნეს უნივერსიტეტის აუცილებელი საჭიროებანი, რომელიც წინანდელი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული არ იყო.

13. განსახილველი საგანი: შუამდგომლობა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტისა მოწვეულ იქმნეს ოდესიდან შუშის ოსტატი რობერტ სტალი და ეთხოვოს გამგეობას, გადასდოს საგზაო ხარჯებისათვის საჭირო თანხა და რომ ჩამოვა, მისცეს ბინა (ორი თახი მაინც) და დაუნიშნოს ასისტენტის ჯამაგირი. ამას გარდა დაიდოს მასთან პირობა, რომ იგი დარჩება უნივერსიტეტში არა ნაკლებ სამი წლისა.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს. ეთხოვოს გამგეობას გაუგზავნოს ბ-ნ რ. სტაალს საგზაო ხარჯებისათვის განსაზღვრული თანხა.

14. განსახილველი საგანი: შუამდგომლობა იმავე ფაქულტეტისა.

1) გადიდებულ იქმნეს ასისტენტთა რიცხვი ფიზიოლოგიაში ოთხამდე.

განაჩენი: მომავალი სემესტრიდან შეტანილ იქმნეს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის ხარჯთაღრიცხვაში ორი ასისტენტის თანამდებობა ფიზიოლოგიის კათედრასთან, რომელიც ჯერ-ჯერობით საერთოა საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაქულტეტისათვის.

2) ფიზიოლოგიის ლაბორატორიისათვის მიწვეულ იქმნეს ერთი პრეპარატორი ახლავე.

განაჩენი: შეწყნარებულ იქმნეს.

15. განსახილველი საგანი: ხარბინის ქართული საზოგადოების მოსალოცი წერილი და ცნობა, რომ საზოგადოებას ამჟამად შექრებილი აქვს უნივერსიტეტისათვის 15000 მან.

განაჩენი: უკეთუ ტეხნიკურად შესაძლებელი ქმნეს, გაეგზავნოს მადლობა.

ივ. ჯავახიშვილი, მუხამე, ი. მოსეშვილი, ი. ბერიტაშვილი, ივ. თიკანაძე, ა. ბენაშვილი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ დ ი უ რ ი

№ 40

„13,, ნოემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „გ,, საათზე.

დაესწრენ: რექტორის მოადგილე, სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის დეკანი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ექვ. თაყაიშვილი, პ. კაველიძე, ს. ამირეჯიბი, დ. უზნაძე, ივ. ბერიტაშვილი, ან. რაზმაძე, ალ. დიდებულიძე, ვარლ. მოსეშვილი, იას. მოსეშვილი, ანდ. ბენაშვილი, ალ. ალადაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ალ. თვალჭრელიძე, სოლ. ქურდიანი, გრ. მუხაძე, ივ. თიკანაძე, რ. ბლეიკი, ივ. ფიგუროვსკი, ბ. უვაროვი, ფაკულტეტის მდივნები: არ. ხარაძე, და ზაქ. მაისურაძე.

თავმჯდომარეობდა: ივ. ჯავახიშვილი

მდივნები: კ. კეპელიძე

1. **განსახილველი საგანი:** საკითხი დამატებით ხარჯთაღრიცხვის შედგენის შესახებ.

ცნობა: ყველა ფაკულტეტისაგან საჭირო მასალა არ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან გამგეობის შესაფერი წინადადება ყველას ერთნაირად არ გავარ.

განაჩენი: ეთხოვოს თვითუეულ ფაკულტეტის – შეადგინოს დაწერილობითი ხარჯთაღრიცხვა დამატებითი საჭიროებათა აღნუსხვით და ერთი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს ორ ცალად გამგეობას, რომელიც დაამუშავებს ამნაირად თავმოყრილ მასალას და გაგზავნის სადაც ჯერარს.

2. **განსახილველი საგანი:** ამ საკითხთან დაკავშირებული წინადადება პროფ. ექთ. თაყაიშვილისა – დამატებით ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი იქნეს გამოსათხოვად ის თანხაც, რაც უნივერსიტეტის შენობას ვალად ადევს.

განაჩენი: წინადადება ერთხმად მიღებულ იქნეს.

3. **განსახილველი საგანი:** მოსსენება საბიბლიოოთეკო კომისიის წევრის ა. შანიძისა, დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენისას, წიგნთაცავის შტატის გადიდების შესახებ და აგრეთვე თხოვნა მათი წიგნთაცავის მოსაწყობად გამოთხოვილ იქნეს დამატებითი 125000 ბ., ხოლო წიგნების შესაძენად 150000 ბ.

განაჩენი: შუამდგომლობა დაქმაყოფილებულ იქნეს, მხოლოდ წიგნების შესაძენად გამოყოფილ იქნეს, თანახმად პროფესორთა მიერ

შედგენილი და წარმოდგენილი სიებისა, ერთი მილიონი მანეთი. შესაძექ წიგნთა სიები გადაეცეს ბ. დავით დამბაშიძეს, რომელიც საზღვარგარეთ მიემგზავრება.

4. განსახილველი საგანი: წერილობითი მიმართვა დამფუძნებელი კრების განათლების კომისიისა – წარდგენილ იქნეს ხარჯთადრიცხვა სტუდენტთათვის სახელმძღვანელო წიგნების გამოცემისა. **ცნობა:** კამათის დროს გამოითქვა სურვილი, რომ გამოთხოვილ იქნეს საგანგებო თანხა არა მარტო სახელმძღვანელოთა გამოსაცემად, რასაც სავალდებულო ხასიათი არ შეიძლება მიეცეს უნივერსიტეტში, არამედ პროფესორთა სამეცნიერო შრომათა დასაბუქდადაც.

განაჩენი: გამოთხოვილ იქნეს უნივერსიტეტის ყოველგვარ გამოცემათვის 1/2 მილიონი, თვითოვეული ფაკულტეტისათვის ნახევარი მილიონი.

5. განსახილველი საგანი: შეამდგომლობის აღძრვა მთავრობასა და დამფუძნებელ კრებაში კათედრებთან დატოვებულთათვის, რომელიც საზღვარგარედ იგზავნებიან, საჭირო თანხის გადების შესახებ.

განაჩენი: გამოთხოვილ იქნეს თვითეულ გასაგზავნისათვის გზის ფულად 30000 მანეთი, ხოლო შესანისად თვითურად 6000 მანეთი. ეთხოვოს ფაკულტეტებს – გამოარკვიონ რიცხვი საზღვარგარეთ გასაგზავნთა.

6. განსახილველი საგანი: ამ საკითხთან დაკავშირებული წინადაღება პროფ. გ. მუხაძისა – გამოთხოვნილ იქნას საჭირო თანხა აგრეთვე პროფესორთა გასაგზავნად საზღვარგარეთ.

განაჩენი: პროფესორთა გაგზავნა საზღვარგარეთ, რამდენადაც ამის ნებას მოგცემს უნივერსიტეტში მეცადინეობის პირობები, პრინციპიულად სასურველია იქნა მიხნეული. დაევალოს ფაკულტეტებს გამოარკვიონ – რიცხვი გასაგზავნ პროფესორთა, პირობები მათი გაგზავნისა და საჭირო თანხა.

7. განსახილველი საგანი: მოხსენება პირველი ლატარიის გათამაშების შედეგებისა და მეორე დატარიის მოწყობის შესახებ.

განაჩენი: დაევალოს საგანგებო კომისიის, პროფ. ფ. გოგიაშვილისა და ს. ავალიანისაგან შემდგარს, წარმოადგინოს მოსაზრება უნივერსიტეტის ხვედრი ფულის შენახვის შესახებ. რაც შეეხება მეორე ლატარიის მოწყობას, უნივერსიტეტის მონაწილეობა ამ ლატარიაში არც სასურველად, არც საჭიროდ მიხნეული არ იქნა.

8. განსახილველი საგანი: ქართულ ლატარიის გამგეობის წინადაღება მისდამი კუთვნილ ავტომობილის შეძენის შესახებ.

განაჩენი: საბჭომ სჭიროდა სცნო შეძენილ იქნეს რამე გამეგობის წევრთათვის უნივერსიტეტის საჭიროებათა გამო მიმოსასვლელად,

ხოლო გამორტვევა იმისა, ავტომობილი იქნეს შეძენილი თუ ეტ-ლი, მიენდოს საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ პროფ. ექ. თაყაიშვილი, ალ. დიდებულიძე და ან. ბენაშვილი.

9. განსახილველი საგანი: საკითხი უნივერსიტეტიან პრაკტიკულ იურიდიულ კურსების გახსნის შესახებ.

განაჩენი: საკითხი გადაიდოს შემდეგ კრებისათვის, ვინაიდან მომსენებელი ამ საკითხისა, პროფ. ს. ავალიანი და ფ. გოგიჩაშვილი კრებაზე ვერ გამოცხადდენ.

10. განსახილველი საგანი: მოხსენებანი საექიმო ფაკულტეტისა:

1) ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ალ. ნათოშვილმა, დეკანობას თავი დაანება და მის ადგილას დეკანად არჩეულ იქნა 3 გიორგობისთვის პროფ. ს. ამირეჯიბი.

განაჩენი: პროფ. ს. ამირეჯიბი დამტკიცებულ იქნეს 3 გიორგობისთვიდან საექიმო ფაკულტეტის დეკანად.

2) პროფ. ოდესის უნივერსიტეტისა ს. გოგიტიძე არჩეულ იქნა 10 გიორგობისთვის ბავშვთა კლინიკის კათედრის გამგედ.

განაჩენი: დახურულ კენჭისყრით პროფ. გოგიტიძე ერთხმად იქნა არჩეული ბავშვთა კლინიკის კათედრაზე.

3) არჩეულ იქნენ 1) ასისტენტებად 10 გიორგობისთვეს: ~~ალექსანდრე ჩიჭავაძე~~ ბაქტერიოლოგიის კათედრასთან, ~~ოვალოვა-ამირეჯიბი~~ ბაქტერიოლოგიის კათედრასთან; 2) ორდინატორებად – 15 ოკტომბერს: ~~ოთხებ აბაკულია~~ დიაგნოსტიკის კათედრასთან და ~~ნიკოლოზ მახვილაძე~~ იმავე კათედრასთან 10 გიორგობისთვეს.

განაჩენი: აღნიშნული პირი დამტკიცებულ იქნენ და დაენიშნათ სარგო ხასევენებ რიცხვიდან.

11. განსახილველი საგანი: მოხსენებანი სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა:

1) საკითხი სალაბორატორიო მუშაობისათვის საგანგებო გადასახადის დაწესების შესახებ.

განაჩენი: ეს საკითხი გადაიდოს სანამ საექიმო ფაკულტეტიც წარმოადგენდეს ამის შესახებ თავის მოსაზრებას.

2) საბიბლიოორეკო კომისიის წევრად ფაკულტეტის მხრივ დანიშნულია დოცენტის მოვალეობის აღმასრულებელი ნ. ყიფიანი.

განაჩენი: ცნობად მიღებულ იქნეს.

3) ენტომოლოგიის და ზოოლოგიის კათედრასთან ასისტენტად დროებით, ერთი წლით არჩეულია საქართველოს მუზეუმის ენტომოლოგიურ კაბინეტის გამგის მოვალეობის აღმასრულებელი ბ-ნი ილინსკი.

განაჩენი: დამტკიცებულ იქნეს დღეგანდელი რიცხვიდან ერთის წლის ვადით.

4) წინადადება ღოცენტის მოვალეობის აღმასრულებლის ივ. ფიგუროვსკისა, თუ შესაძლებელი იქნეს, დაიბეჭდოს, სტუდენტთა სახელმძღვანელოდ, მისი კურსი მეტეოროლოგის და კლიმატოლოგიისა.

განაჩენი: დაიბეჭდოს ქართულად, რისთვისაც წარდგენილ იქნეს ფაქულტეტის მხრივ გამგეობაში საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

5) თანახმად პროფ. იას. მოსეშვილის მოხსენებისა არაორგანული ქიმია ბუნებისმეტყველთაოვის წაკითხულ იქნება მთელი წლის განმავლობაში.

განაჩენი: ცნობად მიღებულ იქნეს.

ივ. ჯავახიშვილი, ბერიტაშვილი, ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, ი. ფიგუროვსკი, ი. თიკანაძე, დ. უზნაძე, გ. მუხაძე, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ზაქ. მაისურაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 41

,29,, ნოემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „7. 30., საათზე.

დაესწრენ: რექტორის მოვალეობის აღმასრულებელი, პროფ. ი. ჯავახიშვილი. პროფესორები: ე. თავაიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ს. ავალიანი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, ა. ბერნაშვილი, ი. მოსევშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. რაზმაძე, ნ. ყიფიანი, ი. ფიგუროვსკი, ა. თვალჭრებიძე, ბ. უვაროვი, ა. ნათოშვილი, გ. მუხაძე, ა. ალადაშვილი, ი. თიკანაძე. მდივნები: სამათ.-საბუნებ. ფ-ტისა ა. ხარაძე და სამკურნალოსი ზ. მაისურაძე

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განსახილველი საგანი: წაკითხულ იქმნა ორი წინა კრების ოქმი და

განაჩენი: დამტკიცდა.

1. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტისათვის დამატებით გამოსათხოვარი ხარჯები.

განაჩენი: დამატებითი ხარჯთადრიცხვის თანხების საბოლოოდ განსაზღვრა გადაიდოს რამოდგნიმე დღით. წარმოდგენილი ციფრები და მასალები დაუბრუნდეთ ფაქულტეტებს, რათა საკითხი კვლავ განიხილონ, რამდენადაც შესაძლებელია, ხარჯები შეამოკლონ და ისე წარმოადგინონ საბჭოში დასაღასტურებლად.

2. განსახილველი საგანი: პროფ. ა. ბერნაშვილის წინადადება, გაუდიდეს ჯამაგირი თანამდებობის პირო (რექტორს, დეკანებს, საბჭოს, გამგეობისა და ფაქულტეტის მდივნებს).

განაჩენი: საბჭომ პრინციპიალურად სასურველად ცნო ჯამაგირების გადიდება, მაგრამ მისი განკორციელებისათვის რაიმე პრაქტიკული ზომების მიღება მომენტის შეუცერებლობის გამო უარეს.

4. განსახილველი საგანი: როდის წარმოებდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში მუშაობა, დილ-დილაობით, თუ საღამოებით (კან-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ცელარიაში მოსამსახურე ქალების მიერ აღმრული საკითხის გამო).

განაჩენი: კანცელარიაში მუშაობა და საზოგადო საქმის წარმოვალი გადატანილ იქმნეს დილიდილაობით.

5. განსახილველი საგანი: პროფ. ალ. მაჭავარიანის განცხადება, რომ მას პსურს თავი დაანებოს ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატორული ქირურგიის კათედრას.

განაჩენი: საბჭომ დამტკიცა ფაკულტეტის დადგენილება, რომლითაც ა. მაჭავარიანის თხოვნა შეწყნარებულია.

6. განსახილველი საგანი: პროფ. ნიკო კახიანის არჩევა ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატორული ქირურგიის კათედრაზე.

განაჩენი: თანატმად სამკურნალო ფაკულტეტის წარმოდგენისა პროფ. ნიკო კახიანი არჩეულ იქმნა ერთგმად პროფესორად ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატორული ქირურგიის კათედრაზე.

7. განსახილველი საგანი: პროფ. ნიკო კახიანის დამტკიცება სამკურნალო ფაკულტეტის მდივნად.

განაჩენი: სამკურნალო ფაკულტეტის მიერ მდივნად არჩეული პროფ. ნიკო კახიანი დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზე (24 ნოემბრიდან)

8. განსახილველი საგანი: ილია ყიფშიძის დამტკიცება ასისტენტად მინერალოგის კათედრასთან.

განაჩენი: გერმანული ენის დექტორი ილია ყიფშიძე, თანატმად სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა დროებით ასისტენტად მინერალოგის კათედრასთან (24 ნოემბრიდან)

9. განსახილველი საგანი: ექ. სიმონ ყიფშიძის დამტკიცება ასისტენტად ფიზიოლოგის კათედრასთან.

განაჩენი: ექიმი სიმონ ყიფშიძე, თანატმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა დამტკიცებულ იქმნა ასისტენტად ფიზიოლოგის კათედრასთან.

10. განსახილველი საგანი: ექ. სიმონ საყვარელიძის დამტკიცება ასისტენტად ნორმალური ანატომიის კათედრასთან.

განაჩენი: ექ. სიმონ საყვარელიძე, თანატმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, დამტკიცებულ იქმნა ასისტენტად ნორმალური ანატომიის კათედრასთან (ნაცვლად ქლ. იოსელიანისა) 15 ნოემბრიდან.

11. განსახილველი საგანი: პროფ. სპ. ვირსალაძის თხოვნა განთავისუფლებულ იქმნეს იგი პროფესორის მოვალეობის აღსრულებიდან და ამასთან დაკავშირებული შუამდგომლობა სამკურნალო

ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტებისა, სპ. ვირსალაძის თხოვნა გადადგომის შესახებ შეწყნარებულ არ იქმნეს.

განაჩენი: პროფესორთა საბჭომ კენჭისყრით დაამტკიცა სამკურნალო ფაქულტეტის დადგენილება, რომლის ძალითაც სპ. ვირსალაძის თხოვნა შეწყნარებულია და მთხოვნელი განთავისუფლებულია პროფესორის მოვალეობის აღსრულებიდან 13 ნოემბრიდან.

ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, კ. ამირაჯიბი, ბერიტაშვილი, ა. დიდებულიძე, გ. ჩუბინაშვილი, ი. მოსეშვილი, გ. ახ-კლედიანი, გ. მუხაძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 42

„10.“ დეკემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „7. 30., საათზე.

დაესწრენ: რექტორის მოვალეობის აღმასრულებელი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი. პროფესორთა: გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, კ. ამაშლიძე, გ. ახელედიანი, ა. შანიძე, ი. ბერიტაშვილი, ხ. ყიფიანი, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, ა. დიდებულიძე, კ. ამირეჯიბი, ი. ფიგუროვსკი, ა. ბენაშვილი, ს. ამირეჯიბი, გ. მუხაძე

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განსახილველი საგანი: დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა უნივერსიტეტისა და ახალი შტატები.

განაჩენი: პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა ფაკულტეტებისა, გამგეობისა და საბიბლიოოთები კომისიის მიერ წარმოდგენილი ახალი შტატები და დამატებით გამოსათხოვარი ხარჯები, რაიცა სულ მთლად უდრის თოთხმეტ მილიონს სამას ოცდა ოთხ ათას ოთხასთხუთმეტ მანეთს (14.324.415 მან.).

2. განსახილველი საგანი: სწავლის ფულის რაოდენობის გადიდება.

განაჩენი: მომავალი სემესტრიდან სტუდენტთა და მსმენელთა სწავლის ფულის რაოდენობა გადიდებულ იქმნას ასი პროცენტით და ყველა ფაკულტეტზე დაწესდეს ორასი მანეთი სემესტრში.

3. განსახილველი საგანი: საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის შუამდგომლობა, დაწესდეს დამატებითი სარგო ლაბორატორიებისა და კაბინეტების გამგე პროფესორებისათვის.
ა) ჯამაგირის 30% ფიზიკისა, ქიმიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიების გამგებს. ბ) ჯამაგირის 15% დანარჩენი ლაბორატორიებისა და კაბინეტების გამგებს.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

- 4. განსახილველი საგანი:** პროფ. ს. ავალიანის მოგსენება პრაქტიკული იურიდიული კურსების განსინის შესახებ.
- განაჩენი:** მოგსენების დებულებანი მიღებულ იქმნა.
- 5. განსახილველი საგანი:** პროფ. ი. ბერიტაშვილის განცხადება წესდების შემუშავებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების მოწესრიგების შესახებ.
- განაჩენი:** გადაიდოს შემდეგისათვის.
- 6. განსახილველი საგანი:** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულის ტეხნიკური კომიტეტის მომართვა არჩეულ იქმნეს კომიტეტში უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოადგილე.
- განაჩენი:** უნივერსიტეტის წარმომადგენლის მოადგილედ არჩეულ იქმნა დოცენტი კონსტ. ამირეჯიბი.
- 7. განსახილველი საგანი:** სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის მოგსენება, რომ საფოტოგრაფიო კაბინეტის კელმძღვანელად არჩეულია პროფ. გ. ჩუბინაშვილი.
- განაჩენი:** პროფ. გ. ჩუბინაშვილი დამტკიცებულ იქმნა საფოტოგრაფიო კაბინეტის კელმძღვანელად.
- 8. განსახილველი საგანი:** უნივერსიტეტის ორგანოს გამოცემის გამო.
- განაჩენი:** სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, ჟურნალი გამოცემული იქმნეს ცალკ-ცალკე, ფაკულტეტის მიხედვით, შეწყნარებული არ იქმნა. მაგრამ საბჭოო შესაძლებლად ცნო უკავ დაბეჭდილი გეგრძები ეხლავ გამოშვებულ იქმნეს ბაზარზე გასასყიდად მხოლოდ რამოდენიმე ცალი.
- 9. განსახილველი საგანი:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოგსენება, აღძრულ იქმნეს მთავრობის წინაშე საგანგებო შუამდგომლობა, რომ გადადებულ იქმნეს 200 000 მანეთი კუნძულოვის ძვირფასი მინერალოგიური კოლექციის შესაძენად.
- განაჩენი:** შესაფერისი შუამდგომლობა აღიძრეს.
- 10. განსახილველი საგანი:** იმავე ფაკულტეტის მოგსენება:
- ა) აღიძრეს შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა უნივერსიტეტის წარმომადგენელ სკეციალისტებს ნება დაპროცეს დათვალიერონ საშუალო სახწავლებლების ფიზიკური კაბინეტები.
- განაჩენი:** შუამდგომლობა აღიძრეს.
- ბ) აღიძრეს შუამდგომლობა სამგედრო-სამინისტროს წინაშე, რათა უნივერსიტეტს დაეთმოს რადიოტელეგრაფიის სკოლიდან ზოგი რამ იარაღები.
- განაჩენი:** შუამდგომლობა აღიძრეს.

11. განსახილებელი საგანი: იმავე ფაქულტეტის შუამდგომლობა, რომ უნივერსიტეტის მიერ საზღვარგარეთ გასაგზავნ პირთა სიაში შეტანილ იქმნეს ფიზიკის კათედრასთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებული რაუდენ ხუციშვილი.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

ივ. ჯაგახიშვილი, ა. ბენაშვილი, კ. კეპელიძე, ს. ამირეჯიბი, ექ. თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ი. ფიგუროვსკი, ი. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ 43

„17.“ დეკემბერს 1919 წ.

სხდომა დაიწყო საღამოს „8., საათზე.

დაესწრებ: რექტორის მოვალეობის აღმასრულებელი, პროფ. ი. ჯავახიშვილი. პროფესორები: დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიაშვილი, შ. ნუცებიძე, ს. ავალიანი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, ი. მოსეშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. ამირეჯიბი, გადევანიშვილი, ს. ქურდიანი, ა. ბენაშვილი, ა. დიდებულიძე, ა. თვალჭრელიძე, ი. ფიგუროვსკი, ვ. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ა. ალადაშვილი, ა. ნათიშვილი, ს. ამირეჯიბი

თავმჯდომარეობდა: ჯერ ივ. ჯავახიშვილი და შემდეგ ა. ბენაშვილი მდიგანი: ა. შანიძე

A. თავმჯდომარეობს ივ. ჯავახიშვილი

1. **განსახილველი საგანი:** პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათი დამატებითი ხარჯთ-ადრიცხვისა, რომელიც წარდგენილ იქმნა მთავრობაში.

განაჩენი: დამტკიცებულ იქმნა.

2. **განსახილველი საგანი:** ლექციების შეწყვეტისა და განახლების დრო.

განაჩენი: ლექციები შეწყდეს 20 დეკემბერს, განახლდეს 20 იანვარს.

გამოცდები წარმოებდეს 25-30 დეკემბერს და 15-20 იანვარს.

3. **განსახილველი საგანი:** პროფ. ი. ბერიტაშვილის მოგსენება უნივერსიტეტის საქმეების მოწესრიგების გამო.

განაჩენი: პროფ. ი. ბერიტაშვილის მოგსენების წაკითხვის შემდეგ რექტორის მოადგილემ პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა კრებას განუმარტა რეალური ვითარება და ნამდვილი მიზეზები საუნივერსიტეტო ცხოვრების ზოგიერთი მცრის მოუწყობლობისა, რის შემდეგაც პროფესორთა საბჭომ საჭიროდ არა ცნო მსჯელობა გამართულიყო პროფ. ი. ბერიტაშვილის მოგსენების გამო.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

В. თავმჯდომარეობს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეპარტამენტი, პროფ. ა. ბენაშვილი.

4. განსახილველი საგანი: პროფ. ი. ჯავახიშვილის წერილი სხდომის თავმჯდომარის სახელზე, რომ თუ კინიცობაა რექტორის თანამდებობაზე არჩევნების დროს მისი კანდიდატურა დასახელმული იქმნა, იგი მოხსნილ იქმნება.

განაჩენი: შეუძლია მოხსნილ იქმნა არა მარტივი მიერ შეწყნარებული არ იქმნა.

5. განსახილველი საგანი: რექტორის არჩევნები.

განაჩენი: რექტორად ერთჭმად არჩეულ იქმნა პროფ. ივანე ჯავახიშვილი.

6. განსახილველი საგანი: საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოში უნივერსიტეტიდან ხუთი წარმომადგენლის არჩევა.

განაჩენი: უნივერსიტეტის წარმომადგენლებად არჩეულ იქმნება პროფესიონალი.

- a) ექვთიმე თაყაიშვილი,
- b) გიორგი ჩუბინაშვილი,
- c) ალექს. თვალჭრელიძე,
- d) სოლ. ქურდიანი და
- e) ალექს. ნათოშვილი.

7. განსახილველი საგანი: პროფ. დ. უზნაძის დამტკიცება საპედაგოგიო ინსტიტუტის დირექტორად.

განაჩენი: სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შეერთებული სხდომის მიერ ინსტიტუტის გამგედ არჩეული პროფ. დიმიტრი უზნაძე დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაზე.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, პ. კეკელიძე, ს. ამირეჯიბი, გორგი ჩუბინაშვილი, დ. გედევანიშვილი, ი. ფიგუროვსკი, ა. დიდებულიძე, ი. მოსეშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე

1 9 2 0
Vjemo

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.
პროფესორთა¹ საბჭო.
ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ (44)1

,4,, იანვარს 1920 წ.

სხდომა დაიწყო შეადლის „12,, საათზე

დაესწრენ: რექტორი, პროფ. ივანე ჯავახიშვილი,
დეკანები: პროფ. ა. ბერძენიშვილი, პ. კეპელიძე და ს. ამირეჯიბი.
პროფესორები: ე. თავაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ავალიანი, ფ.
გოგიაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახლოედიანი, ა. შანიძე. ი. მოსეშვი-
ლი, ბ. უვაროვი, ი. ფიგუროვსკი, დ. გედეგანიშვილი, ვ. მოსეშვი-
ლი, ა. ალადაშვილი, ა. ნათიშვილი, ი. თიკანაძე.

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. ჯერ წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა ორი კრების ოქმი და
შემდეგ რექტორმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა სამადლობელი
სიტყვით მიმართა პროფესორთა საბჭოს მისი რექტორად არჩევი-
სათვის და აღნიშნა თუ რა მიმართულება უნდა პქონდეს საკა-
დემიო ცხოვრებას.

1. **განსახილველი საგანი:** პროფ. იასონ მოსეშვილის მოწენება
იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს სამათე-
მატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა და სამკურნალო ფა-
კულტეტის შორის განსაკუთრებით ხარჯო-აღრიცხვის მკრთო.

განაჩენი: მიეცეს წინადადება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო-
სა და სამკურნალო ფაკულტეტის, აირჩიონ შეერთებული კომისია,
რომელიც გამოიარევეს ამ საკითხს და რომლის დადგენილებაც
უნდა მოაწესენდეს პროფესორთა საბჭოს.

2. **განსახილველი საგანი:** ღოქტორის სამეცნიერო ხარისხის მო-
პოვების შესახებ (სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მიერ აღ-
მოული საკითხის გამო).

განაჩენი: ეთხოვთ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
განახენის შესახებ სამეცნიერო საკითხის უნივერსიტეტში დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შესახებ და პროფესორთა საბ-

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ჭოს წარმოუდგინონ ფაკულტეტის გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ.

3. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის დაარსების ორი წლის თავის აღნიშვნა.

განაჩენი: მიღებულ იქმნა საზოგადოდ, რომ უნივერსიტეტის დღედ ოცდა ექვსი იანვარი იყოს მიჩნეული, მაგრამ ვინაიდან წელს დღესასწაულის გამართვა ამ რიცხვისთვის არ მოესწრება, ამიტომ იგი გადადებული იქმნეს მაისისათვის.

4. განსახილველი საგანი: პროფესორ ჟიროს არჩევა გეოლოგიის კათედრაზე.

განაჩენი: კლერმონის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ლუ ჟირო (Giraud Jean Louis) არჩეულ იქმნა ერთგად გეოლოგიის კათედრაზე. არჩევნები ჯერ-ჯერობით პრიციპიალური სასიათოსაა.

აღიძრეს მთავრობის წინაშე შეამდგომლობა, რათა საგზაო ხარჯები მან გაიღოს და უკეთუ ეს გადაწყვეტილება, პროფესორი ჟირო მოწვეულ იქმნეს და მოუკერძდეს მას პროფესორის ერთნახევარი ჯამაგირი.

5. განსახილველი საგანი: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შეამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს მ. ბექაია ასისტენტად ქიმიის კათედრასთან.

განაჩენი: შეამდგომლობა შეწყნარტებულ იქმნა და მ. ბექაია დამტკიცებულ იქმნა ასისტენტად ქიმიის კათედრასთან 1920 წლის პირველი იანვრიდან.

6. განსახილველი საგანი: სტუდენტთა საკონკურსო თხზულებათა გამო.

განაჩენი: ეთხოვოს ფაკულტეტებს, რომ გამოარკვიონ ეს საკითხი და თავისი აზრი წარმოუდგინონ საბჭოს.

7. განსახილველი საგანი: განსეგნიბული პროფესორის იოსებ ყიფ-შიძის ობლების უზრუნველყოფისათვის.

განაჩენი: აღიძრეს შეამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა განსეგნიბული პროფესორის მიერ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დიდი დგაწლის გაწევის გამო მის ობლებს დაენიშნოს სტიპენდია ანუ აღმოექინოს დაწმარება.

8. განსახილველი საგანი: მოქსენება სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა, რომ ფაკულტეტის დეკანად არჩეულია პროფესორი კორ. კეკელიძე ნაცვლად პროფ. ივანე ჯავახიშვილისა, რომლის თხოვნა დეკანობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულია ფაკულტეტის მიერ.

განაჩენი: დეკანად დამტკიცებულ იქმნა პროფ. კორნელი კეკელიძე (პირველი იანვრიდან 1920 წ.).

9. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის მოქსენება, რომ მან შეიწყნარა ა. შანიძის თხოვნა ფაკულტეტის მდივნის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ და რომ ამ თანამდებობაზე არჩევლია პროფ. გ. ახვლედიანი.

განაჩენი: საბჭომ დაამტკიცა პროფ. გ. ახვლედიანი სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის მდივნად (პირველი იანვრიდან).

10. განსახილველი საგანი: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოქსენება, რომ დეკანის თავისუფალ ადგილზე არჩევლია პროფ. ანდრია ბერაშვილი.

განაჩენი: პროფესორი ანდრია ბერაშვილი დამტკიცებულ იქმნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად (პირველი იანვრიდან).

11. განსახილველი საგანი: სამკურნალო ფაკულტეტის მოქსენება, რომ იანვრიდან ლექციების კითხვა კერძო პათოლოგიისა და ოქრაპის კათედრაზე მინდობილი აქვს პროფ. ალ. ალადაშვილს.

განაჩენი: ცნობად.

12. განსახილველი საგანი: პროფ. იასონ მოსეშვილის მოქსენება საღამოობით ლექციების კითხვის შესახებ.

განაჩენი: საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ ისეთი ლექციები, სადაც დემონსტრაციებისა და ცდების ჩვენება კვლება, დღისით იკითხვებოდეს და არა საღამოობით.

13. განსახილველი საგანი: გამგეობის მოქსენება, რომ უნივერსიტეტის გამგეობის მდივნის თანამდებობაზე მოწვევლ იქმნეს კერძო პირი.

განაჩენი: მოქსენება დამტკიცებულ იქმნა.

14. განსახილველი საგანი: საბიბლიოორეკო კომისიის მოქსენება, რომ წიგნთსაცავის გამგის თანამდებობის შესრულება დროებით დაგალებული აქვს საბიბლიოორეკო კომისიის თავმჯდომარეს ა. შანიძეს (ათი დეკემბრიდან 1919წ.).

განაჩენი: ცნობად.

15. განსახილველი საგანი: სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა კაგშირის მომართვა, დაშვებულ იქმნეს პროფესორთა საბჭოს სხდომებზე სათათბირო კმით სტუდენტთა წარმომადგენელნი.

განაჩენი: ფაკულტეტისა და საბჭოს სხდომებს გარეშე პირები ვერ დაესწრება.

სტუდენტებს შეუძლიანო კავშირი პქონდეთ პროფესორთა საბჭოსთან და სათანადო დეკანების საშუალებით.

16. განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის მსახურთა მუშაობის გამო (სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა და გამგეობის მიერ აღდრული საკითხი).

განაჩენი: შედგა კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს შრომის სამინისტროსთან შეთანკიმებით, თუ რა პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებულნი უნივერსიტეტის მსხაურნი თავისი მოვალეობის შესრულებისათვის.

კომისიაში შედიოდენ: პროფ. იასონ მოსეშვილი, ვარლამ მოსეშვილი, ალ. ნათიშვილი და დოცენტი დიმ. გედეგანიშვილი.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, კ. პეპელიძე, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ივ. თიკანაძე, ვ. მოსეშვილი ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ამირეჯიბი, ალ. ნათიშვილი, ა. დიდებულიძე

ქართული უნივერსიტეტი
პროფესიონალურთა საბჭო.
სხდომის დღიური

Nº (45)2

,,24,, օՃՅԱՐԵ 1920 Վ.

სხდომა დაიწყო....., საათზე

დაესწრებ: რექტორი, პროფ. ივ. ჯაგახიშვილი, დეკანები: პ. კეპელიძე, ა. ძგინაშვილი.

პროფესიონალურები: а) ფ. გოგიაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ავალიანი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ე. თავაიშვილი, ა. შანიძე.

- b) ა. რაზმაძე, იასონ მოსეშვილი, ალ. დიდებულიძე, დო-
ცქნებები ხოე ყიფიანი და არჩ. ხარაძე
c) ა. ნათოშვილი, ვარლამ მოსეშვილი, ი. თიკანაძე, გ.
მუხაძე

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განსახილვები საგანი: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი განაჩენი: დამტკიცდა.

1. განსახილებელი საგანი: წაკითხულ იქმნა საბჭოს სახელზე გა-
მოგზავნილი მოწვევის ბარათი გუმბრში (ალექსანდრპოლში)
ერევნის უნივერსიტეტის გავსნის დღესასწაულზე დასასწრებლად.
განაჩენი: გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა.

2. განსახილვები საგანი: უნივერსიტეტის ნოტიფიკაცია.

განაჩენი: მიენდოს გაგმოებას „შემოქმედოს ნოტიფიკაციის ტექსტი და პროფესიურთა საბჭოს დასტურის შემდეგ გაეგზვნოს ეპროპო-სა და ამჟრიკის უნივერსიტეტებს.

3. განსახილველი საგანი: სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის შუამდგომლობა, დატოვებულ იქმნეს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან სარგის პაპაბაძე, სტიპენდიოთ, ერთის წლით, პირველი იანვრიდან 1920 წ.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

4. განსახილები საგანი: უნივერსიტეტის გამოცემათა განაწილებისა და შენახვის შესახებ.

¹ სიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. განიძის მიერ.

განაჩენი: „უნივერსიტეტის გამოცემა იბეჭდება ჩვეულებრივ ექვსას ცალად. ამათგან ორი მესამედი აგზორს ეძლევა და ერთი მესამედი უნივერსიტეტს რჩება სხვა-და-სხვა სამეცნიერო დაწესებულების გამოცემებზე გასაცვლელად.

წიგნს ფასად უნდა დაედოს იმდენი, რამდენიც დაჯდა და მისი ნახევარი (1.1/2).

5. განსახილველი საგანი: „უნივერსიტეტის მოამბე“ ვის დაურიგდეს.

განაჩენი: „უნივერსიტეტის მოამბე“ დაურიგდეს პროფესორთა საბჭოს წევრებს (პროფესორებსა და დოკონტინებს).

6. განსახილველი საგანი: ქალთა გიმნაზიებში შვიდი კლასის კურსდამთავრებულთათვის დამატებით სავალდებულო გამოცდების შესახებ.

განაჩენი: მიღებულ იქმნა კომისიის მოგსენების დებულებანი, რომლებიც უნდა გავრცელდეს ახალ შემოსულებზე.

7. განსახილველი საგანი: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, დაენიშნოს პროფ. პ. კეკელიძეს დამატებით სარგოდ დოცენტის ჯამაგირი, ვინაიდან მას მინდობილი აქვს ლექციების კითხვა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

8. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, შეძენილ იქმნება განსვენებული პროფ. იოს. ყიფშიძის მიერ გამოსაცემად დამზადებული საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და აგრეთვე მეგრულ-ჭანური ლექსიკონის სარჩევი და გადებულ იქმნება ამისათვის 18000 მანეთი (თვრამეტი ათასი მანეთი).

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნება.

9. განსახილველი საგანი: გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს გამოანგარიშებული დამატებითი სარგო იმ პირთათვის, რომელიც ფაკულტეტის დაგალებით ზედმეტ საგნებს ჰქოთხულობენ ან რაიმე თანამდებობას ასრულებენ.

განაჩენი: დაევალოს გამგეობას, გამოიანგარიშოს ასეთს შემთხვევაში სარგოს რაოდენობა თანაგრძად სახალხო განათლების სამინისტროსა და საკულტურული კონტროლის განმარტებისა იმ პირთა შესახებ, რომელიც ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურებენ.

ივ. ჯავახიშვილი, ვ. მოსეშვილი, პ. კეკელიძე, ი. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ა. დიდებულიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, ს. ამირეჯიბი

ქ ა რ თ უ ლ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

პროფესორთა¹ საბჭო.

ს ხ დ ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი

№ (46)3

, „7., თებერვალს 1920 წ.

სხდომა დაიწყო სადამოს „8., საათზე

დაესწრენ: რექტორი პროფ. ი. ჯავახიშვილი, დეკანები, პროფ. კ. კეკელიძე, სიმონ ამირეჯიბი და ა. ბენაშვილი.

პროფესორები: a) ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზ-ნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე

b) ვ. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ა. ნათიშვილი.

c) ს. ქურდიანი, ა. თვალჭრელიძე, ი. მოსეშვილი, ა. დიდებულიძე,

დოცენტები: კ. ამირეჯიბი, ა. ხარაძე, დ. გედევანიშვილი

თავმჯდომარეობდა: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განსახილველი საგანი წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და დამტკიცდა.

1. განსახილველი საგანი უნივერსიტეტის 1920/21 სამოსწავლო წლის ხარჯ-თაღრიცხვის შემუშავება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით.

განაჩენი: მასალები დაუბრუნდეს ფაკულტეტებს გადასაშინჯად, შესამოწმებლად და შესასწორებლად და საბოლოოდ შემუშავებული სახით საბჭოში წარმოსადგენად დამტკიცებისათვის.

2. განსახილველი საგანი: პროფ. ვას. მალენიუკის მოწვევა დროებით ფიზიოლოგიური ქიმიის ლექციების წასაკითხავად.

განაჩენი: მოწვეულ იქმნეს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის პროფ. ვასილ დიომიდეს ქე მალენიუკი დროებით, მიმდინარე სემესტრის განმალვებაში, ფიზიოლოგიური ქიმიის ლექციების წასაკითხავად და პრაქტიკული ვარჯიშების დროს გელმდვანელობის გასაწვად ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

დაენიშნოს მას პროფესორის ჯამაგირი და პრაქტიკული ვარჯიშობისათვის დაწესებული სარგო პირველი თებერვლიდან.

3. განსახილველი საგანი: სამათემატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს დროებითი ასისტენტის თანამდებობაზე, თვისებითი ანალიზის ლაბორატორიაში, ალექსანდრე ცაგარელი, პირველი თებერვლიდან, და დაენიშ-

¹ ხიტყვა „პროფესორთა“ ჩაწერილია ა. შანიძის მიერ.

ნოს მას, – ვინაიდან იგი მხოლოდ საღამოობით იმუშავებს, – ასისტენტის ჯამაგირის ნახევარი.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

4. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნენ, პირველი თებერვლიდან, ფიზიკის კათედრასთან დროებით ასისტენტებად:

a) შიხეილ ნოდია და

b) ერევლე ლუკაშვილი

განაჩენი: შუამდგმოლობა შეწყნარებულ იქმნა.

5. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს იქმნება ფიზიოლოგიის კათედრასთან დროებით ასისტენტად, ერთის წლით, პირველი თებერვლიდან, შალვა მატათაშვილი.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

6. განსახილველი საგანი: სამურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნება ორდინატორად საბებიო კათედრასთან ექიმი ეგგენი შალამბერიძე, პირველი იანვრიდან.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

7. განსახილველი საგანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს ორდინატორად საბებიო კათედრასთან ექიმი ფანიაშვილი, პირველი თებერვლიდან.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

8. განსახილველი საგანი: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა დაენაშონს პროფ. ივ. ჯავახიშვილს დამატებით სარგოდ დოცენტის ჯამაგირი, ვინაიდან იგი ფაკულტეტის დავალებით ზედმეტ საგნებს პკითხულობს.

განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

9. განსახილველი საგანი: პროფ. ივ. ჯავახიშვილის განცხადება, რომ მას სთხოვენ მონაწილეობა მიიღოს იმ სასწავლო კომიტეტის მუშაობაში, რომელიც არსდება სახალხო განათლების სამინისტროსთან საგელმძვანელების შესაფასებლად და სატერმინოლოგიო საქმის მოსაგვარებლად.

განაჩენი: პროფესორთა საბჭო ფრიად საჭიროდ სცნობს კომიტეტის დაარსებას და თავის მცრითაც სთხოვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, მონაწილეობა მიიღოს ამ კომიტეტის მუშაობაში.

ივ. ჯავახიშვილი, კ. პეტელიძე, ვ. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ე. თაყაიშვილი, ა. რაზმაძე, გ. წებინაშვილი, რ. პ. ბლეიკი, ა. დიდებულიძე, დ. გელევანიშვილი, გ. ახვლედიანი, ი. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, ს. ქურდიანი, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 4

, 14,, ოქტომბერი 1920 წ.

დაესწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი,
დეკანები: პროფ. პ. პეტრიძე, ა. ბერიაშვილი, ს. ამირეჯი-
ძი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახ-
ვლედიანი, რ. ბლეგი, ა. შანიძე
ს. ქურდიანი, იას. მოსეგშვილი, ალ. დიდებული-
ძე, ა. რაზმაძე, ალ. თვალჭრელიძე,
ი. თიბანაძე, ალ. ალადაშვილი, ვარლ. მოსეშვი-
ლი.

დოცენტები: დ. გელვანიშვილი, ი. ფიგუროვსკი, ა. ხარა-
ძე, ხ. ყიფიანი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და

დაადგინეს: დამტკიცდა.

1. განიხილეს: უნივერსიტეტის მონაწილეობა დავით კლდიაშვი-
ლის იუბილეუმში.

დაადგინეს: გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა.

2. განიხილეს: მოხსენება რექტორისა დამატებითი ხარჯთ-აღრიც-
ხვის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქმნა ცნობად.

3. განიხილეს: მომავალი 1920/1921 სასწავლო წლის ხარჯთ-აღ-
რიცხვის დამტკიცება.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა ფაქულტეტებისა, საბიბლიოთეკო
კომისიისა და გამგეობის მიერ გადაშინჯული და გელმეორედ
წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე სასანიტრო და სა-
პედაგოგიო ინსტიტუტების მიერ ნავარაუდევი ხარჯები, სახელ-
დობრები:

**1. უნივერსიტეტისა საერთოდ 41. 446. 033. 20 (ორმოცდა ერთი მი-
ლიონი, ოთხასორმოცდა ერთი ათას ოცდა ცამეტი მანეთი და ერ-
თი აბაზი)**

2. სასანიტო ონსტიტუტისა - 3. 943. 560 (სამი მილიონი, ცხრა ას ორმოცდასამი ათას, ხუთას სამოცი მანეთი).

3. საპედაგოიო ონსტიტუტისა 695. 904 (ექვსას ოთხმოცდა თუხ-ომები ათას, ცხრაას ოთხი მანეთი).

სულ ერთიანად 46. 085. 497. 20 (ორმოცდაექვსი მილიონი, ოთ-ხმოცდახუთი ათას, ოთხას ოთხმოცდაჩვიდმები მანეთი და ერთი აბაზი).

4. განიხილეს: ხარჯო-აღრიცხვის განხილვამ გამოიწვია საკითხი საბეჭიო კათედრის მოწყობის შესახებ.

დაადგინეს: პროფესორთა საბჭომ აღუდგინა და დაუმტკიცა საბჭ-ბიო კათედრას წინედ წარმოდგენილი ხარჯო-აღრიცხვა რომე-ლიც შეეხებოდა მესამე კურსის შეტატებს (პირად შემადგენლო-ბას), მაგრამ ამასთანავე დაადგინა: დაევალოს ფაქულტეტის განი-ხილოს პრინციპიალური საკითხი კათედრისა და მისი კლინიკუ-ბის მოწყობის შესახებ და წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს გრცელი დასაბუთებული მოწსენება როგორც საბეჭიო კათედრის მოწყობისა, ისე მთელი ფაქულტეტის ჩამოყლიბების შესახებაც საზოგადოდ.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. კმპელიძე, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე, მ. წერე-თველი, ალ. ნათიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. ხარაძე, ს. ქურდიანი, თაყაიშვილი, ვ. მოსეშვილი, ა. დიდებულიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 5

„28., ოქტომბერი 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ: კ. კეკელიძე, ს. ამირეჯიბი, ა. ბენაშვილი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, რ. ბლეიკი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ა. შანიძე
ა. დიდებულიძე, ს. ნაგაშინი, ს. ქურდიანი, ა.
ნათოშვილი, ალ. ალადაშვილი, ვ. მოსეშვილი, ი. თიგანაძე.

დოცენტები: ა. ხარაძე, დ. გედევანიშვილი, ი. ფიგუროვსკი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

1. განიხილებს: ქართლში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დაჭმარების აღმოჩნდა.

დააღვინებს: გადაიდოს 30% ოქტერვლის ჯამაგირისა ერთ-დროულად დახვარების აღმოსაჩნდა. ეს დადგენილება გავრცელდეს საბჭოს წევრებზე (პროფესორებსა და დოცენტებზე). რაიცა შექმნება ლექტორ-ასისტენტებს, ეთხოვოს დეპანებს, რომ ფაქულტეტების მორიგ სხდომებზე შეიიტანონ განსახილველად საკითხი, თუ რამდენი პროცენტის გადება პსურო ასისტენტებსა და ლექტორებს და ფაქულტეტების დადგენილებანი ამ საგნის შესახებ პირდაპირ აცნობონ გამგობას, რათა დაზარალებულთ სწრაფად აღმოჩინოს დაგჭარება.

2. განიხილებს: სიტყვიერი მოწევნება რექტორისა უნივერსიტეტის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

მოწევნებაში აღნიშნულ იყო, რომ დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის, რის გამოც უნივერსიტეტი დიდ გასაჭირს განიცდის: შეჩერებულია გამომცემლობა, საზღვარგარეთიდან წიგნებისა და იარაღების გამოწერა და სხვა.

დააღვინებს: ეთხოვოს რექტორსა, დეკანებსა და აგრეთვე პროფ. ე. თაყაიშვილს, რათა წარუდგენ სახალხო განათლების მინისტრთა და მთავრობის თავმჯდომარეს და აუგსნან უნივერსიტეტის ქონებრივი გასაჭირი და ამისი შედეგები.

3. განიხილეს: თავისუფალ კათედრებზე კონკურსის გამოცხადება (სამკურნალო ფაქულტეტის მიერ აღმრული შუამდგომლობის გამო).

დაადგინეს: ეთხოვოს ყველა ფაქულტეტს, რათა შემდეგი კრებისათვის წარმოადგინონ თავისი მოსაზრება თავისუფალი კათედრების დაჭერის შესახებ.

4. განიხილეს: დოქტორ დირრის მოწვევა.

დაადგინეს: სიბრძნის-მეტყველების ფაქულტეტის შუამდგმლობის თანამდად, დადესტნის ენგბის კათედრაზე მოწვეულ იქმნა (არჩეულ იქმნა ერთგანდ) დოქტორი დირრი, სარგოს დანიშვნით იმგვარად, როგორც საფრანგეთიდან მოწვეულ პროფესორ Giraud'ს.

5. განიხილეს: სამკურნალო ფაქულტეტის შუამდგომლობა, მოწვეულ იქმნეს ფარმაციისა და ფარმაკოგნოზის კათედრაზე ფარმაციის მაგისტრი ივ. ტექშელაშვილი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაუბრუნდეს ფაქულტეტს ფორმალური წესის შეუსრულებლობის გამო.

6. განიხილეს: სტუდენტთა კავშირის გამგეობის მომართვა, მიეცესთ სტუდენტთა წარმომადგენლებს ნება, მონაწილეობა მიიღონ პროფესორთა საბჭოსა და ფაქულტეტების სხდომებში სათათბირო ჭმით.

დაადგინეს: ეცნობოს სტუდენტთა კავშირის გამგეობას, რომ პროფესორთა საბჭოს სასურველად მიაჩნია სტუდენტთა გამგეობასთან კავშირის დაჭერა, რადგანაც ეს საშუალებას მისცემს მას ადვილად გადაწყვიტოს ზოგიერთი ტექნიკური სასიათის საკითხები, მაგრამ ეს კავშირი უნდა იყოს უნივერსიტეტის გამგეობისა და ფაქულტეტების დეკანების საშუალებით.

ივ. ჯავახიშვილი, პ. პეტრიძე, ე. თაყაიშვილი, ი. თიკანაძე, გ. ახვლედიანი, ს. ამირეჯიბი, ა. ბერაშვილი, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 6

,,6,, მარტს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. კ. კეგელიძე, ს. ამირეჯიბი, ა. ბენაშვილი

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი,
ა. შანიძე, ა. რაზმაძე, ი. მოსეშვილი, ი. ბერიტაშვილი,
ა. თვალჭრელიძე, ა. ნათიშვილი, ა. ალადაშვილი,
ი. თიკანაძე, გ. მუხაძე, ვ. მოსეშვილი

დოცენტები: კ. ამირეჯიბი, ნ. ყიფიანი, ა. ხარაძე

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების (N^o5) ოქმი.

დაადგინეს: დამტკიცდა.

1. განიხილეს: მომავალი (1920/1921) სასწავლო წლის ხარჯ-თაღრიცხვის განმარტებითი მოგსენება, დაწერილი და წაკითხული რექტორის, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ.

დაადგინეს: მადლობა გამოცხადოს რექტორს მოგსენების შედგენისათვის. მოგსენება დამტკიცებულ იქმნეს და დაევალოს გამგობას, რომ იგი დაიბეჭდოს რამოდენიმე ცალად.

2. განიხილეს: ფაკულტეტების მოგსენება თავისუფალი კათედრების დაჭერის შესახებ.

ცნობა: წაკითხულ იქმნა სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების მოგსენება ამ საკითხის შესახებ. სამკურნალო ფაკულტეტების მიერ კი წინა კრებაზედ იყო წარმოდგენილი.

დაადგინეს: ყოველ კერძო შემთხვევაში საკითხი გადაწყვეტილ იქმნეს ცალკე და გამოყენებულ იქმნეს როგორც კონკურსი, ისე მოწვევის წესი.

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტების შუამდგომლობა, გამოცხადებულ იქმნეს კონკურსი ფაკულტეტების თავისუფალი კათედრების დაჭერისათვის და დამტკიცებულ იქმნეს ფაკულტეტების მიერ შემუშავებული პირობები ამ კონკურსისა.

დაადგინეს: შეამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მაგრამ კონკურ-სის პირობებში შემდეგი ცვლილება იქმნა შეტანილი:

a) ვადა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებისა პირველი თიბათვიდან განგრძობილ იქმნა თხუთმეტ თიბათვემდე.

b) ამოშლილ იქმნა შენიშვნა, რომ სამი წლის შემდეგ შეიძლება მოწვეული პირი დატოვებულ იქმნეს როგორც მასწავლებელი.

ამას გარდა, ფაკულტეტს დაევალა, რომ ცალკე წარმოადგინოს დასაბუთებული მოწვენება ფიზიოლოგიის კათედრის შესახებ.

4. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შეამდგომლობა:

a) დამტკიცებულ იქმნეს დროებითი ასისტენტის მოვალეობის აღ-მასრულებლად, თვისებითი ანალიზის ლაბორატორიაში, საქართ. მუხეუმის ორნითოლოგიური განყოფილების გამგე ივანე ჩხიავაშვილი, პირველი მარტიდან და სარგოდ დაენიშნოს ასისტენტის ჯამაგირის ნახევარი.

დაადგინეს: შეამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

b) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ასისტენტად მეტეოროლოგიის კა-თედრასთან ობსერვატორიის ფიზიკოსი ადამი ნაფეტვარიძე, პირველი მარტიდან და სარგოდ დაენიშნოს ასისტენტის ნახევარი ჯამაგირი.

დაადგინეს: შეამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

5. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შეამდგომლობა, რომ დამტკიცებულ იქმნეს პროფ. ჭარლამ მოსეშვილი ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრის გამგე, რომელსაც ევალება მოწვიოს დროებითი ასისტენტი და მისი დაწმარებით ეხლავე შეუდგეს კოლექციების შედგენას და ლაბორატორიის მოწყობას.

დაადგინეს: შეამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

6. განიხილეს: პროფ. იასონ მოსეშვილის მოწვენება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამკურნალო დარგის კონარების შესახებ.

დაადგინეს: ეთხოვთ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს, რომ ამ საკითხის შესახებ დასაბუთებული მოწვენება წარმოადგინოს პროფესორთა საბჭოს და იქონიოს მხედველობაში, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო ტაძარია¹ და არა პრაქტიკული ცოდნის შემძენი დაწესებულება.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. კეკელიძე, ვ. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, რ. პ. ბლეგაძე, ი. მოსეშვილი, ქ. თაყაიშვილი, კ. ამირაჯიბი, გ. ჩუბინაშვილი, ა. ალადაშვილი, გ. ასკლედიანი, ს. ამირეჯიბი, ბერი-ტაშვილი, ა. შანიძე

¹ გადახაზულია „დაწესებულებაა” და თავზე ა. შანიძის ხელითვე აწერია „ტაძარია”.

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 7

„20., მარტს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი,
დეკანები, პროფ. პ. გეგელიძე, სიმ. ამირეჯიბი.
პროფესორები: შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, დ. უზნაძე,
 რ. ბლეიკი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, გ. ჩუ-
 ბინაშვილი, იასონ მოსეშვილი, ი. ბერიტაშ-
 ვილი, ს. ქურდიანი, ა. რაზმაძე.
 გარდ. მოსეშვილი, ალ. ალადაშვილი, ივ.
 თიკანაძე, გრ. მუხაძე
დოცენტები: ნოე ყიფიანი, ა. ხარაძე, კონსტ. ამირეჯიბი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილებს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი (Nº6)

დაადგინებს: და დამტკიცდა.

1. განიხილებს: საზოგადო მსჯელობა უნივერსიტეტის მიზნებისა
 და გეგმების შესახებ და კერძოდ თვითეული ფაქულტეტისა
 ცალკეალკე განსაკუთრებით კი სამათემატიკო-საბუნებისმეტყვე-
 ლო ფაქულტეტის სააგრონომიო განყოფილების შესახებ.

დაადგინებს: წინადადება მიეცეს სამათემატიკო-საბუნებისმეტყვე-
 ლო ფაქულტეტს, წარმოუდგინოს საბჭოს დასაბუთებული მოწვე-
 ნება აგრონომიული დარგის საბოლოო ჩამოყალიბების შესახებ.

2. განიხილებს: ფაქულტეტის მოწვენებანი თავისუფალ მსმენელ-
 თათვის განათლების ცენტის დაწესების შესახებ.

დაადგინებს: თავისუფალ მსმენელებად, ისე როგორც ნამდვილ
 სტუდენტებად, მიიღებიან მხოლოდ საშუალო განათლების მქონე
 პირები.

ივ. ჯავახიშვილი, პ. გეგელიძე, ე. თაყაიშვილი, ი. თიკანაძე, ა.
 რაზმაძე, ს. ამირეჯიბი, ი. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 8

„3,, აპრილს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი ივანე ჯავახიშვილი.

დეკანები: პ. გმირელიძე, ს. ამირეჯიბიძე.

პროფესორები: ე. თავაიშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუ-
ბიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე,
ს. ნაგაშინი, ა. რაზმაძე, იასონ მოსეშვილი,
ალ. ოვალჭრელიძე, ვ. მოსეშვილი, ი. თიკა-
ნაძე, ალ. ნათოშვილი, ალ. ალადაშვილი, გ.
მუხაძე.

დოცენტები: ა. ხარაძე, ნ. ყიფიანი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

1. განიხილეს: მსჯელობა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მო-
პოების წესის შესახებ.

ცნობა: წაკითხულ იქმნა ფაკულტეტების მოწევებანი ამ საგნის
შესახებ.

დაადგინეს: ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი დებულებანი,
მათი მუცლობრივი განიხილვის შემდეგ, მიღებულ იქმნა, მაგრამ
შეტანილ იქმნა შემდეგი შესწორებანი:

1. ხარისხის მოპოების ვადა, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ,
უდრის ორს წელიწადს.

2. შენიშვნაში იქმნეს შეტანილი, რომ ვისაც სწავლა დამთავრე-
ბული აქვს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში შეიძლება
დაშვებულ იქმნას გამოცდებზე განსაკუთრებულ შემთხვევაში.

3. მედიცინის დოქტორის ხარისხი, როგორც ერთად ერთი, მოსპო-
ბილ იქმნეს და მის ნაცვლად შემოდებულ იქმნეს ხარისხის მინი-
ჭება სამეცნიერო დარგების მიხედვით, როგორც ეს არის სხვა
ფაკულტეტებზე.

4. სამეცნიერო ხარისხის მოპოებისათვის სავალდებულოა ზეპირი
გამოცდების ჩაბარება.

5. დისერტაციის დაწერის ვადად მიღებულ იქმნა ხუთი (5) წელი.
6. დისერტაციის დაცვა საჯაროა.
7. დისერტაციის დაცვისას ფაკულტეტი თრს ოფიციალურ ოპონენტს ჰნიშნავს.
8. დისერტაციას არ ეძლევა მოწინააღმდეგე თპონენტთა კრიტიკა წინასწარ განსახილებისად.

დასასრულ ამორჩეულ იქმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევალა შემდეგი კრებისათვის წარმოუდგინოს საბჭოს საბოლოო ტექსტი დებულებისა.

კომისიაში შევიდენ: პროფ. ი. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე და ალ. ნათოშვილი.

2. განიხილეს: პროფ. ი. ა. ანფიმოვის დამტკიცება დროებით მასწავლებლად ფსიქიატრიისა და ნერვიულ კათედრაზე.

დაადგინეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა დაკავშირილებულ იქმნეს და პროფ. ი. ა. ანფიმოვი დამტკიცებულ იქმნეს დროებით მასწავლებლად ფსიქიატრიისა და ნერვიულ კათედრაზე პირველი მაისიდან.

3. განიხილეს: ფარმაციის მაგისტრის ო. ტყეშვილაშვილის დამტკიცება დროებით ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებლად ფარმაცია-ფარმაკოგნოზიის კათედრაზე.

დაადგინეს: თანაკმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, ფარმაციის მაგისტრი ო. ტყეშვილაშვილი დამტკიცებულ იქმნა დროებით ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებლად ფარმაცია-ფარმაკოგნოზიის კათედრაზე, პირველი მარტიდან.

4. განიხილეს: პროფესორების ალ. ნათოშვილისა და ნიკო კახიძის დამტკიცება პისტოლოგიის კათედრის გამგეებად.

დაადგინეს: თანაკმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, პროფესორების ალექსანდრე ნათოშვილი და ნიკო კახიძი დამტკიცებულ იქმნენ პისტოლოგიის კათედრის გამგეებად პირველი მარტიდან.

5. განიხილეს: ექიმების ზაიცვევისა და ვალ. როსტომბეგოვის დამტკიცება დროებით ასისტენტებად პისტოლოგიის კათედრაზე.

დაადგინეს: თანაკმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, ექიმები ზაიცვევი და ვალ. როსტომბეგოვი დამტკიცებული იქმნენ დროებით ასისტენტებად პისტოლოგიის კათედრაზე, პირველი მარტიდან.

6. განიხილეს: ექიმ ჭ. კაკაბაძის დამტკიცება დიაგნოსტიკის კლინიკის ლაბორატორიად.

დაადგინეს: შუამდგომლობა სამკურნალო ფაკულტეტისა დაგმაყოფილებულ იქმნეს და ექიმი ჭ. კაკაბაძე დამტკიცებულ იქმნეს დიაგნოსტიკის კლინიკის ლაბორატორიად, პირველი აპრილიდან.

7. განიხილეს: ექიმ მ. არჯვევანიძის დამტკიცება ორდინატორად საბეჭიო კათედრასთან.

დააღვინეს: თანაცმად სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობისა, ექიმი მ. არჯვევანიძე დამტკიცებულ იქმნეს ორდინატორად საბეჭიო კათედრასთან, ნაცვლად ექ. ვანიაშვილისა, (რომელიც სამსახურში გამოუცხადებლობის გამო დათხოვნილად ითვლება), თუქვსმეტი მარტიდან.

8. განიხილეს: პროფ. ქ. ნუცუბიძისათვის დამატებითი სარგოს დანიშვნა.

დააღვინეს: თანაცმად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობისა პროფ. შალვა ნუცუბიძეს დაენიშნა დამატებით სარგოდ დოცენტის ჯამაგირი ზედმეტი საგნის კითხვისათვის, პირველი მარტიდან.

9. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოგსენება, რომ სარედაქციო კომისიაში ფაკულტეტის მწრით არჩეულია პროფ. ვარლამ მოსეშვილი.

დააღვინეს: ცნობად.

ივ. ჯავახიშვილი, პ. პეკელიძე, ვ. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, ქ. ნუცუბიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 9

,,8,, მაისს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. ვ. ქეკელიძე, ა. ბენაშვილი, ს. ამირე-ჯიბი.

პროფესორები: გ. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, რ. ბლევი, ა. შანიძე, ი. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, ალ. დიდებულიძე, სოლ. ქურდიანი, ი. ბერიტაშვილი, ალ. ნათოშვილი, ვარლ. მოსეშვილი, გ. მუხაძე.

დოცენტები: ნოე ყიფაიანი, ა. ხარაძე, კონსტ. ამირეჯიბი, დიმ. გედევანიშვილი

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილებს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

დაადგინებს: დამტკიცდა.

1. განიხილებს: საბოლოო რედაქცია სამეცნიერო ხარისხის მოპოვ-ბის წესის დებულებისა.

დაადგინებს: მიღებულ იქმნა და დაადგინებს დაიბეჭდოს.

2. განიხილებს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი ტფილისის უნივერსიტე-ტის დამსახურებულ პროფესორად პირველი მაისიდან.

დაადგინებს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და პროფ. ალ. ცაგარელი ერთგმად არჩეულ იქმნა ტფილისის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად, პირველი მაისიდან 1920 წ.

3. განიხილებს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა არჩეულ იქმნეს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე პროფესორად ბ. მიხეილ წერეთელი პირველი აპრილიდან.

დაადგინებს: ფაკულტეტის შუამდგომლობის თანაგმად არჩეულ იქმნა ერთგმად პროფესორად ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კა-თედრაზე პირველი აპრილიდან.

4. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს საზოგადო მიწათმოქმედების ასისტენტად არჩეული აგრონომი გიორგი ტარასის ძე რცხილაძე.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და აგრონომი გიორგი რცხილაძე დამტკიცებულ იქმნა საზოგადო მიწათმოქმედების ასისტენტად პირველი მაისიდან 1920 წ.

5. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტთა გაფიცის ჭელმძღვანელი ბიუროს განცხადება, წარდგენილი ფაკულტეტის საბჭოში, გამოცდების მინიმუმის შესახებ. (სამკურნალო ფაკულტეტის მიერ პროფესორთა საბჭოში გადმოტანილი).

დაადგინეს: ბიუროს განცხადება უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული, მხოლოდ, ვინაიდან პროფ. ალ. ლიდუბულიძემ განცხადა, რომ მას არ გაუთავებია კურსი ფიზიკაში, ამიტომ ფიზიკა გამოტოვებულ იქმნეს მინიმუმის პროგრამიდან.

6. განიხილეს: აგრონომ-ბუნებისმეტყველ სტუდენტთა კავშირის გამგეობის განცხადება აგრონომიული განყოფილების მდგომარეობის შესახებ.

დაადგინეს: გადაიდოს შემდეგისათვის.

ივ. ჯავახიშვილი, კ. კეგელიძე, გ. ახვლედიანი, გ. მუხაძე, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, შ. ნუცებიძე, ი. ფიგუროვსკი, დ. გედევანიშვილი, ა. ლიდებულიძე, ვ. მოსეშვილი, ა. ხარაძე, კ. ამირაჯიბი, ი. მოსეშვილი, ს. ამირეჯიბი, ს. ქურდიანი, ა. შანიძე

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 10

,,15,, maiss 1920 w.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი
დეკანები: პროფ. სიმ. ამირეჯიბი, პ. კეპელიძე, ა. ბენაშ-
ვილი
პროფესორები: გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშ-
ვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე, იას. მოსეშვი-
ლი, ა. რაზმაძე, ალ. დიდებულიძე, სოლ.
ქურდიანი, ვარლამ მოსეშვილი, გრ. მუხაძე,
ალ. ალადაშვილი, ივ. თიკანაძე
დოცენტები: 6. ყიფიანი, არჩ. ხარაძე, ივ. ფიგუროვსკი,
დიმ. გედევანიშვილი, კონსტ. ამირეჯიბი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილებს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

დაადგინებს: დამტკიცდა.

1. **განიხილებს:** დამტკიცებული კრების წევრის აკადემიური წევნკელის მი-
საღოცი დეპეშა უნივერსიტეტში პირველი საღისერტაციო დისპუ-
ტის გამო.

ცნობა რექტორმა, პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა კრებას
მოაწენა, რომ მან უკვე გაუგზავნა საპასუხო დეპეშა.

დაადგინებს: პ. რექტორის პასუხი საქმარისად იქმნა ცნობილი.

2. **განიხილებს:** საკითხი სხვადასხვა თანამდებობათა შეუთავსებ-
ლობის შესახებ.

დაადგინებს: პროფესორთა საბჭო აუცილებელ საჭიროდ სცნობს,
რომ მის წევრთა მთელი ძალ-ღონე ტფილისის საკელმწიფო უნი-
ვერსიტეტის წარმატებისა და ქართული მეცნიერების აღორძინება-
აყვავების საქმეს მოჰკმარდეს და ამიტომ შეუწყნარებლად
სთვლის თავის წევრთათვის საპედაგოგიო მოღვაწეობის ისეთ და-
წესებულებაში, რომელიც არამც თუ გელს არ უწეობს ქართული
მეცნიერების განვითარებას, არამედ მეტოქეობასაც უწევს მას.

3. **განიხილებს:** პროფესორ-ლექტორ-ასისტენტთა ქონებრივი
მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა კომისია (ალ. ალადაშვილი, შალვა ნუცუბიძე) ანდრია რაზმაძე, რომელთაც დაევალა ლექტორ-ასისტენტთა წარმომადგენლებთან ერთად გამოარკვიონ საკითხი ყოველმგრივ და თავისი მოქსენება საბჭოს წარმოუდგინონ.

4. განიხილეს: აგრონომ-ბუნებისმეტყველ სტუდენტთა კავშირის გამგეობის განცხადება აგრონომიული განყოფილების მდგომარეობის შესახებ.

დაადგინეს: დაევალა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს წარმოუდგინოს პროფ. საბჭოს გეგმა აგრონომიული განყოფილების მოწყობის შესახებ.

5. განიხილეს: პროფ. იასონ მოსეშვილის მოქსენება, უნივერსიტეტებს პედაგეგს თავისი წარმომადგენლები საშუალო სეოლის სარეორგანიზაციის კომისიაში.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა კომისა (იასონ მოსეშვილი, ალ. ნათოშვილი, ა. რაზმაძე, ა. შანიძე), რომელსაც დაევალა შემდეგი სხდომისათვის წარმოუდგინოს პროფესორთა საბჭოს მოსახრება საშუალო სეოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის შესახებ.

6. განიხილეს: პროფ. ივ. ბერიტაშვილის განცხადება „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემისა და სარედაქციო კოლეგიის შესახებ.

დაადგინეს: მიენდო ფაკულტეტებს გამოარკვიონ „მოამბის“ გამოცემის საქმე თუ როგორ იქმნეს დაყრდნობული მომავალში.

7. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოხსენება მიენიჭოს პროფ. ა. შანიძეს ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი ფაკულტეტის საჯარო სხდომის (9 მაისს) დადგენილების თანახმად.

დაადგინეს: პროფ. აკ. შანიძეს მიენიჭოს ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი მოხსენების თანახმად.

8. განიხილეს: უნივერსიტეტის მონაწილეობა 26 მაისის დღესასწაულში.

დაადგინეს: ამ საკითხის შესახებ საგანგებო მსჯელობა იქონიოს საბჭოო შემდეგ სხდომაზე.

9. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, მოწვეულ იქმნეს დროებით ლექციების წასაკითხად მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ა. მანუილოვი და მიეცეს მას მუდმივი შტატის პროფესორის თანასწორი სარგო.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და პროფ. ა. ა. მანუილოვი მოწვეულ იქმნა დროებითი ლექციების წასაკითხად და დაენიშნა სარგოდ შტატის პროფესორის ჯამაგირი.

10. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოქსენება, რომ ფაკულტეტის ყველა დარგისა და განყოფილების

სტუდენტებს ახალი ენების (ფრანგულისა ან გერმანულის) შესწავლა ევალებათ პირველისა და მეორე წლის განმავლობაში.

დაადგინეს: ცნობად.

11. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, განთავისუფლებულ იქმნეს ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის დოცენტი ბატ. ბ. უვაროვი პირველი ივნისიდან პირველ სექტემბრამდე.

დაადგინეს: უარი ეთქვას.

12. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა, რათა ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის კათედრის მოსაწყობად დროგბით მოწვეულ პროფესორ ანფიმოვს ნება მიეცეს წარუდგინოს ფაკულტეტს დროებითი ასისტენტები და დაქნიშნოს მას პროფესორის სარგო პირველი მაისიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

13. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, მიენდოს თავისუფალი კათედრების მოწყობისათვის ზრუნვა და საჭირო ხარჯების გაწევა:

- ა. პათოლოგიური ანატომიისა პროფ. გრ. მუხაძეს.
- б. საზოგადო პათოლოგიისა პროფ. ს. ამირევაიძეს.
- с. თერაპიული კლინიკისა პროფ. ალ. ალადაშვილს.
- д. ქირურგიული კლინიკისა პროფ. გრ. მუხაძეს

და ე) საბებიო კლინიკისა პროფ. ოვ. თოკანაძეს.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. პეტელიძე, შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, ა. რაზმაძე, მ. წერეთელი, დ. უზნაძე, ალ. ნათიშვილი, ა. ბენაშვილი, ვ. მოსეეშვილი, ს. ქურდიანი, ხ. ყიფიანი, ა. ხარაძე, ა. დიდებულიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჯელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 11

, „29., მაისს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. კორნ. კეკელიძე, ს. ამირეჯიბი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, მ. წერეთელი, დ. უზნაძე, ა. შანიძე, იასონ მოსეშვილი, ა. რაზმაძე, ალ. დიდებულიძე, ივ. ბერიტაშვილი, ს. ქურდიანი, გ. მუხაძე, გარლ. მოსეშვილი, ალ. ალადაშვილი, ივ. თიკანაძე, ალ. ნათიშვილი.

დოცენტები: ნოე ყიფაინი, კონსტ. ამირეჯიბი, დიმ. გელა განიშვილი, არჩ. ხარაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინაპრების ოქმი და

დაადგინეს: დამტკიცდა.

1. განიხილეს: რექტორმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მოაწევნა საბჭოს, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის მთავარი შენობის ამგები სურომოძღვარი სიმონ კლდიაშვილი.

დაადგინეს: პროფესორთა საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსცენებულის ხსოვნას და დაადგინა:

გადადგებულ იქმნეს ოც ათას მანეთამდე (20. 000 მან.) დაკრძალვის ხარჯებისათვის.

ეს ფული გამოდებულ იქმნეს უნივერსიტეტის მოულოდნელი ხარჯების თანხიდან ან სპეციალური თანხებიდან.

2. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოწევნება ფაკულტეტის ჩამოყალიბებისა საზოგადოდ და კერძოდ სამეურნეო განყოფილების მოწყობის შესახებ.

დაადგინეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან დაარსდეს ცალკე ინსტიტუტი, რომლის მიზანია თეორიული

კვლევა-ძიება სამეურნეო საკითხებისა და სწავლულ აგრონომთა მომზადება.

ეთხოვოს სამეურნეო განყოფილების წარმომადგენელთ შეიმუშაონ ინსტიტუტის წესდება და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად ჯერ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტსა და შემდეგ პროფესორთა საბჭოს.

3. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა გამოცხადდეს კონკურსი თავისუფალი კათედრების დასაჭერად.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს და კონკურსი გამოცხადდეს სამეურნალო ფაკულტეტის მიერ გამოცხადდებული კონკურსის მსგავსი პირობებით.

ეთხოვოს პროფ. ს. ქურდიანს, წარმოუდგინოს გამგეობას, თუ რა ცენტი მოეთხოვება მასწავლებლებს.

4. განიხილეს: გამგეობის განსახივრება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დადგენილებისა, მიეცეს პრაქტიკული ვარჯიშობისათვის დაწესებული სარგო ისეთ პირთ, რომელთაც ვარჯიშობა ჯერ არ დაუწყით, მაგრამ კათედრებისა და კაბინეტების მოწყობაში არიან.

დაადგინეს: გამგეობის მიერ ფაკულტეტის დადგენილების განსახივრება საფუძვლიანად იქმნა ცნობილი და დაადგინეს:

პრაქტიკული ვარჯიშობისათვის დაწესებული სარგო მხოლოდ იმ დღიდან მიეცესთ, როდესაც ვარჯიშობა ფაქტიურად დაიწყება.

ეთხოვოს დეპარტმენტის, წარმოუდგინოს გამგეობას ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი პროფესორი რა დღიდან აწარმოებს პრაქტიკულ ვარჯიშობას.

5. განიხილეს: სამეურნალო ფაკულტეტის მოწევნება სამეცნიერო ხარისხების დარგებისა და გამოცდების გეგმის შესახებ.

დაადგინეს: გამოცდების გეგმა დამტკიცებულ იქმნა და დაევალა ფაკულტეტის დამატებით წარმოადგინოს დამატებითი სამეცნიერო ხარისხის მისაღებ გამოცდების განაწილება.

6. განიხილეს: კაბინეტებთან და კათედრებთან წიგნთსაცავის არსებობა:

ცნობა. საკითხი ადიძრა იმის გამო, რომ გამგეობამ შეუძლებლად დაინახა დაემტკიცებინა პროფ. ვარლამ მოსეშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 150.000 ასორმოცდაათი ათასი მანეთისა, რა თანხითაც მას ფარმაკოლოგის კათედრის საჭიროებისათვის თამარ გრიგოლის ასულის ბეგთაბეგოვისაგან შეეძინა სამეურნალო წიგნები. რექტორმა განუმარტა საბჭოს, რომ გამგეობამ იმიტომ ეკრ დაუმტკიცა პროფ. ვარლამ მოსეშვილს მისი ანგარიში, რომ

1. ზედმეტად დანახარჯი თანხა (115.000 მანეთი) ბევრად აღემა-
ტებოდა კათედრის მოსაწყობად აღებული აგანსის რაოდენობას.

2. წიგნები მეტის მეტად ძვირად იყო ნაყიდი (მაგალითად,
ბროჭაუზე-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი თცდათ ათას
მანეთად).

3. კათედრისათვის შეძენილი წიგნები ფარმაკოლოგიის საკით-
ხებს კი არ ეხებოდა სპეციალურად, არამედ წარმოდგენილი იყო
საზოგადოდ სამკურნალო მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგი. და
ბოლოს

4. კათედრის მოსაწყობად აღებული თანხა პწმარდებოდა თაგის
პირდაპირ დანიშნულებას კი არა, არამედ უმთავრესად წიგნების
შეძენის საქმეს.

დააღვინება: წიგნების შეძენა საზოგადოდ წიგნთსაცავის საქმეა.

კაბინეტებთან და კათედრებთან კი შეიძლება მხოლოდ ისეთი
სპეციალური გამოცემების შეძენა (ისიც მხოლოდ ზოგიერთები-
სა), რომელიც საჭიროი არიან ყოველ წესს.

პროფ. ვარლამ მოსეშვილის მიერ ფარმაკოლოგიის კათედრი-
სათვის შეძენილი წიგნები მის კერძო საკუთრებად დარჩეს.

7. **განიხილება:** მოგვიხნება კომისიისა საშუალო სასწავლებელთა
სარეორგანიზაციო საბჭოსთვის უნივერსიტეტის მოთხოვნილება-
თა გასაცნობად.

დააღვინება: არსებითი განიხილვა მოგვიხნებისა, რომელიც სხდომა-
ზე წაკითხული იყო, შემდგენისათვის გადაიდო.

8. **განიხილება:** დასასრულ საბჭოს მოკმედნობა, რომ წიგნთსაცავმა
მიიღო განსვენებული კიტა აბაშიძის მიერ უნივერსიტეტისადმი
ნაანდერძევი ძვირფასი ბიბლიოთეკა.

დააღვინება: ა) გამოეცხადოს უღრმესი მადლობა განსვენებულის
მეუღლება.

ბ) კიტა აბაშიძის შვილები (ახლა რომ სწავლობს
უნივერსიტეტში, ისიც და ისინიც, ვინც შემდეგში შემოვლენ) გან-
თავისუფლებულ იქმნენ სწავლის ფულის გადაჭდისაგან.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, შ. ნუცუბიძე, ექ. თავაიშვილი, ა.
რაზმაძე, ივ. თიგანაძე, ა. დიდებულიძე, ი. მოსეშვილი, პ. ქეკელი-
ძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 12

„12,, ივნისს 1920 წ.

დაქსწო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. კორნ. გეგლიძე, ა. ბენაშვილი, ს. ამირე-ჯიბი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. წერე-თელი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ალ. დიდებულიძე, იას. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, ივ. ბერიბაშვილი. ნ. კახიანი, ვარდამ მოსეშვილი, ივ. თიკანაძე.

დოცენტები: არჩილ ხარაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და

დაადგინეს: დამტეიცდა.

1. განიხილეს: მუკლობრივი განიხილვა საშუალო სკოლის სარე-ორგანიზაციო კომისიაში არჩეულ უნივერსიტეტის წარმომადგე-ნელთა მოწვენებისა (მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა უნდა მოს-თხოვოს უნივერსიტეტში საშუალო სასწავლებლებში კურსდამ-თავრებულთ).

დაადგინეს: პირველი მუკლი (უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ საშუალო სკოლის დამთავრებისას გამოცდების კონტრო-ლის შესახებ) უარყოფილ იქმნა, მაგრამ ამის გამო დაადგინა:

ეთხოვოს ფაკულტეტებს გამოარკვიონ, თუ რა-და-რა საგნებ-ში მოეთხოვოს დამატებითი გამოცდები უნივერსიტეტში შემომ-სვლელთ.

ამ დადგენილების ძალით სხვა მუკლების განხილვა ზედმე-ტად იქმნა მიჩნეული.

2. განიხილეს: საზოგადო დებულება უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პირადი შემადგრენლობის შესახებ

დაადგინეს: შედგა კომისია, რომელსაც დაევალა შემდეგი კრები-სათვის წარმოადგინოს პროექტი დებულებისა.

კომისიაში შევიდა ორ-ორი წარმომადგენელი ფაკულტეტებიდან:

1. სიბრძნისმეტყველების ფაქტან: კ. პეპელიძე და შ. ნუცუბიძე.
 2. სამათემატიკო-საბუნ. ფაქტან: ანდრია რაზმაძე და იასონ მოსეულიძი.
 3. სამკურნალო ფაქტურტეტიდან: ს. ამირეჯიბი და ალ. ნათიშვილი.
- თავმჯდომარედ კომისიისა საბჭოს მიერ არჩეულ იქმნა რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.
3. **განიხილეს:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქტურტეტის შუამდგომლობა არჩეულ იქმნეს პროფესორად წმ. მათემატიკის კათედრაზე დოქტორი ნიკოლოზის ძე სალტიკოვი.
 - დაადგინეს:** წმიდა მათემატიკის დოქტორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სალტიკოვი არჩეულ იქმნა (ერთგმად), პროფესორად წმიდა მათემატიკის კათედრაზე 21 მაისიდან 1920 წ.
 4. **განიხილეს:** სამკურნალო ფაქტურტეტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და შტატები.
- დაადგინეს:** დამტკიცებულ იქმნა, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრასთან კლინიკის არსებობა ჩვენს პირობებში არ იქმნა მიზანშეწონილად ცნობილი. ხოლო რაც შეეხება შტატებს, ისიც დამტკიცებულ იქმნა, კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კლინიკის პირადი შემადგენლობის გამორიცხვით.
5. **განიხილეს:** საბიბლიოთებრო კომისიის თავმჯდომარის ა. შანიძის მოვსენება, რომ 1920/1921 აკადემიური წლის ხარჯთაღრიცხვაში გამოტოვებულია ერთი მუკლი, რომელიც შეეხება ბიბლიოთეკის მოწყობას და რომლისთვისაც გამოთხოვილი იყო 650.000 მანეთი.
 - დაადგინეს:** აღიძრეს შესაფერისი შუამდგომლობა სათანადო დაწესებულების წინაშე, რათა ბიბლიოთეკის მოსაწყობად ნაგარაულევი თანხა 650.000 მანეთი დამატებით იქმნეს გამოთხოვილი.
 6. **განიხილეს:** საბიბლიოთებრო კომისიის მოვსენება, რომ მან შეიწყნარა კომისიის წევრის ა. შანიძის თხოვნა, განთავისუფლებულ იქმნეს წიგნთსაცავის გამგის თანამდებობისაგან ოცი ივნისიდან 1920 წ.
 - დაადგინეს:** პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა კომისიის დადგენილება და თავის მცრით დაადგინა, მადლობა გამოეცხადოს საბიბლიოთებრო კომისიის თავმჯდომარეს ა. შანიძეს წიგნთსაცავის გამგის თანამდებობის შესრულებისათვის აქამოძღვა.
 7. **განიხილეს:** იმავე კომისიის მოვსენება, გამოცხადდეს კონკურსი წიგნთსაცავის გამგის თავისუფალი ადგილის დასაჭერად.

დააღგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. დაევალა საბიბლიოოთეკო კომისიას, კონკურსის პირობები წარუდგინოს უნივერსიტეტის გამგეობას.

8. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, გამოყოფილ იქმნეს სათანადო თანხა საერთო საბიბლიოოთეკო ჯამიდან, რათა შესაძლებელი იყოს ფაკულტეტის სათვის უსაჭიროესი ჟურნალებისა და წიგნების შექმნა.

დააღგინეს: დაევალოს საბიბლიოოთეკო კომისიას, რათა აღმრული შუამდგომლობა დაქმაყოფილებული იყოს შეძლებისდა გგარად.

9. განიხილეს: ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის შუამდგომლობა, გადადგებულ იქმნეს გამოცდების უკანასკელი ვადა 30 ივნისამდის.

დააღგინეს: ძალაში დარჩეს ძველი დადგენილება.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბერიძე, ა. რაზმაძე, ექ. თაყაიშვილი, ალ. ნათოშვილი, ს. ქურდიანი, პ. კეკელიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 13

, 19., ივნისს 1920 წ.

დაესწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პ. ეპელიძე, ა. ბენაშვილი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, მ. წერეთელი, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, იასონ მოსეშვილი, სოლ ქურდიანი, ივ. ბერიტაშვილი, ალ. დიდებულიძე, ალ. თვალჭრელიძე, ალ. ნათიშვილი, ვარლამ მოსეშვილი, ალ. ალადაშვილი, ი. თოკანაძე, გ. მუხაძე.

დოცენტები: ნ. ყიფიანი, ა. ხარაძე.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი და

დაადგინეს: დამტკიცდა

1. განიხილეს: კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვა უნივერსიტეტის წესდების სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის შესახებ.

დაადგინეს: პროექტი დამტკიცებულ და მიღებულ იქმნა, შემდეგ ცვლილებათა შეტანით:

a) მეხუთე მუკლში ამოიშალა შენიშვნა, რომ ხუთი წლის შემდეგ არჩეულ პროფესორს უხუცესი ეწოდება.

b) მერვე მუკლში: ორი სანიმუშო ლექციის ნაცვლად ერთი იქმნა ცნობილი, სახელდობრ ფაკულტეტის მიერ დანიშნული.

c) მეორმეტე მუკლს ასეთი აზრი მიეცა: პრივატ-დოცენტს შეუძლია ყოველგვარი ლექცია წაიკითხოს, მაგრამ მისი ლექციები სავალდებულო ლექციების ნუსხაში არ უნდა შედიოდეს.

d) დაეგალოს საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტს, წარმოადგინოს თავისი აზრი პროფესორისა და ასისტენტის უფლებრივი მდგომარეობისა და მოვალეობის შესახებ. დასასრულს

e) „მასწავლებლის“ მაგიერ შემოდებულ იქმნეს სახელმომედება „ლექტორი“.

2. განიხილეს: როგორ უნდა შეუფარდდეს უკვე მიღებულ წესდებას აწინდელ პროფესორ-ლექტორ-ასისტენტთა მდგომარეობა.

შენიშვნა. საკითხი წამოიჭრა უნივერსიტეტის წესდების განხილვის გამო.

დაადგინეს: დაევალოს იმავე კომისიას, რომ დამტკიცებულსა და საბოლოოდ მიღებულ წესდებას შეუფარდოს აწინდელი მდგომარეობა უნივერსიტეტის სახელმისამეცნიერო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრებისა და შეიმუშაოს დროებითი წესები, რომლებიც ნორმალურ მდგომარეობაში გადასვლის საშუალებას მოგვცემს.

3. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

a) არჩეულ იქმნეს პროფესორად საზოგადო გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე ალექსანდრე ჯავახიშვილი.

დაადგინეს: გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

b) დამტკიცებულ იქმნეს ასისტენტად ფიზიოლოგიის კათედრასთან ექიმი-ბეითალი ლეონ ლეონიძე, პირველი ივნისიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

c) დამტკიცებულ იქმნეს ასისტენტად სოფლის მეურნეობის მექანიკის კათედრასთან აგრონომი თელონ ლომოური, პირველი ივნისიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

d) გადარიცხულ იქმნეს ფიზიოლოგიის ასისტენტი შალვა მატათაშვილი თვისებითი ანალიზის ლაბორატორიის ასისტენტად.

დაადგინეს: გადარიცხულ იქმნა.

ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. თიკანაძე, ა. რაზმაძე, გ. ახვლედიანი, ს. ამირეჯიბი, ი. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, ქ. კეკელიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს საგანგებო¹

s x d o m i s d R i u r i .

№ 14

„19., ივნის 1920 წ.

(ჩვეულებრივი სხდომის დასრულების შემდეგ)
დაესწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი

პროფესორები: გ. მუხაძე, ა. რაზმაძე, კ. კეკელიძე, ს. ქურდიანი, შ. ნუცებიძე, ალ. ნათოშვილი, გ. ახვლე-დიანი, ს. ამირეჯიბი, ი. თიკანაძე, ა. ბერაშვილი, ა. ალადაშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. წუბინაშვილი, ი. ბერიბაშვილი, მ. წერეთელი, ალ. დიდებულიძე, ა. შანიძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდიგარი: ა. შანიძე

1. განიხილეს: ფარმაკოლოგიის პროფესორის ვარლამ მოსეშვილისა და მისი ასისტენტის აპოლონ ტყემალაძის საქმე (პროფ. ვარლამ მოსეშვილის მიერ წარმოდგენილი წიგნების ანგარიშის გამო).

დააღვინეს: პროფესორთა საბჭომ მოისმინა კერძო თაობირზე საგანგებოდ არჩეული კომისიის მოწევება პროფესორ ვარლამ მოსეშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ (იხ. ოქმი №11, პროფ. საბჭოს სხდომისა 29 მაისს 1920 წ.) და დარწმუნდა, რომ აქ იყო შემცდელობა ბოროტმოქმედების ჩადენისა, რომელ-შიაც მონაწილეობა უნდა მიედო მისს ასისტენტს აპოლონ ტყემალაძესაც. ამიტომ საქმის განხილვის შემდეგ პროფესორთა საბჭომ დადგინა:

1. წინადადება მიეცეს პროფესორ ვარლამ მოსეშვილს შემოიტანოს თხოვნა პროფესორის თანამდებობის განთავისუფლების შესახებ.

2. დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან ასისტენტი აპოლონ ტყემალაძე.

¹ ოქმი შედგენილია ტფილისის ხახულმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთებულ კომისიის ბლანკზე, ხელმისამართის საბიბლიოთებულ „საბიბლიოთებულ“ გადახაზულია და მედნით ა. შანიძის ხელით აწერია „პროფესორთა საბჭოს საგანგებო“

შენიშვნა: გამოთქმულიყო კერძო აზრი (პროფ. გიორგი ახვლედიანის მიერ), რომ მითქმა-მოთქმისა და ყოველგვარი უსიამოგნების თავიდან ასაცილებლად ეს ამბავი ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს საიდუმლოდ.

ივ. ჯავახიშვილი, გ. მუხაძე, ა. რაზმაძე, პ. პეტლიძე, ს. ქურდიანი, შ. ნუცუბიძე, ალ. ნათიშვილი, გ. ახვლედიანი, ს. ამირეჯიბი, ი. თიკანაძე, ა. ბენაშვილი, ალადაშვილი, ქ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, მ. წერეთელი, ა. დიდებულიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 15

, 30,, ივნისს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: ა. ბენაშვილი, გ. მებელიძე, ს. ამირეჯიბი.

პროფესორები: ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე,
ს. ავალიანი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. რაზმაძე, ი. ბერიებაშვილი,
ალ. ოვალჭრელიძე, ს. ქურდიანი, იასონ
მოსეშვილი, ალ. ნათიშვილი, ი. თიანაძე,
ალ. ალადაშვილი, გ. მუხაძე

დოცენტები: არჩ. ხარაძე, ნ. ყიფიანი.

თაგმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. განიხილებს: წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა ოქმი №13

1. განიხილებს: კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი დროებითი
წესებისა, რომელთაც საშუალება უნდა მოგვცეს უკვე მიღებული
წესდებით გათვალისწინებულ ნორმალურ მდგომარეობაში გადა-
ვიდეთ.

დაადგინეს: მიღებულ იქმნა.

2. განიხილებს: უნივერსიტეტის წესდების განხილვა (მართვა-გამგე-
ობის ორგანოები).

დაადგინეს: მიღებულ იქმნა ის მუკლები, რომლებიც რექტორს
შეეხება.

3. განიხილებს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს საზოგადო გეოგრაფიისა და
ანთროპოლოგიის კათედრაზე ალექსანდრე ჯავახიშვილი.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და ალექსანდრე
ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი არჩეულ იქმნა (ერთგმად, ერთმა
თავი შეიკავა) პროფესორად საზოგადო გეოგრაფიისა და ანთრო-
პოლოგიის კათედრაზე, პირველი ივნისიდან.

- 4. განიხილებს:** საფარმაცევტო განყოფილების სასწავლო გეგმა, წარმოდგენილი სამკურნალო ფაქულტეტის მიერ. დროებით დასამზადებლად.
- დაადგინეს:** დამტკიცებულ იქმნა.
- 5. განიხილებს:** სააგრონომო ინსტიტუტის პროექტი.
- დაადგინეს:** დაევალოს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტს, შეიკრიბოს ხვალ, 1 ივნისს, და საჩქაროდ წარმოუდგინოს საბჭოს თავისი დასკვნა პროექტის შესახებ.
- 6. განიხილებს:** სწავლისა და გამოცდების დაწყება შემოდგომის სემესტრში და მისი დასრულება (ფაქულტეტის მოწევების გამო).
- დაადგინეს:** გამოცდები წევება პირველ ენკენისთვეს, თავდება ოცს; ლექციების კითხვა იწყება პირველ ოქტომბერს;
- ოციდან ენკენისთვის ბოლომდე სწარმოებს სტუდენტთა ჩაწერა ლექციებზე.
- პირველი სემესტრი დასრულდეს 30 (ოცდაათ) დეკემბერს.
- 7. განიხილებს:** სახალხო განათლების სამინისტროს მოწერილობა, არჩეულ იქმნეს კომისია პოლიტენიკური ინსტიტუტის მდგომარეობის გამოსარკვევად.
- დაადგინეს:** კომისიაში არჩეულ იქმნენ: პროფ. ა. რაზმაძე და ნ. ყიფიანი.
- 8. განიხილებს:** უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კავშირის გამგეობის მომართვა ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
- დაადგინეს:** პროფესორთა საბჭო პფიქრობს, რომ მის განკარგულებაში მყოფ ცნობათა მიხედვით, საგანგებო შუამდგომლობის აღძრვა სათანადო დაწესებულების წინაშე ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ უამად ნაყოფს ერ გამოიდებს.
- 9. განიხილებს:** სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნა, მგარი დაუჭიროს პროფესორთა საბჭომ მათ თხოვნას სამინისტროს წინაშე, რომ დაარსდეს სტიპენდიები სტუდენტებისათვის.
- დაადგინეს:** შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.
- 10. განიხილებს:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის მოწევების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ დარგების მიხედვით.
- დაადგინეს:** დამტკიცდა იმ განსხვავებთ, რომ ფაქულტეტის მიერ ორ დარგად წარმოდგენილი წმ. ქიმიისა და ქიმიური ტეხნოლოგიის საგნები ერთ დარგში იქმნა მოქცეული („ქიმია“).
- 11. განიხილებს:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის მოწევება, რომ მომავალ სასწავლო წელს საშუალო სკოლაში

კურსს დამთავრებულნი ჩარიცხულ იქმნენ საერთო წესების მიხედვით და დამატებითი გამოცდები კი არ მოეთხოვოს.

დაადგინეს: დადასტურებულ იქმნა.

12. განიხილეს: იმავე ფაქულტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი სამათემატიკო განყოფილების მესამე კურსის სასწავლო გეგმისა.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა

13. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის შუამდგომლობა, დაეხიშნოს პროფ. მ. წერეთელს შემოდგომის სემესტრიდან დამატებითი სარგო, რადგანაც მას დავალებული აქვს ფაქულტეტის მიერ დაქციების კითხვა ასურულ ენაში.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

14. განიხილეს: საბჭოს მდივნის ა. შანიძის თხოვნა, განთავისუფლებულ იქმნეს მდივნის მოვალეობის ასრულებისაგან ზაფხულში, ვინაიდან იგი სვანეთში მიემგზავრება სამეცნიერო მიზნით.

დაადგინეს: განთავისუფლებულ იქმნეს პირველ სექტემბრამდე.

14. განიხილეს: უნივერსიტეტის მოამბის გამოცემის საქმე.

დაადგინეს: თანაკმად სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის მოვსენებისა, პროფესორთა საბჭომ დაადგინა:

ა) უნივერსიტეტის ორგანოს გამოცემის კელმძღვანელად და პასუხისმგებლად უნდა იყოს ერთი პირი;

ბ) სარედაქციო კოლეგია უნდა შედგებოდეს ფაქულტეტის წარმომადგენელთაგან;

გ) მოწვეულ იქმნეს საგანგებო კორექტორი, და უკანასკნელ,

დ) სასურველია, რომ კელმძღვანელ რედაქტორად სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის წარმომადგენელი იყოს.

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბერიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ექ. თავიშვილი, ა. რაზმაძე, ალადაშვილი, ა. შანიძე, ს. ამირეჯიბი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 16

, 1., ივლისს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი, პროფ. ი. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. კ. პეპელიძე, ა. ბენაშვილი, ს. ამირეჯიბი
პროფესორები: ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ა.
შანიძე, ი. ბერიბაშვილი, იასონ მოსეშვილი, ალ.
თვალჭრელიძე, ა. რაზმაძე, ალ. ალადაშვილი, გ.
მუხაძე

დოცენტები: ნ. ყიფიანი, ა. ხარაძე

თავჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქმი (№16)¹

1. განიხილეს: სააგრონომიო ინსტიტუტის პროექტი, წარმოდგენილი სამათემატიკო-საბუნების მეცნიერებლო ფაკულტეტის მიერ.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქმნა.

2. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოწსენება, რომ კონკურსმა სასურველი შედეგი არ მოიტომ სასურველია, უცხოეთიდან მოწვეულ იქმნენ პროფესორები თავისუფალ კათედრებზე.

დაადგინეს: გაეგზავნოს მიმართვა პროფესორთა კავშირებს ევროპაში, დაასახელონ სასურველი კანდიდატები თავისუფალ კათედრებზე და პასუხის შემდგბ უკეთუ საჭირო იქმნეს, გაიგზავნოს საგანგებოდ კაცი.

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა გამოცდა ფიზიოლოგიაში (სამკურნალო ფაკულტეტის მიერ აღმრული საკითხი).

დაადგინეს: დაევალოს სამკურნალო ფაკულტეტს გამონახოს საშუალება სტუდენტთა გამოცდისათვის: უკეთუ, მაგალითთად, პროფ. ი. ბერიბაშვილს შეუძლებლად მიაჩნია გამოცდების

¹ აღბათ უნდა იყოს № 15

მოგდენა, მაშინ გამოცდები მოაგდინონ მოსამზღვრე დარგების სპეციალისტებმა.

4. განიხილეს: ვარლამ პავლეს ძის მოსეშვილის თხოვნა განთავისუფლებულ იქმნეს პროფესორის თანამდებობისაგან.

დადგინეს: თხოვნა შეწყნარებულ იქმნა.

კ. კეკელიძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, ა. ხარაძე, ალადაშვილი,
ი. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე, ს. ამირეჯიბი, ა. შანიძე

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 17

„7., ენერისთვეს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორის მოადგილე, პროფ. პ. კეკელიძე,
დეკანები: სიმონ ამირეჯიბი და ა. ბენაშვილი.
პროფესორები: გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე,
ლ. უზნაძე, ს. ქურდიანი, ა. დიდებულიძე, ი. ბერი-
ტაშვილი, ა. რაზმაძე, ნ. სალტიკოვი, ა. ნათიშვი-
ლი, ნ. კახიანი, ა. ალაძაშვილი.
დოცენტები: ა. ხარაძე, ნ. ყიფიანი, კ. ამირეჯიბი, ი. ფიგუ-
როვსკი.

თავმჯდომარე: კ. კეკელიძე

მდიგარი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი (№16)

დააღვინეს: დამტკიცდეს.

1. განიხილეს: მთავრობის წინადადება, მოეწყოს საკელმწიფო
უნივერსიტეტთან პარალელური კურსები რუსულ ენაზე იმ სტუ-
დენტთათვის, რომელნიც სწავლობდენ ყოფილ ამიერკავკასიის
კერძო უნივერსიტეტში.

დაადგინეს: 1) იმ სტუდენტთათვის, რომელნიც სწავლობდენ ყო-
ფილ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტში, ტფილისის საკელ-
მწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტისა და საბუნე-
ბისმეტყველო ფაკულტეტის მეორესა და მესამე კურსებზე მოეწ-
ყოს პარალელური განყოფილებანი რუსულს ენაზე. რაიცა შეეხე-
ბა მეოთხე კურსს, რომელიც ამიერკავკასიის კერძო უნივერსი-
ტეტში არც არსებობდა ფაკტიურად, საკითხი ამის შესახებ დია-
დარჩეს ამ კურსის საკელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზაციის
დაბოლოვებამდე.

2) საექიმო ფაკულტეტის პარალელურ განყოფილებაში მეცადინე-
ობა როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწარმოქმდეს ცალკე,
იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამა თუ იმ საგანში, საკელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რუსულად იკითხება დექციები;
ხოლო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე – იმის მიხედვით, თუ
რამდენი სტუდენტი შემოვა პარალელურ განყოფილებაში.

- 3) ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები საკელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურ განყოფილებაში მიიღებიან თანაცმად იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც დაკანონებულია საკელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთავის.
- 4) ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მსახურთაგან მოწვეულ იქმნენ საკელმწიფო უნივერსიტეტში, საერთო წესით, ის პირი, რომელნიც საჭირო აღმოჩნდებიან უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებით პარალელურ განყოფილებათა განვითარების შემდეგ და რომელნიც ამასთანავე აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებათ, რომელთაც საკელმწიფო უნივერსიტეტი უკენებს თავის მასწავლებელთა და მსახურთ.
- 5) პარალელურ კურსებზე სწავლის სათანადოდ მოსაწყობად სასურველია მთელი ინვენტარი ყოფილის ამიერკავკასიის უნივერსიტეტისა საკელმწიფო უნივერსიტეტს გადმოყვეს.
- 6) ვინაიდან პარალელურ განყოფილებათა მოწყობა რესპუბლიკის მთავრობისაგან მოითხოვს ზემდეგ ხარჯებს, საკელმწიფო უნივერსიტეტში გადმორიცხეულ ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მსმენელთავის სწავლის ფულის ნორმის გამორკვევა მიენდოს უნივერსიტეტის გამგეობას სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.
- 7) პარალელური განყოფილებიდან ძირითადში სტუდენტთა გადმორიცხვა შეიძლება, ხოლო ძირითადიდან პარალელურში გადარიცხვა კი არა.
- 8) დაევალოს უნივერსიტეტის გამგეობას პარალელურ განყოფილებაზე ჩარიცხვის მსურველთა თხოვნების მიღება ამა სექტემბრის ოცდახუთამდე აწარმოვოს.
- 2. განისილებს:** სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა:
- ა) ექიმი ნ. ფალიაშვილი დამტკიცებულ იქმნეს სასანიტრო ინსტიტუტის ასისტენტად პირველი აგვისტოდან.
- დაადგინებს:** შეწყნარებულ იქმნა
- ბ) ექიმი ზაქ. ბაქრაძე დამტკიცებულ იქმნეს პიგიენის კათედრის ასისტენტად თხუთმეტი სექტემბრიდან.
- დაადგინებს:** შეწყნარებულ იქმნა.
- ც) დამტკიცებულ იქმნეს შტატს გარეშე ლაბორანტად ფარმაციის მაგისტრი კუციის პიგიენის კათედრასთან.
- დაადგინებს:** შეწყნარებულ იქმნა.
- 3. განისილებს:** სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა, დამტკიცებულ იქმნეს პროფ. ნ. კახიანი საფერსლო სკოლის გამგედ (დროებით, ვიდრე სკოლის ლიკვიდაცია დასრულდებოდეს), და დაევალოს მას სკოლის შენობისა და ინვენტარის ჩაბარება და

სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა ამგვარი საკითხების გადაწყვეტა.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

4. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოწსენება, რომ დეკანმა პროფ. ს. ამირეჯიბმა თხოვნა შეიტანა ფაკულტეტში, განთავისუფლებულ იქმნეს იგი დეკანის მოვალეობის შესრულებისაგან ავათმყოფობის გამო.

დაადგინეს: მიღებულ იქმნა ცნობად.

ა. პეპელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ს. ამირეჯიბი, ხ. ქახიანი, ი. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე, გ. მუხაძე, ა. ხარაძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 18

„14., ენერისთვეს 1920 წ.

დაესწრო: რექტორის მოადგილე, პროფ. პ. კეკელიძე,
 დეკანები: ა. ბენაშვილი და ს. ამირეჯიბი.
პროფესორები: შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე,
 ა. შანიძე, ი. ბერიტაშვილი, ა. თვალჭრელიძე, ნ.
 კახიანი, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე
დოცენტები: ნ. ყიფიანი, ა. ხარაძე

თავმჯდომარე:

მდიგანი:

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

დაადგინეს: დამტბიცდა.

1. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა არჩეულ იქმნეს პროფესორი იაკობ ათანასეს ქე ანფიმოვი ნერვებისა და ფსიქიატრიის კათედრაზე სამის წლით.

დაადგინეს: იაკობ ათანასეს ქე ანფიმოვი არჩეულ იქმნა პროფესორად ერთის წლით (1920/21 სააკადემიო წლის განმავლობაში) ნერვებისა და ფსიქიატრიის კათედრაზე (ცხრა თეორი და ორი შავი, ერთმა თავი შეიკავა).

2. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატობან (ალექსანდრე გიორგის ქე მაჭავარიანი და ალექსანდრე ვლადიმერის ქე ტიხონოვიჩ) არჩევა გამგისა ქირურგიული კლინიკისათვის.

შენიშვნა წაკითხულ იქნა ორთავე კანდიდატის curriculum vitae და დასკვნები რეცენზენტებისა მათი შრომების შესახებ.

დაადგინეს: ალექსანდრე მაჭავარიანმა მიიღო თერთმეტი თეორი, და ერთმა თავი შეიკავა;

ხოლო ალექსანდრე ტიხონოვიჩმა მიიღო ოთხი თეორი, ექვსი შავი და ორმა თავი შეიკავა.

ამგვარად, ქირურგიული კლინიკის გამგედ არჩეულ იქმნა ალექსანდრე გიორგის ძე მაჭავარიანი.¹

3. განიხილებს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა არჩეულ იქმნეს გასილ დიომიდეს ძე მალებიშვილ პროფესორად ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრაზე ერთის წლით.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა ერთგმად ერთის წლით (1920/21 წლის განმავლობაში).

4. განიხილებს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს პროფ. ალექსანდრე ალადაშვილი ფაკულტეტის დეკანად, ნაცვლად ს. ამირეჯიბისა.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

5. განიხილებს: ამავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, დამტკიცებულ იქმნეს

a) პროფ. სიმ. ამირეჯიბი პიგიენის კათედრის დროებით გამგედ

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

b) პროფ. ალ. ალადაშვილი ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის დროებით გამგედ.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

6. განიხილებს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

a) გადარიცხულ იქმნეს ექიმი შალვა მიქლაძე თერაპიული კლინიკის ასისტენტად.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა

b) დამტკიცებულ იქმნეს ექიმი ქ. მუჯირი ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად პირველი ივლისიდან.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

c) დამტკიცებულ იქმნეს ექიმი ს. ყიფშიძე ნერვების კლინიკის ასისტენტად.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა

7. განიხილებს: „უნივერსიტეტის მოამბის“ პასუხისმგებელი რედაქტორის არჩევა.

დაადგინებს: თანაკმად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წინადაღებისა, უნივერსიტეტის მოამბის პასუხისმგებელ რედაქტორად აირჩია პროფ. ა. შანიძე.

8. განიხილებს: პროფ. პ. პეპელიძის მოგსენება, რომ სახალხო განათლების სამინისტროს ესაჭიროება მასწავლებლები საშუალო სკოლისათვის და ეთხოვთ უნივერსიტეტს დაწმარება აღმოუჩინოს რაიმე სახით.

¹ შენიშვნის გრაფაში მიწერილია: „დამტკიცებულია დოცენტიად. პროფ. პ. პეპელიძე“

დაადგინეს: უნივერსიტეტის საბჭო იზიარებს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის აზრს, რომ ეს დაწმარება განტორციელდეს საპედაგოგიო ფაკულტეტის საშუალებით.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს ეს ტეხნიკურად, მიენდოს კომისიას, რომელშიაც შედიან: პროფ. დ. უზნაძე, გ. ახ-ვლედიანი და შალვა ნუცუბიძე.

9. განიხილეს: საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვეპყრათ იმ სტუდენტებს, რომელთაც გამოცდები არ ჩაუბარებიათ აქამომდე სავალდებულო საგნებში.

დაადგინეს: სავალდებულო საგნებში გამოცდების ჩაბარების უფლება მიეცესთ შემოდგომის სემესტრის ბოლოს. დაევალოს ფაკულტეტებს გამოურკვიონ სტუდენტებს სავალდებულო საგნები და გამოცდები.

10. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოვსენება, რომ სამეურნეო განყოფილების სასწავლო გეგმაში, გარდა უკვე აღნუსხული საგნებისა უნდა შეტანილ იქმნეს: მეორე კურსზე ფიტოპათოლოგია

მესამეზე – პიდროტებენიკა

მეორეზე – მედვინეობა

დაადგინეს: ცნობად.

11. განიხილეს: რექტორის მოადგილემ პროფ. კორნ. კეკელიძემ მოაწეხნა საბჭოს, რომ ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით ყოფილის ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის ქონება უნდა გადმოეცეს საპედაგო უნივერსიტეტს.

დაადგინეს: დაევალა გამგეობას, ჩაიბაროს ქონება სხვადასხვა კათედრების წარმომადგენელთა დაწმარებით.

ბ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ი. თიკანაძე, მუხაძე, ი. ბერიტაშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 19

„15,, ოქტომბერს 1920 წ.

დაესწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი
დეკანები: პროფ. პ. ავალიძე, ა. ბერიშვილი, ა. ალაძაშვილი
პროფესორები: ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, დ.
 უზნაძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, ნ.
 სალტიკოვი, ი. მოსეშვილი, ი. ბერიტაშვილი, ალ.
 ჯავახიშვილი, ა. დიდებულიძე, ს. ქურდიანი. ალ. ნა-
 თიშვილი, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე, ს. ამირეჯიბი
დოცენტი: ა. ხარაძე.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

- 0.** წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქთი (№18)
1. **განიხილეს:** პროექტი დებულებისა ტფილისის საპედაგოგიო ინ-
 სტიტუტთან ერთწლიანი კურსების დაარსებისათვის, რათა საშუა-
 ლო სასწავლებელთათვის მასწავლებლების მომზადება დაჩქარე-
 ბულ იქმნეს.

- დაადგინეს:** პროექტი დამტკიცებულ იქმნა.
2. **განიხილეს:** სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა
 და სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა გაუმჯობესებულ
 იქმნეს სამეცნიერო პერსონალის (განსაკუთრებით კი უმცროს
 მასწავლებელთა) ქონებრივი მდგომარეობა.

- დაადგინეს:** ა) აღიძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა
 უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის მდგომარეობა გაუმჯო-
 ბესებულ იქმნეს.

ამისთვის ამორჩეულ იქმნა კომისია, შემდგარი სამი პირისაგან
 (პროფ. პ. ავალიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი და შ. ნუცუბიძე)
 და მას უნდა შეუერთდეს სამი წარმომადგენელი უმცროს მასწავ-
 ლებელთა კავშირისა. ეს დელგაცია წარუდგეს მთავრობას და
 აუკისნას პროფესორ-ასისტენტთა გაჭივრებული მდგომარეობა.

ბ) გამოყოფილ იქმნეს პროფესორთა საბჭოსაგან რამოდენიმე
 პირი (პროფ. შ. ნუცუბიძე, პ. ავალიძე და გ. ახვლედიანი), რათა

მათ დაევალოს, გამონახონ საშუალება შინაურულის გზით (მაგალ. სურსათ-სანოვაგისა, შეშისა თუ სხვა რამის დროზე შექმნით) უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

3. განიხილეს: პროექტი უმცროს მასწავლებელთა კავშირის წელისა.

დაადგინეს: წესდების პროექტი დამტკიცებულ იქმნა მეორე პარაგრაფის პირველისა (ა) და მეორე (ბ) შექმნის გამოტოვებით.

წინადადება მიეცეს კავშირს, რომ შემოიტანოს საბჭოში თავისი აზრი, თუ როგორ შეიძლება განკორციელდეს მათი წარმომადგენლობა ფაკულტეტებსა, პროფესორთა საბჭოსა და გამგეობაში.

4. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს პროფესორი მ. გ. დოფნარ-ზაპოლაკი სტატისტიკის კათედრაზე.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და პროფ. მ. ვ. დოფნარ-ზაპოლაკი არჩეულ იქმნა სტატისტიკის კათედრაზე (17 თეორი და 2 შავი) სამის წლით, დღიდან მოვალეობის ასრულების დაწყებისა.

5. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიგამტოვი პროფესორად მსოფლიო ისტორიის კათედრაზე.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და ბ. მიხეილ ა. პოლიგამტოვი არჩეულ იქმნა პროფესორად (16 თეორი და 3 შავი) მსოფლიო ისტორიის კათედრაზე სამის წლით, პირველი ოქტომბრიდან.

6. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს თეორიული მექანიკის კათედრაზე პროფესორის მოადგილედ ბ. ნიკო მუსხელიშვილი.

შენიშვნა: რადგანაც უნივერსიტეტის წესდების ძალით არ შეიძლება ვისიმე პროფესორად არჩევა, თუ ხარისხი არა აქვს, ამიტომ აქნები ეყარა ღოცენტობაზე.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა ბ-ნი ნიკო მუსხელიშვილი დოცენტად (17 თეორი და 1 შავი; ერთმა თავი შეიკავა) პირველი სკრტემბრიდან.

წინადადება მიეცა ფაკულტეტს აღმრას შუამდგომლობა საბჭოს წინაშე, რათა დოცენტ ნიკო მუსხელიშვილს, როგორც პათედის გამგეს, დაენიშნოს პროფესორის ჯამაგირი.

7. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს თეორიული ფიზიკის კათედრაზე ბ-ნი ლეონიძე სამუშალის ძე ლეიბენზონი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაუბრუნდეს ფაკულტეტს და ეთხოვოს, ჯერ წარმოადგინოს საბჭოში, დასამტკიცებლად პრინციპია-ლური საკითხი: დაარსდეს მეორე პროფესურა ფიზიკის კათედრაზე და მხოლოდ შემდეგ იქმნეს წარმოდგენილი ესა თუ ის კანდიდატურა.

8. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოწევნება კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე კონკურსის შედეგებისა და მედიცინის დოქტორის სპირიდონ ვირსალაძის არჩევნების შესახებ.

დააღვინეს: საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რადგანაც საბჭოში არ იყო წარმოდგენილი მეორე რეცენზია.

9. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოწევნება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს გინეკოლოგიისა და მეანობის კათედრა.

დაადგინეს: საბჭომ დაადასტურა ფაკულტეტის გადაწყვეტილება, რომ მოეწყოს ორი კლინიკა: ერთი სპეციალურად გინეკოლოგიისა და მეორე მეანობისა.

10. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს მეანობის კლინიკის გამგე პროფესორად მედიცინის დოქტორი ივანე თოკანაძე.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და ბ-ნი იგანეთიანადე არჩეულ იქმნა (14 თეორი და 3 შავი; ერთმა თავი შეიკავა) მეანობის კლინიკის გამგე პროფესორად.

11. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს მედიცინის დოქტორი გაბრიელ გრიგოლის ძე დამბარაშვილი გინეკოლოგიის კლინიკის გამგე პროფესორად.

დაადგინეს: შუამდგომლობის თანახმად, ბ. გაბრიელ დამბარაშვილი არჩეულ იქმნა (16 თეორი და 1 შავი) გინეკოლოგიური კლინიკის გამგე პროფესორად პირველი სექტემბრიდან.

12. განიხილეს: დამტკიცებულ იქმნეს დროებით ასისტენტად ფიზიკის კათედრასთან ბ-ნი ალექსანდრე გრიგოლის ძე ალფომოვი, პირველი ოქტომბრიდან.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

13. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოწევნება, რომ ლექციების კითხვა კერძო მიწათ-მოქმედების სა-

განში მინდობილი აქვს სამეურნეო მექანიკის ასისტენტის თულონლომოურს.

დააღინეს: დადასტურებულ იქმნა.

14. განიხილეს: რექტორის, პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოწევნება, რომ გამგეობას მოუვიდა განსვენებულის პროფ. იოსებ ყიფშიძის ქვრივის განცხადება ქონებრივი გაჭირების შესახებ და გამგეობის აზრია მიეცეს მას მთლად ის თანხა, რომელიც განსვენებულის პროფესორის სახელობის ფონდს შეადგენს.

დაადგინეს: საბჭომ დაადასტურა გამგეობის აზრი და დაადგინა, მიეცეს განსვენებული პროფესორის ქვრივს ქ-ნ ევგენია ყიფშიძისას მთელი თანხა, რომელიც პროფ. იოსებ ყიფშიძის ფონდს წარმოადგენს.

ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ა. დოლებულიძე, ალ. ჯავახიშვილი, ა. ხარაძე, ს. ქურდიანი, ა. ალადაშვილი

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 20

, 29,, ოქტომბერს 1920 წ.

დაესწრო: რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

დეკანები: პროფ. პ. კეპელიძე, ალ. ალადაშვილი

პროფესორები: გ. ჩუბინაშვილი, შ. ნუცუბიძე, გრიგ. წერეთელი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ა. მანუილოვი, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, პ. მელიქიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, ალ. ჯავახიშვილი, ალ. დიდებულიძე, ა. რაზმაძე, ა. ნათოშვილი, გ. მუხაძე, ნ. კახიანი, ს. ამირეჯიბი, ი. თიკანაძე, გ. დამბარაშვილი.

დოცენტები: ა. ხარაძე, ა. მაჭავარიანი, დ. გედეგვანიშვილი.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: ა. შანიძე

0. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების ოქთი (N^o19)

1. განიხილეს: ბ-6 დავით დამბაშიძის მიერ რექტორის თ. ჯავახიშვილის სახელზე გამოგზავნილი წერილი (დაწერილი რომს, 25 აგვისტოს 1920 წ.), სადაც იგი აღნიშნავს, რომ მის მიერ დაკვეთილია უნივერსიტეტისათვის სხვა-და-სხვა სალაბორატორიო ნივთები საზღვარგარეთ და ამიტომ საჭიროა შეტანილ იქმნეს ოსმალეთის ეროვნულ ბანკში სათანადო თანხა, რომელიც უდრის ერთ მილიონს, სამას სამოცდა რვა ათას შვიდას ორმოცდა ჩვიდმეტ მარკას.

დაადგინეს: ეთხოვთ სათანადო ფაულტეტების დეპარტამენტისა და იმ კათედრების წარმომადგენელთ, რომელთაც საზღვარგარეთიდან ბ. დავით დამბაშიძის საშუალებით სალაბორატორიო ნივთები დაიბარეს, წარუდგენ მთავრობას და აუქსნან საქმის ვითარება, რათა გამონახულ იქმნეს საშუალება შენაკვეთი ნივთების ვალის გასასტუმრებლად.

2. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა და სამუშარნალო ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა პარალელური კურსებისათვის მიმდინარე სააკადემიო წლის განმავლობაში.

დაადგინეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტის ეთხოვა, აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეამოკლოს, რამდენადაც შეიძლება, ხარჯები, და რადგანაც საქმე დაწეარებას ითხოვს, ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვა, შემოკლებული სახით, გამგეობაში იყოს პირდაპირ წარდგენილი.

3. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, დაწესდეს ორი პროფესურა ფიზიკის კათედრაზე.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა.

4. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს მეორე პროფესორად ფიზიკის კათედრაზე ლეონიდე სამუქალის ძე ლეიიძენზონი.

დაადგინეს: თანაცმად შუამდგომლობისა, ბ-ნი ლეონიდე ლეიიძენზონი არჩეულ იქმნა (20 თეთრი და 3 შავი), სამი წლის ვადით, მეორე პროფესორად ფიზიკის კათედრაზე, პირველი ნოემბრიდან.

5. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის საგანში ლექციების კითხვა დროებით, ერთის წლის ვადით, მიენდოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ექსტრაორდინარ პროფესორს იოაკიმე ბედელიანს, როგორც კერძოდ დაქირავებულ პირს.

დაადგინეს: ეთხოვოს ფაკულტეტს, პლავ იქონიოს მსჯელობა მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის საგნის უზრუნველსაყოფელად.

6. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა, ხოლოოგიის საგანში ლექციების კითხვა და აგრეთვე პრაქტიკული მუშაობის კელმდღვანელობა და ლაბორატორიის მოწყობა დროებით, ერთის წლით, მიენდოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დოცენტს სიმონ იუზაბაშიანს, რგორც კერძოდ დაქირავებულ პირს.

დაადგინეს: შუამდგომლობა არ იქნა შეწყნარებული.

7. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, გათანასწორებულ იქმნეს ასისტენტის მიხეილ შალამბერიძის მიერ ლეიიძიგის უნივერსიტეტში მოპოვებული დოქტორის ხარისხი ტფილისის საქელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა (კენჭის ყრის დროს თეთრი მიიღო 19, შავი არცერთი, ხოლო თავი შეიძავა ორმა).

8. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოგსენება კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე კონკურსის შედეგებისა და მედიცინის დოქტორის სპირიდონ ვირსალაძის არჩევის შესახებ.

დაადგინეს: მედიცინის დოქტორი სპირიძონ ვირსალაძე არჩეული იქნა (თოთხმები თეთრი და რვა შავი) დოცენტად კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრაზე პირველი ნოემბრიდან.

9. განიხილეს: სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, დამტკიცებულ იქმნეს ბ-ნი ალ. პარონ-სარქისოვი ბუსპალტერიის ლექტორად პირველი ნოემბრიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

10. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) დაენიშნოს პროფესორს ნ. სალტიკოვს დამატებითი სარგო ზედმეტი საგნის („ანალიტიკურ ფუნქციათა თეორია“) წაკითხვისათვის, პირველი ოქტომბრიდან.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქნა.

ბ) განეგრძოს დამატებითი სარგოს ძლევა პროფ. ა. რაზმაძეს ზედმეტი საგნის („რიცხვთა თეორია“) წაკითხვისათვის.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქნა

გ) დაენიშნოს დოცენტს ნიკო მუსხელიშვილს ვითარცა კათედრის გამგეს, პროფესორის ჯამაგირი.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქნა

11. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) ზედმეტი საგნის წაკითხვისათვის დამატებითი სარგოს დანიშნვის დროს მხედველობაში მიღებული იქმნეს სალექციო საათების რიცხვი.

დაადგინეს: ეთხოვოს ფაკულტეტებს აირჩიონ წარმომადგენლები კომისიაში, რომელსაც ევალება გამოარყიოს და შეიმუშაოს წესები, რომლითაც უნდა პელმძღვანელობდეს სამერმისოდ გამგეობა დამატებითი სარგოების გაცემის დროს.

ბ) დამტკიცებულ იქმნეს ნუსხა ჩასაბარებელი გამოცდების მინიმუმისა, წარმოდგენილი სამისავე განყოფილებისათვის.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

12. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) დამტკიცებულ იქმნეს ინკ. სილიბისტრო ფილატოვი დროებით ლექტორად მედვინების საგანში, პირველი ნოემბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნა

ბ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ლექტორად ბეითლობის საგანში ბ-ნი მიხეილ ვარცვანიძე, პირველი ნოემბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა

გ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ლექტორად პიდროტეხნიკოსა და საინჟინრო პელმძღვანებათა საგანში ინკ. გრიგოლ ქუროანი, პირველი ნოემბრიდან.

დააღგინეს: დამტკიცებულ იქმნა

დ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ლექტორად ფიტოპათოლოგიის საგანგმო ნიკოლოზის ძე ვარონისინი, პირველი ოქტომბრიდან.

დააღგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

13. განიხილეს: საგამომცემლო თანხის გარშემო.

რექტორმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მოაწენა პროფესორთა საბჭოს, რომ საგამომცემლო თანხა უკვე დაილია და, თუ არ აღმოჩენილ იქმნა რაიმე წყარო, წიგნების ბეჭდვა შეჩერდებაო.

დააღგინეს: ადიძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა უნივერსიტეტის გამოცემებისთვის გადადებულ იქმნეს კიდევ ხუთი მილიონი მანეთი.

ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, გ. წერეთელი, გ. ახვლევიანი, ა. ხარაძე, ს. ამირეჯიბი, გ. დამბარაშვილი, ა. მაჭავარიანი, ა. ალადაშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. თიკანაძე, გ. მუხაძე, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 21

„12., ნოემბერს 1920 წ.

დაესწრო: რექტორი, პროფ. ი. ჯავახიშვილი

დეკანები: ქ. ქეკელიძე, ა. ალაძე შვილი.

პროფესორები: გ. ჩუბინაშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხ.

წერეთელი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე, ი. ბერიძაშვილი, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე, ს. ამირეჯიბი, გ. დამბარაშვილი

დოცენტები: ა. ხარაძე, ნ. ყიფიანი, ა. მაჭავარიანი, ნ. მუსხელიშვილი

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდიგარი: ა. შანიძე

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი (N^o 20)

დაადგინეს: დამტკიცდა.

1. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა, არჩეულ იქმნეს ფსიქიატრიული კათედრის დოცენტად და ამავე კლინიკის გამგედ ექიმი მიხეილ ასათიანი და დაენიშნოს მას პროფესორის სრული სარგო.

დაადგინეს: ექ. მიხეილ ასათიანი არჩეულ იქმნა (თერთმეტი თეთრი და სამი შავი, ერთმა თავი შეიკავა) დოცენტის მოვალეობის აღმასრულებლად ფსიქიატრიულ კათედრაზე და ამავე კლინიკის გამგედ.

სარგოდ თანავარდ შუამდგომლობისა, დაენიშნა პროფესორის ჯამაგირი.

2. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, დამტკიცებულ იქმნეს ექიმი მიხეილ მზარეულიშვილი ვენერიულის და კანის სნეულებათა კათედრის ლექტორად და დაენიშნოს მას დოცენტის ჯამაგირი, პირველი ნოემბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა, პირველი ნოემბრიდან, დროებით ლექტორად.

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) დამტკიცებულ იქმნეს ექ. სერგო ხუნდაძე ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის ასისტენტად 18 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ბ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. ვალერიან კაკოიშვილი ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

გ) დამტკიცებულ იქმნეს პროფიზორი ნიკოლოზ მასხულია ფარმაციისა და ფარმაკოგნოზის კათედრაზე ასისტენტად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა

დ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. მიხეილ მგალობლიშვილი გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ე) დამტკიცებულ იქმნეს ექ. თამარ აბაშიძე ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის ლაბორატორიად პირველი ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ვ) გადარიცხულ იქმნეს სამკურნალო დიაგნოსტიკის კლინიკის ორდინატორი ექ. ნიკო მახვილაძე ამავე კლინიკის ლაბორატორიის თანამდებობაზე.

დაადგინეს: გადარიცხულ (დამტკიცებულ) იქმნა

ზ) გადარიცხულ იქმნეს სამეცნო კლინიკის ორდინატორი ავაგენიშვილი ამავე კლინიკის ლაბორატორიის თანამდებობაზე.

დაადგინეს: გადარიცხულ იქმნა.

ჟ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. სერგო ზედვინიძე ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის ორდინატორად 18 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

თ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. ვანე ალადაშვილი ფაკულტეტის თერაპევტული კლინიკის ორდინატორად 18 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ი) დამტკიცებულ იქმნეს ექ. ნიკოლოზ ყიფშიძე ფაკულტეტის თერაპევტული კლინიკის ორდინატორად 18 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ია) დამტკიცებულ იქმნეს ექ. აკოლონ ჭეიშვილი ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის ორდინატორად 18 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

იბ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. მიხეილ ტყემალაძე სამკურნალო დიაგნოსტიკის კლინიკის ორდინატორად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

იგ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. პეტრე სარაჯიშვილი ნერვული კლინიკის ორდინატორად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

იდ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. ჰეტრე ქავთარაძე ნერვული კლინიკის ორდინატორად 25 ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნეს.

4. განიხილეს: პროფ. აჭაკი შანიძის თხოვნა განთავისუფლებულ იქმნეს პროფესორთა საბჭოს მდივნის მოვალეობისაგან უნივერსიტეტის სხვა საქმეებით დატვირთულობის გამო.

დაადგინეს: თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და გამოეცხადა მაღლობა აქამომდე სამდივნო საქმეების წარმოებისათვის.¹

¹ იუმი ხელმოუწერულია.

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 22¹

„3,, დეკემბერს 1920 წ.

დაქსწრო: რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი

დეკანები პროფესორები: ქ. კებელიძე, ი. ალაძაშვილი², ა. ბერაშვილი.

პროფესორები: გ. ახვლედიანი, შ. ნუცებიძე, პოლიეგპტოვი³, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, პ. მელიქიშვილი, ა. რაზმაძე, ი. ბერიტაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ს. ქურდიანი. ი. თიკანაძე

დოცენტები: ა. ხარაძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. მაჭავარიანი, ი. ფიგუროვსკი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი **მდივნის მაგისტრ - აკ. შანიძე**

0. განიხილეს: წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი.

დაადგინეს: დამტკიცდა.

00. განიხილეს: რექტორის პროფ. ივ. ჯავახიშვილის წინადადების თანახმად პროფესორთა საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული არტისტის ლადო ალექსი-მესხიშვილის კსოვგანას.

1. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

არჩეულ იქმნეს პროფესორად საზოგადო პათოლოგიის კათედრაზე პომდენ გრიგოლის ძე მეზერნიცკი, სამის წლით და მიეცეს პროფესორის სარგო 15 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: თანაკმად შუამდგომლობისა ბ. პომდენ მეზერნიცკი არჩეულ იქმნა (ერთგმად) საზოგადო პათოლოგიის კათედრაზე პროფესორად სამი წლის ვადით და დაენიშნა ჯამაგირი 15 ნოემ-

¹ ოქმი შედგენილი არ არის არც ა. შანიძისა და არც ქ. წერეთლის მიერ, კალიგრაფიის ავტორი უცნობია.

² უნდა იყოს ა. აღაძაშვილი.

³ სშირად ძირიანი წერს „პოლიეგპტოვი”, თავად კი ხელს აწერს როგორც „პოლიეგპტოვი”

ბრიდან, უკეთე თრი კვირის განმავლობაში მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

2. განიხილეს: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) დამტკიცებულ იქმნეს ქირურგიული პათოლოგიის ორდინატორად პირველი ნოემბრიდან 1920 წ.: ექ. ნიკოლოზ ანთელავა და ექ. ვლადიმერ ჩირგაძე.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

ბ) დამტკიცებულ იქმნეს ექ. ლეონტი ელიაშვილი გინეკოლოგიის ორდინატორად პირველი ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

გ) მიეცეს პროფ. ივანე ბერიტაშვილს დამატებითი სარგოს სახით 30% ჯამაგირისა (15%-ის ნაცვლად რომელიც ეძღვოდა), რადგანაც ის აწარმოებს პრაქტიკულ ვარჯიშობას ყოველ დღე თრს კურსზე.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა.

დ) მიეცეს დოცენტს ალექსანდრე მაჭავარიანს, როგორც კლინიკის ხელმძღვანელს პროფესორის სარგო დღიდან არჩევისა, ე.ო. 13 სექტემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: შეწყნარებულ იქმნა

3. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნების მეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა) არჩეულ იქმნეს დოცენტად ქიმიის კათედრაზე დოქტორი მიხეილ შალამბერიძე და განეგრძოს მას სტიპენდიის მიცემა, ვიდრე ლექციების კითხვას შეუდგებოდეს.

დაადგინეს: თანაგმად შუამდგომლობისა დოქტორი მიხეილ შალამბერიძე არჩეულ იქმნა (ერთგად) დოცენტად ქიმიის კათედრაზე და დოცენტის ჯამაგირი გაუზინეს დღიდან ამ თანამდებობაზე დამტკიცებისა, ე.ო. 3 დეკემბრიდან 1920 წ.

ბ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ლექტორად სამეცნიერო ეკონომიის საგნის წასაკითხავად ბ-ნი გიორგი გებრემანი პირველ დეკემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

გ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ლექტორად მცენარეთა ანატომიის და ფიზიოლოგიის საგნის წასაკითხავად ბ-ნი ვასილ ალექსანდროვი პირველ დეკემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

დ) დამტკიცებულ იქმნეს დროებით ასისტენტად ფიზიკური გეოგრაფიის კათედრასთან ბ-ნი ბესარიონ ყავრიშვილი პირველი დეკემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

4. განიხილებს: სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტის შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნებს ბერძნული ენის დროებით ლექტორად ბ. ათანასე ჯვარიშვილი პირველი დაკამბრიდან 1920 წ.

დაადგინებს: დამტკიცებულ იქმნა.

5. განიხილებს: სამათემატიკო-საბუნების მეტყველო ფაქულტეტის შუამდგომლობა, დაენიშნოს დოცენტს არჩილ სარაქეს დამატებითი სარგო (ძირითადი ჯამაგირის ნახევარი) პირველი ნოქტი დან 1920 წ., ვინაიდან მას ფაქულტეტის დაგალებით მინდობილი აქვს, გარდა ორი საგნის კითხვისა, აგრეთვე სავარჯიშო მეცადინების წარმოება ანალიზსა, ინტეგრალურ აღრიცხვებისა, ანალიტიკურ გეომეტრიასა და დიფერენციალურ შეთანასწორებათა თეორიაში.

დაადგინებს: შეწყნარებულ იქმნა.

6. განიხილებს: სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტის მოქსენება:

ა) საგალდებულო საგნებში გამოცდების ჩაბარებისა სპეციალობის მიხედვით და საზოგადოდ ფაქულტეტზე სასწავლო გეგმის ცოტაოდგნი ცვლილების შემოღების შესახებ.

დაადგინებს: დამტკიცებულ იქმნა.

ბ) რომ ფაქულტეტს შეუძლებლად მიაჩნია დაავალოს პროფესორს, თუნდაც მას ზედმეტი საგანი ჰქონდეს ჩაბარებული, ექს საათზე მეტი ლექცია იკითხოს კვირაში.

დაადგინებს: ცნობად

7. განიხილებს: სამათემატიკო-საბუნების მეტყველო ფაქულტეტის მოქსენება:

ა) განთავისუფლებულ იქმნებს ასისტენტი ჩხიკვიშვილი მოვალეობის აღსრულებიდან ამა წლის პირველი დეკამბრიდან.

დაადგინებს: განთავისუფლებულ იქმნა.

ბ) პარალელურ კურსებზე ორგანიული ქიმიის კათედრის ასისტენტად დამტკიცებულ იქმნებს ძირითადი განყოფილების ასისტენტი 6. ციციშვილი, რომელსაც სარგო უნდა დაენიშნოს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

დაადგინებს: დამტკიცებულ იქმნა.

8. განიხილებს: წევრების არჩევა კომისიაში, რომელსაც ევალება განიხილოს საკითხი უნივერსიტეტთან მოეწყოს ტეხნიკურ ცოდნათა გამავრცელებელი განყოფილებანი.

დაადგინებს: არჩეულ იქმნენ პროფესორები: ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ა. რაზმაძე, ა. დიდებულიძე, და ა. ჯავახიშვილი.

9. განიხილებს: რექტორმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ საზღვარგარეთიდან მოვიდა პროფ. ფ. გოგიაშვილის მიერ შეძენილი წიგნებისა და ბ. დ. დამბაშიძის მიერ დაბეჭილი სალაბორატორიო ნივთების ანგარიშები.

დააღვინეს: ცნობად.

10. განიხილეს: უნივერსიტეტის წესდების განხილვა (გაგრძელება): საბჭოს ფაკულტეტებისათვის.

დააღვინეს: დამტკიცდა

პროფ. სოლომონ ქურდიანი პირადად საჭიროდ თვლის შეტანილ იქმნეს შენიშვნად, რომ დროებით შეიძლება სარისხის უქონელი პირნიც იყვნენ საბჭოსა და ფაკულტეტების სწორუფლებიან წევ-რებად.

პროფ. სოლ. ქურდიანის აზრი საბჭომ არ გაიზიარა.

ივ. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, გ. ახვლედიანი, ქ. კეპელიძე, გ. ჩუ-ბინაშვილი, ა. ალაძაშვილი, ა. შანიძე, ა. ბენაშვილი, ა. ხარაძე, ს. ქურდიანი

საბჭოს მდივანი: მიხეილ წერეთელი¹

¹ ქ. წერეთელი მომდევნო, 23-ე სხდომის მდივანი იყო.

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 23

„29., დეკემბერს 1920 წ.

დაქსწრო: პროფესორები: ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ალ. ალადაშვილი, აკაკი შანიძე, შ. ნუცებიძე, პოლიევკიტოვი, გ. ლამბარაშვილი, ი. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, გ. წერეთელი, პ. კაპალიძე, ფ. გოგიაშვილი, ი. ბერიტაშვილი, ყოფიანი, ალ. თვალჭრელიძე, ივ. თიკანაძე, არ. ხარაძე, მ. წერეთელი, ა. ბენაშვილი.

თაგმჯდომარე: რექტ.- პროფ. ივ. ჯავახიშვილი
მდიგანი: მ. წერეთელი

1. განიხილეს: პროფესორთა საბჭოს წევრთა საბჭოს კრებებზედ დაუსწრებდობის საკითხი.

დაადგინეს: საკითხი არ გადაწყვეტილა არც საბჭოს წევრთა დაჯარიმებით კრებებზე დაუსწრებდობის გამო, არც საბჭოს წევრთა რიცხვის შემცირებით.

2. განიხილეს: საპედაგოგიო ინსტიტუტის დირექტორის პრ. დ. უზნაძის მოხსენება და თხოვნა, გაეხსნას მას ინსტიტუტისათვის 107.700 მან: კრედიტი. და ყოველთვიურად პირველ ივნისამდე.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

3. განიხილეს: ასისტენტობისა და ლაბორატორიის საკითხი.

დაადგინეს: მოეთხოვოს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებს წარმოადგინონ თავიანთი აზრი ასისტენტობისა და ლაბორატორიის შესახებ.

4. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობა: ა) დამტკიცებულ იქმნეს ექ. მარუაშვილი სამკურნალო ქიმიის დროუბით ასისტენტად და მიეცეს მას სარგო დღიდან ამორჩევისა, 15 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ბ) დამტკიცებულ იქმნას ექ. ვალ. ჩხეიძე პისტოლოგიის ძირითად კათედრის დროებით ასისტენტად და მიეცეს მას სარგო პირველ ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

გ) დამტკიცებულ იქმნას ექ. ნიკო ორლოვსკი ქირურგიულ პათოლოგიის კლინიკის პარალელურ კურსის ორდინატორად და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 15 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

დ) დამტკიცებულ იქმნას ექ. ილია თოფურიძე საექიმო ქიმიის დროებით ასისტენტად და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 15 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ე) დამტკიცებულ იქმნას ექ. სიმ. აბაშიძე ფარმაკოლოგიის დროებით ასისტენტად და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 15 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ვ) დამტკიცებულ იქმნას ნორმალურ ანატომიის დროებით ასისტენტებად ექიმები: პოილაპ ტერ-აკოპოვი და არტაშეზ მალავერ და მიეცეთ მათ სარგო დღიდან არჩევისა, 28 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ზ) დამტკიცებულ იქმნას პარალელურ განყოფილებაზედ სამკურნალო დიაგნოსტიკის ორდინატორად ექიმი ვლადიმერ ფანცხავა და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 28 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

თ) დამტკიცებულ იქმნას გინეკოლოგიურ კლინიკის ლაბორანტად ექ. ნიკოლოზ ტიქრიაშვილი და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 28 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

ი) დამტკიცებულ იქმნას გინეკოლოგიის კლინიკის ორდინატორად ექ. აკაკი (იაკობ) ხოჭოლავა და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 28 ნოემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

კ) დამტკიცებულ იქმნას პარალელურ განყოფილებაზედ ჰისტოლოგიის ლექტორად ფილიპე ზაიცევი.

დაადგინეს: საკითხი გადაიდო.

5. განიხილეს: საკითხი სტუდენტთა სწავლის ფულის გადიდების შესახებ.

დაადგინეს: გადიდებულ იქმნეს სწავლის ფული და დაწესდეს 500 მანეთი სემესტრში, სტუდენტთა მიერ სასწავლოდ შესატანი.

6. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენება, თუ რა წესით მიეცეთ სარგო ძირითად განყოფილებიდან პარალელურზე მიწვევლ ასისტენტ-ორდინატორებს.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა სარგოს მიცემა: ფიზიოლოგიის ასისტენტებს ლეონიძეს და ვაწაძეს – ერთი ასისტენტის სარგო, ქირურგ. პათოლ. ორდინატორებს ჩირგაძეს და ანთელავას – ერთი ასისტენტის სარგო. ბაქტერ: ასისტენტებს ივანოვა-ამირეჯიბს და ჩიჯავაძეს – ერთი ასისტენტის სარგო. ტოპოგრ. ანატომ. და ოპერატ. ქირურგ ასისტენტებს დემეტრაძეს და ოოსელიანს თვითვულს – სრული სარგო ასისტენტისა, სამკურ. დიაგნოსტიკის ასისტენტს წინამდვრიშვილს – სრული ასისტენტის სარგო.

7. განიხილეს: კომისიის არჩევა სახელმწიფო გამოცდების დებულების შესამუშავებლად.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა კომისია, რომლის წევრი არიან: პროფ: სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტიდან – დ. უზნაძე და შ. ნუცუბიძე, სამკურნალოდან – გ. ლამბარაშვილი და ალ. ალადაშვილი, სამათ.-საბუნების-მეტყველო ფაკულტეტიდან – ა. რაზმაძე, ი. მოსეშვილი და ქურდიანი. დაევალოს პრ. დ. უზნაძეს კომისიის მოწვევა.

8. განიხილეს: სამათემ.-საბუნების-მეტყველო ფაქულტეტის შუამდგრმლობა დამტკიცებულ იქმნეს თვისებითი ანალიზის ლაბორატორიის ასისტენტად მოსკოვის უნივერსიტეტის კურს-დამთავრებული კალისტრატე მაჯგალაძე და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 1 დეკემბრიდან 1920 წ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

9. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგრმლობა შემცნილ იქმნას რენტგენის კაბინეტის აპარატები საქართველოს წითელ ჯვრის გამგეობისაგან.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა: ფასი ნაწილად იქმნება გადახდილი. დადგენილ იქმნა გამგეობამ შეატყობინოს ეს დადგენილება საბჭოს საქართველოს წითელ ჯვარს ამ ოქმის დამტკიცებამდის.

10. განიხილეს: მიმდინარე საკითხები.

ა) ი. ნ. ანანოვის განცხადება, რომ მოსკოვის უ-ტის პროფესურას განძრახვა აქვს განაახლოს სამეცნიერო კავშირი საქართველოსთან ქ. სახელმწიფო უ-ტის საშუალებით.

დაადგინეს: მიეცეს ბ. ი. ნ. ანანოვს პასუხად, რომ უკვე არსებობს ასეთი დამოკიდებულობა ქ. სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსეთისა და სხვა ქვეყანათა უნივერსიტეტთა შორის.

ბ) სამათ.-საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის აზრი ნაბეჭდ შრომა-თა ავტორების პონორარის შესახებ.

დააღინება: მიენდოს ფაკულტეტთა დეკანებს, ამ საკითხის შესახებ საერთო აზრი შეიმუშავონ ფაკულტეტებმა და წარადგინონ პროფესორთა საბჭოში ორი კვირის განმავლობაში.

11. განიხილება: უნივერსიტეტის წესდების განხილვის გაგრძელება.

დააღინება: სასწრაფო კრების მოწვევა უნივერსიტეტის წესდების განხილვის გაგრძელებისათვის, რადგანაც ეს საკითხი არ განხილულა მე 23- სხდომაზედ, 29 დეკემბერს 1920 წ.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. პეტელიძე, ა. ბენაშვილი, ა. ხარაძე, წერჭ-თელი, მ. პოლიევქტოვი, ნ. ყიფიანი, ა. ალადაშვილი, ა. შანიძე, ა. თვალჭრელიძე, გ. ჩუბინაშვილი, ი. მოსეშვილი, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე

საბჭოს მდივანი: მ. წერეთელი

1 9 2 1
விளை

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 24

„12,, იანვარს 1921 წ.

დაქმუშო: პრფ.-ები: ი. ჯავახიშვილი, პ. პეტლიძე, გ. ახვლუ-
დიანი, ა. ხარაძე, მუსეელიშვილი, გ. წერეთელი, პოლიეგებტოვი,
დიდებულიძე, ყიფიანი, ბენაშვილი, ღამბარაშვილი, მაჭავარიანი,
ასათიანი, ალადაშვილი, თიკანაძე, შანიძე, ჩუბინაშვილი, თვალ-
ჭერლიძე, ბერიტაშვილი, ნათიშვილი, მოსეშვილი, ა. ჯავახიშვი-
ლი, ა. რაზმაძე, ე. თავაიშვილი, უზნაძე, ს. ამირეჯიბი, კახიანი, გ.
წერეთელი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: გ. წერეთელი

1. განიხილეს: საზოგადო დებულებანი უნივერსიტეტის წესდებისა.
დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

2. განიხილეს: სიბრძნის-მეტყველ. ფაკულტეტის შუამდგომლობა,
დამტკიცებულ იქმნას ფაკულტეტის მიერ არჩეული ლ. ნ. ანდრო-
ნიკაშვილი სამოქალაქო სამართლის კათედრაზედ დოკენტის მო-
ვალეობის აღმასრულებლად და მიეცეს მას პროფესორის სარგო.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა (+17, - 4)

3. განიხილეს: კომიტეტის მოსსენება სტუდენტთა საპრემიო
თხულებათათვის დებულების შესახებ.

დაადგინეს: დებულება დამტკიცებულ იქმნას სიბრძნის მეტყველე-
ბის ფაკულტეტის 29 დეკემბრის 1920 წლ. სხდომაზედ ამ დებუ-
ლების განხილვის დროს შეტანილ შესწორებით.

4. განიხილეს: სამურნალო ფაკულტეტის დადგენილებანი:

(ა) მეოთხე პარალელურ კურსზედ სწავლის წარმოებისათვის სა-
ჭირო ხარჯთაღრიცხვის წესის შესახებ:

დაადგინეს: დამტკიცებულია, მხოლოდ მიეთხოვთ ფაკულტეტს
წარმოუდგინოს უახლეს სხდომაზედ დაწვრილებითი ხარჯთაღ-
რიცხვა.

(ბ) კლინიკებში და კათედრებზედ პრაქტიკულ ხელ-მძღვანელთათ-
ვის სარგოს მიცემის შესახებ.

დაადგინეს: დაევალოსთ ფაკულტეტის დეპანებს, ასეთი დადგენი-
ლებანი ხარჯთაღრიცხვასთან შეფარდებით გამოიტან.

5. განიხილეს: იმავე ფაქულტეტის შუა-მდგომლობა საბჭოს წინაშე:

(ა) დამტკიცებულ იქმნას პროფ. ა. ალადაშვილი სასანიტრო ინსტიტუტის ბალნეოლოგიურ და საკურორტო განყოფილების გამგედ.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ბ) გაგრძელდეს სამ წლიმდის პროფ. ამფიმოვის ნერვიული კლინიკის სელ-მძღვანელობის ვადა.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(გ) მიეცეს პროფ. სპ. გირსალაძეს, როგორც კათედრის გამგეს, სრული საპროფესორო სარგო.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(დ) დამტკიცებულ იქმნას პარალელურ კურსებზედ ფარმაციის და ფარმაქოლოგიის ასისტენტად ექიმი ბორის შიშვინი და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა 28 ნოემბრიდან 1920 წ.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ე) დამტკიცებულ იქმნას პისტოლოგიის კათედრის ასისტენტად პარალელურ განყოფილებაზედ ექიმი ბორის ჩენცოვი და მიეცეს მას სარგო პირველ ნოემბრიდან 1920 წ.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ვ) დამტკიცებულ იქმნას კერძო პათოლოგიისა და თერაპიის ასისტენტად ექიმი ვლადიმერ კიგნაძე და მიეცეს სარგო დღიდან არჩევისა 28 ნოემბრიდან 1920.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ზ) დამტკიცებულ იქმნას კანის და ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ექიმი ვლადიმერ კიგნაძე და მიეცეს მას სარგო პირველ დეკემბრიდან 1920 წლ.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(თ) დამტკიცებულ იქმნას საექიმო დიაგნოსტიკის ორდინატორად ექიმი მაჩაბელი და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა 11 დეკემბრიდან 1920 წ. (მ. მაჩაბელი არჩეულია დროებით ორდინატორად პარალელურ კურსებზედ).

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ი) დამტკიცებულ იქმნას ქირურგიულ პათოლოგიის კათედრის ორდინატორად პარალელურ კურსებზედ ექიმი აპოლონ მესხი და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, 11 დეკემბრიდან 1920 წლ.

დააღვინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(ჟ) დამტკიცებულ იქმნებ ვენერიულ და კანის კლინიკის ლაბორანტად ექიმი ლავრენტი ფირცხელავა და ამავე კლინიკის ორდინატორად ექიმი ალექსანდრე ჯავრიშვილი და მიეცესთ მათ სარგო დღიდან არჩევისა 26 ნოემბრიდან 1920 წლ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნენ.

(ლ) დამტკიცებულ იქმნას ქირურგიული კლინიკის ლაბორატორიად ექიმი მაქსიმე ღამბარაშვილი და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა 11 სექტემბრიდან 1920 წლ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

(მ) ხელ-ახლა განხილულ იქმნა საკითხი, გადადებული სხდომაზედ № 23, 29 დეკემბერს 1920 წ. შესახებ ფილიპე ზაიცევის პისტოლოგიის ლექტორად პარალელურ კურსებზედ დამტკიცებისა. საბჭომ მოისმინა ფ. ზაიცევის curriculum vitae და მის სამეცნიერო შრომათა სია.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნა.

6. განიხილეს: სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე წლის თავის აღნიშვნის საკითხი.

დაადგინეს: მოწვეულ იქმნეს კრება უნივერსიტეტის ყველა მოსამსახურეთა და წაკითხულ იქმნას უნივერსიტეტის ანგარიში, 26 იანვრის, დილით 12 ს.

ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, ექ. თაყაიშვილი, ა. ალადაშვილი, ი. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, მ. ასათიანი, ალ. ნათოშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, ს. ამირეჯიბი, მ. პოლივექტოვი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ბერიტაშვილი, ა. დიდებულიძე, ნ. მუსხელიშვილი, საბჭოს მდივანი: გ. წერეთელი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 25

„28., იანვარს 1921 წ.

დაქსწრო: პროფესორები და ღოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეგელიძე, ქურდიანი, შანიძე, ბერიბაშვილი, უზნაძე, ახვლედიანი, მუსხელიშვილი, ალადაშვილი, დიდებულიძე, ჩუბინაშვილი, თავაიშვილი, ბენაშვილი, ასათიანი, მოსეშვილი, ნათიშვილი, ხარაძე, ა. ჯავახიშვილი, ამირეჯიბი, რაზმაძე, დამბარაშვილი, მ. წერეთელი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: მ. წერეთელი

1. განიხილეს: მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა, წარმოდგენილი სიბრძნის-მეტყველებისა, სამკურნალოსი და სამათემატიკო-საბუნების-მეტყველობის ფაკულტეტთა მიერ.

დაადგინეს: დაუბრუნდეს გადასასინჯავად და შესამოკლებლად ფაკულტეტებს, რომელთაც უნდა იხელმძღვანელონ ხარჯთ-აღრიცხვის შედეგნის დროს შემდეგი დებულებებით: (ა) არც ერთი ისეთი მუხლი არ უნდა იყოს შეტანილი ხარჯთ-აღრიცხვაში, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია. (ბ) ხარჯები იმ დაწესებულებათათვის, რომელთათვისაც წარსული სამი წლის განმავლობაში დიდი თანხები იყო გადადებული, არ უნდა შევიდეს ახალ ხარჯთ-აღრიცხვაში. (გ) ყოველ გვარ საშუალებით უნდა იქმნას თავიდან აცილებული გადაკეთება იმ დაწესებულებათა, რომელნიც უნივერსიტეტს არ ეკუთვნიან და რომელნიც უნივერსიტეტმა შეიძლება დასტოვოს, აგრეთვე ახალ შენობათა აგება.

2. განიხილეს: საქითხი პროფესორთა და ასისტენტთა სარგოს გადიდების შესახებ.

დაადგინეს: გადაეცეს კომისიას, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მომავალ სხდომაზედ დასაბუთებული მოხსენება. არჩეულ იქმნა კომმისია ფაკულტეტთა წარმომადგენელთაგან, რომელშიაც შედიან: დიდებულიძე (სამ. - საბ. ფაკ.), ნათიშვილი (სამპ. ფაკ.), ნუცუბიძე (სიბრძ. მეტყვ. ფაკ.).

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუა-მდგომლობანი და ცნობანი:

(ა) დამტკიცებულ იქმნას პროფ. გ. დამბარაშვილი რენტგენოლოგიის დოცენტად (ფაკ. დადგენილება 27. XII. 1920).

დააღვინეს: დამტკიცებულია.

(ბ) დამტკიცებულ იქმნას პროფ. შიროკოროვი სამის წლის ვადით პათოლოგიის კათედრის ხელ-მძღვანელად და მიეცეს მას სარგო დღიდან არჩევისა, – 13 დეკემბრიდან 1920 წლ. (ფაკ. დადგ. 13. XII. 1920).

დააღვინეს: დამტკიცებულია.

(გ) დამტკიცებულ იქმნან პსიხიატრიულ კლინიკის ასისტენტად ექიმი ნიკოლოზ ჯავახიშვილი და იმავე კლინიკის ორდინატორად ექიმი ოსებ ლომაური და მიეცესთ მათ სარგო პირველ დაცვისადან 1920 წ. (ფაკ. დადგ. 27. XII. 1920).

დააღვინეს: დამტკიცებულია.

(დ) დამტკიცებულ იქმნან სამეანო კლინიკაში ასისტენტად გადარიცხული ლაბორანტი ექიმი შალამბერიძე და ლაბორანტად არჩეული ორდინატორი ექიმი არჯევანიძე (ფაკ. დადგ. 27. XII. 1920).

დააღვინეს: დამტკიცებულია.

(ე) ცნობა სამკურნალო ფაკულტეტისა, რომ სამეანო კლინიკის ასისტენტმა ექიმმა ნიკოლოზ მელიქიშვილმა თანამდებობას თავი დაანება (მოსმ. ფაკ. მიერ 27. XII. 1920).

დააღვინეს: ცნობად

(ვ) დამტკიცებულ იქმნას სამეანო კლინიკის ორდინატორად ექიმი ნიკოლოზ ჩხეიძე (ფაკ. დადგ. 27. XII. 1920).

დააღვინეს: დამტკიცებულია.

(ზ) ცნობა სამკ. ფაკულტეტისა, რომ ქირურგიულ კლინიკის ორდინატორმა ექიმმა აპ. ჭეიშვილმა თანამდებობას თავი დაანება (მოსმ. ფაკ. მიერ 27. XII. 1920).

დააღვინეს: ცნობად

4. განიხილეს: მიმდინარე საკითხები:

პროფ. ბერიზაშვილის წინადადება საექიმო ფაკულტეტის გამოცემათა დარიგების შესახებ.

დააღვინეს: გადაეცეს საგამომცემლო კომმისიას სახელმძღვანელოდ, რომ გამოცემები დაურიგდეს ყველა დეწენებულებას უნივერსიტეტისას, სამეცნიეროსა და სამოსწავლოს.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. პეტელიძე, ალ. ჯავახიშვილი, ი. მოსეშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, ალ. ნათიშვილი, ალადაშვილი, ა. ხარაძე, ა. რაზმაძე, საბჭოს მდივანია ქ. წერეთელი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 26

„4., ოქტომბერი 1921 წ.

დაესწრო: პროფ. და დოც.-ები: ივ. ჯავახიშვილი, ბერიძაშვილი, ალადაშვილი, ნათიშვილი, მოსეშვილი, ხარაძე, უზნაძე, კეპშლიძე, დიდებულიძე, ახვლედიანი, ბენაშვილი, რაზმაძე, ალ. ჯავახიშვილი, მუსხელიშვილი, შანიძე, ჩუბინაშვილი, კახიანი, ამირეჯიბი, გელევანიშვილი, ქურდიანი, მაჭავარიანი, ასათიანი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: მ. წერეთელი

1. განიხილეს: საკითხი მისასალმებელი ტელეგრამმის გაგზავნის შესახებ მთავრობისა და დამფუძნებელ კრებისადმი საქართველოს იურიდიულ ცნობის გამო.

დაადგინეს: ტელეგრამმის ტექსტი, რომელიც შეადგინეს კრების მინდობილობით პროფ-მა დ. უზნაძემ და ა. შანიძემ, მოწონებულ იქმნა კრების მიერ და დადგენილ იქმნა, გაეგზავნოს იგი მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას რექტორის სახელით.

2. განიხილეს: მომავალი აკადემიური წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

დაადგინეს: მოსმენილ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვანი, განმეორებით შემუშავებული და წარმოდგენილი სიბრძნის-მეტყველებისა, საბუნებისმეტყველო-სამათემატიკოსი და სამკურნალო ფაკულტეტით მიერ და საბოლოო შესამუშავებლად უნივერსიტეტის გამგეობასთან ერთად გადაეცა კომისიას, რომელშიაც შევიდენ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტიდან პროფ. დ. უზნაძე, სამკურნალოდან – პროფ. ალ. ნათიშვილი და საბუნების-მეტყველო-სამათემატიკოდან – ქურდიანი და ალ. ჯავახიშვილი.

წარმოდგენილ იქმნა განსაკუთრებული აზრი პროფ. პეტრე მელიქიშვილის შესახებ იმისა, რომ პრაქტიკულ-გამოყენებით მეცნიერებათა სწავლების დროს უნივერსიტეტში უნდა მისცეს მსმენელთ მარტო მათი საფუძველი, კანონები და თეორია, და არა პრაქტიკანტები მოამზადოს, რაც საგრძნობლად შეამცირებს

ხარჯთ-აღრიცხვას. – საბჭომ მიიღო ეს განსაკუთრებული აზრი პროფ. პ. მელიქიშვილისა ცნობად.

3. განიხილეს: დანარჩენი საკითხები:
დაადგინეს: გადადებულ იქმნა.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. ტემელიძე, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, ალა-დაშვილი, მიხ. ასათიანი, მ. პოლიევქტოვი, ალ. ნათიშვილი, ალ. მაჭავარიანი, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, ს. ამირეჯიბი, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, დ. უზნაძე

ტფილისის საკელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 27

, 15,, აპრილს 1921 წ.

დაქსწრო: პროფ. და დოცენტი: ივ. ჯავახიშვილი, ბერიტაშვილი, იას. მოსეშვილი, ს. ამირეჯიბი, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, მაჭავარიანი, ნათოშვილი, კეკლიძე, ახვლედიანი, ხარაძე, ალადაშვილი, გრ. წერეთელი, ასათიანი, პოლიევატოვი, მუსხელიშვილი, ქურდიანი, გოგიარიშვილი, დამბარაშვილი, ჩუბინაშვილი, უზნაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილეს: მოსმენილ იქმნა განცხადება ფსიქიატრიის ასისტენტის პ. ნ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შესახებ და თანახმად რექტორის წინადადებისა საბჭომ ფეხზე ადგომით პატივისცა გარდაცვალებულის ხსოვნას.

2. განიხილეს: რექტორის განცხადება საბჭოს მდივნის პროფ. მიხ. წერეთლის დასავლეთის ეპროპაში გამგზავრებისა და ახალი მდივნის არჩევის საჭიროების შესახებ.

დაადგინეს: პროფესორთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქმნა პროფ. ლიმიტრი უზნაძე 1 აპრილიდან 1921 წ.

3. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის მოხსენებანი:

ა. ფაქულტეტის გადაწყვეტილება შედარებითის იაფეტური ენათმეცნიერების კათედრის დაარსებისა და ამ კათედრაზე პროფესორად აკადემიკოსის ნიკო მარრის მოწვევის შესახებ.

დაადგინეს: სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტზე დაარსდეს შედარებითის იაფეტური ენათმეცნიერების კათედრა და ამ კათედრაზე მოწვეულ იქმნეს აკად. ნიკო მარრი მიმდინარე წლის 1 იანვრიდან.

ბ. შეამდგომლობა ინგლისური ენის ლექტორად ქ-ნ ეპატერინე ჩერქეზიშვილის დამტკიცების შესახებ.

ცნობა 1. ინგლისური ენის ლექტორის ქ-ნ განდა დამბაშის უცხოეთში გამგზავრების გამო აღნიშნული თანამდებობა ამ ქამად თავისუფალი დარჩა.

დაადგინეს: ქ-ნ ეკატერინე ჩერქეზიშვილისა დამტკიცებულ იქმნეს ინგლისური ენის ლექტორის თანამედრობაზე ა.წ. 1 აპრილი-დან.

ბ. შუამდგომლობა ბ. კონსტანტინე გამსახურდიას პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვება დასავლეთი ეპროპის ისტორიის კათედრასთან სტიძენდით ერთის წლის ვადით.

დაადგინეს: ბ. კონსტანტინე გამსახურდია დატოვებულ იქმნეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად დასავლეთი ეპროპის ისტორიის კათედრასთან ა.წ. 1 აპრილიდან 1922 წ. 1 იგნისამდე სტიძენდით.

4. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოხსენებანი:

ა. დამტკიცებულ იქმნეს ბ. ადოლფ როლლოვი ლექტორად მებადეობა-მებოსტნეობისა და ძვირფას მცენარეთა კულტურის საგნისათვის.

ცნობა. წაკითხულ იქმნა ბ. ა. როლლოვის curriculum vitae და პროფ. ქურდიანის დასკვნა ა. როლლოვის სამეცნიერო გამოკვლევების შესახებ.

დაადგინეს: ბ. ადოლფ როლლოვი დამტკიცებულ იქმნეს მებადეობა-მებოსტნეობისა და ძვირფას მცენარეთა კულტურის ლექტორად მიმღინარე წლის 1 აპრილიდან.

ბ. დამტკიცებულ იქმნეს დროებითს ასისტენტად ფიზიკის კათედრასთან ბ. გასილ ყიფშიძე.

გ. დამტკიცებულ იქმნეს ქ-ნი რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა ასისტენტად ორგანულისა და რაოდენობითი ანალიზის ლაბორატორიაში.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნენ: ა. ბ. გასილ ყიფშიძე ფიზიკის დროებით ასისტენტად ა.წ. 1 აპრილიდან, და ბ. ქ-ნი რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა ორგანული ქიმიისა და რაოდენობითი ანალიზის ლაბორატორიაში.

5. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

ა. მეცნიერების მოსაწყობად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: ვინაიდან გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ არსებულ პირობებში კონკურსი სათანადო შედეგებს ვერ იძლევა, წინადადება მიეცეს ფაკულტეტს, კონკურსის ნაცვლად საჭირო დარგების წარმომადგენელნი მოწვევის წესით მიმართოს.

ბ. შუამდგომლობა შტატს გარეშე ასისტენტებისა და ორდინატურის შემოდების შესახებ.

დაადგინეს: შუამდგომლობის განხილვა გადადებულ იქმნეს.

გ. ექ. მ. ცხაკაია გადაეყვანილ იქმნეს ლაბორანტად ქირურგიული პათოლოგიის კლინიკაში.

დაადგინეს: ექ. მ. ცხაკაია გადაეყვანილ იქმნეს ლაბორანტად ქირურგიული პათოლოგიის კლინიკაში 1920 წლ. 4 ოქტომბრიდან

დ. დამტკიცებულ იქმნეს სასანიტრო ინსტიტუტის ასისტენტებად: ექიმი სვიმონ კანდელაკი მაღარიის განყოფილებაში, და ექიმი ივანე კონიაშვილი ბალნეოლოგიურ განყოფილებაში.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნეს სასანიტრო ინსტიტუტის ასისტენტებად ბ. სვიმონ კანდელაკი მაღარიის განყოფილებაში ა.წ. 14 მარტიდან და ბ. ივანე კონიაშვილი ბალნეოლოგიურ განყოფილებაში 1921 წლ. 23 იანვრიდან.

ჟ. დამტკიცებულ იქმნეს საბებიო ინსტიტუტის ორდინატორი გიორგი ნაზარიშვილი რენტგენოლოგიის კათედრის შტატის.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქმნეს ბ. გიორგი ნაზარიშვილი რენტგენოლოგიის კათედრის შტატის ასისტენტად ა.წ. მარტის 14-იდან.

გ. დამტკიცებულ იქმნეს ექიმი კლავდიოზ ტყემალაძე ქირურგიული კლინიკის ორდინატორად.

დაადგინეს: ექ. კლავდიოზ ტყემალაძე დამტკიცებულ იქმნეს ქირურგიული კლინიკის ორდინატორად და 1921 წლ. 23 იანვრიდან დაენიშნოს სარგო.

ზ. დამტკიცებულ იქმნენ, როგორც თავისუფლად დაქირავებული:

1. ექ. მარიამ ზაალიშვილი, დროებით ორდინატორად ფსიქიატრიულს განყოფილებაზე ა.წ. 15 თებერვლიდან.

2. ექ. იოსებ მჭედლიშვილი დროებით ორდინატორად ფაკულტეტის თერაპევტიულ კლინიკაში ა.წ. 1 თებერვლიდან.

3. ექ. ილია ახმეტელი რაერატიული ქირურგიის დროებით ასისტენტად მ.წ. 15 მარტიდან.

4. ექ. სვიმონ საყვარელიძე ქირურგიული პათოლოგიის დროებით ორდინატორად პარალელური განყოფილებისათვის ა.წ. 1 თებერვლიდან.

5. პავლე ივანეს ძე ბლიშჩენკო როგორც თავისუფლად დაქირავებული პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტის ასისტენტად ა.წ. 14 მარტიდან.

6. ექ. ალექსანდრა ზანდუკელი ფსიქიატრიული კლინიკის მირითადი განყოფილების ორდინატორად ა.წ. 1 იანვრიდან დროებით.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს და სარგო მიეცესთ: მარ. ზაალიშვილს – 15 თებერვლი. ილია ახმეტვალს – 15 მარტიდან, სვიმონ სავარელიძეს – 1 თებერვლიდან; პავლე ბლიუჩენკოს – 14 მარტიდან. ალექსანდრა ზანდუკელს ა.წ. 1 იანვრიდან.

ც. მიეცეს პარალელური განყოფილების პისტოლოგიის კათედრის ასისტენტს, ბორის ჩენცოვს სარგო ძირითად განყოფილებიდანაც.

ცნობა. ასისტენტი ბორის ჩენცოვი 1920 წლ. 1 ოქტომბრიდან გარდა პარალელური განყოფილებისა ძირითადზეც მუშაობს.

დაადგინეს: ასისტენტს ბორის ჩენცოვს მიეცეს სარგო ძირითადი განყოფილებიდანაც, როგორც თავისუფლად დაქირავებულს 1920 წლის პირველი ოქტომბრიდან.

6. განიხილეს: გამგეობის შუამდგომლობა დაწესდეს უნივერსიტეტის სელოვნების კაბინეტთან სუროთმოძღვრის თანამდებობა შესაფერი ჯილდოს დანიშნით.

დაადგინეს: სელოვნების კაბინეტთან დაარსდეს სუროთმოძღვრის თანამდებობა. სარგოდ მიჩნეულ იქმნეს დოცენტის ჯამაგირი, ხოლო სამოგზაუროდ მიეცეს ამდენივე თანხა.

7. განიხილეს: სელოვნების კაბინეტის სუროთმოძღვრის თანამდებობაზე მოწვეულ იქმნეს, თანახმად სიბრძნისმეტყველების ფაქულტეტის შუამდგომლობისა, სუროთმოძღვარი ნიკ. სევეროვი.

დაადგინეს: სელოვნების კაბინეტის სუროთმოძღვრად მოწვეულ იქმნეს ბ. ნიკ. სევეროვი და სარგო დაენიშნოს მას ა.წ. 1 აპრილიდან.

8. განიხილეს: საბიბლიოთეკო კომისიის დადგენილებანი სათანადო მოხსენებებით:

ა. ბიბლიოთეკის საქუთარს შენობაზე ზრუნვის შესახებ.

ცნობა. კომისიის მოხსენების მიხედვით ბიბლიოთეკის გაზრდისა და ქვემო სართულში მომუშავეთათვის მუშაობის სიძნელის გამო, ზრუნვა ახალი ბინის მოძიების შესახებ აუცილებელია.

დაადგინეს: შუამდგომლობა ბინის მოპოვების შესახებ პირობების შეუფერებლობის გამო გადაიდოს სხვა დროისათვის.

ბ. წიგნების შეძენის წესის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულია ცნობად.

9. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოხსენება საჭირო წიგნების შეძენისათვის ზრუნვის შესახებ.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, უნივერსიტეტისათვის საჭირო წიგნების შესაძენად და აგრეთვე სამეცნი-

ერო დაწესებულებათა შესავსებად გამოთხოვილ იქმნეს 300 მილიონი მანეთი, ას-ასი მილიონი მანეთი თითოეული ფაკულტეტისათვის.

10. განიხილეს: სტუდენტთა წარმომადგენლების ფაკულტეტებისა და საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის შესახებ.

დაადგინეს: მოწვეულ იქმნეს ფაკულტეტების საბჭოთა სხდომებზე სტუდენტთა ოთხ-ოთხი წარმომადგენელი, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტზე 5 წარმომადგენელი. პროფესორთა საბჭოს სხდომაზე მოწვეულ იქმნეს ერთი წარმომადგენელი სტუდენტისა: ყველა სათათბირო ხმის უფლებით. გარდა სტუდენტთა წარმომადგენლებისა, საბჭოს სხდომაზე უფლება მიეცეს დასწრებისა აგრეთვე უმცროს მასწავლებელთა წარმომადგენელსაც.

11. განიხილეს: გამგეობის მოხსენება ხაზინადარად პ. მიხეილ ფალავას დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს: ხაზინადრის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქმნეს პ. მიხეილ ფალავა დღიდან მისი არჩევისა.

12. განიხილეს: სამათ.-საბუნებ. ფაკულტეტის მოხსენება პროფესორთა ბინების ხელშეუხებლობისა და მათის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დაადგინეს: წარგზავნილ იქმნეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსამვრელად დელგაცია: პროფ. დამბარაშვილი, იას. მოსეშვილი, ანდრ. რაზმაძე.

13. განიხილეს: სწავლის შეწყვეტის შესახებ სააღდგომოდ.

დაადგინეს: სააღდგომო არდაღებები დაიწყოს 27 პრილს და დასრულდეს ცხრა მაისისთვის.

ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ა. ხარაძე, ი. მოსეშვილი, ალ. ნათოშვილი, ალადაშვილი, ა. შანიძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 28

„13., მაისი 1921 წ.

დაქვემდებრები: პროფესორები და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, გ. გოგიაშვილი, შანიძე, ფიგუროვსკი, მუსხელიშვილი, ნუცუბიძე, ნათიშვილი, ალადაშვილი, ღამბარაშვილი, ბერიტაშვილი, რაზმაძე, ი. მოსეიშვილი, დიდებულიძე, ბენაშვილი, ხარაძე, ახვლედიანი, კაკელიძე, დ. უზნაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილებს: მოსმენილ იქმნა ოქმი № 27 და დამტკიცებულ იქმნა.

2. განიხილებს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგრმლობანი:

ა. მოწვეულ იქმნეს ბოტანიკის კათედრაზე პროფესორად დამტკიციგის უნივერსიტეტის პროფესორი, დოკტორი, ალექსანდრე ნათანზონი.

დაადგინეს: პროფესორი ა. ნათანზონი მოწვეულ იქმნეს ბოტანიკის კათედრაზე. არჩეულ იქმნა ერთხმად (15 თეთრი, არცერთი შავი).

ბ. დამტკიცებულ იქმნეს დოცენტად გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრასთან ოდესის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ბ. გიორგი ჯავახიშვილი.

ცნობა. მოსმენილ იქმნა curriculum vitae ბ. გ. ჯავახიშვილისა და მოსხენებანი მისი სამეცნიერო გამოკვლევების შესახებ პროფესორების ალ. ჯავახიშვილისა და ალ. ნათიშვილისა.

დაადგინეს: გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრასთან დოცენტად მოწვეულ იქმნეს ბ. გიორგი ჯავახიშვილი (არჩეულ იქმნა ერთხმად: 17 თეთრი, არცერთი შავი).

ც. მოწვეულ იქმნეს დროებით, ერთის წლის ვადით, როგორც კერძოდ დაქირავებული პირი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოსოფიის დოქტორი სიმონ იუზბაშიანი დოცენ-

ტის ჯამაგირით 1921 წლის 1 მაისიდან, ზოოლოგიის წასაკითხავადა და პრაქტიკულის მოსაწყობად.

ცნობა. წაკითხულ იქმნა *curriculum vitae* პ. იუზბაშიანისა.

დაადგინეს: საკითხი ბიოლოგიის კათედრაზე პროფესორის ან დოცენტის მოწვევის შესახებ გადაიღოს მომავალი სემესტრის დაწყებამდე ე. ი. 1921 წლის აგვისტომდე, რადგანაც მიმდინარე სემესტრი მაღლე დასრულდება და სემესტრის ბოლოსათვის ახალი პირის მოწვევა პრაქტიკულად მიზანშეუფერებელია.

ა. დატოვებულ იქმნეს წმინდა მათემატიკის კათედრასთან სამეცნიერო კვლევა-ძიების დასაწინაურებლადა და შემდეგ პროფესორობისათვის მოსამზადებლად ხარკოვის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული პ. ანდრია ბეგიაშვილი სტიპენდიით.

დაადგინეს: პ. ანდრია ბეგიაშვილი დატოვებულ იქმნეს მათემატიკის კათედრასთან ერთის წლის ვადით 1 მაისიდან, სტიპენდიით.

ე. დაწესდეს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან რედაქტორისა და მისი თანაშემწის თანამდებობა „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქციისათვის;

ამასთან ერთად მოსმენილ იქმნა პროფ. აკაკი შანიძის თხოვნა, რათა იგი განთავსუფლებულ იქმნეს „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორის მოვალეობათაგან.

დაადგინეს: პ. რექტორის, ივანე ჯავახიშვილის წინადადების თანახმად სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა და აგრეთვე პროფ. აკაკი შანიძის შუამდგომლობათა განხილვა გადადებულ იქმნეს. — ხოლო მიეცეს წინადადება ფაკულტეტებს, რომ მათ შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში, მაგრამ არა უგვიანეს მომავალი სემესტრის დაწყებისა, წარმოადგინონ შეთანხმებული ტერმინოლოგია ფაკულტეტების მიხედვით.

3. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა:

ა. დატოვებულ იქმნენ დასავლეთი ევროპის ისტორიის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად პ. ალ. წერეთელი, სტიპენდიით ერთი წლის ვადით 1 აპრილიდან 1 ივნისამდე.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაქმაყოფილებულ იქმნეს. პ. ალ. წერეთელს სტიპენდია მიეცეს 1 აპრილიდან 1921 წლისა.

ბ. დაწყებულ იქმნეს სტუდენტად ჩარიცხვისათვის თხოვების მიღება პ. წ. 16 მაისიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნეს.

4. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობანი:

ა. უნივერსიტეტის ექიმად არჩეულ იქმნეს ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე.

ბ. სასანიტრო ინსტიტუტის დროებითს კონსულტანტად ექ. ნიკოლოზ სახაროვი.

გ. სასანიტრო ინსტიტუტის ასისტენტად ბეითალი მიხეილ ფარცხვანიძე¹

დ. პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტად – ექ. ვასილ ვარაზაშვილი.

დაადგინეს: შუამდგომლობანი დაკმაყოფილებულ იქმნეს. ექიმს ნიკოლოზ მახვილაძეს სარგო მიეცეს მიმდინარე წლის 25 აპრილიდან, ხოლო ნიკ. სახაროვს, მიხ. ფარცხვანიძეს და ვასილ ვარაზაშვილს ა. წ. 7 მაისიდან.

ე. გინეკოლოგიის კათედრასთან მოწვეულ იქმნეს ორი ბებიაქალი, ხოლო ფსიქიატრიულ კლინიკასთან – ერთი მოწყალების და.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნეს.

5. **განისილეს:** მიმართვა საქართველოს სახელოვნო მთავარი კომიტეტისა 26 მაისის მოსაწყობად დანიშნულ კრებაზე უნივერსიტეტის ორი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

დაადგინეს: უნივერსიტეტის წარმომადგენლად, თანახმად ხელოვანთა კომიტეტის წინადადებისა, არჩეულ იქმნეს ორი პირი. არჩეულ იქმნენ პროფ. ა. რაზმაძე და აბაკი შანიძე.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. კეკელიძე, ა. მაჭავარიანი, ა. ალაძაშვილი, ა. ხარაძე, ა. შანიძე, ი. ფიგუროვსკი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე

¹ 1920 წლის № 20 თქმში ნახენებია ბეითალი მიხეილ ფარცხვანიძე. ხავარაუდოა, რომ მიხეილ ფარცხვანიძე და მიხეილ ფარცხვანიძე ერთი და იგუვა პიროვნება.

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 29

„3,, ივნისს 1921 წ.

დაქსწრო: ი. ჯავახიშვილი, ყიფიანი ნ., ა. ალადაშვილი, მაჭავარიანი, ა. ხარაძე, პ. კეკელიძე, ფიგუროვსკი, სპ. ვირსალაძე, ი. ბერიტაშვილი, ა. შანიძე, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე

თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილეს: პროექტი უნივერსიტეტის წესდებისა: დებულებანი პროექტორის თანამდებობისა, სამეურნეო კომისიისა და უნივერსიტეტის გამგეობის შესახებ.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქმნეს ერთი მცირე შესწორებით, რომლის მიხედვითაც დებულებაში უნდა აღნიშნულ იქმნეს, რომ პროექტორი რექტორის თანაშემწევა, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც რექტორს პატივსაღები მიზეზების გამო თავისი მოვალეობის შესრულება არ შეუძლია, იგი მისი მოადგილეა.

2. განიხილეს: დებულება სამეურნეო ინსტიტუტის შესახებ.

დაადგინეს: პროექტის უკანასკნელი რედაქციის დროზე წარმოუდგენობის გამო მისი განხილვა გადაიღოს მომავალი სხდომისათვის, რომელიც დაინიშნოს ა. წ. 10 ივნისისათვის.

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

ა. განთავისუფლებულ იქმნეს ექ. ზანდუკაელი ფსიქიატრიული განკოცილების ორდინატორის თანამდებობისაგან.

დაადგინეს: შეამდგომლობა შეწყნარებულ იქმნეს.

ბ. განთავისუფლებულ იქმნეს ექ. ნ. ანთელავა ა. წ. 1 მაისიდან ქირურგიული პათოლოგიის კათედრის ყველა თანამდებობისაგან და მოწვევულ იქმნეს ექ. ილია ახმეტელი ამავე კათედრის ორდინატორის თანამდებობაზე 1 მაისიდან.

დაადგინეს: ექ. ანთელავა განთავისუფლებულ იქმნეს ქირურგიული პათოლოგიის კათედრის ყველა თანამდებობისაგან ა. წ. 1 მაისიდან და მოწვევულ იქმნეს ექ. ილია ახმეტელი იმავე კათედრის ორდინატორის თანამდებობაზე ა. წ. 1 მაისიდან. სარგო დაენიშნოს: ძირითად განყოფილებაზე სრული და პარალელურზე ასისტენტის სარგოს ნახევარი.

გ. განთავისუფლებულ იქმნეს პროფ. გრ. მუხაძე ქირურგიული პათოლოგიის კათედრის გამგეობისაგან და დამტკიცებულ იქმნეს იგი პოსპიტალური ქირურგიის კლინიკის გამგედ.

დაადგინეს: შუამდგომლობა პროფ. გ. მუხაძის ქირურგიული პათოლოგიის კათედრის გამგეობისაგან განთავისუფლების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნეს.

პოსპიტალური ქირურგიის კლინიკის გამგედ არჩეულ იქმნეს პროფ. გრ. მუხაძე (არჩეულ იქნა ერთხმად).

დ. დამტკიცებულ იქმნეს პროფ. ნ. კახიანი ქირურგიული პათოლოგიის კათედრის გამგედ.

დაადგინეს: პროფ. კახიანი არჩეულ იქმნა ქირურგიული პათოლოგიის კათედრის გამგედ ერთხმად.

4. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობანი:

ა. სამდვდელოებისაგან საეკლესიო მუზეუმის მიღების შესახებ და მისი წესდებისა, გამგისა და ასისტენტის დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს: მუზეუმის სასარგებლოდ გადმოცემისათვის სამდვდელოებას მადლობა გამოეცხადოს მისი უწმიდესობის კათალიკოს-პატრიარქის სახით. დებულებანი „სიძველეთა მუზეუმისა“ დამტკიცებულ იქმნეს. მუზეუმის გამგედ დამტკიცდეს პროფ. პ. კეპშლიძე და ასისტენტის მოსე ჯანაშვილი, ორთავე ა. წ. 1 ივნისიდან.

ბ. სომხური სიტყვიერების დოქტორის გამოცდების დებულება.

დაადგინეს: დებულება დამტკიცებულ იქმნეს უცვლელად.

ივ. ჯავახიშვილი, პ. კეპშლიძე, მ. პოლივექტოვი, ა. დიდებულიძე, ნ. ყიფიანი, ა. ხარაძე, ა. შანიძე, ალადაშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 30

„10., ივნისი 1921 წ.

დაესწრო: პროფ. და დოცენტ. ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, პოლიექიტოვი, ლეიიბენზონი, ნ. ყიფიანი, ალ. დიდებულიძე, ალ. ჯავახიშვილი, ი. მოსეშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, არჩ. ხარაძე, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, დ. გედევანიშვილი, ქურდიანი, ა. ნათოშვილი, ალ. ალადაშვილი, ა. ბენაშვილი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილეს: უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტის დებულებათა და სასწავლო გაგრის პროექტი;

ცნობა 1. წარმოდგენილი ორი პროექტი, ერთი უფრო ვრცელი სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის – და მეორე – უფრო მოკლე რედაქციით – რექტორის პროფ. ივანე ჯავახიშვილის მიერ.

ცნობა 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი დებულებანი, რექტორის განმარტებისა და პროექტის მოსმენის შემდგომ მოხსნილი იქმნა თანახმად პროფ. ქურდიანის განცხადებისა.

დაადგინეს: დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ნაცვლად სამეცნიერო განყოფილებისა სამეცნიერო ინსტიტუტი. დებულებანი სამეცნიერო ინსტიტუტის შესახებ მიღებულ იქმნეს იმ რედაქციით, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა.

2. განიხილეს: უნივერსიტეტთან სატექნიკო ინსტიტუტის დაარსების შესახებ და დებულებანი სატექნიკო ინსტიტუტისა.

დაადგინეს: უნივერსიტეტთან დაარსდეს სატექნიკო ინსტიტუტი.

წარმოდგენილი დებულებანი სატექნიკო ინსტიტუტისა მიღებულ იქმნეს უცვლელად.

სასწავლო გეგმის შესამუშავებლად არჩეულ იქმნეს კომისია შემდეგ პირთაგან: პროფ. ა. დიდებულიძე, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, ლეიიბენზონი, ნ. მუსხელიშვილი. კომისიას უფ-

ლება მიეცეს წევრების კოოპტაციისა საჭიროებისდა მიხედვით, საიდანაც სასარგებლოდ დაინახავს.

3. განისილებს: რექტორის განცხადება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებთან არსებულ ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, კლინიკებსა და კაბინეტებს ჯერ კიდევ არა აქვთ შემუშავებული თავისი მუშაობის ინსტრუქცია, და რომ ასეთი ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება საქმის ნაყოფიერადა და წესიერად წარმართვისთვის მოუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

დაადგინეს: წინადადება მიეცეს ფაკულტეტებს, რათა მათ, შემდგბისდაგვარად მოკლე ხნის განმავლობაში, შეიმუშაონ ყველა თავისი ლაბორატორიის, ინსტიტუტის, კლინიკის თუ კაბინეტის მართვა-გამზღვეობისა და მოქმედების დაწვრილებითი ინსტრუქცია და წარმოადგინონ საბჭოში.

4. განისილებს: სამეურნეო განყოფილების IV კურსის სტუდენტთა შუამდგომლობა მათი კურსის დასრულების დღეს სათანადოდ აღნიშვნის შესახებ.

დაადგინეს: ვინაიდან საბოლოო გამოცდები აღნიშნული კურსის სტუდენტებს მხოლოდ 1921 წლის დეკემბერში დაუსრულდებათ, ამიტომ საკითხის განხილვა გადაიდოს.

ივ. ჯავახიშვილი, პ. პეტრიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. დიდებულიძე, ა. რაზმაძე, ალადაშვილი, დამბარაშვილი, ა. ხარაძე, ბერიტაშვილი, დ. უზნაძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 31

„30,, ივნისი 1921 წ.

დაქვემდებრები: პროფ. და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, ა. ალადაშვილი, არ. ხარაძე, ი. ბერიზაშვილი, დ. უზნაძე, კ. ქეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. დიდებულიძე, ბენაშვილი ა., გ. მუხაძე, ა. რაზმაძე, ალ. ჯავახიშვილი, ასათიანი, ნ. მუსხელიშვილი, ი. თიკანაძე, ა. შანიძე, თვალჭრელიძე.

თავმჯდომარე: ი. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილეს: სამკურნალო ფაქულტეტის მოხსენებანი:

ა. კბილის ექიმთა სახელმწიფო გამოცდების ოქმი.

ცნობა: გამოსაცდელად გამოცხადდა 49 კაცი.

დაადგინეს: შუამდგომლობა გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ დაგმაყოფილებულ იქმნეს.

ბ. დამტკიცებულ იქმნეს პოსპიტალური თერაპიული კლინიკის გამგედ დოც. სპ. ვირსალაძე.

დაადგინეს: დოც. სპ. ვირსალაძე დამტკიცებულ იქმნეს პოსპიტალური თერაპევტიული კლინიკის გამგედ (ერთი შავი, 10 თეორი)

გ. დამტკიცებულ იქმნეს ფაქულტეტის თერაპევტიული კლინიკის გამგედ პროფ. ალ. ალადაშვილი.

დაადგინეს: პროფ. ალ. ალადაშვილი დამტკიცებულ იქმნეს ფაქულტეტის თერაპევტიული კლინიკის გამგეთ (ოთხი შავი და რვა თეორი).

დ. ექ. მ. წინამდღვრიშვილს მიენიჭოს მედიცინის დოქტორის ხარისხი.

დაადგინეს: ექ. მ. წინამდღვრიშვილს მიენიჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. — დაევალოს ფაქულტეტს გამოარკვოს, თუ როგორი სახელწოდება უნდა იქმნეს შემოღებული სადოქტორო სამეცნიერო ხარისხისათვის [.....]¹

გ. შურის, ყელისა და ცხვირის კლინიკის მოწყობის შესახებ.

¹ ქადაგის დაზიანების გამო ტქმები არ იკითხება.

დაადგინეს: პოსპიტალური ქირურგიის კლინიკას გამოეყოს უურის, ყელისა და ცხვირის კლინიკისათვის 15 საწოლი და მოწვეულ იქმნეს ამ კლინიკისათვის: ერთი ლექტორი, ერთი ორდინატორი, ერთი მოწყალების და და ერთი მსახური.

გ. ზოგადი ქირურგიის კათედრის ასისტენტი ალ. წულუკიძე გადაირიცხოს პოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი ტად.

ბ. ექ. რ. ასლანიშვილი არჩეულ იქმნეს პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტად და სარგო მიეცეს დღიდან მისი არჩევისა ე. ი. 28 ივნისიდან ა. წ.

ი. პროფ. კახიანი განთავისუფლებულ იქმნეს თანახმად მისი თხოვნისა ცერმლის სკოლის გამგეობისაგან და ამ თანამდებობაზე დაინიშნოს პროფ. ა. ნათოშვილი ა. წ. 28 ივნისიდან.

ჭ. ზოგადი ქირურგიის კლინიკის ლაბორანტად არჩევნები ექ. ეფრემ ფარნაოზის ძის ზაქარაიასი დამტკიცებულ იქმნეს, სარგო მიეცეს 1 ივნისიდან.

ლ. არჩეულ იქმნეს სასანიტრო ინსტიტუტის საკურორტო განყოფილების ასისტენტად ექ. დიმიტრი ჯავახიშვილი და სარგო მიეცეს დღიდან ფაქტიურად მუშაობის დაწყებისა.

მ. გადაირიცხოს ფსიქიატრიული კლინიკის ორდინანტორი ექ. ი. ლომოური ამავე კლინიკის ასისტენტის თანამდებობაზე და დაენიშნოს სათანადო სარგო დღიდან არჩევისა ე. ი. 29 ივნისიდან 1921 წლ.

დაადგინეს: გ. ზ. ი. კ. ლ. მ. შუამდგომლობანი დამტკიცებულ იქმნება.

6. მიენდოს მედიცინის დოქტორს ვარლამ მოსეშვილს ერთი წლის ვადით ლექციების წაკითხვა ფარმაკოლოგიის კათედრაზე, როგორც თავისუფლად დაქირავებულ პირს და დაენიშნოს მას პროფესორის სარგო პირველი ივლისიდან 1921 წ.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს (14 თეთრი და 2 შავი)

ო. ოფთალმოლოგიის კლინიკის ასისტენტად მოწვეულ იქმნეს ექ. ვახტანგ მუსეხლიშვილი.

დაადგინეს: ექ. ვ. მუსეხლიშვილი მიწვეულ იქმნეს ასისტენტად და მიენდოს მას კათედრის მოწყობა. სარგო დაენიშნოს 28 ივნისიდან 1921 წლ. ე. ი. დღიდან არჩევისა.

პ. ფაკულტეტის მდიგნის თანამდებობისაგან განთავისუფლებულ იქმნეს თანახმად მისი თხოვნისა პროფ. ნ. კახიანი და ამ თანამდებობაზე დამტკიცდეს პროფ. ასათიანი ა. წ. 29 ივნისიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

რ1. ფსიქიატრიული კლინიკის ორდინატორად არჩეულ იქმნეს
ა. გოცირიძე და სარგო დაენიშნოს ა. წ. 1 თიბათვიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

ს. დიაგნოსტიული კლინიკის ლაბორანტი ექ. 6. მახვილაძე
და ამავე კლინიკის ორდინატორები ექ. მ. ტყემალაძე, ი. აბა-
კელია, მ. მაჩაბელი და მ. ფანცხავა გადარიცხულ იქმნენ
ფაკულტეტის თერაპევტიული კლინიკის შტატში იმავე თა-
ნამდებობაზე.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

2. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
შუამდგომლობანი:

ა. დოც. ფიგუროვსკის სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებ-
ლად დისერტაციის დაცვის შესახებ.

დაადგინეს: ვინაიდან უნივერსიტეტს მეტყოროლობის სპეცია-
ლისტი არ ჰყავს ამჟამად და უცხოეთიდან ვისიმე მოწვევა დღვ-
ვანდელ პირობებში მოუხერხებელია, უარი ეთქვას დოც. ფიგუ-
როვსკის მისს განცხადებაზე დისერტაციის დაცვის შესახებ.

ბ. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილებებზე დაწეს-
დეს ყველასათვის სავალდებულო კურსი: „უმაღლეს მათემა-
ტიკის შესავალი“.

გ. მინერალოგიის კათედრასთან დროებით მოწვეულ ასის-
ტენტებს ილია ყიფშიძესა და გიორგი სმირნოვს განეგრძოს
სამსახურის ვადა ერთის წლით.

დაადგინეს: ბ, გ, შუამდგომლობანი დაკმაყოფილებულ იქმნენ.

დ. მოწვეულ იქმნეს ბიოლოგიის კათედრაზე ტუბინგნის
უნივერსიტეტის პროფესორი რიხარდ ფოგელი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. არჩეულ იქმნა ერ-
თხმად (11 თეთრი, შავი = 0)

ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ა. რაზმაძე, თიკა-
ნაძე, მ. პოლიექტოვი, ნ. მუსხელიშვილი, წერეთელი, ა. ხარაძე,
ალადაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ა. დიდებულიძე, ლამბარაშვილი,
ა. შანიძე, დ. უზნაძე

¹ ანბანის თანმიმდევრობა დარღვეულია.

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 32

„29., ივლის 1921 წ.

დაქსწო: პროფ. და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, ა. მაჭაგარიანი, ა. ნათიშვილი, სპ. ვირსალაძე, გ. ღამბარაშვილი, ი. მოსეშვილი, გ. მუხაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, ი. თიკანაძე, გრ. წერჭოელი, მ. ასათიანი, ი. ბერიტაშვილი, კ. კეკელიძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდიგანი: დ. უზნაძე

1. განიხილებს: სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოხსენება:

ა. მოწვეულ იქმნებს ზოოტექნიკის კათედრაზე პროფესორად დოქტორი მაქს მიულერი, ყოფილი პროფესორი ტოკიოს უნივერსიტეტისა.

ცნობა: წაკითხულ იქმნა პროფ. ქურდიანის მოხსენება მიულერის სამეცნიერო მოდგაწეობის შესახებ და მისი curriculum vitae.

დაადგინებს: დოქტორი მაქს მიულერი არჩეულ იქმნა პროფესორად ზოოტექნიკის კათედრაზე ერთხმად.

2. განიხილებს: სახალხო განათლების კომისარიატის დებულებანი უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ.

ცნობა 1. უნივერსიტეტი შეიცავს არსებული ფაკულტეტების ნაცვლად შემდეგ ფაკულტეტებს: პოლიტექნიკურს, სამკურნალოს, სასოფლო-სამეურნეოს, სოციალ-ეკონომიკურსა და პედაგოგიურსს სამი განყოფილებით: ისტორ.-ფილოლოგიურით, ფიზიკ-მათემატიკურითა და საბუნებისმეტყველოთი. თითოეულ ფაკულტეტზე სწავლა სამ-სამს წელს გაგრძელდება.

ცნობა 2. ვინაიდან სამკურნალო და სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტი ჩვენს უნივერსიტეტში უკვე არსებობს, ხოლო პოლიტექნიკურის გახსნა უკვე გადაწყვეტილი იყო, ამიტომ რეფორმა შეეხება მხოლოდ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტს, რომელიც დღემდე შეიცავდა ეკონომიკურ მეცნიერებ-

ბათა და მომავალი საპედაგოგო ფაკულტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას, და აგრეთვე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტსაც.

დაადგინეს: ვინაიდან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელიც სწავლობენ სიბრძნის-მეტყველების ან სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე პრაქტიკულსა და თეორიულს პედაგოგიურ მომზადებას ორსავე აღნიშნულ ფაკულტეტთან არსებულს საპედაგოგიო ინსტიტუტში იღებენ, ამიტომ განზრახელი რეფორმის აზრი უკვე განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის არსებული ორგანიზაციის ფარგლებში და არსებითად იგი მხოლოდ სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სახელწოდების შეცვლით განისაზღვრება, საბჭოს აღნიშნული გარემოება არსებითად არ მიაჩნია და ამიტომ შესაძლებლად სთვლის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტებისათვის საპედაგოგო-ფაკულტეტის სახელწოდება იქმნეს შემოღებული.

სწავლის ხანგრძლივობა სამკურნალო ფაკულტეტზე ეჭვსილით განისაზღვრება, ხოლო დანარჩენებზე ოთხ-ოთხი წლით.

რაც შეეხება სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის დაარსებას, საბჭოს შესაძლოდ მიაჩნია აღნიშნული ფაკულტეტის დაარსება, და მისი მოწყობის გეგმას უნივერსიტეტის საბჭო მოკლე ხანში შეიმუშავება.

ივ. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, გ. მუხაძე, ლამბარაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ხარაძე, კ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი, ი. მოსეგშვილი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 33

„4., ნოემბერს 1921 წ.

დაესწრო: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პ. ქეჩელიძე, დ. უზნაძე, გ. ახ-
ვლედიანი, გ. ღამბარაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გ. ჯავა-
ხიშვილი, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, ალ. ალადაშვილი, ა. ბენაშ-
ვილი, მ. შალამბერიძე, პ. მელიქიშვილი, ი. თიკანაძე, გ. მუ-
ხაძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ვ. გოგიჩაიშ-
ვილი, გ. რცხილაძე, გ. ნიკოლაძე, ნ. მუსხელიშვილი, ქურ-
დიანი სოლომონ, ა. დიდებულიძე, მ. პოლიევპოვი, ბერი-
ტაშვილი ივ.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

I. განიხილებს: უნივერსიტეტის პროფესორის არჩევნები.

დაადგინებს: არჩეულ იქმნა, პროფესორთად ფარული კენჭის ყრიო
პროფ. გ. ღამბარაშვილი

II. განიხილებს: აგრონომიული ფაკულტეტის მოსხენებანი:

1. დამტკიცებულ იქმნებ აგრონომიული ფაკულტეტის დეკანად
პროფ. პ. მელიქიშვილი, ხოლო მდივნად ასისტენტი გ. რცხილაძე.
2. დამტკიცებულ იქმნებ ფაკულტეტის დადგენილება ახალი სა-
მოსწავლო გეგმის განხორციელების შესახებ.

ცნობა: ახალი გეგმა (5 წლიანი აგრონომიულის და 4-წლიანი
სატყეო განყოფილებისათვის) შემოღებულ იქმნეს ეხლავე I, II და
III კურსებისათვის, ხოლო IV კურსზე მეცადინეობა ძველი გეგმის
მიხედვით გაგრძელდეს.

დაადგინებს: ფაკულტეტის დადგენილებანი დამტკიცებულ იქმნებ
უცვლელად.

3. დამტკიცებულ იქმნებ პროფესიულ ფაკულტეტზე სასწავლო გეგმა-
ში აღნიშნული საგნების შესწავლის წესრიგისა და კურსიდან
კურსზე გადასასვლელად სტუდენტთათვის სავალდებულო მინი-
მუმების შემოღების შესახებ.

4. ფაკულტეტთან, თანახმად საბჭოს მიერ დამტკიცებულის გეგმი-
სა საგრონომო ინსტიტუტის შესახებ, გაიხსნას სატყეო განყოფი-

ლება მიმდინარე სემესტრიდანვე. ამასთანავე მოსმენილ იქმნა მიწ.-მოქმ. კომისარიატის ქადალდი ამავე საგანზე.

5. გახსნილ იქმნეს ფაკულტეტთან სავაჭროინარო განცოფილება და დამტკიცებულ იქმნეს მისი ორი წლის სასწავლო გეგმა, თანახმად ამასთანავე დართული ხისა.

6. ენტომოლოგის ლექტორად დამტკიცებულ იქმნეს ბ. ვ. ა. ზაიცევი და სარგო გადმოეწეროს დღიდან მისი არჩევისა (14 ოქტომბ. ა. წ.).

7. მეტყეობის ასისტენტის ი. ზაპტეგერს დაევალოს ზოგადი მეტყეობის ჯურნალის წაკითხვა ლექტორის სახელწოდების მიკუთვნებით; ამავე დროს იგი დარჩეს მეტყეობის ენციკლოპედიის ასისტენტიად.

8. მცენარეთა ფიზიოლოგიის დროებით ასისტენტად მოწვევულ იქმნეს ქნი ი. გ. თარხანოვა-ალექსანდროვისა ერთის წლის ვადით. სარგო მიეცეს 3 ნოემბრიდან.

დაადგინეს: ფაკულტეტის ყველა შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს უცვლელად.

III. განიხილეს: მოსხესნებანი სამკურნალო ფაკულტეტისა:

1. დაწესდეს ფაკულტეტთან კათედრა კბილის სნეულებათა მეცნიერებისა. მოეწყოს მისოვის კლინიკა, რომლის გამგეობაც უნდა ჩაბარდეს ერთ პროფესორს. — თვით საგნის წაკითხვა კი დაევალოს დოცენტს.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს.

2. დამტკიცებულ იქმნეს ყურის, ცხვირისა და ყელის სნეულებათა ლექტორად დოქტორი ნიკოლოზ სიმონის ძე ორემბოვსკი.

ცნობა: გარდა დოქტორის ორემბოვსკისა საბჭოში წარდგენილ იქმნა ფაკულტეტის მიერ ნიკ. მის. ასპისოვის კანდიდატურაც, ხოლო არა როგორც ფაკულტეტის კანდიდატისა.

დაადგინეს: ყურის, ცხვირისა და ყელის სნეულებათა ლექტორად მოწვევულ იქმნეს დოქტორი ნიკ. სიმ. ორემბოვსკი დროებით მიმდინარე სემესტრიდან.

3. ა. კერძო თერაპიის და პათოლოგიის ასისტენტი ვლადიმერ თერქია გადაირიცხოს ასისტენტად თერაპიულ-ჰოსპიტალურ კლინიკაში.

ბ. ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკის ორდინატორი ნიკოლოზ ყიფშიძე გადაირიცხოს ლაბორატორიად ჰოსპიტალურ თერაპიის კლინიკაში.

გ. ლაბორატორი ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკისა თამარ აბაშიძე გადაირიცხოს დიაგნოსტიკურ კლინიკის ლაბორატორიად.

დ. ორდინატორი სამეცნი კლინიკისა ვ. ხოჭოლავა თანახმად მისი თხოვნისა განთავისუფლებულ იქმნეს თანამდებობიდან 1 აგვისტოდან.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცებულ იქმნეს და აღნიშნული პირი დამტკიცებული იქმნეს თანამდებობაზე 7 ივლისიდან.

4. განთავისუფლებულ იქმნეს პროფ. ნავაშინი ფაკულტეტზე ბოტანიკის წაკითხვის ვალდებულებიდან თანახმად მისი თხოვნისა და კურსის წაკითხვა ბოტანიკაში სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთაოვის დაევალოს დროებით ერთი წლის ვადით ბ. ზაქარია ყანხაველს როგორც ლექტორს.

5. განთავისუფლებულ იქმნეს პროფ. კახიანი თანახმად მისი თხოვნისა პისტოლოგიის კათედრის გამგეობისაგან. მის ნაცვლად როგორც კათედრის გამგებლობა, ისე პისტოლოგიის კურსის წაკითხვაც დაევალოს პროფ. ალ. ნათიშვილს და სარგო დაენიშნოს 2 ნოემბრიდან ა. წ.

6. დაარსდეს საბავშვო სწეულებათა კლინიკასთან მეორე ასისტენტის (ქირურგიის) თანამდებობა ჩვეულებრივი საასისტენტო სარგოს დანიშვნით.

დაადგინეს: შუამდგომლობანი დამტკიცებულ იქმნეს უცვლელად.

IV. განიხილეს: სამათემ-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოხსენებაბანი.

1. დაწესდეს ფაკულტეტზე ელემენტარული მათემატიკის კურსი (დამატებითი თავები) და მისი წაკითხვა დაევალოს მის. კონიაშვილს, რომელიც მოწვევულ უნდა იქმნეს აღნიშნული კურსის დაქმორად 1 ნოემბრიდან.

დაადგინეს: მის. კონიაშვილი მოწვეულ იქმნეს ელემენტარული მათემატიკის ლექტორად ა. წ. 1 ნოემბრიდან.

V. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების ფაკ შუამდგომლობანი.

1. დატოვებულ იქმნეს ფაკულტეტის ენათმეცნიერების კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად დ. მგელაძე სტიპენდიოთ 1 ოქტომბრიდან 1 ივნისამდე.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკამაყოფილებულ იქმნეს.

2. ინგლისურ ენაში კურსის წაკითხვა დაევალოს ლექტორს ელისაბედ ორბელიანისას.

3. მიეცეს პროფ. ფილ. გოგიჩაიშვილს ზედმეტი საგნის კოთხვისათვის (სოციალური სტატისტიკა) მართებული სარგო.

დაადგინეს: შუამდგომლობანი დამტკიცებულ იქმნეს.

ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ბერიტაშვილი, ი. თიკანაძე, ვ. მელიქიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, ა. დიდებულიძე, ალადაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გ. დამბარაშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ა. ბენაშვილი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N_o 34

, 25,, ნოემბერი 1921 წ.

დაქსწრო: პროფ. და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, პ. კველიძე, ივ. ბერიტაშვილი, ი. თიკანაძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, ა. რაზმაძე, ა. ალადაშვილი, ს. ქურდიანი, ა. დიდებულიძე, ა. ჯავახიშვილი, გ. ჯავახიშვილი, გ. დამბარაშვილი, ი. მოსეშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, გ. პოლევგბოვი, დ. უზნაძე, გ. ჩუბინაშვილი

თაგმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

1. განიხილეს: მოხსენება პროფ. ივ. ჯავახიშვილისა სადოქტორო გამოცდებზე დაშვების პირობების შესახებ.

ცხობა: თანახმად მოხსენებისა საჭიროა ხარისხის მომპოვებელს წინასწარ თუ ორისა არა ერთი უცხო ენის (დასავლეთი ევროპის) ცოდნა მოეთხოვოს, რომელთა შორისაც განსაკუთრებით სასურველად გერმანული ენა უნდა იქმნეს ცხობილი. ამის გარდა თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს ერთ-ერთი სამეცნიერო გამოკვლევა, საიდანაც ასპირანტის სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარი უნდა ჩანდეს.

დაადგინეს: სადოქტორო სამეცნიერო ხარისხის კველა მომპოვებელს მოეთხოვოს წინასწარ ცოდნა ერთი დასავლეთი ევროპის ენისა მაინც. ენის ცოდნა შემოწმდეს ცალკე გამოცდის საშუალებით. ამის გარდა, მოეთხოვოს მას წინასწარ თხოვნის წარმოდგენასთან ერთად თან დაურთოს ერთი სამეცნიერო გამოკვლევა მაინც, საიდანაც უნდა ჩანდეს რომ ხარისხის მაძიებელს სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარი შესწევს.

ერთ-ერთი დასავლეთი ევროპის ენის ცოდნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულ პირებსაც მოეთხოვოს.

2. განიხილეს: მოხსენებანი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა.

1. ვინაიდგან ბეჭდის საქმე ფრიად გაძნელებულია, ამიტომ დროებით ნება დართულ იქმნეს დაუბეჭდავ დისერტაციის დაცვა.

დაევალოს ასპირანტებს, რომ ფაქულტეტში წინასწარ წარმოადგინოს სამი ცალი მაინც მანქანით გადაწერილი დისერტაციისა.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს.

2. მიენდოს საეკონომიკო კურსის წაკითხვა ლექტორ გ. გებრეანს.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს.

3. დატოვებულ იქმნეს საპროფესოროდ მოსამზადებლად ერთის წლის ვადით უსტიპენდიოთ ბ. ერ. არდიშვილი.

დაადგინეს: შეამდგომლობა უარყოფილ იქმნეს.

3. განისილეს: მოხსენებანი სიბრძნის მეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტთა შეერთებული სხდომისა.

1. თანახმად კომისარიატის წინადადებისა და საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებისა (ოქმი № 32) სიბრძნის მეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაქულტეტის გაერთიანდეს ერთ ფაქულტეტად. საპედაგოგიო ფაქულტეტის სახელით ორის განყოფილებით. თითოეულს განყოფილებას თავის თავმჯდომარე და მდივანი პყავს; იგი ცალკე იკრიბება თავისი კერძო საქმეების გასარჩევად და მოხსენება უშეალოდ შეაქვს პროფესორთა საბჭოში დასამტკიცებლად. ცნობა, დებულებანი საპედაგოგიო ფაქულტეტის შესახებ თან ერთვის ოქმე.¹

დაადგინეს: მოხსენება დამტკიცდეს უცვლელად.

2. საპედაგოგიო ფაქულტეტის დეპანად დამტკიცებულ იქმნეს პროფ. კ. კეკელიძე, მდივანად ბ. ზაქარია ყანჩაველი.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს.

4. განისილეს: განცხადება პროფ. ა. ბენაშვილისა დეკანის თანამდებობის აღსრულებისაგან განთავისუფლების შესახებ.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს.

5. განისილეს: სამურნალო ფაქულტეტის მოხსენებანი.

1. ადდგენილ იქმნეს ფარმაციის და ფარმაკოგნოზიის ცალკე კათედრა.

დაადგინეს: შეამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ადნიშნულ კათედრაზე არჩეულ იქმნეს პროფ. იოგალ. გორ. ქუთათელაძე

დაადგინეს: პროფ. ქუთათელაძის არჩევნები დამტკიცდეს (13 ოქტორი 2 შავი)

3. ხოოლოგიის კურსის წაკითხვა დროებით ერთის წლის ვადით დაევალოს ასისტენტს ვალერიან როსტომბეგოვს.

¹ დებულებების თან არ ახდავს.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

6. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოსსენებანი.

1. შემოღებულ იქმნეს პირველ კურსის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მსმენელთათვის ქიმიური სემინარი და მისი ხელმძღვანელობა დაევალოს პროფ. ი. მოსეშვილს.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. დაწესდეს მიმდინარე სასწავლო წლიდან თვისებითი ანალიზის მეცუთე ასისტენტის თანამდებობა.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

3. პროფ. ა. თვალჭრელიძის გამოუცხადებლობის გამო ნება დაერთოს ფაკულტეტის კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის კურსების წასაკითხად დროებით მოიწვიონ შესაფერის პირი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

4. პროფ. ს. ნაგაშინი განთავისუფლდეს ბოტანიკის სავალდებულო კურსის წაკითხვის მოვალეობიდან, თანახმად მისი სურვილისა, და მიენდოს მას სპეციალური კურსების წაკითხვა პრივატ-დოცენტის წოდებით.

დაადგინეს: სავალდებულო კურსის წაკითხვის მოვალეობისაგან პროფ. ნაგაშინი განთავისუფლდეს, ხოლო საკითხი სპეციალური კურსების მინდობის შესახებ და პრივატ-დოცენტის წოდების შესახებ გადაიდოს შემდეგ სხდომისათვის.

5. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარეთ დამტკიცდეს პროფ. ალ. ჯავახიშვილი, ხოლო მდივნად დოცენტი ნოე ყიფიანი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

ივ. ჯავახიშვილი, ქ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი, ა. ღიღებულიძე, გ. ახვლედიანი, გ. მუხაძე, დამბარაშვილი, ა. შანიძე, ბერიტაშვილი, ა. ხარაძე, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, ა. რაზმაძე, ალ. ჯავახიშვილი, წინამძღვრიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ალადაშვილი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 35

16,, ნოემბერი 1921 წ.

დაქსწრო: პროფ. და დოც. ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ახ-
ვლედიანი, ა. ხარაძე, ა. რაზმაძე, ს. ქურდიანი, ნ. ყიფიანი,
გ. ჩუბინაშვილი, გ. მუხაძე, ა. ალადაშვილი, ი. მოსეშვილი,
ა. ბენაშვილი, ა. ჯავახიშვილი, წინამდღვრიშვილი, გ. ლამბა-
რაშვილი, ი. ქუთათელაძე, გოგიტიძე, ა. შანიძე, ი. ბერიტაშ-
ვილი, გ. ჯავახიშვილი.

თაგმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი **მდივანი:** დ. უზნაძე

1. განიხილეს: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის
შუამდგომლობა:

1. მიენდოს ნ ა ვ ა შ ი ნ ს ბოტანიკაში კერძო კურსების წა-
კითხვა პრივატდოცენტრის სახელწოდებით.

დადგინებები: ვინაიდან თანახმად უნივერსიტეტის წესდებისა პრი-
ვატდოცენტრა მხოლოდ არა სავალდებულო კურსებისათვის შე-
იძლება არსებობდეს, ხოლო რადგანაც სასურველია ნავაშინს
ისეთი სპეციალური კურსები მიენდოს, რომელიც სპეციალისტ
ბუნების მეტყველთაოვის სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს, ამი-
ტომ შუამდგომლობა დაუბრუნდეს ფაკულტეტს ხელახალი შუამ-
დგომლობის აღსაძერელად.

2. განიხილეს: მოხსენება უნივერსიტეტთან უმაღლესი ტეხნიკური
ინსტიტუტის დაარსებისათვის არჩეული კომისიისა და პროფ. ა.
დიდგულიძის განსაკუთრებული აზრი.

ცნობა: მოხსენება და განსაკუთრებული აზრი თან ერთვის ოქმს.¹

დაადგინებები: ნაცვლად განზრახული სატეხნიკო ინსტიტუტისა და-
არსდეს უნივერსიტეტთან სატეხნიკო ფაკულტეტი. ფაკულტეტის
მოხაწყობად შესდგეს კომისია უნივერსიტეტის იმ პროფესორთა-
გან, რომელთაც მომავალს სატეხნიკო ფაკულტეტზე სავალდებუ-
ლო კურსების წაკითხვა დაევალებათ იმ მიზნით, რომ მათ გამო-
არკვიონ, თუ რამდენი განყოფილების და კურსის გახსნა იქნება

¹ მოხსენება ოქმს თან არ ახლავს.

შესაძლო ამ თავითვე. ამ კომისიის შედგენა და მოწვევა მიენდოს პროფ. ა. დიდებულიძეს. მიეცეს აღნიშნულ კომისიას უფლება კორპტაციის წესით მცოდნე პირთაგან თავისი შემადგენლობის შევსებისა.

3. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

ა. პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტისა და კათედრის გამგებლობა და ლექციების კითხვა დროებით დაევალოს ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბ. ლოდობერიძეს, სარგო დაენიშნოს 5 ღეკემბრიდან.

დაადგინეს: შეამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ბ. ლოქტორი ორეგმოვსკი განთავისუფლებულ იქმნეს, თანახმად მისი თხოვნისა, ყურის, ყელისა და ცხვირის ლექტორის თანამდებობისაგან და მის ნაცვლად მოწვევულ იქმნეს ლოქტორი ასპისოვი დროებით, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს.

გ. ოდესის უნივერსიტეტის პროზექტორი ვ. ჟდენტი დატოვებულ იქმნეს უნივერსიტეტის საპროფესოროდ მოსამზადებლად სტიპენდიით. აღიძრას შუამდგომლობა, რათა მას მიეცეს ერთდროული დახმარება საქართველოში ჩამოსახვლებიდან და აღესაში საჭირო პრეპარატებისა და მასალის შესაძენად.

დაადგინეს: შეამდგომლობა დაკმაყოფილდეს. საჭირო თანხის გამორკვევა დაევალოს გამგებას.

4. განიხილეს: აგრონომიული ფაკულტეტის შეამდგომლობანი.

ა. დამტკიცდეს მეაპრეშუმებობის პროფესორად მარბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ჰარმისი.

ბ. ზოოტეხნიის კათედრაზე პროფესორად დამტკიცდეს გისენის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ვალტერი.

დაადგინეს: არჩეულ იქმნა ერთხმად.

5. განიხილეს: მოხსენება პროფ. ა. შანიძისა შესახებ „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემის წესის შეცვლისა:

1. „უნივ. მოამბ“ გადაკეთდეს იმ გვარად, რომ შიგ იძებელდებოდეს გამოკვლევანი უნივერსიტეტის მუშაკებისა იმ რიგით, როგორც შემოდის რედაქციაში, და წერილები არ იქნეს განაწილებული ფაკულტეტების მიხედვით.

2. „მოამბ“ გამოდიოდეს ნაკვეთებად (შეძლების და გვარად წელიწადში ოთხჯერ), საერთოპაგინაციით, ოციდან თცდაათ თაბახამდე, რაიცა შეადგენს ერთ ტომს.

3. ქურნალი დაიბეჭდოს 900 ცალად. ავტორებს მიეცეს 50 გადმონაბეჭდი.

4. წარმოდგენილი ხელნაწერები საჭხებით მზად უნდა იყოს დასაბეჭდად და ადვილად იკითხებოდეს.

დააღინეს: დაკმაყოფილდეს უცვლელად.

ივ. ჯავახიშვილი, გ. დამბარაშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი,
ა. დიდებულიძე, დ. უზნაძე

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

№ 36

,30,, დეკემბერი 1921 წ.

დაქსწრებ: პროფ. და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ალ. დიდებულიძე, გ. წერეთელი, მ. შალამბერიძე, ა. ხარაძე, რცხილაძე, ს. ქურდიანი, ნ. ყიფაინი, პ. კეკელიძე, მ. პოლიეგატოვი, გ. დამბარაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, შ. ნუცუბიძე, ა. შანიძე, თვალჭრელიძე, დ. უზნაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

I. განიხილება: ტეხნიკური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარის მოხსენება და თვით კომისიის ოქმი.

ცნობა: თანახმად კომისიის დადგენილებისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი სამ განყოფილებას უნდა შეიცავდეს: ა. სააღმშენებლოს, ბ. მექანიკურს, და გ. სამორმადნოს, რადგანაც სამივე განყოფილების პირველი კურსის მასალა თითქმის ერთი და იგივეა, კომისიას შესაძლებლად მიაჩნია 1922 წლის იანვარში გაიხსნას მხოლოდ ერთი სემესტრი /I ან II/ ყველა განყოფილებისათვის საერთო.

დაადგინება: 1922 წლის იანვარში გაიხსნას სატეხნიკო ფაკულტეტის ერთი სემესტრი (I ან II, საჭიროების მიხედვით), თანახმად კომისიის მოხსენებისა.

II. განიხილება: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების მოხსენებანი:

ა. ასისტენტებიდან ალ. ილინსკი და კ. როსტომბეგოვი გადაირიცხონ პირველი აგრონომიულ ფაკულტეტზე და მეორე სამკურნალოზე.

დაადგინება: შეწყნარებულ იქმნეს.

ბ. დამტკიცებულ იქმნეს ინჟ. ივ. თულაშვილი დოცენტის მოვალეობის აღმასრულებლად /ერთი წლით/ და დაევალოს მას დახაზვითი გეომეტრიის კურსის წაკითხვა 20 დეკემბრიდან.

ცნობა: მოსმენილ იქმნა ინჟ. თულაშვილისა.

დაადგინება: ინჟ. თულაშვილი მიწვეულ იქმნეს დოცენტის მოვალეობის აღმასრულებლად და სატეხნიკო ფაკულტეტზე 20 დეკემბრიდან 1921 წლის.

გ. დამტკიცდეს ფიზიკის კათედრასთან ასისტენტის თანამდებობაზე ალ. მუსხელიშვილი.

ცნობა: მოსმენილ იქმნა ბ. ალ. მუსხელიშვილისა

დ. ქ-ნ ელ. რაზმაძის ასული ასისტენტის თანამდებობაზე ზოოლოგიის კათედრასთან 13 დეკემბრიდან.

ცნობა: მოსმენილ იქმნა ქ. რაზმაძის ასულისა.

გ. დამტკიცდეს პროფ. ნავაშინი დოცენტიად ბოტანიკის კათედრასთან და მიეცეს მას სარგო პროფესორის კვალობაზე.

დაადგინეს: პროფ. ნავაშინი დამტკიცებულ იქმნეს ბოტანიკის დოცენტიად და თანახმად წესდებისა დაენიშნოს მას დოცენტის სარგო.

გ. გეოგრაფიის კათედრასთან არსებული თანამდებობა მხაზველისა შეცვლილ იქნეს კარტოგრაფის თანამდებობად და მიეკუთვნოს ამ თანამდებობას ასისტენტის სარგო. ამ თანამდებობაზე გადარიცხულ იქნეს მხაზველი ს. ცხაკაია.

დაადგინეს: შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

III. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობანი.

ა. დამტკიცდეს თამ. ჯავახიშვილი-ყავრიშვილი თვალთა სნეულების კლინიკის ორდინატორად 1 ნოემბრიდან.

ბ. დამტკიცდეს ბავშვთა ქლინიკის ასისტენტიად ექ. კილოსანიდე და ამავე კლინიკის ორდინატორად ექ. პ. ნანეული 5 დეკემბრიდან.

გ. დამტკიცდეს გინეკოლოგიური კლინიკის ორდინატორად ექ. ა. თვარაძე ა.წ. 5 ნოემბრიდან.

დაადგინეს: შუამდგომლობანი დაკმაყოფილდეს.

V. განიხილეს: სიბრძნისმეტყველების განყოფილების მოხსენებანი:

ა. მოწვეულ იქმნეს 1922 წლის 1 იანვრიდან ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე ლექტორად სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკტორანტი ს. დანელია.

დაადგინეს: თანახმად წესდებისა, შუამდგომლობა დანელიას მოწვევის შესახებ არ იქმნა დაკმაყოფილებული.

ბ. იმ სტუდენტო, რომელიც ეხლა რვა სემესტრის კურსს ასრულებენ, მიეცეთ დროებითი მოწმობა ყველა საგალდებულო კურსების მოსჩენის შესახებ, დარგების მიხედვით, მიეცეთ მათ თემები საკანდიდატო თხზულებისათვის, რომლის დაწერისათვის დაენიშნოთ ვადა არა უგვიანეს მაისის გასულისა. თუ თხზულება მოწონებული იქმნება, მიეცეთ მათ დიპლომი სათანადო ფორმით.

დაადგინეს: მოხსენება დამტკიცებულ იქმნეს იმ დამატებით, რომ აღნიშნულ სტუდენტებს დაევალოს ძირითად საგანში გათავებისას ხელახლი გამოცდის ჩაბარება.

ივ. ჯავახიშვილი, გ. დამბარაშვილი, პ. კეკელიძე, ს. ქურდიანი, ალადაშვილი, ა. შანიძე, გიორგი ჯავახიშვილი

1 9 2 2
வெளி

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

Nº 1

, „10” ოქტომბერი 1922 წ.

დაქსწრო: გ. ასათაანი, კ. კებელიძე, გ. დამბარაშვილი, ი. მოსეშვილი, ჩუბინაშვილი, ნათიშვილი, გოგიტიძე, ღოღობერიძე, გედევანიშვილი, ქურდიანი, ალაძაშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. ჯავახიშვილი, თულაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ხარაძე, დიდებულიძე, ყიფშიძე, დ. უზნაძე, წინამდგრადშვილი, შალამბერიძე, გ. წერეთელი, ანდრონიკაშვილი, ს. ამირეჯიძე, თიკანაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

I. განიხილეს: წინა სხდომის ოქმი / / და დამტკიცდეს.

2. განიხილეს: ანგარიში უნივერსიტეტის მოღვაწეობისა გახული სასწავლო წლის (1921) განმავლობაში.

დაადგინეს: ანგარიში წინა სხდომაზე მოსმენილ ნაწილთან ერთად დაიბეჭდოს „უნივერსიტეტის მოამბეში“.

II. განიხილეს: სამუშაონალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

1. ოქმი კბილის ექიმის წოდებაზე მოწყობილი გამოცდისა.

დაადგინეს: ოქმი დამტკიცდეს.

2. დამტკიცდეს: სამეცნო კლინიკის ორდინატორად 1922 წლ. 3 იანვრიდან ექიმი ვლადიმერ კუჭაიძე; 2/ დიაგნოსტიკის ასისტენტად ალექსანდრე ეპიფანეს ძე კანდელაკი იმავე რიცხვიდან; 3/ თვალის კლინიკის ლაბორატორიად უქ. კონსტანტინე ილიას ძე რობიტაშვილი, იმავე რიცხვიდან. 4/ კერძო პათოლოგიისა და ოქრაპიის ასისტენტად ნიკოლოზ იოსების ძე ანდრიაძე – იმავე რიცხვიდან; 5/ ჰიგიენის კათედრის ასისტენტად ექიმი სოლომონ სვიმონის ძე აბულაძე. 6/ სასამართლო მედიცინის ლექტორად და პათოლოგიური ანატომიის პროფესიექტორად ა/წ 3 იანვრიდან სასწავლო წლის ბოლომდე უქ. პეტრე ბენიამინის ძე ვიხრიოვი. 7/ ნორმალურ ანატომიის ასისტენტი სვ. საყვარელიძე გადაირიცხოს ჰისტოლოგიის კათედრის პროფესიექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ცნობა: მოსმენილ იქმნა curriculum vitae ყველა აღნიშნულ პირთა.

დაადგინეს: ყველა შუამდგომლობაში აღნიშნული პირი დამტკიცდეს თავის თანამდებობაზე დღიდან ფაქულტეტის მიერ არჩევისა.

III. განიხილეს: აგრონომიული ფაქულტეტის კურსდამთავრებულთათვის დროებითი მოწმობის ნიმუშის დამტკიცება.

ცნობა: დავა გამოიწვია საკითხმა, თუ რა საგანში უნდა ჩაბაროს ასპირანტმა გამოცდა დიპლომის მისაღებად და რა ვადაში უნდა წარმოადგინოს მან წერილობითი შრომა.

დაადგინეს: საკითხი გადაიდოს და დაევალოს ფაქულტეტებს, აღნიშნულ საკითხის შესახებ იქნიოს მსჯელობა და თავისი გადაწყვეტილება გადასცეს საბჭოს.

ივ. ჯავახიშვილი, ა. დიდებულიძე, კ. პეპელიძე მ. შალამბერიძე, ალადაშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გორგი ჯავახიშვილი

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 2

„3,, მარტი 1922 წ.

დაქსწრო: პროფესორები და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, მ. პოლიევკოვი, ივ. ბერიბაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ა. ლიდებულიძე, მ. ასათიანი, ა. ალადაშვილი, ი. მოსეშვილი, მ. შალამბერიძე, ი. თიკანაძე, გ. წერეთელი, გ. ახვლევიანი, ლ. ანდრონიკაშვილი, ა. ხარაძე, გ. დამბარაშვილი, ი. ქუთათელაძე, ბ. ლოლობერიძე, ა. ბენაშვილი და დ. უზნაძე, საგრონომიო ფაკულტეტის მდივანი გ. რცხილაძე, და საპოლიტენიკო ფაკულტეტის მდივანი ვ. ყიფშიძე

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: დ. უზნაძე

I. განიხილეს: მოსმენილ და დამტკიცებულ იქმნა ოქმი №1

II. განიხილეს: მოხსენება რექტორისა პროფესორ თვალჭრელის შესახებ უნივერსიტეტის გამგეობაში მიღებული დადგენილებისა.

ცნობა: პროფესორ ა. თვალჭრელიძე დედის ავადმყოფობის გამო ოთხი დღით აიდო შეგებულება. მიუხედავად იმისა, რომ შეგებულების ვადა დიდი ხანია რაც გათავდა, პროფესორი ა. თვალჭრელიძე ტფილისში არ დაბრუნებული და ფაკულტეტზე მინერალოგიის ლექციები დღემდე არ იყიდება. ამის გამო გამგეობაში იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და დადგინა: პროფ. ა. თვალჭრელიძე დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან თუ ათი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება და არ განაახლებს ლექციების კითხვას.

დაადგინეს: გამგეობის დადგენილება დამტკიცდეს, ხოლო ათი დღის ნაცვლად ვადა გადიდებულ იქნეს ორკვირამდე.

ცნობა 2. მსჯელობა იყო საზოგადოებრივი იმის შესახებაც, რომ ზოგი პროფესორი ხშირად ისე ტოვებს ლექციებს, რომ ამის შესახებ არც სტუდენტებს აქვთ წინასწარი ცნობა და არც უნივერსიტეტის აღმინისტრაციას.

დაადგინეს: ა. დაევალოს ყოველ პროფესორს, თუ რომ რაიმე საპატიო მიზეზის გამო მას ლექციის გადადება უხდება, ამის შესა-

ხებ წინასწარ აცნობოს კანცელარიას, რათა ლექციის გადაღება დროზე გამოცხადდეს.

ბ/ მოქალაქეს ლექციების რეგისტრაცია და თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე პროფესორმა უმიზეზოდ გამოტოვა სამჯერ ლექცია, ეს გარემოება ეცნობოს პროფესორთა საბჭოს საქმისათვის სათანადო მსვლელობის მისაცემად.

III. განიხილეს: საპოლიტეკნიკო-ფაკულტეტის მოხსენებანი:

1. დამტკიცდეს ფაკულტეტის დეკანად პროფ. ალ. დიდებულიძე, ხოლო მდივნის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად ასისტენტი კ. ყიფშიძე.

დაადგინეს: შეამდგომლობა დამტკიცდეს (16 იანვრიდან ა.წ.)¹

2. დამტკიცდეს გამოყენებითი მექანიკის კათედრის ასისტენტად ინკ. ლ. დაასამიძე.

ცნობა 1. წაკითხულ იქნა Curriculum vitae.

დაადგინეს: დიასამიძე ლ. დამტკიცდეს 3 თებერვლიდან.²

ცნობა 2. დაისვა საკითხი პრაქტიკული საგნების მასწავლებელთა მოწვევის წესის შესახებ საზოგადოდ და კერძოდ საპოლიტეკნიკო ფაკულტეტისათვის.

დაადგინეს: პრაქტიკული საგნების მასწავლებელთა და ლექტორთა მოწვევის წესი ყველა ფაკულტეტებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად: ა/ განიხილულ იქნეს ფაკულტეტში ყველა სათანადო საბუთი კანდიდატისა; ბ/ დაევალოს მას ორი ლექციის წარმოდგენა: პირველი უნდა წარმოდგენილ იქნეს წერილობით და მის შესახებ ფაკულტეტში თავისი დასკრნა გამოიტანოს და დასამტკიცებლად საბჭოს გადასცეს – მეორე წაკითხულ იქნეს საჯაროდ.

3. განიხილეს: დამტკიცდეს ა.წ. 23 თებერვლიდან³ ა/აქსიონომეტრიულისა და საარქიტექტურო ხატვის მასწავლებლად ჰ. გრინევსკი;

ბ/ მოსამზადებელ სემესტრზე დროებით ფიზიკის ელემენტარული კურსის წაკითხვა დაევალოს ასისტენტს კ. ყიფშიძეს;

¹ ხიტყვები „(16 იანვრიდან ა.წ.)” ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

² ხიტყვები „დიასამიძე ლ. დამტკიცდეს 3 თებერვლიდან.” ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

³ ხიტყვები „ა.წ. 23 თებერვლიდან” ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

გ/ ელემენტალურ მათემატიკის კურსის წაკითხვა იმავე სემესტრზე დოცენტს ა. ხარაძეს და
დ/ გერმანული ენის სწავლება ლექტორ ილ. ყიფშიძეს.
დაადგინეს: შუამდგომლობანი დამტკიცდეს.

IV. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობანი:
ა. დამტკიცდეს თვალის კლინიკის ორდინატორად ექ. ს. ა. ჩიქოვანი ა. წ. 6 თებერვლიდან.¹
ბ. გადაირიცხოს სამეცნიერო კლინიკის ორდინატორი ლ. ფირცხალავა კანისა და ვენერიულ ავადმყოფთა კლინიკის ლაბორატორიად ა. წ. 6 თებერვლიდან.²
დაადგინეს: აღნიშნული პირი დამტკიცდეს თანამდებობაზე დღიდან ფაქულტეტის დადგენილებისა.

V. განიხილეს: სიბრძნის მეტყველების განყოფილების შუამდგომლობანი:
ა. დატოვებულ იქნეს სისხლის სამართლის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად ლაზ. შურდაია უსტიპენდიოდ. 1921 წ. 21 დეკემბრიდან.³
დაადგინეს: შუამდგომლობანი დამტკიცდეს

VI. განიხილეს: მოსმენილ იქნა წერილი Dr. R. Stoffel⁴-ისა მისი სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვევის პირობების შესახებ.
დაადგინეს: ეცნობოს გერმანიის მისიის საშუალებით, რომ დღევანდელ პირობებში სამწუხაროდ მისი პირობების შესრულება შეუძლებელია.

იგ. ჯავახიშვილი, პ. ქლებიძე, ა. ხარაძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. დოდებულიძე, ალ. ალადაშვილი, ა. ბენაშვილი, მ. ასათიანი, გიორგი ჯავახიშვილი, გ. შალამბერიძე, ალ. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე

¹ სიტყვები „ა. წ. 6 თებერვლიდან“ ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

² სიტყვები „ა. წ. 6 თებერვლიდან“ ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

³ სიტყვები „1921 წ. 21 დეკემბრიდან.“ ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

⁴ სიტყვები „Dr. R. Stoffel“ ჩაწერილია მელნით დ. უზნაძის მიერ.

ტფილისის საჭელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს

s x d o m i s d R i u r i .

N^o 3

„24., მარტი 1922 წ.

დაქსწრო: პროფესორები და ღოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ბერიტაშვილი, მ. შალამბერიძე, ა. ბენაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ს. გოგიტიძე, თულაშვილი, შ. ასათიანი, ა. ალადაშვილი, ვ. ყიფშიძე, ა. დიდებულიძე, ი. თიანაძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. ხარაძე, ხ. ყიფიანი, გ. ჯავახიშვილი, კ. კპპლიძე, ს. ამირეჯიბი, გრ. წერეთელი და დ. უზნაძე.

თავმჯდომარე: პროფ. ივ. ჯავახიშვილი **მდიგარი:** პროფ. დ. უზნაძე

1.განიხილეს: მოხსენება უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ი. ჯავახიშვილის, პროფესორ ა. თვალჭრელიძის შესახებ წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

ცნობა: თანახმად პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებისა პროფ. ა. თვალჭრელიძეს ეცნობა, რომ მისი ჩამოსვლა ტფილისში და ლექციების კითხვის განახლება აუცილებლად საჭირო იქნ, მაგრამ პროფ. ა. თვალჭრელიძე დღემდე არ დაბრუნებულა.

დაადგინეს: 1. დაევალოს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილებას დაუყოვნებლივ მიანდოს მინერალოგიისა და კრისტალოგრაფიის კურსების წაკითხვა სათანადოდ მომზადებულ პირს.

2. პროფ. ა. თვალჭრელიძე გადაუქნებულ იქმნეს სამსახურიდან და მისი გამოცხადებლობის მიზეზთა გამორკვევა დაევალოს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში პროფესორთა საბჭოს თავისი დასკრნაუნდა წარმოუდგინოს.

ცნობა: აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქმნა 13 ხმით ერთის წინააღმდეგ ფარული კენჭის ყრით.

II. განიხილეს: სამკურნალო ფაკულტეტის შუამდგომლობანი:

1. დამტკიცდეს პათოლოგიური ქირურგიული კლინიკის ასისტენტად ეჭ. კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი ა/წ 6 თებერვლიდან.

2. დამტკიცდეს კანისა და ვენერიული კლინიკის ორდინატორი ალექსანდრე სვიმონის ძე ჯავრიშვილი იმავე კლინიკის ასისტენტად ა/წ 6 თებერვლიდან.

3. დამტკიცდეს სამეცნო კლინიკის ორდინატორად ექ. ნიკოლოზ მრევლიშვილი ა/წ 13 მარტიდან.

4. დამტკიცდეს გინეკოლოგიის კლინიკის ორდინატორად ექ. მიხ. ჩხეიძე ა/წ 13 მარტიდან.

5. დამტკიცდეს ნერვიული კლინიკის ორდინატორად ექ. ნიკ. ფოფხაძე ა/წ 25 იანვრიდან

დაადგინეს: შუამდგომლობანი დამტკიცდეს.

III. განიხილეს: საპოლიტენიკო ფაკულტეტის მოხსენებანი:

1. დამტკიცდეს ინჟინერი ი. ყიფშიძე სამთო-მადნო ხელოვნების კურსის ლექტორად ა/წ 28 თებერვლიდან.

ცნობა: თანახმად პროფესორთა საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებისა (იხ. ოქმი № 3) ინჟ. ივ. ყიფშიძის მიერ წარმოდგენილ იქნა ფაკულტეტში წერილობით ლექცია, რომელიც ფაკულტეტშიმა დამაკმაყოფილებლად სცნო.

დაადგინეს: ინჟ. ივ. ყიფშიძე დამტკიცდეს თანამდებობაზე ა/წ 23 თებერვლიდან.

სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილების მოხსენებანი:

1. დამტკიცდეს ცხოველთა ფიზიოლოგიის ასისტენტად ა/წ I იანვრიდან ექ. ლევან დუნდუა.

დაადგინეს: ექ. ლევან დუნდუა დამტკიცდეს თანამდებობაზე ა/წ 20 მარტიდან

2. დამტკიცდეს ა/წ 22 თებერვლიდან ზოოლოგიის ასისტენტად ქნი ირაკლია ჭავჭავაძის ასული.

დაადგინეს: ქნი ირაკლია ჭავჭავაძის ასული აგრეთვე ა/წ 20 მარტიდან.

თავმჯდომარე, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი, ქ. ქეკელიძე, ალა-დაშვილი, ს. ამირეჯიბი, ს. გოგიტიძე, ი. ბერიტაშვილი, ა. ბენაშვილი, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. ხარაძე, წერეთელი, გიორგი ჯავახიშვილი

ივ. ჯავახიშვილი, ქ. კეკელიძე, ა. ბენაშვილი, გ. გებტანი, გ. ნათაძე, დამბარაშვილი, ვ. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ჯანელიძე, გიორგი ჯავახიშვილი, კ. ამირაჯიბი, ს. გოგიტიძე, ვ. უდენტი, ბ. ლოდობერიძე, ალადაშვილი, ივ. ლულაძე, ი. ლომოური, ა. ლიდებულიძე, ალ. ჯავახიშვილი, ივ. თულაშვილი, ი. ბერიტაშვილი, ვაჟეიშვილი, მდივანი: ი. ქუთათელაძე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბჭოს სხდომის ოქმი
№ 5¹

” 9 ” მაისი. 1924 წ.

დაქსწრენ: ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, გ. პოლიევკტოვი, ა. დიდგ-
ბულიძე, ალ. ჯავახიშვილი, ივ. თულაშვილი, კ. კეკელიძე, ი. ბე-
რიტაშვილი, გ. ნათაძე, გ. ახელედიანი, ბ. ღოღობერიძე, გ. გეხ-
ტმანი, ს. ქურდიანი, გ. ჯავახიშვილი, ვ. უდენტი, ი. ქუთათელაძე,
ნ. იოსელიანი, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, გ. ლამბარაშვილი,
ხარაძე, ნ. კახიანი, ა. ჯანელიძე, ალ. ალადაშვილი, ივ. ლულაძე,
გ. მუხაძე, თიკანაძე, დ. გელევანიშვილი, ს. ამირეჯიბი, ს. გოგიტი-
ძე, ნ. ყიფიანი, ივ. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, კ. ამი-
რეჯიბი, ლ. ანდრონიკაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. შალამბერიძე,
ვ. მოსეშვილი, ვირსალაძე.

უმცროს მასწავლებელთა წარმომადგენელი: მ. ბექაიძა, ა. წე-
რეთელი, გ. რცხილაძე, ყიფშიძე ვასილი, ვარაზაშვილი, ზ. ყანჩა-
ველი, ი. ლომოური.

სტუდენტთა წარმომადგენელი: ს. კიგაბიძე, მიქაძე ი., აკ. მე-
ნაბდე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი მდივანი: ი. ქუთათელაძე

საპედაგოგიო ფაკულტეტის მოხსენებანი:

1. განიხილეს: წარვლინებულ იქმნეს დამსახურებული პროფესორი
ალ. ცაგარელი საზღვარგარედ ვენა და ვენეციაში და აგრეთვე
ლენინგრადში სამეცნიერო მიზნით – 1 წლის ვადით. ამასთანავე
ერთად აღიძრას შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წი-
ნაშე, რათა პროფ: ცაგარელს მიეცეს მისგან უნივერსიტეტის მი-
ერ შექნილი წიგნთსაცავის საფასური რომლის ჯამი შეადგენს
1345 მანეთს. (1345 მან.)²

დაადგინეს: აღიძრას განათლების კომისარიატის წინაშე რათა
დამსახ. პროფ. ალ. ცაგარელს მიეცეს მისგან შექნილ წიგნთსა-
ცავის დირექტულება. იქმნეს მიღებული სათანადო ზომები რომლე-
ბიც ხელს შეუწყობს დამს. პროფ. ალ. ცაგარელს მის გამგზავრე-
ბაში.

განიხილეს: დატოვებულ იქმნეს ივანე კაჭარავა გეოლოგიის კა-
თედრასთან მოსამზადებლად სტიპენდიით – 1 წლის ვადით.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცეს.

¹ ოქმი დაბუჭილია საბუჭო მანქანაზე.

² სიტყვები: „(1345 მან.)” ჩაწერილია შელნით.

განიხილებს: წარვლინებულ იქმნეს ლექტორი იუსტინე აბულაძე ა.შ. 15 მაისიდან 2 თვის ვადით ლენინგრადში სამეცნიერო მიზნით. აღიძრას შუამდგომლობა რათა ამ მიზნისათვის სამგზავროთ მიეცეს 20 ჩერვონეცის მანეთი.

დაადგინებს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

აგრონომიული ფაკულტეტის მოსსენებანი:

განიხილებს: წარვლინებულ იქმნეს ლექტორი ს. ჩოლოფაშვილი საზღვარ გარედ სამეცნიერო მიზნით ერთი წლის ვადით და მიეცეს მას ამ მიზნისათვის 500 მანეთი.

დაადგინებს: წარვლინებულ იქმნას ს. ჩოლოფაშვილი თანახმად ფაკულტეტის შუამდგომლობის – 1-მუხლისა, ხოლო მისი ხარჯით.

განიხილებს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სახწავლო და საგამოცდო გეგმა.

დაადგინებს: საკითხი გადაიდოს შემდეგ სხდომისათვის, დაიბეჭდოს და დაეგზავნოს გეგმა საბჭოს წევრებს გასაცნობლად.

ივ. ჯავახიშვილი, პ. გეგელიძე, გიორგი ჯავახიშვილი, მ. ბექაია, გ. ყიფშიძე, ს. ჩოლოფაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ბერაშვილი, მ. პოლიევქტოვი, ა. ხარაძე, გ. შალამბერიძე, ი. ლომოური, ს. ქურდიანი, დ. გედევანიშვილი, ა. თვალჭრელიძე, ი. მოსეშვილი, ივ. თულაშვილი, კ. ამირაჯიბი, ალადაშვილი, ალ. ნათოშვილი, ვაჩეოშვილი, გ. გეხტმანი, ნ. იოსელიანი, კ. მოსეშვილი

მდივანი პროფ: ი. ქუთათელაძე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორთა საბჭოს სხდომის

დღიური № 6

„30“ მაისი. 1924 წ.

დაქსწრო: ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, ი. ქუთათელაძე, ა. დიდებულიძე, ალ. ალადაშვილი, პ. კაკალიძე, ფ. გოგიჩაშვილი, დ. უზნაძე, გ. ნათაძე, გ. ახვლედიანი, ს. ქურდიანი, გ. გეხტმანი, ა. ხარაძე, ი. მოსეშვილი, ალ. ჯავახიშვილი, მ. პოლიეგპტოვი, ა. თვალჭრელიძე, ი. თულაშვილი, პ. ამირეჯიბი, გ. ჯავახიშვილი, დ. გელევანიშვილი, ი. თიქანაძე, მ. ასათიანი, ბ. დოლობერიძე, შ. ნუცუბიძე, ა. ჯანელიძე, ნ. იოსელიანი, მ. შალამბერიძე, ლ. მელიქ სედეგი, ს. გირსალაძე, ა. ნათოშვილი, ა. შანიძე, ლ. ანდრინიკაშვილი, გ. მუხაძე, გ. ნიკოლაძე, მუსხელიშვილი, მ. წინამდლვრიშვილი, ი. ლულაძე, ი. ბერიტაშვილი, ვ. მოსეშვილი, ნ. კახიანი.

უმცროს მასწავლ. წარმომადგენელნი: ბექაია, დ. იოსელიანი, ვ. ყიფშიძე, ლომოური, ვაჩევიშვილი, მგალობლიშვილი, ცეცხლაძე, ალ. წერეთელი, ზ. ყანხაველი, ჯაკობია, ნ. ყიფშიძე, ილია ყიფშიძე.

სტუდენტთა წარმომადგენელნი: კიკაბიძე სამსონი, ანდრიაძე ლიზა, მიქაელი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი მდივანი: ი. ქუთათელაძე

საპედაგოგიო ფაკულტეტის მოსსენებანი:

1. განიხილება: წარვლენილებულ იქმნას პროფ. ა. ბენაშვილი ზაფხულის არდადეგების დროს სამეცნიერო მიზნით 1/2 თვით რესეტის ქალაქებში. გამოთხვევილ იქმნას ამ მიზნისთვის სამგზავროთ 200 მან. და ხელსაწყოების შესაძენად 550 მან. ჩერვონეცით.

დაადგინება: იხ. დადგენილება სამკურნალო ფაკულტეტის მოსსენებიდან § II შესახებ.

2. განიხილება: წარვლენილებულ იქმნას პროფ. მ. პოლიეგპტოვი ზაფხულის არდადეგების დროს მოსკოვსა და ლენინგრადს სამეცნიერო მიზნით, რისთვისაც გამოთხვილ იქმნას 40 ჩერ.

დაადგინება: იხილე დადგენილება სამკურნალო ფაკულტეტის მოსსენებიდან § II შესახებ.

3. განიხილება: წარვლენილებულ იქმნას უნივერსიტეტის დატოვებული კონსტანტინე მეგრელიძე საზღვარ გარეთ სამეცნიერო მიზნით ორი წლის ვადით.

დაადგინება: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

4. განიხილეს: წარვლენილებულ იქმნას უნივერსიტეტთან დატოვებული გიორგი ჯაკობია სპარსეთში სამცნიერო მიზნით ერთი წლის ვადით და გამოთხოვილ იქმნეს ამ მიზნისათვის სათანადო თანხა.

დაადგინეს: იხ. დადგენილება სამკურნალო ფაკულტეტის მე-II გ შესახებ.

5. განიხილეს: წარვლენილებულ იქმნას ასისტენტი ბეგაძაშვილი ზაფხულის არდადებების დროს ორი თვით საზღვარ გარეთ სამეცნიერო მიზნით და გამოთხოვილ იქმნეს ამისთვის 50 ჩერვონეცი.

დაადგინეს: იხ. დადგენილება სამკურნალო ფაკულტეტის მე-II გ შესახებ.

6. განიხილეს: მიენიჭოს პედაგოგიურ ფაკულტეტის [---]¹ კურს დამთავრებულ: ბუქინიქ ნინოს (ქართული სიტყვიერების დარგი), გოგილ ლევანს (მათემატიკის დარგი), ვაჩნაძე ნინოს (ფილოსოფიის დარგი), ვეფხვაძე ვერას (ქართული სიტყვიერების დარგი), კარიფაძე აბიბოს (საქართვლელის ისტორიის დარგი), მეცნისაშვილს ნიკოლოზს (ქართული სიტყვიერების დარგი), მჭედლიძე სიმონს (საქართველოს სიტყვიერების დარგი), ნამორაძე ალექსანდრეს (დასავლ. ეკროპის ისტორიის დარგი), უვანია კალისტრატეს (საქართველოს ისტორიის დარგი), ცაგარელს (იგივე ცაგარელიშვილს) მიხეილს (ქართული სიტყვიერების დარგი), ცაგურია მარიამს (საქართველოს ისტორიის დარგი).

დაადგინეს: შეამდგომლობა დამტკიცდეს.

სოციალ. ეკონომიკურ დაკულტეტის მოხსენება:

7. განიხილეს: დამტკიცდეს უნივერსიტეტთან დატოვებული ლევან ასათიანი კომპიუტერული სამუშაოების დამტკიცდეს.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

აგრონომიულ ფაკულტეტის მოხსენებანი:

8. განიხილეს: აგრონომიულ ფაკულტეტის ყოფილი მსმენელები, რომელთაც სახელმწიფო გამოცდების წესების დამტკიცებამდე ყველა საგნები ჩაბარებული პქნიდათ და დაპლომის მისაღებად მხოლოდ სადიპლომო შრომა უნდა წარმოედგინათ, განთავისუფლებულ იქმნას სახელმწიფო გამოცდებიდან.

დაადგინეს: შეამდგომლობა დამტკიცდეს.

9. განიხილეს: დამტკიცდეს აგრონომიულ ფაკულტეტის სასწავლო და საგამოცდო გეგმა.

¹ ტექნიკურ გამჭრალია.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს შემდეგი შესწორებებით სახელავლო გეგმაში:

§ 8. კურსიდან კურსზე გადასვლის დამოწმების მიზნით სალექციო წიგნაკი სტუდენტმა შემოდგომის სემესტრში უნდა წარმოადგინოს პირველ ოქტომბრამდე.

§ 9. ის სტუდენტები, რომლებსაც პირველ კურსზე სამოსწავლო წლის განმავლობაში ერთი საგანი ექნებათ მაინც ჩაბარებული ფაკულტეტს აქვთ უფლება დატოვოს იმავე კურსზე; წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან.

არა სავალდებულო საგნებიდან ამორიცხულ იქმნას უცხო ენა და მოწესრიგდეს უნივერსიტეტის საერთო სასწ. გეგმის მიხედვით. აღნიშნული სოფლის მეურნეობის დარგში მეტეოროლოგია შეტანილ იქმნეს სასოფლო სამეურნეო მეტეოროლოგიის სახით.

საბეიოთლო მკურნალობის შესახებ სამკურნალო ფაკულტეტთან ერთად შეთანხმებით შემუშავებულ იქმნას გეგმა და წარმოდგენილი განსახილველად.

სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

10. განიხილეს: ნერვიულ კლინიკის ასისტენტ ექ. სვ. ყიფშიძეს, რომლის მიერ წარმოდგენილი და დაცული სადისერტაციო შრომა სათაურით „მასალები პატარა ტვინის პათოლოგიისათვის“ ცნობილ იქმნა საქმაოდ, მიენიჭოს ნერვო-პათოლოგიის და ფსიქო-ატრიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

დაადგინეს: შუამდგომლობა დამტკიცდეს.

11. განიხილეს: წარვლენილებულ იქმნან საზღვარ გარეთ სამეცნიერო მიზნით:

1. პროფ. ს. ვირსალაძე ა/წ 1 სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე სახელმწიფო ხარჯზე.

2. დოც. მ. წინამდგრიშვილი 1/2 წლით და გამოთხოვილ იქმნას ამ მიზნით 240 გირ. სტ.

3. დოც. ბ. ლოდობერიძე სახ. ხარჯით. 1 წლის ვადით.

4. ექ. სვ. ყიფშიძე ერთი წლით და გამოთხოვილ იქმნეს ამ მიზნით 300 ჩერვონეცი.

5. ექ. შ. მიქელაძე ერთი წლით და მიეცეს 300 ჩერვონეცი.

6. ექ. სვ. საყვარელიძე ერთი წლით სახ. ხარჯზე.

7. ასისტ. ელიავა სახ. ხარჯზედ. ერთი წლით.

დაადგინეს: შუამდგომლობა აღიძრას სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე ყველა ამ ოქმში დასახელებულთ 1, 2, 4, 5 და 11 წარვლენილებულ იქნან სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ და გამოთხოვილ იქმნას სათანადო თანხა. თუ თანხა, რომელიც კომისარიატის მიერ გამოღებულ იქნება არ დააქმაყოფი-

ლებს ყველას იმ შემთხვევაში უპირატესობა მიეცეს უნცროს მას-წავლებლებს.

12. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. მიხეილ ტყავაძე ქირურგიულ კლინიკის ორდინატორად ა/წ 1 აპრილიდან.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

13. განიხილეს: მიენიჭოს სამკურნალო ფაქულტეტის პურს დამ-თავრებულო 129 კაცს თანახმად აქვე დართულ სამკურნალო ფა-ქულტეტის სიისა ექიმის წოდება და მათ შორის 54 პირს ექიმის წოდება წარჩინებით. იხ. სია.¹

დაადგინეს: დამტკიცდეს.

ივ. ჯავახიშვილი ქ. ბეჭედიძე, გ. ახვლედიანი, ღამბარაშვილი, წინამდღრიშვილი, პოლიექტორი, ა. ჯანელიძე, ნ. მუსხელიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, მ. ბექაია, ვ. ყიფშიძე, ი. ლომოური, გ. რცხილაძე, ს. ჩოლოვაშვილი, ნ. კახიანი, ილ. ყიფშიძე, ს. კიკაბი-ძე, ივ. თულაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. გეხტმანი, ვირსალაძე, ვაჩერიშვილი, ა. თვალჭრელიძე, ი. მოსეშვილი, ნ. იოსელიანი, ბ. ღოღობერიძე, ა. დიდებულიძე, ალ. ჯავახიშვილი, ალადაშვილი, შ. ნუცუბიძე, ალ. ნათოშვილი, ვ. მოსეშვილი, მდივანი: ი. ქუთათე-ლაძე

¹ ხის მაგივრად ამ დღიურის შემდეგ საქმეში ჩაკრულია სამკურნალო ფაქულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი, რომლის აუბლიკაციასაც ვაქვეყნებთ (იხ. შემდეგ გვერდზე).

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი ს
სახელმწიფო გამომცდელ კომისიის
სხდომის ოქმი.¹
“26” მაისი 1924 წ.

დ ა ე ს წ რ თ: დამს. პროფ: პ. მელიქიშვილი, პრ. დამბარაშვილი,
პროფ. ალადაშვილი, პროფ. ნათიშვილი, პროფ. მუ-
ხაძე, დოც. ლოდობერიძე.

თავმჯდომარე: დამბარაშვილი. მდივანი: ლოდობერიძე.

გ ა ი ნ ხ ი ლ ე ს: გამოცდების ჩათავების შემდეგ გამოცდე-
ბის შედეგების განხილვა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: სულ გამოცხადდა გაომცდებზე 129 პირი.
ამათგან შემდეგმა 53 პირმა მიიღო ნახევარზე მეტ საგნებში ფრი-
ად დამაქმაყოფილებელი ნიშანი.

1. ალშიბაია კალისტრატე 2. ანთაძე ვლადიმერ 3. ბოკერია ნი-
ნო 4. ბუკია ევგენი 5. გაბურია ამბერგი 6. გოგორიშვილი შალვა
7. გიორგაძე გიორგი 8. გუტიკაშვილი მარიამ 9. ლილებულიძე
გრიგოლ 10. ედიძერიძე ალექსანდრე 11. ვართაგავა გიორგი 12.
თევზაძე დავით 13. კანდელაკი მემნონი 14. კერძაია აგრაფინა 15.
კობიაშვილი თეოფანე 16. მგელაძე ქეთევან 17. მესხი ივანე 18.
ნაროუშვილი კონსტანტინე 19. ნიქაბაძე ივანე 20. პარმა იოსები
21. უდენტი ანა 22. რატიშვილი გაბრიელ 23. სარჯველაძე ელისა-
ბედ 24. სიხარულიძე ივანე 25. ფავლენიშვილი გიორგი 26. შვან-
გირაძე იორამ 27. შუშანია პლატონ 28. ქაჯაია ივლიანე 29. ქება-
ძე პოლინა 30. ჩიქოვანი ლუკა 31. ჩიხუა კონსტანტინე 32. წერეთ-
ლი ნინო 33. ხომასურიძე ივანე 34. ხესკივაძე ზაალი 35. ჯიბუტი
გერმანე 36. ანდრონიკაშვილი თამარ 37. ანტონვა-ბელიაგსკაია
ზინაიდა 38. ბაბახანიან ლიუსიკ 39. ბარათაშვილი მარიამი 40. გა-
ლიუნ-კეიგელუსის ეთერი 41. გაიპერინ სურა 42. დანიელიან-ბაი-
სოგოლოვი მარიამ 43. დემუროვი ელენე 44. ვახტარიანი გაიანე
45. კარაგეზოვა ბარბალე 46. კარიბოვი ნიკოლოზი 47. კოჩარიანი
ელენე 48. მელიქ-აკოპოვი მარიამ 49. ნათიშვილი ევდოკია 50. პი-
როვაკოვი ვლადიმერი 51. შაფერი იაკოფი. 52. ფრიდმანი ლიუბა 53.
ფრიდმანი მარიამი 54. ქალანდაროვი თამარი.

¹ ოქმი დაბუჭილიან ხაბეჭდ მანქანაზე ჩვეულებრივ ქაღალდზე.

ამ 54 პირს მიენიჭოს ხარისხი ექიმისა წარჩინებით, შემდგეგმა 56 პირმა ჩააბარა ყველა საგნები და ამათ მიენიჭოთ ხარისხი ექიმისა

1. აბაშიძე ნიკოლოზი
2. აბულაძე ელენე
3. აღნიაშვილი ელენე
4. ახვლედიანი არდევან
5. ბარამიძე ვლადიმერი
6. გალუსტოვა ანა
7. გაჩეხილაძე გიორგი
8. გვარამაძე ნინო
9. გიორგაძე გრიგოლი
10. გრიგოლია ლილია
11. გუდიაშვილი ვახტანგი
12. გუდიაშვილი-ტარასიშვილი ბარბალე
13. დონჯაშვილი თამარი
14. ებანოიძე ალექსანდრა
15. ერქომაიშვილი დავით
16. თაქთაქიშვილი ელენე
17. თაქთაქიშვილი შალვა
18. თოხაძე ლეონიძე
19. კაკუბერია ონიფან-ტე
20. კალანდაძე აგრაფინა
21. კვაჭახაძე თამარი
22. კვიცარიძე შიო
23. ლოროტექიფანიძე გიორგი
24. მაკარიძე მარიამი
25. მამურია იოსები
26. მანჯაგიძე გიორგი
27. მაყაშვილი ელენე
28. მაჭავარიანი სიმონი
29. მდიაშვილი მიხეილ
30. მირიანაშვილი ქეთევანი
31. ნაცვლიშვილი ბარბალე
32. ნაცვლიშვილი გიორგი
33. ნემსაძე მგატერინე
34. ნიკოლაიშვილი თამარი
35. ოთხმეტეური ვასილი
36. ოსიძე ალექსანდრე
37. ოქროპირიძე თამარი
38. სეფაშვილი-ბერიშვილი ნინო
39. სირია იონა
40. ფოჩხუა პლატონი
41. ჩახავა ვასილი
42. ჩირაძე ნადევდა
43. ყურაშვილი კვიროსი
44. ცინცაძე ივანე
45. ხევსურიანი ოქროპირი
46. ხეჩინიშვილი გიორგი
47. ბლიზნიუქი ლიუბოვ
48. გრინბერგ-მჭედლიშვილი ანა
49. ვოლკოვა კლავდია
50. იაკოვლევი ანა
51. კანცელმახერ-მაიზელსი ანა
52. კრასლაგსკაია დებორა
53. მაჩაბელი სემონი
54. როიტენბერგი ლიუბოვ
55. სვიტალსკაია ნატალია
56. სევასტიანოვი ფოტინა.

შემდეგმა 19 პირმა ჩაიჭრა თითო საგანში, სახელდობრ:

1. აბრამიშვილი ვერა – სასამართ. მედიც.
2. აბრამიძე ვალალია – ფარმაკოლოგიაში
3. ასათიანი დავით – მეანობაში
4. ბერიშვილი ელისაბედი – ფარმაკოლოგიაში
5. გოთოშია მინადორა – ფარმაკოლოგიაში
6. გოცირიძე აგაფონი – ბავშვთა სნეულებაში
7. დემეტრაძე დავით – ფარმაკოლოგიაში
8. ვაჩნაძე ეკატერინე – ფარმაკოლოგიაში
9. თაყაიშვილი დარეჯანი – მეანობაში
10. ინასარიძე თამარი – ფარმაკოლოგიაში
11. კახაძე ანა – ფარმაკოლოგიაში
12. ქორადლიშვილი თამარი – ფარმაკოლოგიაში
13. ლომთათიძე ლეონიძე – ფარმაკოლოგიაში
14. სეფაშვილი ალექსანდრე – ფარმაკოლოგიაში
15. ტოროშელიძე თამარი – ფარმაკოლოგიაში
16. ფურცელაძე მართა – ფარმაკოლოგიაში
17. ქაჯაია პარმენი – ფარმაკოლოგიაში
18. ჩახუაშვილი სერგემაგდონი – ფარმაკოლოგიაში
19. ლიახოვი უგოშია – ფარმაკოლოგიაში

ვინაიდან ჩამოთვლილმა ცხრამეტმა პირმა ჩაიჭრა თითო საგანში და დანარჩენ საგნებში კი აღმოაჩინეს დამაკმაყოფილებელი ცოდნა, ეს თითო საგანიც ჩაბარებულად ჩაეთვალოს მათ და მიენიჭოს მათ ხარისხი ექიმისა.

დედანთან სწორია: კომისიის მდივანი ბ. ლოდობერიძე¹

¹ სიტყვები „დედანთან სწორია: კომისიის მდივანი ბ. ლოდობერიძე“ ჩაწერილია ბერძნოს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორთა საბჭოს სხდომის
დღიური №7

20/VI

1924 წ

დაქვემდებრები: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პ. კეკელიძე, ალ. დიდებულიძე,
გ. ნათაძე, ი. ბერიძაშვილი, მ. პოლიეკბერივი, ვირსა-
ლაძე, თიკანაძე, დოც. ლ. მელიქსევდევი, მ. შალამბერი-
ძე, პროფ. ახვლედიანი, დოც. გეხეგმანი, პროფ. ი. მოსეშ-
ვილი, ს. ამირჯიბიძე, ალ. ჯავახიშვილი, ივ. თულაშვი-
ლი, პროფ. ჩუბინაშვილი, დოც. გ. ჯავახიშვილი, პროფ.
ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უხნაძე, ვ. ვორონინი, ი. ქუთათე-
ლაძე, შ. ნუცებიძე, დოც. მ. წინამდღვრიშვილი, პროფ.
ალ. ალადაშვილი, გ. ლამბარაშვილი, ა. ბენაშვილი, ა.
მაჭავარიანი, დოც. ნ. იოსელიანი, პროფ. ნ. კახიანი, ვ.
მოსეშვილი, დოც. ა. ჯანელიძე, პროფ. ალ. ნათიშვილი,
ნ. მუსეელიშვილი, ა. შანიძე, ა. თვალჭრელიძე, ს. გოგი-
ბიძე, მ. ასათიანი, დოც. ვლ. ჟღენტი.

უმცროს მასწავლ. წარ. ალ. ვაჩეიშვილი, ექ. მ. მგა-
ლობლიშვილი, ექ. ნ. ყიფშიძე, მ. ბექაია, დ. იოსელიანი,
ვ. ყიფშიძე, ი. ლომოური, ილ. ყიფშიძე, დ. ცხაკია, ს.
ჩოლოვაშვილი, გ. ჯამბურია, გ. რცხილაძე.

სტუდენტთა წარმომადგენლები: სამსონ კიკაბიძე, სერგო
მდიგარი, ელ. ანდრიაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი. მდიგარი: ი. ქუთათელაძე

1. მოსმინება: გამგეობის მოხსენება კანის და ვენერიულ კლინი-
კის მდგომარეობის შესახებ და საკითხთან დაკაშვირებული წინა-
დაღება.

დაადგინება: 1. საქმის წარმოება იმ მიმართულებით რომლითაც
იგი სწარმოებდა ჩაითვალოს კანონიერად (35 თეთრი, 4 შავი).

2. საქმარისად ჩაითვალოს საქმესთან თანდართული საბუთები
(34 თეთრი, შავი 9).

3. დამტკიცდეს გამგეობის დადგენილება კანის და ვენერიულ
კლინიკის გამგის დოც. ივ. ლულაძის თანამდებობიდან განთავი-
სუფლების შესახებ (34 თეთრი, შავი 7).

ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ქ. კეპელიძე, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიაშვილი, მ. წინამძღვრიშვილი, ა. ჯანელიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გ. ჯაკობია ა. ხარაძე, ა. ლილებულიძე, ალადაშვილი, ა. მაჭავარიანი, ბ. ღოღობერიძე, გ. ღამბარაშვილი, ნ. იოსევიანი, ვაჩერიშვილი, ივ. ოულაშვილი, დ. უზნაძე, ი. მოსეშვილი, შ. ნუცუბიძე, ვ. მოსეშვილი, მ. ასათიანი, ალ. ნათიშვილი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბჭოს სხდომის
დღიური №8

26 ივნისის, 1924 წ.

დაქსწრებ: პროფესორები და დოცენტები: ივ. ჯავახიშვილი, ა. დიდებულიძე, ივ. თულაშვილი, ალ. ალადაშვილი, ა. ხარაძე, ვირსალაძე, პ. კეკელიძე, ი. მოსეშვილი, დ. უხნაძე, გ. ახვლედიანი, ალ. ჯავახიშვილი, ს. ამირეჯიბი, ა. ბენაშვილი, გ. დამბარაშვილი, ნ. იოსელიანი, გ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ივ. თიკანაძე, ა. მაჭავარიანი, დ. გედვანიშვილი, ალ. ნათოშვილი, მ. წინამძღვარიშვილი, ა. ჯანელიძე, ბ. დოლობერიძე, მ. შალამბერიძე, ი. ქუთათელაძე, გ. მუხაძე, შ. ნუცებიძე, ფ. გოგიაშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. ამირეჯიბი, ვ. ქლენტი, ვ. მოსეშვილი, გ. ნათაძე.

უნივერსიტეტის მასწავლებელთა წარმომადგენელი: ა. ვაჩეიშვილი, მ. მგალობლივიშვილი, ილ. ყიფშიძე, ზ. ყანხაველი, ვ. ყიფშიძე, მ. ბექიაძე, ს. ჩოლოფაშვილი, გ. ჯავახიშვილი

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი მდივანი: ი. ქუთათელაძე

საპატიო ფაქულტეტის მოსსენებანი:

1. მოისმინებს: დოცენტ გრიგოლ იასონის ძე ნათაძეს რომელმაც ა. წ. 8 ივნისს პედაგოგურ ფაქულტეტის საჯარო სხდომაზე დაიცვა მის მიერ წარმოდგენილი შრომა სათაურით „უძველეს საბერძნებელის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც კილონის აჯანების საფუძველი“ მიენიჭოს ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

2. მოისმინებს: პროფ. ბენაშვილის შვებულების და წარვლინების გამო აღმრული საგეოგრაფიო ინსტიტუტის დაარსების საკითხის შესახებ ფაქულტეტის დადგენილება: ეცნობოს პროფ. ალ. ჯავახიშვილს რომ საკითხი საგეოგრაფიო ინსტიტუტის შესახებ უნივერსიტეტის არც ერთ დაწესებულებაში არ ყოფილა დასმული, რაც შეეხება პროფ. ბენაშვილის შვებულების საკითხს, რომლის მიერ იყო გამოწეული პროფ. ალ. ჯავახიშვილის განცხადება იგი დაგმაყოფილებულ იქმნეს იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ეხება საგეოგრაფიო ინსტიტუტის ხელსაწყოების შეძენას.

დაადგინებს: ცნობად.

3. მოისმინებს: დამტკიცდეს აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორი გლადიმერ ასათიანი რაოდენობითი დაბორატორიის ასისტენტიად.

დაადგინეს: დამტკიტცდეს.

4. მოისმინეს: დამტკიტცდეს რაკდენ ხუციშვილი თეორიულ ფიზიკის კათედრის კურსის დექტორად 1 წლით და დაევალოს ამავე დროის განმავლობაში სადოქტორანტო ზეპირი გამოცდების ჩაბარება.

დაადგინეს: დამტკიტცდეს.

5. მოისმინეს: მოწვევულ იქმნას ქიმიო ფარმაცევტიულ განყოფილებაზე სამკურნალწამლო მცენარეთა მომშენებლობის კათედრაზე დოცენტად და კათედრის გამგეთ ფარმაციის მაგისტრი ედუარდ აბოლი 3 წლის ვადით.

დაადგინეს: თანახმად აგრონომიულ ფაკულტეტის მდივნის იოსელიანის განცხადებისა სამკურნალწამლო მცენარეთა მომშენებლობა შეადგენს აგრონომიულ ფაკულტეტის საგანს, რომელ ფაკიურთხება სუბტროპიკული მცენარეთა მომშენება. იოსელიანის აზრით სამკურნალო მცენარეთა მომშენებლობის კურსი უნდა შეურთდეს სუბტროპიკულ მცენარეთა მომშენებლობის კურსს.

საბჭომ მოისმინა რა აგრონომიული ფაკულტეტის ასეთი განცხადება დაადგინა დაუბრუნდეს საკითხი საპედაგოგიო ფაკულტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან შეთანხმებით.

6. მოისმინეს: მოწვეულ იქმნას ფარმაციის მაგისტრი ბ. კონსტანტინე ბახტაძე ქიმიოფარმაცევტიულ განყოფილებაზე¹ ფარმაკოგნოზის კათედრაზე დოცენტათ და კათედრის გამგეთ, აღიძრას შეამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე რათა გბახტაძის წიგნთსაცავის და ლაბორატორიის გადმოსატანათ მას მიეცეს ერთი ვაგონი და ფულათ 200 მანეთი.

დაადგინეს: შეამდგომლობა დამტკიტცდეს.

7. მოისმინეს: საპედაგოგიო ფაკულტეტთან არსებულ სახელმწიფო გამოცდების თამჯდომარის წარმოდგენის თანახმად თუ გის მიენიჭა საპედაგოგიო ფაკულტეტის გათავების დიპლომი (სია იხ. ოქმის ბოლოს*)

დადაგინეს: დამტკიტცდეს.

სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი:

8. მოისმინეს: წარვლინებულ იქმნას დენინგრადს ზაფხულის არადევების დროს ერთი თვის ვადით რენტგენოლოგიის ასისტენტი ექ. დ. მიქელაძე რენტგენოლოგიის² კურსებზე და გამოეთხოვოს კომისარიატიდან უფასო ბილეთი.

დაადგინეს: დამტკიტცდეს.

¹ სიტყვები „ქიმიოფარმაცევტიულ განყოფილებაზე“ ჩაწერილია შედნით.

² სიტყვები „ახისტენტი ექ. დ. მიქელაძე რენტგენოლოგიის“ ჩაწერილია შედნით.

9. მოისმინებს: ექიმ აბაკელიას რომელმაც ა. წ. 5 იგნისს დაიცვა მის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია შემდეგი სათაურით, „ტუბერკულიოზის ინფაქციის ლიმფატიურ გზით გავრცელების ახატომიური დასაბუთების მასალები“, მიენიჭოს სამეცნიერო ხარისხი შინაგან მედიცინის დოქტორისა.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

10. მოისმინებს: ექ. შ. მიქელაძეს რომელმაც ა. წ. პირველ იგნისს დაიცვა მის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია შემდეგი სათაურით „მასალები სისხლის წებოვნებისა და შედეგების თვისების შესახსავლათ მაღარის დროს“, მიენიჭოს სამეცნიერო ხარისხი შინაგან მედიცინის დოქტორისა.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

11. მოისმინებს: დამტკიცდეს ექ. პარმა ფაკულტეტის თერაპევტულ კლინიკის ორდინატორად. სარგო მიეცეს დღიდან ექ. თაყაიშვილის მიერ თანამდებობის განთავისუფლებისა.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

12. მოისმინებს: დამტკიცდეს ფაკულტეტის თერაპევტიულ კლინიკის ორდინატორად ექ. გრ. დიდებულიძე. სარგო მიეცეს დღიდან ექ. ქავთარაძის მიერ თანამდებობის განთავისუფლებისა.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

13. მოისმინებს: დამტკიცდეს სამეცნ. კლინიკის ორდინატორათ ექ. ს. ბერინვა. სარგო მიეცეს ა. წ. პირველ იგნისიდან.

14. მოისმინებს: წარვლინებულ იქმნას ჰიგიენის კათედრის უმფროსი ასისტენტი ექ. ბაქრაძე საზღვარგარედ სამეცნიერო მიზნით ერთი წლით თავის ხარჯით და მისი ჯამაგირით მოწვეულ იქმნეს დროებით ასისტენტი.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

15. მოისმინებს: წარვლინებულ იქმნას ლექტორი ასპესოვი საზღვარ გარედ ზაფხულის არდადეგების დროს 3 თვით თავის ხარჯზე.

16. მოისმინებს: დამტკიცდეს კბილის სნეულებათა ექიმის წოდებაში 1) კარაგულიან სათენიპ, 2) სეირანოვი მინუშავ და ლორის-მელიქვანი ნინო (სამკ. ფაკ. ოქმი 17 იგნისის).¹

დაადგინებს: დამტკიცდეს.

17. მოისმინებს: დამტკიცდეს კბილის სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ექ. ალ. ედიბერიძე, სარგო მიეცეს ა. წ. 15 იგნისიდან.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

18. მოისმინებს: მიენიჭოს დოცენტ წინამდვრიშვილს პროფესორის წოდება.

დაადგინებს: დამტკიცდეს.

¹ სიტყვები „(სამკ. ფაკ. ოქმი 17 იგნისის).“ ჩაწერილია მელნით.

პოლტენიკური ფაკულტეტის მოხსენებანი:

- 19. მოისმინებს:** დამტკიცდეს ინჟინერი ალ. ჯორჯაძე გვირაბების კურსის ლექტორად.
- 20. მოისმინებს:** მივლინებულ იქმნან სამეცნიერო მიზნით საზღვარ გარედ შემდეგი პირნი და გამოთხოვილ იქმნას მათვის შემდეგი თანხები:

დოცენტი გ. ნიკოლაძე ოთხი თვით (200 გირვან. სტერლ.); დოცენტი კ. ამირეჯიბი სამი თვით (200 გირვანქა სტერლინგი); ლექტორი ყირქესაშვილი 3 თვით (120 გ. სტერ.)

დაადგინეს: 19, 20 შუამდგომლობანი დამტკიცდეს.¹

აგრონომიული ფაკულტეტის მოხსენებანი:

- 21. მოისმინებს:** დამტკიცდეს გრენობლის უნივერსიტეტის ქიმიის დოქტორი კ. მოდებაძე დვინის ქიმიის და ფიზიოლოგიის კურსის ლექტორად.

დაადგინეს: დამტკიცდეს.²

- 22. მოისმინებს:** წარვლინებულ იქმნას აგრონომიულ ქიმიის ასისტენტი შ. ცინცაძე მოსკოვში სამეცნიერო მიზნით ერთი წლით. აღიძრას შუამდგომლობა გან. კომ. წინაშე, რათა მას მივლინებაში ყოფნისას აღმოჩინოს ყოველთვიური დახმარება. მის ნაცვლად მოწვეულ იქმნეს ახალი პირი.

- დაადგინეს:** 1/ წარვლინება ერთი წლით დამტკიცდეს, 2/ შეენახოს თანამდებობა. 3/ ცინცაძის ჯამაგირი მიეცეს ახლად მოწვეულ პირს, 4/ აღიძრას შუამდგომლობა გან. კომ. წინაშე რათა აღმოვჩინოს ცინცაძეს მატერიალური დახმარება, რომ შესძლოს მან წარვლინებაში ყოფნის დროს ცხოვრება.

სოც. ეკონომიკური ფაკულტეტის მოხსენებანი:

- 23. მოისმინებს:** დატოვებულ იქმნას უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობისათვის ფატი გოკიელი დოც. ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით სტიპენდიით სამოქალაქო სამართალში.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

- 24. მოისმინებს:** მიეცეს სოც. ეკონომ. ფაკულტ. კურსდამთავრებულ ლუარსაბ კარბელაშვილს და ნიკოლოზ სანაძეს დიპლომები.

დაადგინეს: დამტკიცდეს:

ივ. ჯავახიშვილი, კ. ქეკელიძე, ალადაშვილი, გ. ახვლედიანი, გორგი ჯავახიშვილი, წერეთელი, ასათიანი, ა. ბენაშვილი, ს. ამი-

¹ მე-19 და მე-20 საკითხები მონიშვნელია ფიგურული ფრჩხილით და ხიდებით „შუამდგომლობანი დამტკიცდეს“ ჩაწერილია ძელნით.

² სიტყვა ჩაწერილია ძელნით.

რეჯიბი, ა. მაჭავარიანი, ივ. თიკანაძე, შ. ნუცუბიძე, გ. მუხაძე, შ. ნუცუბიძე, მ. მგალობლიშვილი, დ. უზნაძე, ს. იოსელიანი, გ. ლამბარაშვილი, ივ. თულაშვილი, ვ. ყიფშიძე, ა. თვალჭრელიძე, ი. ბერიტაშვილი, ვ. ქლენტი, ბ. დოღობერიძე, ვ. მოსეშვილი

* მეშვიდე მუხლი

სია იმ სტუდენტთა, რომელთაც მიენიჭა საპედ. ფაკულტეტის გათავების დიპლომი.

- 1) აბესაძე მიხეილ სპირიდონის ძე – სიტყვიერების დარგი
- 2) აბუევა არუსია ივანეს ასული – საბუნების მეტყველო
- 3) ალექსანგი დავით აბრამის ძე – ” – ”
- 4) ბაგდოვევი ქეთო ოგანეზის ასული – ” – ”
- 5) ბროდსკაია დიმი ზეილიკ გერმვის ასული – საბუნების მეტყველო
- 6) ბუაჩიძე ნინო მიხეილის ასული – სიტყვიერების
- 7) გაბიჩვაძე არისტოტელ ერასტის ძე – ” – ”
- 8) განებილაძე სიმონ გიორგის ძე – ” – ”
- 9) გოგიელი ლევან პეტრეს ძე – მათემატიკური
- 10) გოკიელი ფატმან გაბრიელის ასული – ფილოსოფიური,
- 11) დუნიამათიან ვარდუი სააკის ასული – საბუნების მეტყველო
- 12) ვაჩნაძე ნინო ლევანის ასული – ფილოსოფიური
- 13) ვეფხვაძე ვერა ერმალოზის ასული – სიტყვიერების
- 14) თაბუაშვილი ნეოფიტე ივანეს ძე – ” – ”
- 15) კაკაბაძე მეთოდი მიხეილის ძე – ” – ”
- 16) კაჭარავა ივანე ბესარიონის ძე – საბუნების მეტყველო
- 17) კორიფაძე აბიბოს ლუკას ძე – საისტორიო
- 18) მეფისაშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე – სიტყვიერების
- 19) მჭედლიძე სიმონ ოქროპირის ძე – საისტორიო
- 20) ნადარაია პლატონ – სიტყვიერების
- 21) ნამორაძე ალექსანდრე გიორგის ძე – ისტორიული
- 22) ნიკინსკაია ოლდა ანგონის ასული – საბუნების მეტყველო
- 23) პაპაიანი ლუსია გვგაზოს ასული – ” – ”
- 24) ჟვანია კალისტრატე ტიმოთეს ძე – სიტყვიერების
- 25) რაბინოვის როზალია – საბუნების მეტყველო
- 26) რცხილაძე მარიამ – ისტორიული
- 27) საყვარელიძე თამარ იასონის ასული – ფსიქოლოგიური
- 28) ფირცხალავა დოროთე ალექსის ძე – ისტორიული
- 29) ფურცელაძე ნატალია ვარდენის ასული – სიტყვიერების
- 30) ყარა-მურზა ეველინა ნიკიტას ას. – საბუნების მეტყველო
- 31) ყოჩიაშვილი-ახმეტელაშვილი სოფიო ვასილის ას – ” – ”

- 32) ჩოგოვაძე მიხეილ იასაის ძე – ფსიქოლოგიური
- 33) ცაგარელი (ცაგარეიშვილი) მიხეილ ეპიფანეს ძე – სიტყვიერების
- 34) ცაგურია მარიამ ბესარიონის ასული – ისტორიული
- 35) წიფურია ბესარიონ ცაგვას ძე – ფსიქოლოგიური
- 36) წერეთელი თამარ იოსების ასული – საბუნებისმეტყველო
- 37) სარაზიშვილი ფელიქს ედუარდის ძე – ფსიქოლოგიური
- 38) ჯიქია სერგი სიმონის ძე – ენათმეცნიერების
- 39) პატარაია ბართლომე – სიტყვიერების დარგი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქთი
№ 9 1

“5” ენკანისთვე 1924 წ.

დაქსწრებ: პროფ. დოცტ. ჯავახიშვილი ივანე, ალ. ჯავახიშვილი,
ბერიბაშვილი, მაჭავარიანი, ნათაძე, გებერმანი, ანდრონი-
კაშვილი ლუარსაბ, ამირეჯიბი კოტე, წერეთელი გ. დო-
ლობერიძე ბორისი, შალამბერიძე მ, ასათიანი მ, ქუთათე-
ლაძე იოველი, მუსხელიშვილი ნ. უღენტი, გელევანიშვი-
ლი, ჩუბინაშვილი, ნუცუბიძე, დიდებულიძე, გ. ჯავახიშ-
ვილი, ნიკოლაძე გ. ახვლევიანი გ.
უნივერს მასწავლებელთა წარმომადგენელი: ყანჩაველი
ზ. იოსელიანი დავითი.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა
საბჭომ იქონია მსჯელობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხებში
მომხდარ ავანტიურისტულ გამოსვლების შესახებ დაადგინა
გამოაქვეყნოს შემდეგი დეკლარაცია:

მეოთხე წელიწადია არსებობს საქართველოში მტკიცე მოქა-
ლაქობრივი მშვიდობიანობა. რევოლუციის შემდგომი ხანის დაუს-
რულებელ შეტაკებებს და ომებს მეზობელ ხალხებთან ბოლო
მოედო საბჭოთა ძალაუფლების დამყარებით საქართველოში. ერ-
თი მუჭა ქართველი ხალხი მრავალგვარ ფიზიკურ უბედურებით
დაუძლეურებული გარკვეულად შევიდა ახალ მშვიდობიან ხანაში.
არსებული ძალა უფლება შეძლების და გვარად ყოველგვარ სა-
შუალებას ხმარობდა დანგრეულ ცხოვრების ეკონომიკურად და
კულტურულად აღრძინებისათვის და შექმნილ პირობებში ორივე
მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები იშლებოდა ქართველ
ერის წინაშე. კულტურული ცხოვრება საზოგადოთ და მეცნიერუ-
ლი კერძოდ – ერთ დროს შეფერხებული – ნელ ნელ დაიძრა
წარმატების და განვითარების გზაზე, რომლის დადებითი მიღწე-
ვანი უკვე გარკვეულად სხანდნენ და უველასათვის თვალსაჩინო
და ხელსახები იყვნენ. მრავალი ხნის განმავლობაში დაბეჭავე-
ბულს ენასა და მწერლობას ხელსაყრელი პირობები შეექნა და
აყვავების უტყუარი ნიშნები დაეტყო; ამის მჟერ მეტყველი მოწა-
მეა აუარებელი ახალი სკოლა და ქართული ბეჭდვითი გამოცემა-
ნი, რომელთა რიცხვმა საბჭოთა ძალა უფლების დროს ისეთ რა-

¹ „№9” ჩაწერილია მელის.

ოდენობას მიაღწია, რომელსაც არც ერთ წინანდელ რეჟიმის დროს ადგილი არ ჰქონებია. კველა ამის შემდეგ აშეარა იყო, რომ სამი წლის ნახევრის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ძალა-უფლება ქართველი ხალხის ფართო მასების მთავრობა იყო, რომელიც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. საბჭოთა ძალა-უფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი პირობები ერთად-ერთი თავდები და საწინდარი იყო კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინების მომავალ განვითარების.

ასეთი პირობებში ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულობად უჩდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. უმაღლეს განათლების კერას და ქართულ კულტურის ბურჯს სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომელებიც დააგრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უპასუხის მგებლო ავანტიურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ ადიმადლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალა-უფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდევს და ერთ სახივაორ მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნივერსიტეტის „პროფესორთა საბჭო საქავენოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ გამოხვდას არსებული ძალა-უფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად. ჯგუფურის ძალა-უფლების ძიების „ეროვნულ თავისუფლებისათვის“ ბრძოლის საგანში გახვევა სრულიად არ ათავისუფლებს ამ ავანტიურას ერის სამტრო მოქმედების ყოველი ნიშნებისაგან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი ინტელიგენტი ჯეროვნად დააფასებს შექმნილ მდგომარეობას და მთელს თავის გულის წერომას მიმართავს მათ წინააღმდეგ ვინც ასე ხელ აღებით ქართველ ხალხს მოულოდნელი უბედურება თავს დაატეხა.

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტიურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობდა საბჭოთა ძალა-უფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქობრივობის აღდგენით ამიერიდანაც გაჩა...¹

¹ აქ წყდება საბჭოდი მანქანით ნაბჭელი ტექსტი, რომელსაც მოხდეს ხელნაწერი.

საქართველოს სახელმწიფო უ-ტის პროფესორთა საბჭომ იქთნია მსჯელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ ავანტიურისტულ გამოსვლების შესახებ და დაადგინა გამოსქვეჭნოს შემდეგი დეკლარაცია:

მეოთხე წელიწადია არსებობს საქართველოში მტკიცე მოქალაქობრივი მშვიდობიანობა. რევოლუციის შემდგომი სანის დაუსრულებელ შეტაკებებს და ომებს მეზოზბელ საღსებთან ბოლო მოედო საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებით საქართველოში. ერთი მუქა ქართველი ხალხი მრავალგვარ ფიზიკურ უბედურებათა დაუძლეურებული გარკვეულად შევიდა ახალ, მშვიდობიან სანაში. არსებული ძალა-უფლება შეძლებისდაგვარად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა დანგრუელი ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის და შექმნილ პირობებში ორივე მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები იმულებოდა ქართველ ერის წინაშე.

კულტურული ცხოვრება საზოგადოდ და მეცნიერებლი კერძოდ – ერთ დროს შეფერხებული – ნელ-ნელა დაიძრა წარმატების და განვითარების გზაზე, რომლის დადგებითი მიღწევანი უკვე გარკვეულად სხანდნენ და ყველასათვის თვალსაჩინოდ და ხელსახები იყვნენ. მრავალი ხნის განმავლობაში დაბეჭავებულს ენასა და მწერლობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა და აყვავების უტყური ნიშნები დაეტყო; ამის მჟერმეტყველი მოწამეა აუარებელი ახალი სკოლა და ქართული ბეჭდვითი გამოცემანი, რომელთა რიცხვმა საბჭოთა ძალა-უფლების დროს ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომელსაც არც ერთ წინანდელ რეკიმის დროს ადგილი არ ჰქონებია. ყველა ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ სამი წლის-ნახევრის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ძალა-უფლება ქართველი ხალხის ფართო მასების მთავრობა იყო, რომელიც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ორგანულად იყო დაკავშირებული, საბჭოთა ძალა-უფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი პირობები ერთად-ერთი თავდები დასაწინდარი იყო კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების მომავალ განვითარების.

ასეთ პირობებში ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართდებელ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებელი მისი სასიცოცხლო ინტერესისათვის. უმაღლესი განათლების კერას, ქართული კულტურის ბურჯს სახ. უნივერსიტეტს – არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უპასუხისმგებლო ავანტიურამ და თავისი მკაცრის საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალა-უფლებ-

ბის დასაბურნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდევს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ პგმობს უპასხუისმგებლო და ავანტიურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების დამდუპველად. „ჯგუფური ძალაუფლების ძიების „ეროვნული თავისუფლებისათვის“ პრძოლის საგანში გარკვევა სრულია და არ ათავისუფლებს ამ ავანტიურას ერის სამტრო მოქმედების უოველი ნიშნებისაგან.

სახ. უნივერსიტეტის საბჭო სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ უოველი პატიოსანი ქართველი ინტელიგენტი ჯეროვნად დააფასებს შექმნილ მდგომარეობას და მთელს თავის გულისწყრომას მიმართავს მათ წინააღმდეგ, ვინც ასე ხელადებით ქართველ ხალხს მოულოდნელი უბედურება თავს დაატეხა.

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტიურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობდა საბჭოთა ძალა-უფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქეობრივობის აღდგენით ამიერიდანაც გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა.

1924. 5. IX

ივ. ჯაფახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. ლიდებულიძე, ა. მაჭავარიანი, მ. ასათიანი, ნ. მუსხელიშვილი, ვლ. ედენტი, გრ. ნათაძე, გ. ახვლედიანი, ალ. ჯავახიშვილი ბ. ლოდიბერიძე, გ. გეხტმანი, მ. შალამბერიძე, დ. გედევანიშვილი, ქ. მ. ამირეჯიბი, ი. ბერიტაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, ჩუბინაშვილი, გ. წერეთველი, ზ. ყანჩაველი

ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ თ
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ს ა ბ ჭ თ ს ს ხ დ თ ა.
ო ქ მ ი ს ტ ი 10

26 დეკემბერი 1924 წ.

დაქვემდებრები: პროფესორ-დოცენტები: ი. ქუთათელაძე, ა. დიდებულიძე, გ. ნათაძე, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, კ. კაკელიძე, წერეთელი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. იოსელიანი, ს. ქურდიანი, ა. მაჭავარიანი, ალ. ალადაშვილი, ივ. თულაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, ა. ჯანელიძე, ალ. ნათოშვილი, ი. ბერიტაშვილი, გ. ასათიანი, ი. თიკანაძე, ა. თვალჭრელიძე, ნ. ყიფიანი, გ. გეხტმანი, ვ. ყველიძი, გ. დამბარაშვილი, გიორ. ჯავახიშვილი, ს. ამირეჯიბი, მუხაძე, ვ. მოსეშვილი, მ. შალამბერიძე, ა. შანიძე.

უმცროს მასწავლებელთა წარმომადგენელნი: ა. წერეთელი, მ. ბექაიძა, ვ. ყიფშიძე, მ. მგალობლიშვილი, ნ. ყიფშიძე და ილ. ყიფშიძე. სტუდენტთა წარმომადგენელნი: პ. ბუაჩიძე, ლ. დაღუნაშვილი, ელ. ანდრიაძე, გ. ცაგარელი, დ. ცხაკაია, რ. სანებლიძე, ს. კიგაბიძე, ნ. ცინცაძე, ი. მიქაძე.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი

მდივანი: ი. ქუთათელაძე.

სამკურნალო ფაკულტეტის მოხსენებანი

1. განიხილეს: შეცვლილ იქმნეს შინაგან სწერულებათა ჯგუფისათვის სამეცნიერო ხარისხის წოდება შინაგან მედიცინის დოქტორის წოდებად.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

2. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. გიორგი ფავლენიშვილი პოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის ორდინატორად 1924 წლ. 1-ლ დეკემბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

3. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. ნადეჟდა სერგოს ასული ჭიჭინაძესა პედიატრიულ კლინიკის ორდინატორად. სარგო მიუცეს 1924 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

4. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. ელისაბედ ბესარიონის ასული იმ-ნაიშვილი ბაგშვთა კლინიკის ორდინატორად, სარგო მიუცეს 1924 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

5. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. გაბრიელ იოსების ძე რატიშვილი ბაგშვთა კლინიკის ორდინატორად. სარგო მიუცეს 1924 წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

6. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. გიორგი ალექსანდრეს ძე ლორ-თქიფანიძე სამეანო კლინიკის ორდინატორად. სარგო მიუცეს დღიდან ექ. კუჭუხიძის მიერ თანამდებობის განთავისუფლებისა.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

7. განიხილეს: დატოვებულ იქმნას ბაგშვთა სნეულებათა კათედ-რასთან მოსამზადებლად ექ. პიმენ ნანეიშვილი სტიპენდიით ორი წლის ვადით.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

8. განიხილეს: დამტკიცდეს მეაფთიაქის მოწაფენი რიცხვით 131 თანახმად თანდართული სიისა, მეაფთიაქის თანაშემწის წოდებაში.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

განიხილეს: დამტკიცდეს სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად პროფ. გრ. მუხაძე.

დაადგინეს: ვინაიდან სტუდენტთა წარმომადგენლებისაგან შემო-ვიდა სიტყვიერი განცხადება, რომ მათ არ მიუღიათ იმ სხდომის უწყება, რომელზედაც არჩეული იყო ახალი დეკანი ამ მიზეზისა გამო არ სცნობენ არჩევნებს კანონიერად, დაუბრუნდეს დეკანის არჩევნების საკითხი სამკურნალო ფაკულტეტს.

საპედაგოო ფაკულტეტის მოხსენებანი

განიხილეს: დაარსდეს მათემატიკურ განყოფილებასთან ასტრონო-მიული დარგი, უკანასკნელთან ასტრონომიული კაბინეტი და სადგური; ამ მიზნისათვის გამოთხოვნილ იქმნეს სახალხო განათლების კომისარიატიდან 5000 მანეთი.

დაადგინეს: შუამდგომლობა ასტრონომიულ დარგის უკანასკნელ-თა ასტრონომიულ კაბინეტის და სადგურის დაარსების შესახებ დამტკიცდეს. დადგენილება მიღებულია 24 ხმით 14 წინააღმდეგ, 5-მა თავი შეიკავა.

განიხილეს: დატოვებულ იქმნას ახლად კურს დამთავრებული ბ. ალ. ნამორაძე ახალ ისტორიის კათედრასთან მოსამზადებლად ერთი წლის ვადით.

დაადგინეს: საკითხი გადაიდოს.

განიხილეს: დამტკიცდეს პედაგოგიურ ფაკულტეტის დეკანად პროფ. დ. უზნაძე

დაადგინეს: დამტკიცდეს.

პოლიტექნიკური ფაკულტეტის მოხსენებანი

განიხილეს: დამტკიცდეს პოლიტექნიკურ ფაკულტეტის დეკანად პროფ. ა. დიდებულიძე.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

აგრონომიული ფაკულტეტის მოხსენებანი.

14. განიხილეს: დამტკიცდეს აგრონომიულ ფაკულტეტის დეკანად დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის მოხსენებანი.

15. განიხილეს: დამტკიცდეს სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის დეკანად პრ. შ. ნუცუბიძე.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

16. განიხილეს: დამტკიცდეს სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის მდივნად ლექტ. ი. ტატიშვილი.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

17. განიხილეს: დატოვებულ იქმნას პაილბერგის¹ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბიძინა რამიშვილი პოლიტიკურ ეკონომიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

18. განიხილეს: პროფესიონელის არჩევნები.

დაადგინეს: სტუდენტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან მათ არ მიუღიათ უწყება ისინი წარმოადგენენ სტუდენტთა წარმომადგენლების უმცირესობას და არ შეუძლიანო მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ასეთ განცხადების გამო თავმჯდომარე ბ-ნ რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა მისცა მათ შემდეგი შენიშვნა: თუ უწყება არ მიგიღიათ და ამის გამო სხდომას უკანონოდ აცხადებთ ასეთი განცხადება სხდომის დასაწყისში უნდა ყოფილიყო და არა სხდომის დამთავრებისას. შემდეგი ასეთი გან-

¹ უნდა იყოს „პაილბერგი“

ცხადება მხედველობაში მიღებული არ იქნება. არჩევნების საკითხი გადადებულ იქმნა შემდეგ სხდომისათვის.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი,

წევრები: ალ. ჯანელიძე, ნ. იოსელიანი, შ. ნუცუბიძე, ვ. მოსეშვილი, ა. ხარაძე, ალადაშვილი, ი. თიკანაძე, ა. მაჭავარიანი, გ. წერეთელი, ა. ბენაშვილი, მ. მგალობლიშვილი, კ. ამირეჯიბი, ს. ქურდიანი, ცეცხლაძე, ს. ამირეჯიბი, ლამბარაშვილი, ასათიანი, ალ. წერეთელი, ი. ყიფშიძე, მ. ბექაია, ნ. ყიფშიძე, ივ. თულაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, გ. გებეტანიშვილი

1925
விஜய

ტ ვ ი ლ ი ს ი ს ს ა ს ე ლ მ წ ი ფ თ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ
 ტ ი ს ს ა ბ ჭ ო ს ს ხ დ თ ი ს
 ო ქ მ თ ი ს № 1

13/II- 1925 წ.

დაქსწრები: პროფესორები: ა. ბენაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მუხ-
 ხელიშვილი, ი. ქუთათელაძე, სპ. გოგიტიძე, ღოცენტი ლ. ანდრო-
 ნიკაშვილი, პროფ. ა. დიდებულიძე, ალ. ალადაშვილი, ალ. ჯავა-
 ხიშვილი, შ. ნუცებიძე, ი. მოსეშვილი, გ. წერეთელი, გ. ჩუბინაშ-
 ვილი, გ. ახვლედიანი, ვ. მოსეშვილი, მ. პოლიევგორი, ს. ქურდია-
 ნი, გ. დამბარაშვილი, ა. მაჭავარიანი, ა. შანიძე, ი. ბერიტაშვილი,
 ს. ამირეჯიბი, ნ. კახიანი, ი. თიკანაძე.

ღოცენტები: ალ. ჯანელიძე, გ. გეხტმანი, გიორგი ჯავახიშვი-
 ლი, ი. თულაშვილი, ა. ხარაძე, გ. ნათაძე, მ. შალამბერიძე, ნ. იო-
 სელიანი, ბ. ღოღობერიძე.

უმცროსი მასწავლებელნი: ი. ყიფშიძე, ალ. წერეთელი, მ. ბექა-
 ია, ზ. ყანხაველი, ლომოური, ყიფშიძე, ვლად. ცეცხლაძე, ს. ჩო-
 ლოფაშვილი, დ. იოსელიანი, მ. გზალობლიშვილი, ნ. ყიფშიძე.

სტუდენტთა წარმომადგენელნი: კიკაბიძე ნიკოლოზ, მესხი ბე-
 ნედიქტე, ბუაბიძე პეტრე, კიკაბიძე სამხონი, ბელქანია იროდიონ,
 ცხაკაია დომენტი, მიქაძე ია, ცაგარელი გიორგი, დადუნაშვილი
 ლავრენტი, ანდრიაძე ელისაბედ, ცინცაძე ნიკოლოზ, ჯანაშია
 სპირიდონ, სანებლიძე, ო. მლკლიშვილი.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი მდივანი: ი. ქუთათელაძე

1. განიხილეს: ბატონ რექტორის ივ. ჯავახივშილის მოხსენება
 უნივერსიტეტის¹

დაადგინეს:

სამეცნიალო ფაკულტეტის მოხსენებანი

2. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. ელენე ბეთანელი გინეკოლოგიურ
 კლინიკის ორდინატორად 1/XII-დან.

დაადგინეს: დამტკიცდეს²

3. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. ტარასი ნიკოლაიშვილი თვალთა
 სნეულების კლინიკის ორდინატორად 1/XII-დან.

¹ წინადაღება დაუსრულებელია

² სიტყვა ჩაწერილია მელნიოთ.

დაადგინეს: დამტკიცდეს.¹

4. განიხილეს: წარვლინებულ იქმნას ექ. კონიაშვილი საზღვარ-გარედ სამეცნიერო მიზნით ბალნეოლოგიის შესასწავლად ერთი წლის ვადით ჯამაგირის შენახვით.

დაადგინეს: დამტკიცდეს.²

5. განიხილეს: დამტკიცდეს პროფ. გრიგოლ მუხაძე სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად.

დაადგინეს: აღიძრას განათლების კომისარიატის წინაშე, რათა პროფ. გრ. მუხაძე დამტკიცებულ იქმნეს სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად.³

სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის მოხსენება.

6. განიხილეს: დამტკიცდეს სერგო ჭავარიძე საგაჭრო-სამართლის ლექტორად.

დაადგინეს: დამტკიცდეს.⁴

საპედაგოო ფაკულტეტის მოხსენება

7. განიხილეს: დატოვებულ იქმნეს ახლად ეურს დამთავრებული ბ-ნი აღ. ნამორაძე ახალი ისტორიის კათედრასთან ერთი წლით. ხელმძღვანელობა მიენდოს ბ-ნ გ. ნათაძეს.

დაადგინეს: დამტკიცდეს.⁵

აგრონომიულ ფაკულტეტის მოხსენებანი.

8. განიხილეს: აღიარებულ იქმნას ბ-ნი ა. სანაძე აგრონომიულ ფაკულტეტ-ეურს დამთავრებულად და მიეცეს მას სათანადო მოწმობა.

დაადგინეს: დამტკიცდეს.⁶

9. განიხილეს: დატოვებულ იქმნას შ. ცინცაძე აგრონომიულ ქიმიის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად და დაენიშნოს მას უნივერსიტეტთან დატოვებულის დამს. პროფ. პ. მელიქიშვილის სახელობის სტიპენდია მიწად-მოქმედების კომისიარიატისა.

დაადგინეს: დამტკიცდეს.⁷

10. განიხილეს: პროფ. ბერიტაშვილის მოხსენება მის მიერ სამკურნალო ფაკულტეტში შეტანილ განცხადების, ფიზიოლოგიის კითხვაზე თავის დანებების შესახებ.

¹ სიტყვა ჩაწერილია მელნით.

² სიტყვა ჩაწერილია მელნით.

³ დადგენილება ჩაწერილია მელნით.

⁴ სიტყვა ჩაწერილია მელნით.

⁵ სიტყვა ჩაწერილია მელნით.

⁶ სიტყვა ჩაწერილია მელნით

⁷ სიტყვა ჩაწერილია მელნით

დაადგინეს: არჩეულია კომისია შემდეგი შემადგენლობით პროფ. გ. ახვლედიანი, ა. წერეთელი, პროფ. ა. ბენაშვილი და დაევალა მას საქმის ყოველმხრიცელად გამორკვევა.¹

11. განიხილეს: საგამომცემლო კომისიის შემადგენლობის არჩევნები.

დაადგინეს: გადაიღოს.²

12. განიხილეს: პრორექტორების არჩევნები.

დაადგინეს: არჩეულ იქმნენ პროფ. შ. ნუცუბიძე (40 თეთრი, შავი 16) და პროფ. კ. კეკელიძე (თეთრი 34, შავი 23)³

ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. შანიძე, ა. დიდებულიძე, გ. გეხტმანი, გ. ჩუბინაშვილი, ვ. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ხ. მუსეხლიშვილი, გ. ცაგარელი, ივ. თიკანაძე, ს. გოგიტიძე, ლ. ანდრონიკაშვილი, პოლივექტოვი, მაჭავარიანი, მ. წინამძღვრიშვილი, წერეთელი, ბუაჩიძე, გ. რცხილაძე, ი. ლომოური, ალადაშვილი, ივ. თულაშვილი, გ. ნათაძე, ნ. იოსელიანი, ნ. კიკაბიძე, ს. ამირეჯიბი, კახიანი, ბ. ღოღობერიძე, დ. იოსელიანი, ღამბარაშვილი, ნიკ. ყიფშიძე, ალ. ჯანელიძე, ვლ. ცეცხლაძე, დ. ცხაკაია, მ. შალამბერიძე, ს. ჯანაშია, ბ. მესხი, ს. გოგიტიძე, რ. სახებლიძე, ნ. ცინცაძე, თ. მჭედლიშვილი, ლ. დადუხაშვილი, მ. მგალობლიშვილი, ს. ჩოლოუშვილი, კ. ანდრიაძე, ი. ბელქანია, მიქაძე ი.

¹ დაადგენილება ჩაწერილია მელნიოთ.

² სიტყვა ჩაწერილია მელნიოთ.

³ დაადგენილება ჩაწერილია მელნიოთ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბჭოს სხდომის ოქმი
№2

“17” აპრილი, 1925 წ.

დაქსწრებ: პროფესორები და დოცენტები: დამბარაშვილი, ქუთათელაძე, ა. ბენაშვილი, ი. მოსეშვილი, ს. ქურდიანი, გ. წერეთელი, გ. ახვლედიანი, კ. კეპელიძე, გ. ნათაძე, ივ. თულაშვილი, ივ. თიკანაძე, ა. თვალჭრელიძე, ა. ხარაძე, ს. დანელია, ასათიანი, გ. ჯავახიშვილი, ა. მოსეშვილი, ა. ალადაშვილი, ა. შანიძე, მ. პოლიეგატოვი, ლ. მელიქეთ ბეგი, გ. გებეტმანი, ა. დიდებულიძე, გ. ჩუბინაშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, დ. გელევანიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, შ. ნუცებიძე, ს. ამირაჯიძი, ი. ბერიბაშვილი, მ. წინამდღვრიშვილი ა. მაჭავარიანი, გ. შეხებაძე, ბ. ღოღობერიძე, დ. უზნაძე, მ. შალამბერიძე, ვ. ყლენტი, მუსხელიშვილი.

უმცროს მასწავლებელთა წარმომადგენელი: მ. ბექაია, ცეცხლაძე, ი. ყიფშიძე, ალ. წერეთელი, ვ. ყიფშიძე, მ. მგალობლიშვილი, ს. ხოლოვაშვილი, გ. რცხილაძე, ი. ტატიშვილი, ი. ლომოური, ნ. ყიფშიძე.

სტუდენტთა წარმომადგენელი: ელ. ანდრიაძე, კიკაბიძე, ნ. ცინცაძე, რ. სანგებლიძე, გ. ცაგარელი, თ. მჭედლიშვილი.

კომისარიატის წარმომადგენელი: არჩილ მიქაძე.

თავმჯდომარე: პროფ. ი. ჯავახიშვილი

მდივანი: პროფ. ი. ქუთათელაძე

1. განიხილეს: საგამომცემლო კომისიის 1924 წ. მუშაობის ანგარიში.

დაადგინეს: ეთხოვოს საგამომცემლო კომისიას გამორჩეული იქმნება პროფ. ალ. ჯავახიშვილის ფიზიკური გეოგრაფიის პრაქტიკუმის ნამდვილი დირექტულება: პროფ. ა. ჯავახიშვილის განცხადებით დახარჯული უნდა იყოს არა 320 მან. როგორც ეს ანგარიშში აღნიშნულია არამედ 100 მან.

გამორკვეულ იქმნება თუ რატომ პროფ. მუსხელიშვილი რომელიც მისი განცხადებით თავის დროზე არჩეული იყო საგამომცემლო კომისიის წევრად არ იყო მოწვეული სამუშაოდ.

რაც შეეხება გადაუხდელ ვალს, რომლის რაოდენობა თანახმად კომისიის მოხსენებისა დაახლოვებით 5,6 ათას მანეთს უდრის, და რომლის გადახდის საშუალება მას არა აქვს, ადიძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე სხენებულ თანხის გადების შესახებ.

აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გადებულ იქმნას საგამომცემლო საქმისთვის საჭირო თანხა.

არჩეულ იქმნეს ფაკულტეტების მიერ კომისიები და დაევალოს მათ რომ დასაბუქდ შრომებში იქმნეს ნახმარი საერთო ტერმინოლოგია. ეთხოვოს საგამომცემლო კომისიას, რათა უნივერსიტეტის გამოცემებს ექმნეს ერთი გარკვეული ფორმა.

კორექტორის ყოლა იქნეს ცნობილი საჭიროდ.

ეთხოვოს საგამომცემლო კომისიას შეძლების და გვარად შემოღებულ იქმნეს ფერადოვანი სურათების ბეჭდვა.

ანგარიში საერთოდ დამტკიცდეს.

2. განიხილეს: საგამომცემლო კომისიის მოხსენება საგამომცემლო კომისიის წევრების ახალი არჩევნების მოხდენის შესახებ.

დაადგინეს: განთავისუფლებულ იქმნენ საგამომცემლო კომისიის წევრები მათ მოვალეობიდან და გაწეულ დიდ შრომისათვის გამოეცხადოს მათ უღრმესი მადლობა. ეთხოვოს ფაკულტეტების აირჩიონ საგამომცემლო კომისიის წევრებათ თითო წარმომადგენელი ხოლო პედაგოგიურმა – ორი. გარდა ფაკულტეტების წარმომადგენლებისა კომისიაში არჩეულია პრორექტორები: პროფ. პ. კამელიძე და პროფ. შ. ნუცებიძე. დაევალოს კომისიას აირჩიოს პრეზიდიუმი.

სამკურნალო ფაკულტეტების მოხსენებანი:

3. განიხილეს: დოც. ვლადიმერ ქლეხტს, რომელმაც ა.წ. 29 მარტს დამაქმაყოფილებლად დაიცვა მის მიერ წარმოდგენილი შრომა სათაურით „გლოომები“ მიენიჭოს პათოლოგიის დოქტორის ხარისხი.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

4. განიხილეს: დამტკიცდეს ექ. თ. ტატიშვილი ბავშვთა კლინიკის ორდინაციონად. /წარმოდგენილია 22/12; ფაკულტ. 9/II-25.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

5. განიხილეს: დაარსდეს პოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკასთან უროლოგიის განყოფილება და მიეცეს ერთი ზედმეტი ასისტენტის თანამდებობა.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე, რათა დაარსებული იქმნას სამკურნალო ფაკულტეტთან უროლოგიის განყოფილება და მიეცეს ერთი ზედმეტი ასისტენტის თანამდებობა.

6. განიხილეს: მოხსენება საზღვარ გარედ წარვლენილების გეგმის შესახებ და შუამდგომლობა ფაკულტეტებისა, რათა პროფ. შ. წინამდებრიშვილი და ასისტენტები მიელაძე და ვარაზაშვილი წარვლინებულ იქმნან 1925/26 სამოსწავლო წელს საზღვარგარედ

სამეცნიერო მიზნით პირველ რიგში პირველი 6 თვით, ხოლო მეორე და მესამე თითო წლით. გარდა ამისა წარვლინებულ იქმნან საზღვარ გარედ პროფესორებიდან: ი. თიკანაძე და გ. ლამბარაშვილი, დოცენტებიდან: ბ. ლოდობერიძე და ვ. ულენტი, უნცროს მასწავლებლებიდან: გ. ცხაკაია, ბ. მახვილაძე, მ. მგალობელი და კ. ერისთავი. უკანასკნელი ოთხი პირი უნდა წავიდეს მხოლოდ დისერტაციის დაცვის შემდეგ.

დაადგინეს: მოხსენება საზღვარ გარედ წარვლინების შესახებ გადაიღოს იმ დროისთვის, როდესაც საზღვარ გარედ წარვლინების პრინციპებზე იქნება მსჯელობა. საზღვარ გარედ წასარვლინებელთა სია დამტკიცდეს. ალიძრას გან. კომისარიატის წინაშე სათანადო შუამდგომლობა, რათა გაღებულ იქმნას სათანადო თანხა წარსავლინებელ პირთა დასაქმაყოფილებლად. იმ შემთხვევაში თუ კომისარიატი ვერ შესძლებს ყველას გაგზავნას ეთხოვოს მას, რათა გაღებული თანხა გადაეცეს უნივერსიტეტის გამგეობას და მიენდოს უკანასკნელს საზღვარ გარედ წასარვლინებელ პირთა რიგის გამომუშავება.

7. **განიხილეს:** დამტკიცდეს ფაქულტეტის წევრებად შემდეგი პირნი: მ. მგალობელი, შ. მიქელაძე, გ. ცხაკაია, პ. ქავთარაძე, ნ. ყიფ-შიძე, ვ. მუსხელიშვილი, და კანდიდატად პ. ცეცელაძე.

დაადგინეს: დამტკიცდეს.

8. **განიხილეს:** დამტკიცდეს აფთიაქის თანაშემწის წოდებაში 27 კაცი თანახმად ამასთანავე ერთად თანდართულ სისა.*

დაადგინეს: დამტკიცდეს.

9. **განიხილეს:** შინაგან მედიცინის დოქტორი შ. მიქელაძე რომლის მიერ წაკითხული სანიმუშო ლექცია ფაქულტეტის მიერ და-

* სია, იმ პირთა, რომელთაც აფთიაქის თანაშემწის წოდებაზე ჩააბარეს გამოცდები.

- 1.სინდორიანცი ანდრია 2. ბერუბავა შუშანა 3. ურუშაძე თამარ
4. ქეცბაია გრიგოლ 5. ცინცაძე ნადეჟდა 6. გოგიელოვი მარიამი
